ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

# სარკე

ფასი: 1 ლარი

25.XII.2013-7.I.2014

№52





ვიქტორია: „კატოსნაირი მეგობრებიც მყავს, რომელთაც კარგად ვუგებ“ გვ.30

როდის პოულობენ რომანტიკისთვის დროს დათო დარჩია და მისი ცოლი

„მე და ჩემმა ყოფილმა ქმარმა ურთიერთობები დავალაგეთ“



გვ.23

ჯანეტ ქერდიყოშვილი საავადმყოფოში სერიოზული დიაგნოზით წევს

## ნინი ბადურაშვილი: „ირაკლი კუტალაძემ შვილი ნახა, გაგიჟდა, ისე მოეწონა ელენე“ გვ.6

„ოდესმე ხელმეორედ შევქმნი ოჯახს, მაგრამ ახლა ამაზე არც ვფიქრობ და არც მზად ვარ“



გვ.14

ხათუნა გოგალაძე მინისტრობამ ნამცხვრების კეთებას გადააჩვია



გვ.20

სოფო ფარცხალაძე: „ხალხი ფიქრობს, დათო საგანელიძის ცოლი მატერიალური კეთილდღეობის გამო გავხდი“



გვ.24

ლუკა ყვავილაშვილი: „გეგა ფალავანდიშვილს ჩემი ნახატის ყიდვა მოუნდა“



გვ.21

რა სიძნელეებს გაუძლეს ოთარ ტატიშვილმა და მისმა ცოლმა

ISSN 1987-9369

9 771987 936002

გულახდილი საუბრები

„საახალწლო გოჭმა ქმარი მაპოვნინა“ გვ.13



ბვ.31

**ვანო ჯავახიშვილი: „ცოლზე სულ ვეჭვიანობ“**



**თამუნა მუსერიძე: „ანჩო დოლიძისთვის შეყვარებული არ წამირთმევია!“**

ბვ.33

**„პიჯველად ვიგიძენი, რას ნიშნავს, როცა გვერდით კაცი გყავს“**



ბვ.52

**როგორ აღმოჩნდა ქეთა თოფურია ნიკა ლაზარიაშვილის კალთაში**

**„გოგოებთან თავაზიანიც ვარ და ბრაზიანიც“**



ბვ.34

**ლიზა ვადაჭკორია: „კანს აუცილებლად გადავიჭიმავ, ნაოჭების ყურება ვის სიამოვნებს?!“**



ბვ.38

**კახა კანდელაკს მანქანის ტარება დედამ ასწავლა**

# „m² უძრავი ქონება“ ენერგოეფექტური სახლების მშენებლობას იწყებს

## გარემონტებული ბინები და დაზოგილი თანხა კომუნალურ გადასახადებზე

დეველოპერულმა კომპანიამ „m² უძრავი ქონება“ ორი ახალი საცხოვრებელი კომპლექსის დაწყების შესახებ ოფიციალურად განაცხადა. თბილისში ნუცუბიძის ქუჩაზე და ყაზბეგის გამზირზე კომპანია მწვანე სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლების მშენებლობას იწყებს.

კომპლექსის მთავარი ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ მშენებლობა ენერგოეფექტურობის პრინციპით წარიმართება. ამ ბინების მცხოვრებლები კომუნალურ გადასახადებზე 23-25 პროცენტს დაზოგავენ. ორივე პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) და კანადის მთავრობის მიერ. დაფინანსების საერთო მოცულობა 14 მლნ დოლარია, საიდანაც 4 მლნ კანადის მთავრობამ უშუალოდ ენერგოეფექტურობისათვის გამოყო.




ირაკლი ბურდილაძე

როგორც ნუცუბიძის ქუჩაზე, ისე ყაზბეგის გამზირზე საცხოვრებელ კომპლექსებში ბინები სრული რემონტით ბარდება. „m² უძრავ ქონებას“ ამის დიდი გამოცდილება აქვს. დეველოპერული კომპანია მფლობელებს სრულად გარემონტებულ ბინებთან ერთად, იტალიურ სამზარეულოს, ჩაშენებულ გაზქურასა და გამწოვს დაახვედრებს, რომლებიც ასევე იტალიური წარმოების იქნება. ბინის დაგეგმარებაში, ინტერიერის დიზაინსა და სარემონტო მასალების არჩევაში, ცხადია, მობინადრეც მიიღებს აქტიურ მონაწილეობას, მით უფრო, რომ არჩევანი დიდი და მრავალფეროვანია.

„m² ნუცუბიძეზე“ 2015 წლის ნოემბერში დასრულდება. სამშენებლო კომპლექსს ძალიან მოსახერხებელი მდებარეობა აქვს. კომპლექსი მეტრო „ვაჟა-ფშაველადან“ 300 მეტრითაა დაშორებული და სამივე მხრიდან უდგება საავტომობილო მისასვლელი. მრავალფეროვანია ინფრასტრუქტურაც – 2-დონიანი ავტოსადგომი, შიდა ეზო დიდი სპორტული მოედნით, დასასვენებელი და საბავშვო ზონებით. ბინების ფართი 45 კვ.მ-დან იწყება.

„m² ყაზბეგზე“ კი 2016 წლის თებერვალში დასრულდება. იგი ქალაქის ორ ცენტრალურ გამზირს შორის მდებარეობს. ბინები დასრულებული რემონტით 42 კვ.მ-დან იწყება.

უფრო მეტი კომფორტისათვის „m² უძრავი ქონების“ პროექტებში ბინის შესაძენად მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც იპოთეკური სესხით, ისე შიდა განვადებით. შიდა განვადების შემთხვევაში მინიმალური თანამონაწილეობა ბინის ღირებულების 20 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ განვადების ვადა მშენებლობის დასრულებამდე გრძელდება. შესაბამისად ბინის მფლობელი სრულ თანხას კომპლექსის დასრულებამდე იხდის.

**ირაკლი ბურდილაძე, „m² უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:**

– „m² უძრავი ქონება“ ორ ახალ პროექტს იწყებს, რომლებიც მორგებულია თანამედროვე მოთხოვნებს. ნუცუბიძის ქუჩაზე და ყაზბეგის გამზირზე მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსებში მცხოვრებლებს კომუნალურ ხარჯებში მნიშვნელოვანი დანაზოგი ექნებათ. ენერგოეფექტურობის ფარგლებში, მშენებლობაში გამოყენებულია ისეთი მასალები, რომლებიც ბინებს ზამთარში სითბოს შეუნარჩუნებს, ზაფხულში კი – სიგრილეს. სამშენებლო სამუშაოები 2014 წლის იანვრიდან იწყება და 24 თვეში დასრულდება. ჩვენ არ ვღალატობთ ჩვენს ტრადიციას და ბინებს სრული რემონტით ვაბარებთ. მშენებლობის ევროკოდებით განხორციელება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენი კომპლექსი სტრუქტურულად და სეისმურად უფრო გამძლე იყოს. გარდა ამისა, „m² იპოდრომთან“, რომელიც დასრულების სტადიაშია, მომხმარებელს საშობაოდ სპეციალურ აქციებს სთავაზობს. ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ ჩვენს მომხმარებლებზე, დღესასწაულის დღეებში კი მათ დიდი სიურპრიზები და ფასდაკლებები ელით.

# ნომერში


**პირადი**

ნინი ბადურაშვილი: „ირაკლი კუტალაძემ შვილი ნახა, გაგიჟდა, ისე მოეწონა ელენე“ 6

**ინციდენტი**

ერაყელმა ქალმა თბილისის ცენტრში სამი ადამიანი დაჭრა 10

**სკანდალი**

მარინა ბერიძეს ქართული შოუბიზნესი აუჯანყდა 11

**გულახდილი საუბრები** 12

**მთავრობის სახე**

ხათუნა გოგალაძე მინისტრობამ ნამცხვრების კეთებას გადააჩვია 14

**პოლიტიკა**

- კახი კახიშვილი: „გიგი უგულავა სასამართლოს გადაწყვეტილებას სათავისოდ გამოიყენებს“ 16
- ფიქრია ჩიხრაძე: „სოზარ სუბარი ვალდებული იყო, პატიმარი მერაბიშვილი დაეცვა“ 17
- ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებები გამოსაცემად მზადაა 18

**მეორე ნახევარი**

- სოფო ფარცხალაძე: „ხალხი ფიქრობს, დათო საგანელიძის ცოლი მატერიალური კეთილდღეობის გამო გავხდი“ 20
- რა სიძნელეებს გაუძლეს ოთარ ტატიშვილმა და მისმა ცოლმა 21

**განსაცდელი**

ჯანეტ ქერდიყოშვილი სააავადმყოფოში სერიოზული დიაგნოზით წევს 23

**კონკურსანტი**

ლუკა ყვავილაშვილი: „გეგა ფალავანდიშვილს ჩემი ნახატის ყიდვა მოუნდა“ 24

**მოზარდები** 28

**ცოლ-ქმრის კლუბი**

- როდის პოულობენ რომანტიკისთვის დროს დათო დარჩია და მისი ცოლი 30
- ვანო ჯავახიშვილი: „ცოლზე სულ ვეჭვიანობ“ 31

**ჭორ-მართალი**

თამუნა მუსერიძე: „ანჩო დოლიძისთვის შეყვარებული არ წამირთმევია!“ 33

**სარკის წინ**

ლიზა ვადაჭკორია: „კანს აუცილებლად გადავიჭიმავ, ნაოჭების ყურება ვის სიამოვნებს?!“ 34

**ჯილდო**

„ქართული ბრენდის დღე“ — ცერემონიალი, რომელზეც ქართული ბიზნესი ფასდება 36

**შეჭირვებულები**

მამა ვახტანგი: „ჩემს შვილს როცა ძალიან უჭირს, „მამა“-ს ამბობს“ 37

**ავტომოყვარული**

კახა კანდელაკს მანქანის ტარება დედამ ასწავლა 38

**ცხოვრება ჩემოდნებზე**

ნათია მონტგომერი: „ამერიკაში პირის გემო გამეხსნა“ 43

**მეგზური**

მარსელი — ქალაქი, რომელიც სიყვარულმა დააარსა 44



№ 52 (817) 25 დეკემბერი, 2013 — 7 იანვარი, 2014

ჟურნალ „სარკის“ შემდეგი ნომერი გამოვა 2014 წლის 8 იანვარს.

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 23.12.2013, 21.00 სთ-ზე.



**მარტოხელა**

სასჯელი უარყოფილი სიყვარულისთვის — „ავადმყოფ შეყვარებულს ზურგი ვაქციე, ქმრად კი ნარკომანი შემხვდა“ 46

**მხოლოდ ქალებისთვის** 48

**დედიკოების სკოლა** 49

**ცოტ-ცოტა ყველაფერზე** 50

**ჩემი მშვენიერი ლედი**

როგორ აღმოჩნდა ქეთა თოფურია ნიკა ლაზარიაშვილის კალთაში 52

**სპორტის მიღმა** 53

**შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო** 54

**სახალისო** 56

**იყავით ჯანმრთელი** 58

**ადამიანის ინსტიტუტი** 62


## ტიციან ტაბიძის სახლში დღემდე 1937 წელია



თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, დგას პოეტის სახლი, რომელიც ბევრ ლეგენდას ინახავს, ლეგენდებს სიყვარულზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე... იქ დრო თითქოს გაჩერებულია, საათის ისრებიც იმ დროს აჩვენებს, როცა შინსახკომელებმა პოეტი წაიყვანეს. იქ ტიციან ტაბიძის სული დღემდე ტრიალებს...

ტიციანს ერთადერთი ქალიშვილი ნიტა (ტანიტ) ტაბიძე დარჩა, რომელიც 2007 წელს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. მთელი ცხოვრება მამაზე მოგონებებში, მის მონატრებაში გაატარა, მის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე ბოლო წუთამდე ზრუნავდა. ახლა ოჯახის ტრადიციებს ქალბატონი ნიტას ვაჟი, კარდიოლოგი და მოფარიკავე გივი ანდრიაძე აგრძელებს, რომელიც სახელოვან წინაპრებს „სარკესთან“ იხსენებს.



■ დედა-შვილი — ნიტა ტაბიძე და გივი ანდრიაძე

გვ.26


**სიცილის გვერდი** 63

**უცხოური დეტექტივი**

სასწაული პირიქით (დასაწყისი) 64

**ქალური მოთხრობები**

თინათინ ბონი. ოცნების ძიებაში (გაგრძელება) 66

**წმინდანები**

მოღვაწეობით მოიპოვება მადლი ღვთისა, ღვთის მადლი კი ყველა სიკეთის საწინდარია (დასაწყისი) 72

**კითხვები მოძღვარს**

„ადამიანის წინააღმდეგ ბოროტის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი სასოწარკვეთაში ჩაგდებაა“ 74

**სულიერების სამსახურში**

მოძღვარი საკურთხეველში ტერენტი გრანელზე ლოცულობს 75

**კულინარიული შედევრები** 77

**ხელსაქმე** 78

## სულხან მოლაშვილი მისი წამების ფაქტზე ბოკერიას და გრიგალაშვილის დაკითხვას ითხოვს



■ სულხან მოლაშვილი

საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი სულხან მოლაშვილი სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. სააგენტო „პირველთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია და ქალაქის მაშინდელი პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი მის წამებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ. იგი სამართალდამცავ სტრუქტურებს მიმართავს, დაიწყოს გამოძიება და ბოკერია და გრიგალაშვილი დაიკითხონ.

ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ირწმუნება, რომ, კანონმდებლობის შესაბამისად, კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის განცხადებაზე, რომლის თანახმად, მის წამებაში ვალერი გრიგალაშვილი და გიგა ბოკერია მონაწილეობდნენ, გამოძიება უნდა დაიწყოს. ადვოკატის თქმით, მოლაშვილის საქმე სტრასბურგში გასაჩივრდა და გადაწყვეტილება უახლოეს ხანებში გახდება ცნობილი.

— რაც შეეხება ადგილობრივ გამოძიებას, სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ ეს საქმე თაროზე შემოდებული და მიჩუმათებული ყოფილიყო. იმის შესახებ, რომ მოლაშვილი ნაწამები იყო, ადრევე გახდა ცნობილი, მაგრამ მაშინ მას კონკრეტული პირები არ დაუსახელებია, — აღნიშნა ადვოკატმა ნიკოლაიშვილმა.

## კუბლაშვილი უგულავას ბრალდებებს უარყოფს



■ კონსტანტინე კუბლაშვილი

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი გიგი უგულავას ბრალდებებს გამოეხმაურა, რომლებიც სასამართლოზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას ეხებოდა და ზეწოლის ფაქტი კატეგორიულად უარყო.

— თუკი ასეთი რამ ხდება, ყველამ კარგად იცით, როგორი იყო ჩემი რეაქცია, როგორი იყო ადრე, როცა ხდებოდა ასეთი ჩარევები და იგივე იქნება ახლაც, თუკი ასეთი რამ დადასტურდება. გარდა ამ განცხადებისა, მე ჯერჯერობით არ მსმენია, რომ კონკრეტულად რაღაც მოხდა. თუკი დადასტურდა, რომ ასეთი რამ განხორციელდა, მე, პირადად, უშუალოდ ჩემი პასუხისმგებლობით, ძალიან მკაცრ კონტროლს განვახორციელებ იმაზე, რომ შემდგომში რაიმე აღარ მოხდეს. მე არ ვიცი, ვინ დაიწყებს მოკვლევას. უნდა დაიწყოს მან, ვისაც მოკვლევის უფლება აქვს. მთავარია, რომ ჩემამდე მოვიდეს და მითხრან, რომ დიახ, სწორედ ასე მოხდა. ჩემგან იქნება ადეკვატური სიმკაცრე, — განაცხადა კუბლაშვილმა.

## სევდია უგრეხელიძე: „უგულავა ჯერ ისევ თბილისის მერია!“



■ სევდია უგრეხელიძე

სააპელაციო სასამართლოში დავის დასრულებამდე სევდია უგრეხელიძე თბილისის მერის მოვალეობის შესრულებას ვერ შეუდგება.

— უგულავასთვის ამ გზით უფლებამოსილების შეჩერება ანტიკონსტიტუციური და უკანონოა. ჯერ თბილისს მერი ჰყავს, უგულავას ჯერ აპელაციის უფლებით არ უსარგებლია. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ იქნება აღმკვეთ ღონისძიებაზე გადაწყვეტილება, ვიცემერი შეასრულებს მერის მოვალეობას, ეს მოხდება ბრძანების შემდეგ, — განაცხადა სევდია უგრეხელიძემ. როგორც მან აუნიშნა, ყველაფერს ილონებენ იმისთვის, რომ თბილისელებმა ვერ იგრძნონ იმ ენერგიული მერის არყოფნა, რომელიც ამდენი ხანი მართავდა დედაქალაქს.

— მე ვფიქრობდი, რომ ახალი პრემიერმინისტრი თავის მოღვაწეობას შეუდგებოდა არა როგორც მოძალადე და შურისმაძიებელი ადამიანი, არამედ როგორც დადებითი ადამიანი, ორიენტირებული საქმის კეთებაზე, მე ამ იმედს ვიტოვებდი. ჩემი მოლოდინი გაწბილდა, როდესაც მთავრობის სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა მისურვა, რომ მალე შევასრულო მერის მოვალეობა, — განაცხადა უგრეხელიძემ.

## უგულავას საქმე ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას საფრთხეს შეუქმნის?

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო ლომჯარია აცხადებს, რომ თბილისის ყოფილი მერის საქმე რეზონანსულია და შესაძლოა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას საფრთხე შეუქმნას.

— ამ საქმის მიმართ ძალიან დიდი ინტერესი არსებობს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებგარეთ. განსაკუთრებით ევროკავშირი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ყველა იმ საქმეს, რომელიც ყოფილი პოლიტიკური პატიმრების მიმართ მიმდინარეობს და თუ მსგავსი შეკითხვები გაჩნდება, ვშიშობ, რაიმე საფრთხე არ შეექმნას ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას იმ ვადებში, რაზეც საუბარია. ამიტომ მინდა, განგაშის ზარები შემოვკრათ, რადგან დღეს ნებისმიერი გადაწყვეტილება ფაქტობრივად სამომავლო სტანდარტია, რასაც სასამართლო და ხელისუფლება მსგავსი ტიპის საქმეების მიმართ დაადგენს და ეს იქნება გარკვეული მაგალითი სხვა მოსამართლეების მიმართ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ყველანაირი კითხვა, რაც გვაქვს, დავსვათ და მაქსიმალური საჯაროობა მოვითხოვოთ, — განაცხადა ლომჯარიამ.

მისი აზრით, თუ სამართლიანი სასამართლოს კუთხით შეკითხვები გაჩნდება, ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლების წინაშე შეიძლება ძალიან მწვავედ დადგეს.

— მე არ მინდა ვთქვა, რომ ეს საფრთხე რეალურია, მაგრამ ჩემი კონტაქტებიდან და გამოცდილებიდანაც ვიცი, რომ პირველი საკითხი, რასაც თუნდაც ჩვენთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საუბრისას ევროკავშირის ინსტიტუტები ახსენებენ, ესაა — ხომ არ მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა სხვადასხვა თანამდებობის პირების მიმართ და როგორ ვაფასებთ მათი საქმეების სასამართლო პროცესებს, — აღნიშნა ნინო ლომჯარიამ.

სარკე
ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.
კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ქლენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.
სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.



Cyan Magenta Yellow Black

## ევროკავშირის ელჩს უგულავას გადაყენების სამართლიანობაში ეჭვი ეპარება


ფილიპ დიმიტროვი

საქართველოში ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი გიგი უგულავასთვის უფლებამოსილების შეწყვეტას გამოეხმაურა. მისი განცხადებით, კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს იმპიჩმენტის პროცედურებს, სანამ თანამდებობის პირს უფლებამოსილება შეუჩერდება.

— ამ პროცესებს თვალყურს ვადევნებთ. მსგავსი პროცედურები ქვეყნის იმიჯზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს. მე არ ვიცი, როგორ არის ქართულ კონსტიტუციაში, მაგრამ ზოგადად კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეჩერებამდე სპეციალური იმპიჩმენტის პროცედურები ჩატარდეს და მე არ ვარ დარწმუნებული, რომ თბილისის მერის შემთხვევაში ასე მოხდა, — განაცხადა დიმიტროვმა.

## ვანო მერაბიშვილის განცხადებაზე გენინსპექციამ შემოწმება დაიწყო

ვანო მერაბიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით სავარაუდო სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო.

„20 დეკემბერს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ სოზარ სუბარის დავალებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ადვოკატ დავით ხაჟალიას განცხადების საფუძველზე, ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიმართ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №9 დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო. სამსახურებრივი შემოწმების შედეგის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას მოგვიანებით მიეწოდება", — ნათქვამია სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## მერაბიშვილმა ივანიშვილის გეგმები გაშიფრა?

ვანო მერაბიშვილი ციხიდან საგანგებო მიმართვას აქვეყნებს, სადაც ყოფილი პრემიერი ვარაუდს გამოთქვამს, თუ რატომ გადაწყვიტა ახლა პროკურატურამ მისი „დაკაჩავება" ჟვანიას საქმეზე.


ვანო მერაბიშვილი

„როდესაც ვაანალიზებ ბოლო დღეების მოვლენებს, ვფიქრობ, ვხვდები, რაშიც მდგომარეობდა მთავრობის, უფრო სწორად კი, პირადად ივანიშვილის გეგმა. პროკურატურამ დაინახა, რომ ქუთაისში მუდმივი ტარებით ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. საზოგადოებამ იცის, რომ სასამართლო სხდომების დროს დღეში შვიდი საათი მიწევს მგზავრობა წინ და უკან. ვფიქრობ, ამიტომაც გადაწყვიტა პროკურატურამ, რომ ჩემი გატეხა შეიძლებოდა. იმ ღამის დეტალები საზოგადოებამ უკვე იცის, ამიტომ ხელახლა აღარ მოვყვები.

მთავარი კითხვა, რაც დამრჩა პროკურორთან საუბრის შემდეგ, იყო ის, რატომ გადაწყვიტეს ჩემი „დაკაჩავება" ზურა ჟვანიას გარდაცვალების ფაქტზე. ისინი წელიწადზე მეტია ხელისუფლებაში არიან და, წესით, უკვე ზუსტად უნდა იცოდნენ, რომ ზურა ჟვანიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებულ გამოძიებაში საეჭვო არაფერია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მეორეხარისხოვანი გახდებოდა, მთავარი იმ მომენტში ემოციური ფონის შექმნა იქნებოდა. საზოგადოებას შევახსენებ, რომ არც ციხის კადრები გამოუძიებია ვინმეს და არც ამ საქმეში მთავარი დამნაშავეები დაუსჯია. ქვეყანაში შეიქმნებოდა დაახლოებით ისეთი ემოციური ფონი, როგორიც ციხის კადრების შემდეგ შეიქმნა. ამ ფონზე მათთვის მარტივი იქნებოდა როგორც გიგი უგულავას, ისე გიგა ბოკერიას და სხვა ლიდერების დაპატიმრება და სააკაშვილისათვის ბრალის წაყენება. ამას კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, პრაქტიკულად ერთადერთი სერიოზული ოპოზიციური პარტიის, გაქრობა მოჰყვებოდა.

რატომ ახლა? ჯერ ერთი, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მეორეც იმიტომ, რომ რეჟიმი ფიქრობს, სწორედ ახლა, ვილნიუსის სამიტის დასრულებიდან ადგილობრივი არჩევნების დაწყებამდე, აქვს ფანჯარა, რათა ივანიშვილის დავალება შეასრულოს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" გაანადგუროს", — ნათქვამია მერაბიშვილის განცხადებაში.

## თბილისის მერიამ წელიწადნახევარში რესტორნებში 900 ათასი ლარი დახარჯა

საკრებულოს სარევიზიო კომისიამ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ დასკვნა გამოაქვეყნა. 80 გვერდიან დოკუმენტში ლაპარაკია თანხებზე, რომლებიც მერიამ 2012 წლის პირველი იანვრიდან 2013 წლის ივლისის ჩათვლით სხვადასხვა მიზნით დახარჯა. კომისია აცხადებს, რომ 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის ივლისამდე შრომის ანაზღაურებისთვის მერიამ დახარჯა 14 მილიონი. აქედან ნახევარზე მეტი მერიის მაღალჩინოსნებზე პრემიის სახით გაიცა. კომისიის ინფორმაციით, დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა 900 ათასამდე ლარი დახარჯა სხვადასხვა კვების ობიექტებში გაურკვეველი მიზნებისთვის მოწყობილ ბანკეტებში. კომისია შედეგებს შემდგომი შესწავლისთვის ფინანსთა სამინისტროს და პროკურატურას გადაუგზავნის.

## ამერიკის ელჩი ხელისუფლებას კანონის უზენაესობისკენ მოუწოდებს

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში გიგი უგულავას საქმეზე მიმდინარე გამოძიებასა და სასამართლო პროცესებს ეხმაურება. რიჩარდ ნორლანდის განცხადება საელჩოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.


რიჩარდ ნორლანდი

„ვიზიარებთ სამოქალაქო საზოგადოების წუხილს არჩეული თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით და ყურადღებით ვაკვირდებით მოვლენების განვითარებას. კვლავ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ზედმიწევნით და გამჭვირვალედ უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები და კანონის უზენაესობა", — ნათქვამია ელჩის განცხადებაში.

## ნაციონალების 5 პუნქტიანი მოთხოვნა

ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო მუშაობას 5 პუნქტიანი მოთხოვნით უბრუნდება. საპარლამენტო უმცირესობა ორი საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს: ერთი — საქალაქო სასამართლოზე ზეწოლის შესახებ გიგი უგულავას მიერ დაყენებულ საკითხს გამოიძიებს, მეორე — ვანო მერაბიშვილის განცხადების გამოძიებაზე იმუშავებს.

ნაციონალური მოძრაობის მესამე მოთხოვნა ადამიანის უფლებათა და იურიდიული კომიტეტების ერთობლივი სხდომის გამართვაა, სადაც აღნიშნული საკითხები იქნება განხილული. მეოთხე მოთხოვნა პარლამენტში სახალხო დამცველის მისვლას ეხება, რათა მერაბიშვილის მონახულების შემდეგ ნანუაშვილისგან ინფორმაცია მიიღონ.

ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში უმცირესობის ფორმატში დაგეგმილ შეხვედრაზე მთავარი პროკურორის მისვლას და მათ კითხვებზე პასუხის გაცემასაც ითხოვს.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ნინი ბადურაშვილი: „ირაკლი კუტალაძემ შვილი ნახა, გაგიჟდა, ისე მოეწონა ელენე“

## „მე და ჩემმა ყოფილმა ქმარმა ურთიერთობები დავალაგეთ“



2013 წელს მომღერალ ნინი ბადურაშვილის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა ყველა სკანდალური პერსონა დაჩრდილა ქართველ საზოგადოებაში. ქმართან, მოსკოვში მცხოვრებ ბიზნესმენ ირაკლი კუტალაძესთან გაშორება, ორსულობა და ბავშვის დაბადება თვეების განმავლობაში ტელევიზიასა თუ პრესაში მთავარი თემა იყო, რომელიც ნინის ყოფილი მამამთილის აქტიურობით აგორდა, როცა მისი ორგანიზებით მისივე ვაჟის, ირაკლი კუტალაძის ინტერვიუ გამოქვეყნდა. იმ პერიოდში მომღერალი 8 თვის ფეხმძიმე იყო. ამ კამპანიაში ჩართვაზე „სარკემ“ პრინციპულად თქვა უარი. დაელოდა იმ პერიოდს, როდესაც ნინი თავად ალაპარაკდებოდა იმ მოვლენებზე, რომლებმაც მისი ცხოვრება აბსოლუტურად შეცვალა.

ნინისთვის 2013 წელი, სკანდალებისა და იმედგაცრუების მიუხედავად, დიდი სიხარულის მომტანი იყო, ის 5 თვის წინ დედა გახდა. ამ მოვლენამ ყველაფერი დაავიწყა. ახლა მისი ყოველი დილა ბედნიერების შეგრძნებით იწყება, გახალისდა, ცხოვრებას ოპტიმისტურად უყურებს და იმედი აქვს, რომ მომავალში ბედნიერ ოჯახს შექმნის.

**— ნინი, მოდით, შევაჯამოთ, როგორი იყო თქვენთვის 2013 წელი.**

— მიუხედავად იმისა, რომ ამ წელს ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ იყო ნეგატიური, ჩემთვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ — დედა გავხდი. არ მეგონა, თუ ასეთი დიდი სიყვარულის უნარი მქონდა, დედაშვილობა ფანტასტიკური გრძნობაა, რომელსაც დედამიწის ზურგზე არაფერი შეედრება! მშობიარობა დიდი სტრესია, ელენე პირველად რომ დავინახე, ვერ აღვიქვი. დილის 6 საათზე რომ შემომიყვანეს პალატაში, მაშინ მივხვდი, ეს როგორი არაჩვეულებრივი შეგრძნებაა. ღმერთს მადლობას ვეუბნები, რომ ასეთი საჩუქარი გამომიგზავნა. მიუხედავად ყველაფრისა, 2013 წელი დიდი ბედნიერების მომტანი იყო ჩემთვის.

**„წელს 28 წლის გავხდი და არ მომწონს, რომ მალე 30 წელს მივუახლოვდები. ზუსტად ისეთივე ვარ, როგორიც 18 წლის ვიყავი, უბრალოდ ცოტა ჭკუა და გამოცდილება მომემატა. წლები არაფერია, მხოლოდ ციფრების თამაშია“.**

საქმის მხრივაც, ეს წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. „რუსთავი 2“-ის პროექტში „საქართველოს ვარსკვლავი“ ჟიურის წევრი ვიყავი. თავიდან ვფიქრობდი, როგორ შევძლებდი ჩემი თანატოლების ან ასაკით ჩემზე უფროსი კონკურსანტების შეფასებას და მიხარია, რომ ჩემი თავით უკმაყოფილო არ ვარ.

**— ელენეს დაბადებამ როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრების წესი, რიტმი?**

— ადრე რასაც ვაკეთებდი, საკუთარი თავისთვის ვაკეთებდი, ახლა ყველაფერი მას ეძღვნება. ელენეს დაბადებამ შეცვალა ჩემი აზროვნება, გაჩნდა სხვა ფასეულობები, ყველაფერს სხვა თვალით ვუყურებ, ხასიათიც კი შემეცვალა. უფრო სხვანაირი ვარ, ვიდრე უწინ. არც კი ვიცი, ამ ყველაფერს რა დავარქვა.

**„ოდესმე ხელმეორედ შევქმნი ოჯახს, მაგრამ ახლა ამაზე არც ვფიქრობ და არც მზად ვარ“.**

**— რთული მშობიარობა გქონდათ?**

— ძალიან მინდოდა ფიზიოლოგიურად მშობიარობა, მაგრამ ისე აეწყო ყველაფერი, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, საკეისრო დამჭირვებოდა. საბედნიეროდ, გადავრჩი და ყოველგვარი გართულების და ჩარევის გარეშე გავაჩინე შვილი. ელენე 3 კილოგრამი და 180 გრამი და 51 სანტიმეტრი დაიბადა. თავიდან ძალიან მეშინოდა მისი ხელში დაჭერა, მაგრამ დედის ინსტინქტებმა მალე გაიღვიძა ჩემში და ყველაფერს სწრაფად ავუღე ალღო.

**— ვინ გეხმარებათ მის გაზრდაში?**

— თავიდან ბებიები და დედა მეხმარებოდნენ, ახლა ძიძა ავიყვანე. პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ აქტიურად ვარ დაკავებული, მის პროდიუსინგში ვარ ჩართული, ამიტომ მომიწია დამხმარე ქალის აყვანა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩემი შვილის აღზრდაში მონაწილეობას არ ვიღებ. როგორც კი დრო გამომიჩნდება, მასთან გავრბივარ.

გარდა იმისა, რომ ვმუშაობ, დავდივარ კონცერტებზე, კვირაში ერთ დღეს კლუბში ვმღერი. როგორც კი საქმეს ვრჩები, ჩემი მთავარი მოვალეობა დედობაა. ფაქტობრივად ჩამოვშორდი მეგობრებს, ალბათ ისინი ჩემზე ნაწყენები არიან, მაგრამ იმედია, გამიგებენ.

**— ბებიებისგან და დედისგან რჩევა-დარიგებებს იღებთ, როგორც ახალბედა დედა?**

— ყველა თავისებურ რჩევას მაძლევს, ყველა მათგანს ვუსმენ, მაგრამ მაინც ჩემი მეთოდებით ვზრდი. დღემდე ყველა აქტიურად რაღაცას მირჩევს და ეს არ მიკვირს, რადგან ჩემი შვილი რომ გაიზრდება, ალბათ მეც მივცემ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა აღზარდოს ბავშვი.

**— რას გეუბნებათ დედა, ეკა კახიანი, ელენეს თქვენს პატარაობასამსგავსებს?**

— ელენე ჰიპერაქტიურია. პედიატრმა მითხრა, მის ასაკთან შედარებით ბევრად განვითარებულიაო. ძალიან ხვანცალაა და ძალიან ჰგავს ჩემი დის, ანასტასიას ბავშვობას. ანასტასიას შვილი, პატარა ლადუკა კი მე მგავს. დინჯი, გაწონასწორებული ბავშვია, ისეთი, როგორიც მე ვიყავი ბავშვობაში. დააწვენ და არ ტირის, ელენეს კი ერთი წუთით ვერ დააწვენ, სულ ხელში უნდა გყავდეს, სულ უნდა ეთამაშო. რამდენიმე დღის წინ ჩემი მეგობარი ფოტოგრაფი მოვიდა ჩვენთან და ერთი წუთი ვერ გავაჩერე, რომ წესიერი კადრები გამოსულიყო.

**— თქვენ და ანასტასიამ თითქმის ერთდროულად გააჩინეთ შვილები. რომელი უფრო ყოჩაღი დედაა თქვენ შორის?**

— ჯერ მე ვიმშობიარე, ორი კვირის შემდეგ — ანასტასიამ. ერთდროულად მოგვიწია დედის როლის მორგება და გათავისება. მცხეთაში ვიყავით ორივე. ანასტასია უფრო დაფეთებული დედაა, ბავშვს იშვიათად გვატანს და, თუ ცოტა დავაგვიანეთ მიყვანა, გაუთავებლად რეკავს და ამბებს კითხულობს. ორივე ყოჩაღი დედა ვართ. ჩემს მეგობრებს უკვირდათ, არ ეგონათ, თუ ასე კარგად გავართმევდი შვილის მოვლას თავს, მაგრამ თურმე შემძლებია.

**— ელენე დაბადების დღიდან საზოგადოების ყურადღების ქვეშ არის, ყველას აინტერესებს დედა-შვილის მდგომარეობა. საზოგადოების ასეთ დიდ ინტერესს რითი ხსნით?**

— ელენე მართლაც დაბადების დღიდან მოექცა ხალხის ყურადღების ქვეშ. დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ არის ჩემი პირადი ცხოვრება ასეთი საინტერესო. ერთი მხრივ, კარგია: როცა საზოგადოება ერევა შენს პირად ცხოვრებაში, ესე იგი აქტუალური ხარ, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან დამღლელია. ელენე უკვე 5 თვისაა. თავიდან ვერიდებოდი მისი სურათების გავრცელებას სოციალურ ქსელში, რადგან არ მიმაჩნია სწორად ერთი საათის დაბადებული ბავშვის ფოტოების გასაჯაროება. მით უმეტეს, ჩემი შვილის სურათების გამოჩენა არ მინდოდა, ვიცოდი, რა მოლოდინიც იყო. ყველას აინტე-



■ ირაკლი და ნინი ქორწილის დღეს



Cyan Magenta Yellow Black

რესებს, ვის ჰგავს, როგორია და ა.შ. მერე აღმოჩნდა, რომ ვიღაცამ სხვა ბავშვის ფოტოებს მიაწერა ჩემი შვილის სახელი, ამაზე გავბრაზდი და გადავწყვიტე, ელენეს სურათები გამომეფინა.

**— ელენეს ნათლიებს შორის პოპულარული სახეები არიან. როგორ აღნიშნეთ ეს მნიშვნელოვანი დღე?**

— ელენე მონათლეს ჩემი ბავშვობის მეგობარმა კატია სამსონაძემ, თაკო გაჩეჩილაძემ, სალომე გოგიაშვილმა, ქრისტინე იმედაძემ, მამა მიქაელმა და ქეთა თოფურიამ, რომელიც ვერ დაესწრო ნათლობის ცერემონიალს, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ ქეთა ჩამოსული იყო საქართველოში, მოვიდა, ელენე მოინახულა და ნათლობის ჯვარი აჩუქა. ელენეს ნათლობა ძალიან მოკრძალებულად, მეგობრების გარემოცვაში აღვნიშნეთ. პატარა სუფრა გვქონდა გაშლილი მცხეთაში.

**— ელენე მამამ მოინახულა?**

— ეს შეკითხვა ძალიან ბევრს აქვს. დღემდე ყველას აინტერესებს, ჩამოვიდა თუ არა ირაკლი შვილის სანახავად. დიახ, ჩამოვიდა, ნახა, მოეფერა პატარას და კიდევ აპირებს ჩამოსვლას. ასეც უნდა ყოფილიყო და ამის მოლოდინი მქონდა. გაგიჟდა, ისე მოეწონა თავისი შვილი. ელენე მამის გვარს ატარებს.

**— თქვენ და ირაკლიმ თუ დაალაგეთ ურთიერთობები?**

— კი, რა თქმა უნდა, ჩვენ ერთმანეთთან ძალიან ცივილური ურთიერთობა გვაქვს.

**— ირაკლიმ შვილზე მეურვეობა იკისრა?**

— რასაკვირველია.

**— ნინი, უახლოეს მომავალში რას გეგმავთ, მომავალი წლისთვის რის გაკეთებას აპირებთ?**

— უკვე დაგეგმილია რამდენიმე საახალწლო კონცერტი, გადაღება. შარშან საახალწლოდ ქუჩის კონცერტი არ ჩატარებულა და მიხარია, რომ ამჯერად კეთდება, ბევრს არ აქვს იმის საშუალება, რომ რესტორანში აღნიშნოს ახალი წელი, ამიტომ სახალხო საახალწლო ზეიმი მისასალმებელია. არაჩვეულებრივი პროგრამაა. დეტალებს არ გაგიმხელთ, მაგრამ წინ დიდი სანახაობა გელით. მე, თაკო გაჩეჩილაძე და ქრისტინე იმედაძე ერთობლივი ნომრით წარვდგებით მაყურებლის წინაშე.

ჩემს შემოქმედებაში ბევრი სიახლეა, ვმუშაობ სტუდია „ბრავო რექორდსის“ პროექტზე „მომღერლები და შეზღუდული უნარ-ჩვევების ადამიანები“. ამ პროექტის ფარგლებში დუეტი ჩავწერე აზერბაიჯანელ უსინათლო ბიჭთან, შაბან მამედოვთან, რომელიც საქართველოში ცხოვრობს. სიდი გაყიდვაში ძალიან მალე გამოვა. შაბანს ჩემი ნამღერი მანამდე არ ჰქონდა მოსმენილი და ჩაწერის წინ იკითხა, სიმღერას ხომ არ გამიფუჭებსო. სხვათა შორის, ჩაწერაზე ძალიან ვინერვიულე, თავად იმდენად კარგად მღერის, თან არაერთი კონკურსის გამარჯვებულია, რომ მინდოდა, მოვწონებოდი. დუეტი მასაც ძალიან მოეწონა და მეც.

„რუსთავი 2“-ის ინიციატივით, რეჟისორმა დათო დოიაშვილმა გადაიღო საახალწლო მიუზიკლი „ლურჯი ფრინველი“, სადაც მზის სხივის როლს ვასრულებ. გადაღებები დუბაიში მიმდინარეობდა. მართლაც კარგი ფილმი გამოვიდა, რომელსაც მაყურებელი ბედობადღეს, 2 იანვარს იხილავს. ვნახოთ, შეიძლება თეატრშიც ვცადო ძალები. ახალი სიმღერების ჩაწერასაც ვგეგმავ.



■ ელენე ნათლიებთან და დედასთან ერთად

**„ელენეს დაბადებამ შეცვალა ჩემი აზროვნება, გაჩნდა სხვა ფასეულობები, ყველაფერს სხვა თვალით ვუყურებ, ხასიათიც კი შემეცვალა“.**

**— როგორია თქვენი წინასაახალწლო განწყობა?**

— რაც შვილი გავაჩინე, ბევრად ხალისიანი გავხდი, ყოველი დღის გათენება მიხარია. ახლა უფრო ბევრი კარგი სიახლის მოლოდინი მაქვს. წინასაახალწლოდ სრული ქაოსი მაქვს — გადაღებები, კორპორატიული საღამოები. ძალიან აქტიური ხანა დამიდგა. მე და კახა კუხიანიძემ გავხსენით საბავშვო სტუდია, სადაც ცნობილი პედაგოგი ია ტომაში ასწავლის, ჩვენ მასტერკლასებს ვუტარებთ. ბავშვები ჩართული არიან სხვადასხვა საახალწლო კონცერტში, ჩვენ მათთან ერთად ვმღერით.

**— სადღესასწაულო ფუსფუსი თქვენს ოჯახში უკვე შეიმჩნევა?**

— მაგალითად, ეს დილა კაკლის ტეხვით დაიწყო. მცხეთაში, ჩვენს ეზოში, კაკლის კარგი მოსავალი მოდის. დღეს უკვე მივხვდი, რომ ახალი წელი კარს მალე მოგვიკაკუნებს. საახალწლოდ იმედოს (ნინის ბაბუა, მსახიობი იმედო კახიანი — ავტ.) ფუნქციაა სახლში პროდუქტის მოზიდვა, ბებიაჩემი, ფლორა, ამ ყველაფერს ამზადებს, მე კი ვაგემოვნებ. იშვიათად, რომ რამე კერძის კეთებაში მივიღო მონაწილეობა, რადგან საახალწლოდ სრული ქაოსი მაქვს. ფლორაც არ მაძალებს ამ სამზადისში ჩართვას. ბოლო 10 წელია ქუჩაში ვხვდები ახალ წელს. სახლი უკვე მოვრთე, ნაძვის ხე ავაწყვე. ელენესთვის პირველი ახალი წელია და ჯერ არ მოუფიქრებია სანტას, ანუ მე, რას მოუტანს საჩუქრად.

ტრადიციად მაქვს ქცეული, ყოველ ახალ წელს ახალი სამოსით შევეგებო. ჩემი მეგობარი, დიზაინერი ტატუნა ნიკოლაიშვილი, რომლის შექმნილი სამოსი ჩემს გარდერობში მრავლადაა, ამჯერადაც ძალიან ორიგინალურ კაბას მიკერავს.

**„თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ ჩემი საქმე მაქვს, შვილი მყავს, ასე რომ, ზედმეტი სანტები არ მჭირდება!“.**

**— თქვენი თოვლის ბაბუა წელს ვინ იქნება?**

— თოვლის ბაბუების 6 წლამდე მჯეროდა, 27 დეკემბერს ვარ დაბადებული და ამ დღეს ყოველთვის განსაკუთრებულად აღვნიშნავდი, ჩემს დაბადების დღეზე მოდიოდა სანტა, მაგრამ ერთხელაც დავინახე, ჩვენი ნათესავი გოგა როგორ იცვამდა სანტა კლაუსის ფორმას და იქ დაიმსხვრა ჩემი ოცნებები. წელს სანტა არ მყავს.

**— თქვენი წლევანდელი დაბადების დღე როგორია?**

— ჩემი დაბადების დღე ძალიან მიყვარს. წელს 28 წლის გავხდი და არ მომწონს, რომ მალე 30 წელს მივუახლოვდები. ყოველთვის გრანდიოზულად აღვნიშნავდი დაბადების დღეს, შარშან მეგობრების გარემოცვაში, სახლში ვიზეიმე, წელს კონცერტი მაქვს ერთ-ერთ კლუბში და მეგობრებთან ერთად იქ მოვილხენ. მიყვარს საჩუქრების მიღება. სხვებს ყოველთვის მამაჩემი ასწრებს მოლოცვას, როგორც კი ღამის 12 საათი დადგება, მაშინვე მირეკავს. ჯერ მისთვის არავის დაუსწრია მოლოცვა.

**— როგორია ნინი ბადურაშვილი 28 წლის ასაკში?**

— ზუსტად ისეთივე, როგორიც 18 წლის ვიყავი, უბრალოდ, ცოტა ჭკუა და გამოცდილება მომემატა. წლები არაფერია, მხოლოდ ციფრების თამაშია.

**— ოჯახის წევრები საახალწლოდ არ უკეთებთ საჩუქრებს ერთმანეთს?**

— როგორ არა?! მეგონა, თოვლის ბაბუაში მამაკაცი იგულისხმეთ, ასეთი თოვლის ბაბუა არ მყავს. ასე თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, თურმე რა კარგი ყოფილა მარტო ყოფნა. თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ!

**— ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ მითხრათ, თაყვანისმცემლები არ მაინტერესებსო.**

— ბუნებრივია, თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ ჩემი საქმე მაქვს, შვილი მყავს, ასე რომ, ზედმეტი სანტები არ მჭირდება!

**— ოჯახის დანგრევამ კომპლექსები ხომ არ გაგიჩინათ?**

— არა, არანაირი კომპლექსი არ გამჩენია. ოდესმე ხელმეორედ შევქმნი ოჯახს, მაგრამ ახლა ამაზე არც ვფიქრობ და არც მზად ვარ.

**— რა მოლოდინი გაქვთ 2014 წლისგან?**

— როგორც ვიცი, ცხენის წელი მოდის. მინდა, 2014 წელი აქტიური და პროდუქტიული იყოს, ჩვენს ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდეს, ბევრი ბედნიერი და გაღიმებული ადამიანი ვნახო. ვისურვებდი ჩემი ახლობლების ჯანმრთელობას, რადგან ცხოვრებაში უმთავრესი ეს არის. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენს მკითხველს დიდი სიყვარულით მივულოცავ დამდეგ ახალ წელს!

✓ **ლანა კიკნაძე**


**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო





Cyan Magenta Yellow Black

# მარნეულის მურაბის სამი ტკბილი დღე

## ქართულ ბაზარზე მურაბებს შორის კაკლის მურაბა ლიდერობს

ზამთარი, სუსხი და თოვლი ყველაზე მეტად უხდება ტკბილ და გემრიელ მურაბას. სწორედ ამ იდეამ უბიძგა „მარნეულის სასურსათო ქარხანას“, რომ წინასაახალწლოდ თბილისელებისათვის გემრიელი მურაბა დღესასწაული მოეწყო. 22 დეკემბრიდან სამი დღის განმავლობაში თბილისის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ უბანში, სიონის სკვერში და ბამბის რიგში „მარნეულის მურაბის დღეები“ გაიმართა. ღონისძიება მასშტაბური გამოვიდა და მურაბის დღესთან ერთად იმავე ტერიტორიაზე ტრადიციული ნაძვის ხეების გამოფენა მოეწყო. ფესტივალის ორგანიზატორები და მასპინძლები იყვნენ „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, თბილისის მერია და „მეიდან ჯგუფი“.






სამი დღის განმავლობაში ტკბილეულის მოყვარულებისათვის „მარნეულის სასურსათო ქარხანამ“ სადეგუსტაციოდ მურაბების და ჯემების ფართო ასორტიმენტი გამოიტანა. დაგემოვნების შემდეგ მსურველებს შეეძლოთ, საუკეთესო ნუგბარი სპეციალურ ფასად ეყიდათ. მარნეულის პროდუქციასთან ერთად, „მურაბის დღეზე“ გამართულ დეგუსტაციასა და საახალწლო ბაზრობაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი ორგანიზაციები და ბრენდები: სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“ და ამერიკული რესტორანი „ვენდისი“, ნამცხვრის სახლი „აზზატო“, იტალიური ყავის ბრენდი „ლავაცა“ და სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლები, ვინც სტუმრებს თაფლით, ჩირით, ტყლაპით, გოზინაყით, კანფეტებით, ჩაით და გლინტვეინით უმასპინძლდებოდნენ.



„მურაბის დღეს“ სიონის სკვერში მოსული სტუმრები ერთდროულად ახერხებდნენ, ტკბილ, ამავე დროს, ზღაპრულ სამყაროში მოხვედრილიყვნენ. სტუმრების განწყობაზე მთელი სამი დღის განმავლობაში მულტი-პულტის სამყაროს პერსონაჟები ზრუნავდნენ: კარლსონი, მიკი და მინი მაუსები, ვინი, შრეკი და ფიონა, პლუტო, ფიფქია. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ანა ჩანგიანის ხელოვნების სახლის ბავშვების მიერ თექისგან დამზადებული ზამთრის კოლექციის ჩვენება, მუსიკალურ ნომრებს კი ნიჭიერი ზურა ბალანჩივაძე და ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი 1“-ის აღსაზრდელები ასრულებდნენ.

**მარი, 45 წლის:**

— ბავშვთან ერთად ვსეირნობდი სიონის სკვერში და ძალიან სასიამოვნო სიურპრიზი იყო, რომ მურაბის დღის სტუმრებიც აღმოვჩნდით. მარნეულის მურაბებმა ბებიაჩემის მურაბები გამახსენა, რომელიც ბავშვობაში ძალიან მიყვარდა. არ ვიცი, როგორ ახერხებს კომპანია „მარნეული“, მაგრამ აქ წარმოდგენილი მურაბები მართლაც უგემრიელესია, ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენს თბილ სახლებში მზადდებოდა. სამწუხაროდ, დღევანდელი ცხოვრების რეჟიმი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მურაბების კეთებით ვიყოთ დაკავებული, ამიტომ გვიწევს მისი ყიდვა. ძალიან მიხარია, რომ ჩვენს ბაზარზე შესაძლებელია 100 პროცენტით ქართულ ნატურალურ ხილზე დამზადებული მურაბების დაგემოვნება. დღეს პირველად დავაგემოვნე სამოთხის ვაშლის და მანდარინის მურაბა და ძალიან მომეწონა. ჩემი გოგონა კი კაკლის მურაბის ფანია.



■ ირინა გაფრინდაშვილი

**ირინა გაფრინდაშვილი, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ დირექტორი:**

— ზამთარის სუსხიან დღეებში ჩვენს ორგანიზმს ტკბილეული ყველაზე მეტად სჭირდება. გვინდოდა, რომ წინასაახალწლოდ ჩვენი მომხმარებლებისათვის სიურპრიზი გაგვეკეთებინდა და მურაბის დღე მოვუწყვეთ. ჩვენი პროდუქციიდან საზოგადოებაში უფრო მეტად მწნილეულობა და სოუსები არის ცნობილი. გვინდა, რომ ჩვენი გემრიელი ჯემები და მურაბებიც უფრო მეტმა ადამიანმა გაიცნოს.



*— როგორია თქვენი მურაბების ასორტიმენტი?*

— მრავალფეროვანი. ჩვენ ვაწარმოებთ საზამთროს, კომშის, შინდის, სამოთხის ვაშლის, კაკლის და მანდარინის მურაბას. ჯემებში წარმოდგენილი გვაქვს შინდის, ატმის, კომშის და ვაშლის. მუდმივად ვზრუნავთ, რომ ტკბილეულობის მოყვარულებს სიახლეები შევთავაზოთ. ქართულ ბაზარზე მურაბებს შორის ლიდერობას არ თმობს კაკლის მურაბა.



Cyan Magenta Yellow Black

# მედიაკონკურსმა სოფლის მეურნეობის თემაზე გამარჯვებულები გამოავლინა




2013 წლის გაზაფხულზე „მარგებელი ჰოლდინგმა“, პიარსააგენტო „ჯეპრასთან“ ერთად მედიაკონკურსი გამოაცხადა თემაზე „თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში“, რომლის მიზანს მედიის საშუალებით სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობის, მიმდინარე პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ ქართველი მომხმარებლისთვის სასარგებლო და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა.



■ კონკურსის ორგანიზატორები

კონკურსი აბსოლუტურად ღია იყო ყველა მედიასაშუალებისათვის. კონკურსანტების ნაშრომებს კი კომპეტენტური ჟიური აფასებდა. კონკურსის დროს წარმოდგენილი მასალების განხილვისას ჟიურიმ შემდეგი სახის კრიტერიუმებით იხელმძღვანელა:

ჟურნალისტური ოსტატობა (ორიგინალური ტექსტი, კრეატიული გადაწყვეტა, გზავნილების გასაგებად წარმოდგენა) — მაქსიმუმ 10 ქულა

გამოქვეყნების სიხშირე — მაქსიმუმ 5 ქულა

კონკურსის ფარგლებში მომზადებული მედიამასალების რაოდენობა — მაქსიმუმ 5 ქულა

კონკურსის თემასთან (თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში) შესაბამისობა — მაქსიმუმ 10 ქულა



■ I ადგილი — ირაკლი ჭანტურია

მედიაკონკურსის მიმართ ინტერესი ქართულ მედიაში დიდი იყო. ამას ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ მთელი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობა და აგროსექტორი აქტუალურობას არ კარგავდა. ჟიურის გადაწყვეტილებით მედიაკონკურსში პირველი ადგილი ირაკლი ჭანტურიამ დაიკავა, რომელიც სტუდია „ქრეა ტივის“ წარმოადგენდა, მეორე ადგილი სამმა ჟურნალისტმა თამარ ლეფსვერაძემ (გურიანიუსი), ნინო ნატროშვილმა (ნეტგაზეთი) და ნონა სამხარაძემ (მარნეულიტვ) გაინაწილეს. მესამე ადგილი ოთხ ჟურნალისტს ერგო — ეკა ჯიმშელაძეს (ბიზნესი და კანონმდებლობა), ანა ჩანკოტაძეს (ლიბერალი), ლიკა ჟორჟოლიანს (ტაიმერი) და თეა დვალიშვილს (C W) გაინაწილეს.

მედიაკონკურსის დაჯილდოების ცერემონიალი კაფეში „გაჩერება კონკაზე“ გაიმართა. ჟურნალისტებმა შრომის დაფასების შემდეგ წარმატება თითო ჭიქით აღნიშნეს. მედიაკონკურსი ტრადიციული და ყოველწლიური იქნება.

**კახა მაღრაძე, „ჯეპრას“ უფროსი კონსულტანტი:**

— პიარსააგენტო „ჯეპრამ“ „მარგებელი ჰოლდინგთან“ ერთად მედიაკონკურსი გამოაცხადა თემაზე „თანამედროვე სოფლის მეურნეობა და აგროინდუსტრია საქართველოში“. 8 თვის განმავლობაში ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, სოფლის მეურნეობაზე დაეწერათ მასალები და პარალელურად ამ კონკურსის მონაწილეებიც გამხდარიყვნენ. ჩვენი მიზანია, რომ ამ სფეროში არსებული პრობლემები თუ წარმატებები საზოგადოებისთვის ცნობილი იყოს. ამიტომაც ჩვენი მხრივ ხელი შევუწყვეთ ამ თემის გააქტიურებას და კონკურსში გამარჯვებულებს წამახალისებელი პრემიებიც გადავეცით. პირველ ადგილზე გასული 1500 ლარით დაჯილდოვდა, მეორე პრემია 500 ლარი იყო, ხოლო მესამე ადგილზე გასულებმა 200 ლარი მიიღეს. კომპეტენტურმა ჟიურიმ, სადაც მედიაექსპერტებთან ერთად სოფლის მეურნეობის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართულები, აღნიშნა, რომ ამ კონკურსმა ძალიან საინტერესო მასალები წარმოაჩინა. იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი სტატიები და სიუჟეტები მომზადდება სოფლის მეურნეობის და აგროინდუსტრიის კუთხით.



■ გამარჯვებული ნინო ნატროშვილი



■ გამარჯვებული ანა ჩანკოტაძე



■ გამარჯვებულები: ეკა ჯიმშელაძე და ლიკა ჟორჟოლიანი



Cyan Magenta Yellow Black

# ერაყელმა ქალმა თბილისის ცენტრში სამი ადამიანი დაჭრა

19 დეკემბერს თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, 35 წლის უცხოელი ქალი (როგორც შემდგომში გაირკვა, ერაყელი) დღისით, ყველას თვალწინ, რამდენიმე ადამიანს თავს დაესხა და ჭრილობები მიაყენა. თვითმხილველები ყვებიან, რომ, სანამ დანის ტრიალს დაიწყებდა, გაუგებარ ენაზე ხმამაღლა რაღაცას გაჰკიოდა. თავდაპირველად მისი სამიზნე გოგონა გახდა, შემდეგ — მოხუცი ქალი, რომელსაც თავში ქვა ჩაარტყა, შემდეგ კი — მოხუცი კაცი, რომელიც თავში დანით დაჭრა. ბოლოს ის ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონე მამაკაცმა შეაჩერა და პოლიციას ჩააბარა. როგორც გაირკვა, მას წინა დღესაც ჩაუდენია დანაშაული.



■ გენადი ჩხვირკია

**„აფხაზეთში გადავურჩი ტყვიას და ეს ქალი აქ მკლავდა, ბაბუ!".**

ცნობილი გახდა, რომ ერაყელი ქალი საქართველოში სულ რამდენიმე დღის ჩამოსული იყო. ჯერჯერობით დადგენილი არ არის, ეს დანაშაული რატომ ჩაიდინა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოში შურისძიების მიზნით ჩამოვიდა, რადგან ერაყში მას ქართველმა ჯარისკაცებმა ოჯახის წევრები დაუხოცეს.

ჯერჯერობით არც ისაა დადგენილი, თუ რა სასჯელი ემუქრება უცხო ქვეყნის მოქალაქეს. საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს.

„იმ დღეს ერაყელმა მოქალაქემ ორი ადამიანი დაჭრა. სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა. მომდევნო სასამართლომდე ის პატიმრობაში დარჩება. დანარჩენი, თუ როგორი იქნება სასჯელი, ეს უკვე სასამართლოს გადასაწყვეტია", — უთხრა „სარკეს" შსს-ს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა.

მამაკაცი, რომელიც ერაყელმა ქალმა თავში დაჭრა, 76 წლის გენადი ჩხვირკიაა, აფხაზეთიდან დევნილი, სოხუმელი. ის ე.წ. მიხაილოვის საავადმყოფოსთან მდებარე ავტოსადგომის მეთვალყურედ მუშაობს. „სარკეს" მან იმ დღეს მომხდარი ამბის დეტალები უამბო:

— აქვე მანქანას ვიყავი მიყრდნობილი, ფიქრებში გავერთე. სოხუმელი კაცი ვარ, აფხაზეთის ომში ძმები მომიკლეს, სახლი გადამიწვეს. ახალი წელი მოდის, მე კი არც მშობლების საფლავზე შემიძლია მისვლა და არც ძმების. ამ ყველაფერზე გული ძალიან მტკივა, ბაბუ, და სწორედ ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა ეს შემთხვევა მოხდა.

კაცის გინების ხმა მომესმა, რომ გავიხედე, დავინახე, ჩემკენ ვიღაც გოგო მორბოდა. იმ კაცის შვილი მეგონა, ვინც იგინებოდა. ვიფიქრე, ალბათ რაღაც დააშავა და ამიტომ აგინებს-მეთქი. უცებ გვერდით ჩამიქროლა და თავში ჩამარტყა. თავიდან ტკივილი ვერ ვიგრძენი, მეგონა, მხოლოდ მუშტი მომხვდა, ცოტა მანძილზე გავეკიდე კიდეც, მაგრამ თავიდან სისხლი თქრიალით წამსკდა. მთელი ტანსაცმელი სისხლში ამომეთხვარა, ძირს დავვარდი, ბიჭები მომცვივდნენ, ცხვირსახოცებს მაფენდნენ, მაგრამ სისხლი წყალივით მდიოდა. შემდეგ სასწრაფოში დარეკეს. სასწრაფო დახმარების სამსახურმა ინგოროყვას კლინიკაში წამიყვანა. თავში ნემსები გამიკეთეს, ნაკერები დამადეს, ცოტა ხანი იქ დამტოვეს, შემდეგ კი გამომძიებელმა დაკითხვაზე წამიყვანა. ღამის 3 საათზე მიმიყვანეს სახლში.

ის ქალი მაღაზიის მეპატრონემ დაიჭირა, ისიც აფხაზეთიდან არის დევნილი, სოხუმელი კაცია.

— **ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

— ახლა არა მიშავს, ბაბუ. სამსახურში დღეს გამოვედი, საშიში აღარაფერია.

— **იმ ქალს რა ეცვა, ეტყობოდა, რომ ისლამური ქვეყნიდან იყო?**

— ბაბუ, მისი სამოსი არც მახსოვს, რადგან გონება დავკარგე. გამომძიებლებმა ამოსაცნობად პასპორტი მაჩვენეს, მწვანე პასპორტი ჰქონდა და გვარად ჰუსეინოვი ეწერა, სახელი არ მახსოვს. 1978 წელს ყოფილა დაბადებული. საავადმყოფოში ჩემთან ერთად მოხუცი ქალი იწვა, იმისთვისაც თავში ჩაურტყამს, მაგრამ იმას უფრო ღრმა ჭრილობა ჰქონდა. როგორც ეს ქალი ამბობს, აბანოდან გამოსულა და იმ დროს დაესხა თავს.

— **თქვენ რა ვერსია გითხრეს, ის ქალი ასე რატომ მოიქცა?**

— ბაბუ, რა გითხრა, აბა? ეს ქალი დაკავებული ჰყავთ. როგორც მითხრეს, უკან გასაფრენი ბილეთიც ჰქონდა ნაყიდი. ჩვენი ქართველი ბიჭები ხომ ერაყშიც ომობენ და ავღანეთშიც. ამ ქალს კი ქართველებზე შურისძიება სდომებია. 76 წლის ვარ და მსგავსი რაღაც ცხოვრებაში პირველად დამემართა. აფხაზეთში გადავურჩი სიკვდილს და ეს ქალი აქ მკლავდა, ბაბუ! ისევ გადავრჩი. ამ ქალმა დააშავა და უნდა დაისაჯოს კიდეც.

**„როცა დავინახე, რომ იმ ქალს შეაფურთხა, წამოვიწიე, იმ ქალისთვის დარტყმასაც აპირებდა, მაგრამ დავუყვირე და გაიქცა. გავეკიდე, მეორე მხარეს გადავიდა და დანა გამიხსნა, თან შუა თითი მაჩვენა, ინგლისურად შემაგინა. იქვე მანქანა იდგა, წიხლი დაარტყა და ისევ გაიქცა, ის გაშლილი დანა იქვე მდგარ „სტაიანშიკს" თავში ჩაარტყა".**

■

ინციდენტის ერთ-ერთი თვითმხილველი ხილ-ბოსტნეულის მაღაზიის გამყიდველი მამაკაცია. ის უშუალოდ შეესწრო ამბავს და ძალაუნებურად მისი ერთ-ერთი მონაწილეც გახდა. მან შემდეგი გვიამბო:

— ვიღაც უცხოელი ქალი ყვირილით მოდიოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ის ერაყელი ყოფილა, დაახლოებით 30-35 წლის იქნებოდა.

— **როგორ ეცვა?**

— სახე დაფარული არ ჰქონია, არც განსხვავებული სამოსი სცმია. ყვირილით მოდიოდა, გაჩერებაზე ქალმა გაუარა გვერდით, მას მიუბრუნდა და შეაფურთხა. მე ამ დროს გარეთ, ცეცხლთან ვიჯექი. როცა დავინახე, რომ იმ ქალს შეაფურთხა, წამოვიწიე, იმ ქალისთვის დარტყმასაც აპირებდა, მაგრამ დავუყვირე და გაიქცა. გავეკიდე, მეორე მხარეს გადავიდა და დანა გამიხსნა, თან შუა თითი მაჩვენა, ინგლისურად შემაგინა. იქვე მანქანა იდგა, წიხლი დაარტყა და ისევ გაიქცა, ის გაშლილი დანა იქვე მდგარ „სტაიანშიკს" თავში ჩაარტყა. იმ საწყალ კაცს სისხლი ისე სდიოდა, ვერ უჩერებდნენ. იმ ქალს გზის მეორე მხარეს მდებარე მაღაზიის მეპატრონე გაეკიდა, სუნდუკიანის ქუჩის კუთხესთან დაეწია. ფეხი დაუდო, წააქცია და ზემოდან მუხლებით დაადგა. ამასობაში პოლიციაც მოვიდა.

— **სულ რამდენი ადამიანი დაჭრა?**

— მანამდე „მაკდონალდსთან" გოგო დაუჭრია, ყელთან ჩაურტყამს დანა. 70 წლის მოხუც ქალს თავში ქვა ჩაარტყა, გახეთქილი თავიდან სისხლი სდიოდა. შემდეგ „სტაიანშიკი" დაჭრა. როგორც ვიცი, სულ სამი ადამიანი დაჭრა. წინა დღესაც რაღაცეები ჩაუდენია. თურმე აქვე, კიევის ქუჩაზე, შუშები ჩაამტვრია. რუსთაველზე, შუა ქუჩაში კი მანქანებს გადაუდგა წინ და ამის გამო ერთმანეთს ოთხი ავტომობილი შეასკდა.

— **ფსიქიკურად დაავადებულს ჰგავდა?**

— არა. ალბათ რაღაც დავალება ჰქონდა, ვერ შეასრულა და ამჯობინა, პოლიციას დაეკავებინა. როცა სამართალდამცავები მოვიდნენ და დააკავეს, მანქანაში ისე მშვიდად იჯდა, გიჟს ნამდვილად არ ჰგავდა. დაკითხვაზე ვიყავი, ის გოგოც ვნახე, „მაკდონალდსთან" რომ დაჭრა, კარგად არის. ის მოხუცი კაციც უკვე სამსახურში გამოვიდა.

**„ქართველებმა დამიხოცეს ქმარ-შვილი და ჯავრი უნდა ვიყაროო, უთქვამს".**

■

ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონე მამაკაცი, რომელმაც ერაყელი ქალის დაჭერა შეძლო, მოგვიყვა:

— ხმაური შემომესმა. გარეთ გავედი. ვიღაც უცხოელი ქალი მობღაოდა, თავის ენაზე ხმამაღლა ყვიროდა. დავინახე, ქალს რომ შეაფურთხა და ხელიც გაარტყა. ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე კაცი წამოეწია. იმ ქალმა კი დანა გაუხსნა. ის კაცი გაეკიდა, მაგრამ ქალი გაიქცა. ამ ყველაფერს ჩემი თვალით ვხედავდი. იქვე მანქანა იდგა, მასაც წიხლი დაარტყა, მისი მძღოლიც გამოვარდა და გაეკიდა. ამასობაში იმ „სტაიანშიკს" უკნიდან მუშტი ჩაარტყა, სისხლი რომ დავინახე, იმ ქალს მაშინვე გავეკიდე, მაგრამ გზაში ხან მანქანამ შემიშალა ხელი, ხან — ხალხმა. დაახლოებით 200 მეტრში დავეწიე და წავაქციე. თავის ენაზე ლაპარაკობდა რაღაცეებს.

— **როგორი ტანსაცმელი ეცვა?**

— სპორტული შარვალი, ქურთუკი ეცვა და ზურგჩანთა ეკიდა. ეს ქალი პატრულს ჩავაბარე, შემდეგ კი ამ კაცთან გამოვვარდი, უკვე სასწრაფო დახმარება იყო მოსული. დაკითხვაზეც წამიყვანეს, დაახლოებით სამი საათი ჩვენებას ვაძლევდი.

— **რას ამბობენ, ასე რატომ მოიქცა?**

— ეს ადამიანი გიჟი არ ყოფილა. როგორც ამბობენ, საქართველოს საზღვარი 4 დღის გადმოკვეთილი ჰქონდა. ქართველებმა დამიხოცეს ქმარ-შვილი და ჯავრი უნდა ვიყაროო, უთქვამს. რა უნდოდა ამ ერთი ბეწო ქალის დაჭერას... სანამ მე არ დავაკავებდი, არავინ დაიჭირა.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# მარინა ბერიძეს ქართული შოუბიზნესი აუჯანყდა

## კახა კუხიანიძე: „10 წელია ვითმენ, რომ სახელმწიფო ღონისძიებებზე არ მეპატიჟებიან“



■ მარინა ბერიძე

ქართული შოუბიზნესის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი კულტურის სამინისტროს ღონისძიებების დეპარტამენტის უფროსის, მარინა ბერიძის თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვს. ამ მიზნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. ინიციატორები არიან მომღერლები ეკა კვალიაშვილი, კახა კუხიანიძე და მომღერალ მარიკა თხელიძის მამიდა, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო სოლიდარობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნანა თხელიძე.

ეკა კვალიაშვილის დაპირისპირებას მარინა ბერიძესთან დიდიხნის ისტორია აქვს. მათი უთანხმოება ჯერ კიდევ „არტ იმედის“ პერიოდიდან დაიწყო.



■ ეკა კვალიაშვილი

**ეკა კვალიაშვილი:** მარინა ბერიძის დამოკიდებულება მომღერლების და განსაკუთრებით ჩემ მიმართ ყველამ კარგად იცის. „არტ იმედში“ ყოფნის პერიოდშიც აკეთებდა ასეთ რაღაცეებს. 10 წელია ერთი და იგივე გრძელდება, ახლა ვფიქრობდით, რომ რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ ჩემთვის პირადად არაფერი

**ეკა კვალიაშვილი: „ვფიქრობდით, რომ რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ ჩემთვის პირადად არაფერი შეცვლილა და ეს ჩემს თავმოყვარეობაზეც მოქმედებს, ჩემს შემოსავალზეც".**

შეცვლილა და ეს ჩემს თავმოყვარეობაზეც მოქმედებს, ჩემს შემოსავალზეც. ამის მოთმენა აღარ შეიძლება! მარინა ბერიძეს უფლება არ აქვს, ჩვენს შემოქმედებას შეეხოს. ამდენი წელია პროფესიონალი მომღერალი ვარ, სცენაზე ვდგავარ. ადრე თქვა ჩემზე, კვალიაშვილი, როგორც მომღერალი, ვერ შედგაო. მერე თქვა, როცა არ ვარგიხარ, ხმა არ უნდა ამოიღო, რადგან არავის სჭირდებიო. ვის უბედავს?!

წლების განმავლობაში ნაცმოძრაობის გამო ყველა დაშინებული იყო და ხმას ვერავინ იღებდა. მე მაშინაც ვამბობდი რაღაცას, სხვები კი დუმდნენ. ახლა კი ყველამ ამოიღო ხმა, რადგან ხალხს უფრო მეტი თავისუფლება აქვს, რომ სამართლიანობისთვის იბრძოლოს. ჩემსავით გაბრაზებული ძალიან ბევრია. სისულელეები დაგვიწერეს — მანიფესტაციების მოწყობას აპირებენო. მანიფესტაციების ღირსია მარინა ბერიძე?!

ხელოვან ადამიანებს, კარგ მომღერლებს წაართვა უფლება კონცერტზე გამოსვლის! ამბობს, მე არ ვწყვეტ ასეთ საკითხებსო, მაგრამ შიგნიდან სხვა ხმები გამოდის. ახლა ხომ არ გავიცანი მარინა ბერიძე, „არტ იმედიდან“ მოყოლებული, ვიცი, რას აკეთებდა, რა კლანური სიტუაცია შექმნა და როგორ აურდაურია ყველაფერი. მომღერლები ერთმანეთს გადაჰკიდა. ერთი ამოსწია, მეორე ჩასწია და ა.შ.

■

კახა კუხიანიძე 10 წელია სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საახალწლო კონცერტებიდან „აფსაიდშია“ დარჩენილი. არ ეგონა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც იგივე განმეორდებოდა, მაგრამ ისევ სცენის მიღმა აღმოჩნდა. კულტურის სამინისტროში მარინა ბერიძესთან სცადა დალაპარაკება და საქმის გარკვევა, მაგრამ უშედეგოდ.

**კახა კუხიანიძე:**

— ზუსტად 10 წელია ვითმენ, რომ სახელმწიფო ღონისძიებებზე არ მეპატიჟებიან. მაქვს სურვილი, ვიყო საახალწლო თუ რაიმე ღონისძიებაზე, სადაც შეგიძლია გამოჩნდე და შენი შემოქმედება მიაწოდო მსმენელს, მაყურებელს. 10 წლის განმავლობაში მსგავსი არაფერი მომხდარა. ყოველ წელს ვცდილობდი, გამერკვია, თუ რატომ არ ვიყავი ასეთ ღონისძიებებზე, მაგრამ პასუხს ვერ ვიღებდი.

მეგონა, წელს რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ... მაქვს ამბიცია, რომ ვმონაწილეობდე კონცერტებში, რადგან გამაჩნია ნიჭი და უნარი, ვიყო განსხვავებული, ასევე — მაქვს განსხვავებული ხმის ტემბრი. მე ვარ პროფესიონალი და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ შემიძლია მქონდეს ჩემი ნიშა.

გადავწყვიტე, უფრო კარგად გამერკვია, რა ხდებოდა. ტელეფონი ავიღე და დავრეკე კულტურის სამინისტროში. მარინა ბერიძეს რომ უთხრეს, მე ვრეკავდი, ისეთი წივილკივილი დაიწყო, რომ წარმოუდგენელი იყო მასთან საუბარი. გავარკვიე, რომ სწორედ მარინა ბერიძემ შეადგინა მომღერალთა სიები... იმ სატელეფონო ზარიდან ერთი კვირის შემდეგ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა მარინა ბერიძის ინტერვიუ, სადაც საშინელი სიტყვებით გამლანძღა, რომ ვარ უვარგისი, უნიჭო და რომ არ შემიძლია ბენდთან ერთად მღერა. ამ დროს დღემდე ბენდთან ერთად ვატარებ კონცერტებს კლუბში. ორკესტრთან ერთადაც ბევრჯერ მიმღერია. შეუძლია გადაამოწმოს! მაგალითად, რომა რცხილაძეს ჰკითხოს, რომლის ბენდთან ერთად ბევრჯერ მქონია კონცერტი.

**— ერთ-ერთ ინტერნეტგამოცემას თქვენზე უთხრა, არ ვიცი, ვინ არისო.**

— ჩემზე თუ მაგას ამბობს, მისი შეცდომაა, რადგან კულტურის სამინისტროში მუშაობს. აქამდეც, როცა უნდოდა, მეუბნებოდა გამარჯობას და როცა უნდოდა — არა. ძალიან გავღიზიანდი. ასეთ შეურაცხყოფას მარინა ბერიძეს კი არა, არავის ვაპატიებ! ეკა კვალიაშვილზეც იგივე თქვა და კიდევ ბევრ სხვაზეც. მან შესაფერისი პასუხი მიიღო, რომ უნდა დატოვოს პოსტი. არ შეიძლება ასეთი ცინიზმით ემსახუროს კულტურის სფეროს და მუშაობდეს კულტურის სამინისტროში. უნდა დატოვოს პოსტი და უნდა შეწყვიტოს იმის კეთება, რასაც აკეთებს — შავი სიების შედგენა და ა.შ. ჩემი აზრით, ყველამ, კარგი მომღერალია თუ ცუდი, თავისი საქმე საქვეყნოდ უნდა აკეთოს და მერე თავისთავად გამოირჩევა, ვინ არის კარგი მომღერალი და ვინ — დაბალი დონის, რომელსაც ასევე ეყოლება თავისი მსმენელი.

**— წლების წინ ირაკლი ჩარკვიანსაც ასეთივე პრეტენზია ჰქონდა** →71

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black



# „ჩემს იტალიელ მოხუცს საცივი შევაყვარე“

გრეტა — ეს ჩემი იტალიელი მოხუცის სახელია. 5 წელია, რაც მას ვუვლი. ბებიაჩემისთვის რომ ამდენი მომევლო და ასე მოვფერებოდი, ალბათ 100 წელს იცოცხლებდა. ქალბატონ გრეტას თავზე დავფოფინებ, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე სამი ოჯახი და ბევრი ადამიანის ყოფაა დამოკიდებული, მოდი და, ნუ მოუფრთხილდები. ეს ისე, ხუმრობით. სინამდვილეში კი მართლა ძალიან მიყვარს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, სრულიად უცხო ადამიანის მიმართ ასეთი შეგრძნება თუ გამიჩნდებოდა.

საქართველოდან 7 წლის წინ წამოვედი. ქუთაისელი „ტურისტები“ რომის აეროპორტში რომ აღმოვჩნდით, დაბნეულები თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდით. მე, პირადად, რაჭის და ქუთაისის იქით ფეხი არ გადამიდგამს, ეჭვიანი ქმარი არსად მიშვებდა. გაჭირვებამ და ვალებმა კი ეჭვები ერთბაშად დაავიწყა და იტალიაში „ტურისტად“ გამამწესა.

ემიგრანტის ცხოვრება ძალიან მძიმეა. ვერ წარმოიდგენთ, თავიდან რისი გაძლება მომიხდა. ერთი სიტყვაც არ ვიცოდი იტალიურად, რამდენიმე ემიგრანტი ქართველი ქალი ერთ პატარა ოთახში ვიყავით შეყუჟული. კვირაში ერთ დღეს კი ქართველების შეკრების ადგილას გავრბოდი, რომ შვება მეგრძნო, მაგრამ იქ უარეს ისტორიებს ვისმენდი.

აქვე გეტყვით, ვერ წარმოიდგენთ, ჟურნალი „სარკე“ რამხელა შვებაა ჩვენთვის. თქვენი ფურცლებიდან ჩემი ქვეყნის, ჩემი კერის სითბოს ვგრძნობ. თავიდან, როცა ახალი ჩამოსული ვიყავი და ძალიან მიჭირდა, „სარკის“ სტატიების კითხვისას ჩემი პრობლემები მავიწყდებოდა, მერე ქალები ერთმანეთს ვუყვებოდით წაკითხულს, ზოგჯერ ერთ-ორ დღიანი სამუშაო შემოგვეშველებოდა და ასე გადიოდა დღეები. მერე ენაც ვისწავლე და ჩემი გრეტაც მოვძებნე.

გრეტა ძალიან ბუზღუნა მოხუცია, მაგრამ ძალიან კეთილიცაა. თავიდან სულ ეჭვის თვალით მიყურებდა, მკაცრადაც მექცეოდა. ბევრი ღამე ტირილში გამიტარებია, მაგრამ მერე მიხვდა, რომ მისი მტერი არ ვიყავი, მართლა ვზრუნავდი მასზე და მომეკედლა. ახლა გულში ჩამიხუტებს ხოლმე და მკოცნის. უცხოტომელი ქალის ასეთი სითბო გულს მიჩუყებს და მეც იმავე გრძნობით ვპასუხობ.

მოგეხსენებათ, იტალიელებს ჭამა-სმა ძალიან უყვართ. გრეტა კარგი კულინარია, პირის გემოც კარგი აქვს და იმერულ-რაჭულად შეკმაზული საჭმელები ძალიან უყვარს. ჩვენებურ საცივზე გიჟდება. იცის, რომ ეს სადღესასწაულო კერძია, ამიტომ ხშირად ხუმრობით ამბობს, საცივს თუ არ მიკეთებ, ბაჟე მაინც მოამზადეო. ახლაც მეხვეწა, 25 დეკემბრისთვის გავაკეთოთ საცივიო, მაგრამ ვერაფერს გახდა. ვუთხარი, რომ ჩვენთან ეს კერძი 31 დეკემბერს კეთდება. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ელოდება ამ დღეს, რომ საცივი მოვუმზადო.

ჩემები წლებია არ მინახავს, ყველა უზომოდ მენატრება. ემიგრაციაში გავიგე, სამშობლოს სიყვარული რას ნიშნავს. ახალ წელს ჩემი ქვეყნის და ოჯახის დიდი მონატრებით ვხვდები. მე და ქალბატონი გრეტა იტალიაში ქართულ სუფრას შემოვუსხდებით და საქართველოს სადღეგრძელოს აუცილებლად დავლევთ.

მრავალი ბედნიერი წელი გაგითენდეს, საქართველო!

*გრეტა და ნინიკო იტალიიდან*

# „ნაშვილებმა გოგონამ ამაგი დამიფასა“

44 წლის ასაკში გავხდი დედა, მაგრამ სხვისი შვილის დედა. სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვარიანტი განვიხილე. ზოგჯერ ვფიქრობდი, საკუთარ შვილებს ზრდიან და ისინი არ უმართლებენ მშობლებს იმედებს, ნაშვილებ ბავშვზე მომავალი როგორ ავაწყო-მეთქი. ჩემს ქმარსაც არ უნდოდა, სხვისი შვილი გაგვეზარდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება სპონტანურად მივიღეთ.

ერთ დღეს ნათესავი მოვიდა ჩვენთან და გამოგვიცხადა, თქვენი ჭოჭმანის დრო არ არის, ამის შანსი გეძლევათ და უნდა გამოიყენოთო. რა და როგორ იყო, ბუნებრივია, ამას ვერ დავწერ, მაგრამ მე და ჩემი ქმარი ძალიან დავიბენით. ის ნათესავი კი არ მოგვეშვა. საღამოს მოვიდა და თავისი შვილების ნაქონი ჩვილის ტანსაცმელი, სახვევები, ეტლი გამოგვიტანა, თვითონ დაფაცურდა, ბავშვის კუთხე მოაწყო. ჩემი დედამთილისგან ჰქონდა ზურგი და ყველაფერს ეს ორი ქალი აგვარებდა. მე და ჩემი ქმარი კი დაბნეულები ვუყურებდით. ვერც უარს ვამბობდით და ვერც ვთანხმდებოდით.



საფენებში გახვეული ჩვილი ხელში რომ მომაჩეჩეს, თითქოს სათამაშო მეჭირა, ისეთი შეგრძნება მქონდა. ბავშვი რომ ამოძრავდა, გული ისე ამიფრიალდა, ჩემს ქმარს მივაჩეჩე სასწრაფოდ ხელში. ის კი ჩემზე საშინელ დღეში იყო, აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. ახლობლებმა მარტო დაგვტოვეს და წავიდნენ. დედამთილმა მითხრა, თუ ვერ მოუვლით და რამეს დამართებთ, ამ ბავშვის ცოდვა თქვენს კისერზე იქნებაო. მე და ჩემი ქმარი თვალებში ვერ ვუყურებდით ერთმანეთს, არც ხმას ვიღებდით, ინსტინქტების დონეზე ვაკეთებდით რაღაცეებს. რამდენიმე დღეში კი გაუცხოების შეგრძნებამ გაგვიარა და ბავშვს, როგორც საკუთარ შვილს, ისე ვუყურებდით.

ჩვენი გოგონა დიდ სიყვარულში გავზარდეთ. გამოგიტყდებით, რომ გულის კუნჭულში ძალიან მეშინოდა, როგორი იქნებოდა, ვფიქრობდი, მისმა გენმა სადღაც ცუდად არ იჩინოს თავი-მეთქი. საბედნიეროდ, ჩემი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. ჩვენი გოგონა ისეთი ქალი დადგა, ყველა შემოგვნატრის. საოცრად კარგი ოჯახი შექმნა. ჩემი სიძე ისეთი ბიჭია, ბევრს აქვს მისი იმედი. ვიცი, ჩემს შვილს და შვილიშვილებს არასოდეს არაფერს გაუჭირვებს. ჩემმა ქალიშვილმა ისწავლა, კარგი სამსახური აქვს და ქმარშვილზე თან არის გადაყოლილი. მე და ჩემს ქმარს კი ბავშვებივით გვივლის და გვეფერება.

ვიცი, რომ სიმართლე გაიგო, მაგრამ არაფერს იმჩნევს. მე და ჩემი ქმარი შიშით ველოდით მის რეაქციას, მაგრამ ის არ შეცვლილა. ხშირად ვფიქრობ, შეიძლება მე გამეჩინა ბავშვი და ასეთი კარგი არ ყოფილიყო. მის მშობელ დედას ყოველდღე ვლოცავ. ჩემი დედამთილის და იმ ნათესავი ქალის ამაგს კი ვერასოდეს გადავიხდი. დედამთილის სახელზე ყოველთვის ვაკეთებ საკურთხს, ეკლესიაში სანთელს ყოველთვის ვუნთებ და ჩურჩულით მადლობას ვეუბნები. იმ ნათესავისთვის კი ვლოცულობ, რომ დიდხანს იცოცხლოს. ეს ორი ქალი რომ არა, არც კი ვიცი, ახლა ჩემი და ჩემი ქმრის ცხოვრებას რა აზრი ექნებოდა. მადლობელი ვარ უფლის, რომ ჩვენთვის ასეთი საჩუქარი გამოიმეტა. მადლობელი ვარ ჩვენი გოგონასი, რომ ამაგი ასე დაგვიფასა.

*თქვენი ერთგული მკითხველი*

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტsana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „საახალწლო გოჭმა ქმარი მაპოვნინა“

— ქალბატონო, გოჭის წასაღებად როდის მოხვალთ? უკვე 10 საათი დაიწყო, — ჩამძახა ახალგაზრდა კაცის ხმამ ტელეფონში.

ბურანიდან გამოვერკვიე. 2012 წლის 31 დეკემბერია. მთელი კვირის ნარბენი, დაღლილი, რომ იტყვიან, არაქათგამოცლილი, ვწევარ საწოლზე და არაფრის თავი არ მაქვს, არც ფიზიკურად, არც სულიერად.

წამოვჯექი, წასვლა დავაპირე, მაგრამ მერე ისევ უღონოდ დავეხეთქე საწოლზე. რად მინდა გოჭი, დარჩეს, სადაც არის. თვალები მივხუჭე და ისევ ზარია.

— ქალბატონო, დაახლოებით რამდენ ხანში მოხვალთ? მეც გასასვლელი ვარ და...

— უკვე მოვდივარ! — ჩავჩხავლე ტელეფონში. წამოვდექი, კართან დაყრილი უგები ჩავიცვი, პალტო მოვიხურე და სახლიდან გავვარდი.

თონე ჩემს სახლთან არც ისე ახლოა, 15 წუთი მაინც მინდა იქამდე მისასვლელად. ვცდილობ, ჩქარა მივიდე. 15 წუთი ძალიან ბევრია იმისთვის, რომ ყველაფერი წარმოიდგინო, ყველაფრის გაფიქრება მოასწრო. და მეც ვფიქრობ...

ის 8 თვის წინ გავიცანი. ჩემს კლინიკაში სამკურნალოდ იწვა. ექთნებს ყოველთვის თავზესაყრელად გვაქვს საქმე, მაგრამ მისთვის მაინც ვიცლი. ვიცი, ასე ხშირ-ხშირად დახედვა არ სჭირდება, მაგრამ მაინც შევდივარ. თავს არ ვუტყდები, რომ ძალიან მომწონს. ლამის 40 წლის გავხდე და ასეთი რამ არავის მიმართ მიგრძვნია. ისიც არ მტოვებს უყურადღებოდ. პაციენტების სახლში არასოდეს დავდივარ, მას კი პირველივე შემოთავაზებაზე ვთანხმდები, რომ გადასხმებზე შინ მივაკითხო. მეც იმ დროისთვის ყველა საქმეს გვერდზე ვდებ, ცვლას სხვას ვაბარებ და მისკენ გავრბივარ.

ახალი განქორწინებულია ცოლთან და სალაპარაკო ბევრი აქვს. გულს იოხებს, მეც ვუსმენ, მის ემოციებს ვყვები. შვილი ენატრება, ცოლმა ეს როგორ გაუკეთა... ღამის ცვლაში მეგობარ ექთნებს ტვინს ვუჭამ მასზე საუბრით. მეუბნებიან, რომ ეს სიყვარულია. მე თავიდან ვამტკიცებ, რომ — არა, მერე საკუთარ თავს ვუტყდები — მიყვარს!

მარტოდარჩენილ მამაკაცს თანაგრძნობა, ქალის სითბო სჭირდება და მეც ამ ყველაფერს გულუხვად ვაძლევ, ისიც იღებს, თითქოს ასეც უნდა იყოს. მეუბნება, რომ ვუყვარვარ და რა კარგია, რომ შევხვდი. უკვე ქორწილს ვგეგმავთ. ახალი წლის შემდეგ ჩემებს გავაცნობ, ის თავის შვილს გამაცნობს და ერთ ოჯახად ვიცხოვრებთ. ახალი წლის ღამეს კი ერთად უნდა შევხვდეთ. ერთი კვირით ადრე ვურეკავ დედას, ბებოს რაიონში და ვთხოვ, საახალწლო კერძების რეცეპტები ჩამაწერინონ, პროდუქტების სიის შედგენაში დამეხმარონ.

— ბებო, ხახვის გაფცქვნა იცი? — მეკითხება ჩემი 86 წლის ბებო.

— ვისწავლი, — საქმიანად ვპასუხობ და ფაციფუცს ვიწყებ.

ახალი წლის წინა დღეს უკვე ყველაფერი მზად მაქვს. კი, დავიღალე, თანაც საშინლად, მაგრამ კმაყოფილი ვარ. ბოლოსთვის გოჭი მოვიტოვე, იმასაც გამოვიტან თონიდან, მერე ცოტა ხანს დავისვენებ, მოვემზადები და ისიც მოვა. ბედნიერებისგან პულსს ველარ ვითვლი. 6 საათზე ტელეფონზე მირეკავს.

— იცი, ძალიან მერიდება, მაგრამ ვერ მოვალ. როგორ აგიხსნა... შენ მშობელი არ ხარ და ამას ვერ მიხვდები. ეს ისეთი გრძნობაა, რომ... არც ვიცი, როგორ გითხრა.

— გავიგებ! — მკაცრად ვპასუხობ.

— ჩემმა შვილმა ძალიან განიცადა, მე და დედამისი ცალ-ცალკე რომ ვხვდებოდით ახალ წელს. სულ ტირის, ნერვიულობს. ბავშვის გამო გადავწყვიტეთ, კიდევ ვცადოთ...

ტელეფონს ვუთიშავ. ყველაფერი გასაგებია. ცოლს შეურიგდა. მე მომატყუა, თითქოს ყველაფერი საბოლოოდ ჰქონდა გარკვეული...

ამასობაში თონესთანაც მივფრატუნდი.

— სად ხართ აქამდე? შემოდით, შემოდით, — ისე შემიპატიჟა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ვყოფილიყავი.

შევედი, ახალგამომცხვარი პურის და შემწვარი ხორცის სურნელი ტრიალებს. სითბო საოცრად მესიამოვნა, გავთბი. ახლა მივხვდი, რომ უგები შიშველ ფეხზე ჩამიცვამს, პალტოს ქვეშ კი მხოლოდ თხელი ხალათი მაცვია. გაყინულ სხეულს ვინ დაეძებს, ჩემ წინ სიმპათიური მამაკაცი დგას, რომელიც ფეხის წვერიდან თმის ღერამდე მათვალიერებს და ირონიულად იცინის. თმაზე ხელს ვიკიდებ, ალბათ როგორი სასაცილო ვარ, ხალათით რამ წამომიყვანა. თავს უხერხულად ვგრძნობ. ის გოჭს მაწვდის, კბილებში ქაღალდი აქვს გაჩრილი, რომელზეც ჩემი სახელი და ტელეფონის ნომერი წერია. ბოლოკის ნაცვლად ჩემი სახელი... ამაზე ვხარხარებ. ალბათ სტრესის ბრალიც არის, ერთბაშად მოვეშვი და... მამაკაცი ჩემს სიცილზე თამამდება. შავი ღვინო გამოაქვს.



— ამ წელს აქედან მე და თქვენ ყველაზე ბოლოს გავალთ, ამიტომ ამ თონის ჭერიც დავლოცოთ, — ამბობს და ფქვილისგან გათეთრებულ ჭიქას მაწვდის.

ღვინო გემრიელია, მეც ხასიათზე მოვდივარ. ვინტერესდები, სახლში წასვლას რატომ არ ჩქარობს. მეუბნება, რომ ვანელია, ახალი წლის წინა დღეს მუშაობა ამჯობინა, უცოლშვილოა, ოჯახს უნდა მოეკიდოს და ფულის მოგროვება სჭირდება.

— მიშას დრო რომ იყოს, საახალწლო კონცერტზე მაინც წავიდოდი, ახლა კონცერტიც არ ტარდება და მარტო მომიწევს 2013 წელთან შეხვედრა, — მეუბნება.

— მეც, — ვპასუხობ...

...ახლა 2013 წლის დეკემბრის ბოლო დღეებია. ორსულად ვარ და სამსახურში მთელი დატვირთვით აღარ ვმუშაობ, დიასახლისობისთვის მეტი დრო მრჩება. ჩემი სახლი თანდათან ივსება ახალი წლის სანოვაგით — ჩემს ქმარს მოაქვს. გოჭი ვანიდან მისმა მშობლებმა გამოგვიგზავნეს.

ასე მაპოვნინა საახალწლო გოჭმა ქმარი.

ძალიან მიყვარს და ძალიან ბედნიერი ვარ!

„სარკის“ თითოეულ მკითხველს უზომოდ დიდ სიხარულს და ბედნიერებას ვუსურვებ!

*თქვენი ერთგული მკითხველი*

## გამოხმაურება

### „ინვალიდ ქმარს თუ სიყვარულს აგრძნობინებ, იქნებ შეიცვალოს"

მინდა, გამოვეხმაურო ჟურნალ „სარკეში“ გამოქვეყნებულ წერილს — „დაქალმა თავის ინვალიდ ძმას მოტყუებით გამაყოლა ცოლად“. ამ ქალის ისტორიამ გულგრილი ვერ დამტოვა და ამიტომ გავბედე, მისთვის რჩევა მიმეცა. მართლა ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ იქნებ ქმარი ასე იმიტომ ექცევა, რომ გრძნობს, ცოლს არ უყვარს. მეუღლეს თუ მეტ სითბოს აჩვენებ, დაანახავებ, რომ გიყვარს, იქნებ შეიცვალოს და ოჯახისკენ გული მოიბრუნოს. მას უსათუოდ ექნება კომპლექსი, რომ ინვალიდი კაცის გვერდით ლამაზი ქალი ცხოვრობს. ეცადე, ეს კომპლექსი დააძლევინო. თუ ქმრის ოჯახიდან წამოსვლა არ შეგიძლია, მაშინ ისე მაინც უნდა მოიქცე, რომ რაღაცეები შეცვალო. წარმატებას გისურვებ!

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

# ხათუნა გოგალაძე მინისტრობამ ნამცხვრების კეთებას გადაარჩინა



საქართველოს მთავრობის წევრმა, ქართულ პოლიტიკაში ახალმა სახემ, ხათუნა გოგალაძემ, სანამ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პოსტს მიაღწევდა, ყველა ის გაჭირვება და პრობლემა გამოიარა, რაც საქართველოს რიგითმა მოქალაქეებმა გასული საუკუნის ჩაბნელებულ 90-იან წლებში. მაშინ მინისტრობა და თანამდებობა კი არა, ის ჰქონდა საფიქრალი, როგორ ეშოვა თუნდაც ერთი პური ან ზამთრის სიცივეში შვილი რითი გაეთბო... მისი ისტორია ბევრისთვის იქნება ნაცნობი და გასაგები, ვისაც ის წლები გამოუვლია. უკიდურესმა გაჭირვებამ უბიძგა, წინ წასულიყო და არა — უკან. ეცადა, მონდომა და სწავლა საზღვარგარეთ განაგრძო. პარალელურად სამი შვილი გააჩინა და გამოზარდა. მას და მის ქმარს, ინჟინერ ზვიად ჭუმბურიძეს, 18 წლის ელენე, 13 წლის ანდრო და 5 წლის ლაზარე ჰყავთ.

თავის ოჯახურ ცხოვრებაზე, ყოველდღიურ თუ გლობალურ საზრუნავსა და მიზნებზე ქალბატონი მინისტრი „სარკეს“ გულახდილოად უამბობს.

**— ქალბატონო ხათუნა, მოდით, იმ თემით დავიწყოთ, რომელზეც ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ანუ ნაციონალებს, ერთი ამბავი აქვთ ატეხილი — მთავრობის წევრებისგან შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომების წარმოდგენას ითხოვენ. თქვენ რისი დიპლომი გაქვთ?**

— თუ ვინმეს ჩემთან ექნება მსგავსი შეკითხვა, პრობლემა არ მაქვს, წარვადგინო ჩემი დიპლომები. თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დავამთავრე, შემდეგ — ასპირანტურა გენეტიკის მიმართულებით. ამის მერე უნგრეთში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში დავამთავრე მაგისტრატურა გარემოს დაცვითი მეცნიერებების და პოლიტიკის კუთხით და შემდეგ კიდევ ერთი მაგისტრატურა — აშშ-ში, ინდიანას შტატში სახელმწიფო მართვის სფეროში, რომელიც კონცენტრირებული იყო გარემოს დაცვითი პოლიტიკის და ბუნებრივი რესურსების მართვაზე. ყველა ეს დიპლომი მაქვს.

**— თავიდანვე თქვენს საბოლოო საქმედ გარემოს დაცვას ხედავდით?**

— ბიოლოგიურზე რომ ჩავაბარე, გარემოს დაცვაზე ნაკლებად ვფიქრობდი, ეს სფერო მსოფლიოსთვისაც კი ახალი მიმართულება იყო. როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ძალიან რთული მდგომარეობა იყო. დავიწყე ფიქრი, თუ როგორ შეიძლებოდა ჩემი პროფესიონალიზმის გაღრმავება, რადგან აქ არც სამსახური იყო და არც რაიმე პერსპექტივა. ამ ინფორმაციის მოძიებამ ერთი წელი წაიღო. მაშინ ინტერნეტი არც მქონდა და არც მოხმარება ვიცოდი. ჩემი ახლობლის ახლობელი ჩამოვიდა ამერიკიდან და იმას გავატანე ძლივს შეკოწიწებული 30 დოლარი, რომ ჩემი გზავნილებისთვის ამერიკაში მარკები დაეკრა და ისე გაეგზავნა უნივერსიტეტებში. მერე გავიგე, რომ არის რაღაც პროგრამები, რომლებსაც დაფინანსებაც მოჰყვება. გავიმარჯვე, მივიღე სტიპენდია და წავედი უნგრეთში. ეს 1999 წელი იყო.

**„სახლის ფანჯრიდან სულ ვხედავდი კაცს, რომელიც ყოველდღე ერთ ცალ თონის პურს ყიდულობდა. გეფიცებით, მაშინ ვფიქრობდი, ნეტავ, ოდესმე თუ მექნება იმდენი ფული, რომ ყოველდღე ერთი თონის პურის ყიდვა შევძლო-მეთქი".**

საქართველოში რომ ჩამოვედი, ბუნების დაცვის სამინისტროში მოხალისე სტაჟიორად დავიწყე მუშაობა. მერე კი რამდენიმე სამმართველოში ხელმძღვანელის მოადგილე ვიყავი. მერე ამერიკაში წავედი და რომ ჩამოვედი, ეუთო-ს ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელი ვიყავი. ბოლო პერიოდამდე ეუთო-ში ვმუშაობდი.

**— ბიძინა ივანიშვილმა რატომ შემოგთავაზათ მინისტრობა, კარგად გიცნობთ?**

— არა, არ ვიცნობდი. არჩევნების შემდეგ კონსულტაციები მიმდინარეობდა. კადრების მოძიება ხდებოდა ყველა მიმართულებით და მათ შორის — ამ პოსტზეც. სივი მთხოვეს და გადავაგზავნე. მერე მისვლა მთხოვეს და გამესაუბრნენ. გარემოს დაცვა ის სფერო და მიმართულებაა, რის გარეშეც რთულია ქვეყნის განვითარება, ეკონომიკური განვითარება, ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და უფრო გლობალურად თუ შევხედავთ — მსოფლიოს გადარჩენა. ამიტომ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ქვეყნის წინაშე. მართალი რომ გითხრათ, ეს შემოთავაზება ჩემთვის მოულოდნელი იყო. ეს ის სფეროა, რომელიც ყველა დარგთან იკვეთება და რთულია ეს ყველაფერი. მაგალითად, ახლა ვაცხადებთ და მთელი გულით ვეხვეწები ხალხს, რომ არ მოჭრან ნაძვის ხეები. მერე ვიღაც საწყალი ადამიანი ყიდის და უნდა მიხვიდე და დააჯარიმო. უკანონოდ მოჭრილი შეშა რომ მიაქვს ვიღაცას, ფიქრობ, გაჭირვებულია და უნდა, რომ გათბეს.

მივდივართ უკანონობის აღმოფხვრის გზით, რაც ჩვენთვის ძალიან რთულია და მორალურად ითრგუნები.

**— გატყობთ, გაჭირვებაც გამოვლილი გაქვთ.**

— რა თქმა უნდა! მაგრამ ამით ვერავის გავაკვირვებ, რადგან ისეთი პერიოდები გამოვიარეთ, რაც მთელი ქვეყნისთვის სავალალო იყო. ყოფილა შემთხვევები, როცა საჭმელი არ მქონია. თვეები გადიოდა და ჩემს შვილს ყველს და ხორცს ვერ ვაჭმევდი. სამინისტროს პარალელურად სკოლაშიც ვმუშაობდი პედაგოგად. დიდ დიღომში ვცხოვრობდი და ისევ იქ ვცხოვრობ. ფანჯრიდან ვიყურებოდი ხოლმე და სულ ვხედავდი ერთ კაცს, რომელიც ყოველდღე ერთ ცალ თონის პურს ყიდულობდა. გეფიცებით, მაშინ ვფიქრობდი, ნეტავ, ოდესმე თუ მექნება იმდენი ფული, რომ ყოველდღე ერთი თონის პურის ყიდვა შევძლო-მეთქი.

ჩვენი სამინისტრო მაშინ კოსტავას ქუჩაზე იყო და იქ, მიწისქვეშა გადასასვლელში, კარტოფილის ღვეზელებს ყიდდნენ. შიმშილისგან ცუდად რომ გავხდებოდი, ჩუმად ჩავიდოდი და ვყიდულობდი ერთ ცალ ღვეზელს. იქვე ვჭამდი. ერთ ცალს სამსახურში ხომ ვერ ავიტანდი? თუ ვინმეს დაბადების დღე იყო, რაღაცას მოიტანდნენ და მეც შემხვდებოდა, მიხაროდა, 30 თეთრი დავზოგე-მეთქი. მეზობლები ერთმანეთს ვეხმარებოდით სიცივის გადატანაში. დღის კონკრეტულ საათზე ვიცოდით, რომლის აივანს მიადგებოდა მზე და იმასთან შემყავდა ბავშვი, რომ ცოტა გამეთბო. მერე ჩემთან შემოდიოდნენ და ა.შ.

მაშინ დავიწყე ფიქრი ცოდნის გაღრმავებაზე. ნავთქურაზე ვთბებოდი და სანთლის შუქზე ვსწავლობდი. ადამიანი არასოდეს უნდა დაეცე. თუ ჯანმრთელი ხარ, უნდა იცოდე, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ჩემი ყველაზე დიდი პლუსი ალბათ ის არის, რომ თავს მოვერიე და გზა მოვძებნე.

**— სამი შვილიც გააჩინეთ და გაზარდეთ. ოჯახი რა ასაკში შექმენით?**

— 24 წლის ასაკში. ჩემი ქმარი და მაზლი ტყუპები არიან და სამივე ერთ კლასში ვსწავლობდით. ქმარი, პირველ რიგში, ჩემი კარგი მეგობარია.

**— სკოლის მერხიდან შეყვარებულები იყავით?**

— პერიოდულობით. სკოლაში ფლირტის დონეზე იყო ჩვენი ურთიერთობა. სკოლაში არასოდეს გვიჩხუბია. რომ შევულდით, მერე უფრო ვჩხუბობდით. სკოლაში სხვა ბიჭებმა გოგოების წვალება იცოდნენ ხოლმე. არ მახსოვს, ზვიადს ვინმე გოგო გაებრაზებინა. კარგი იუმორი აქვს და მასთან კარგად ვერთობოდი. მერე გაიყო ჩვენი გზები. მან სხვაგან ჩააბარა, მე — სხვაგან. მერე ისევ შევხვდით, გავაგრძელეთ მეგობრობა და ბოლოს შევქმენით ოჯახი. ცოტა ადამიანია ჩემ გვერდით, ვისაც შეუძლია კარგ განწყობაზე დამაყენოს. ასევე განსაკუთრებული თანადგომა გამომიცხადოს ჩემთვის რთულ პერიოდებში. ახლაც, როგორი დაღლილიც უნდა იყოს, ზვიადს შუაღამისას რომ ვუთხრა, ახლა აქა და აქ



Cyan Magenta Yellow Black

წავიდეთ-მეთქი, წამოდგება და უპრობლემოდ წამომყვება. კი არ გაგიფუჭებს განწყობას, მხარდაჭერას გამოგიცხადებს. მისი იუმორის გრძნობა მახალისებს. იშვიათადაა ცუდ ხასიათზე.

— **არასოდეს გაბრაზებთ?**

— ხანდახან, უფრო სწორად, ადრე უფრო ვჩხუბობდით. სანამ დავქორწინდებოდით, გვეგონა, ერთმანეთს კარგად ვუგებდით, მაგრამ როცა შევუღლდით, აღმოჩნდა, რომ ცოლქმრობა ცოტა სხვა რამე იყო. სხვა სახის მოთხოვნები გაჩნდა ორივეს მხრიდან და ორივე ვამბობდით, ასე არ გვეგონა-თქო.

— **ალბათ მარტო ცხოვრობდით, უფროსების გარეშე.**

— კი, თავიდანვე მარტო ვცხოვრობდით. ხშირად გვიჩხუბია, მაგრამ ერთმანეთის ოჯახებისთვის, მეგობრებისთვის შეურაცხყოფა არასოდეს მიგვიყენებია. არც გვქონდა ამის საფუძველი. თუ რამეზე ვჩხუბობდით, ეს ერთი-ერთზე იყო — „შენ ეს რატომ ქენი“, „შენ ის რატომ გააკეთე“ და ა.შ.

— **ეჭვიანი ხომ არ ხართ რომელიმე, რაც ხშირად ოჯახში ჩხუბის მიზეზი ხდება?**

— არა, საერთოდ არ ვარ ეჭვიანი. არ მიყვარს ტყუილი. გულუბრყვილო არ ვარ და ვიცი, რომ ადამიანები იტყუებიან, მაგრამ თუ მეუღლეს არ ენდობი და ეჭვი გაქვს, რომ რაღაცას გატყუებს, ნორმალურ თანაცხოვრებაზე ლაპარაკი ძალიან რთულია.

მე და ჩემი მეუღლე განსხვავებული ტიპაჟები ვართ, მაგრამ პრინციპები ერთნაირი გვაქვს. რა არის კარგი და ცუდი, ერთნაირად ვაზროვნებთ.

— **შეიძლებოდა ქმარს იმის გამო ეჩხუბა, მოკლე კაბა რატომ გაცვიაო?**

— მაგის გამო არ გვიჩხუბია, მაგრამ მსგავსი რაღაცეების დათმობა მომიწია. ახლა აღარ გვაქვს დრო, რომ რამეზე ვიჩხუბოთ.

— **თქვენი დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო არ წუხდება?**

— თუ რამეზე ვჩხუბობთ, ჩემი უდროობაა. მეუბნება, 12 საათზე რომ გამოდიხარ სამსახურიდან, მთელი წლის საქმეს ხომ ვერ რჩები, ნუთუ არ შეიძლება, 10-ზე წამოხვიდეო. შაბათია თუ კვირა, მაინც სამსახურში ვარ.

— **თქვენს მინისტრობას როგორ შეხვდა, მხარი დაგიჭირათ?**

— კი, მაგრამ, მგონი, ბოლომდე არ ჰქონდა კარგად გააზრებული. მე არ მქონდა მინისტრობა მარტივად წარმოდგენილი და მანამდეც ვიცოდი, რომ ბევრ დროს და პასუხისმგებლობას მოითხოვდა ჩემგან.

— **ახლა სახლში დიასახლისობას ველარ ასწრებთ?**

— კარგი დიასახლისი ვიყავი. სახლის საქმეებიდან ყველაზე მეტად სამზარეულოში ტრიალი მიყვარდა და გემრიელ რაღაცეებსაც ვაკეთებდი. შვილებს უყვართ ჩემი მომზადებული კერძები და ახლაც ვცდილობ, იშვიათად მაინც გავაკეთო რამე.

— **ამას ღამის 12 საათის მერე ახერხებთ?**

— არა, ღამის 12 საათზე რომ მივალ, ერთადერთი, რასაც ვასწრებ, თავის მოწესრიგებაა, რომ დილით ისევ სამსახურში წამოვიდე. შაბათს ან კვირას სამსახურში ვარ, მაგრამ ან ცოტა გვიან მოვდივარ, ან ცოტა ადრე მივდივარ და მაშინ ვაკეთებ იმ საჭმელს, რაც შვილებს უყვართ. ძალიან კარგ ნამცხვრებს ვაცხობდი. შარშან, საახალწლოდ, ვცადე გამოცხობა და კარგი არ გამომივიდა. ეტყობა, გადაჩვევაც იცის და რაღაც შემეშალა.

**„სანამ საათი 12-ჯერ ჩამოკრავს, მთელი წლის სურვილებს ჩავუთქვამ, მხოლოდ ჩემთვის კი არა, მთელი მსოფლიოსთვის ვნატრობ ხოლმე რაღაცეებს“.**



ხათუნა გოგალაძე ქმარ-შვილთან ერთად

— **ქმარი თუ გეხმარებათ სამზარეულოში?**

— ძალიან გემრიელ ბორშჩს და კომბოსტოს მწნილს აკეთებს. ახლაც ჩადო კომბოსტოს წითელი მწნილი დიდ ჭურჭელში. სხვა დროს ლაზარეს ძიძა გვიმზადებს კერძებს, მაგრამ ჩემი უფროსი შვილები ხშირად ნახევარფაბრიკატებზე გადადიან.

— **სად მუშაობს თქვენი ქმარი?**

— ამ წუთას არსად მუშაობს. ადრე თავდაცვის უწყებაში მუშაობდა. წლების განმავლობაში კერძო კომპანიაში იყო. მერე ამერიკაში ერთად ვიყავით და იქაც ბევრს მუშაობდა. ახლა რაღაც ბიზნესის დაწყება უნდა და ჯერჯერობით აწყობის ეტაპზეა გაჩერებული. ვნახოთ, რა იქნება.

**„ადამიანი ახასოდეს უნდა დაეცე. თუ ჯანმრთელი ხარ, უნდა იცოდე, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ჩემი ყველაზე დიდი პლუსი ალბათ ის არის, რომ თავს მოვეხიე და გზა მოვძებნე“.**

— **როცა სასწავლებლად იყავით წასული, შვილები სად გყავდათ?**

— უნგრეთში რომ წავედი, უფროსი შვილი თბილისში დავტოვე. მეუღლე ერთი თვის მერე ჩამოვიდა. ფეხმძიმედ ვიყავი და მეორე ბავშვი იქ გავაჩინე. მესამე შვილი კი ამერიკაში გაჩნდა და ამერიკის მოქალაქეა. გუშინ (ინტერვიუ ჩაწერილია 21 დეკემბერს. ავტ. შენ.) ბაღში ზეიმი ჰქონდა და დავესწარი. ხშირად დღეები ისე გადის, ლოგინში თუ ვნახულობ.

— **მუდმივად სახლიდან გასულმა მინისტრმა დედამ შვილებთან კონტაქტი ხომ არ დაკარგა?**

— შვილებთან ღია და თავისუფალი ურთიერთობა მაქვს. არ ვაძლევ იმის საფუძველს, რომ რაღაც დამიმალონ. ვცდილობ, ჩემი გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ვიცოდე, რა ხდება მათ ირგვლივ. უფროსი საავიაციოზე სწავლობს — ასე უნდოდა. ჩვენთან ხშირად მოდიან მათი მეგობრები და რჩებიან. ყველას კარგად ვიცნობ და ვიცი, ვისთან აქვთ ურთიერთობა, რითი სუნთქავენ. შუათანა რაგბიზე დადის და ეს სპორტი ძალიან უყვარს. მკაცრი დედა არ ვარ და არც მკაცრი უფროსი. გარკვეული დოზით სამსახურში სიმკაცრე საჭიროა, მაგრამ თუ სწორად არის განაწილებული პასუხისმგებლობები, ესეც არ გჭირდება.

— **კაბინეტში აკვარიუმი გაქვთ ულამაზესი თევზებით. დაგხვდათ თუ თქვენ მოიტანეთ?**

— დამხვდა. ახალისებს აქაურობას, რადგან ძალიან შავი ავეჯი დგას. ამ კაბინეტში რაც არის, ყველაფერი დამხვდა. მხოლოდ ნახატები მოვიტანე. ეს თევზები ერთმანეთს და თავიანთ შვილებს ჭამენ, რაც ძალიან მთრგუნავს. რა სახეობებია, არ ვიცი, მაგრამ, როგორც კი დაყრიან ლიფსიტებს, მაშინვე ჭამენ. ერთი პატარა გადარჩა და პემზის ქვის ქვეშ იმალებოდა. ვგულშემატკივრობდი. როგორც კი რომელიმე თევზი ჩაუვლიდა, ღრმად იმალებოდა. იმისთვის, რომ მაძღრები ყოფილიყვნენ და ის არ შეეჭამათ, დღეში ორსამჯერ ვაჭმევდი. მივლინებაში ვიყავი და რომ ჩამოვედი, ის ლიფსიტა აღარ დამხვდა, მაინც შეუჭამიათ. გული ლამის გამისკდა!

— **სახლში საახალწლო სამზადისი უკვე დაიწყეთ?**

— კი, მაგრამ წელს არ მიმიღია მონაწილეობა, ჩემმა შვილებმა დამახვედრეს გაწყობილი ნაძვის ხე. ჩვენს სახლში ახალი წელი ერთი თვით ადრე იწყება. საახალწლო სუფრისთვის ალბათ რაღაცეებს მე მოვამზადებ, თუმცა ოღონდ ახლა ვინმემ რამე გამიკეთოს და სხვა არაფერი მინდა! მინდა, ნამცხვარი მაინც გამოვაცხო. გოზინაყს კი ვაკეთებ, მაგრამ განსაკუთრებული არ გამომდის.

— **ყოველთვის სახლში ერთად ხვდებით ახალ წელს?**

— დიახ, ამ ტრადიციას არ ვარღვევთ. სანამ მრავალჟამიერი ბოლომდე ჩაივლის, ჭიქებს ვუჭახუნებთ ერთმანეთს. სანამ საათი 12-ჯერ ჩამოკრავს, მთელი წლის სურვილებს ჩავუთქვამ, მხოლოდ ჩემთვის კი არა, მთელი მსოფლიოსთვის ვნატრობ ხოლმე რაღაცეებს.

✓ **რუსუდან ადვაძე**

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58



Cyan Magenta Yellow Black

# კახი კახიშვილი: „გიგი უგულავა სასამართლოს გადაწყვეტილებას სათავისოდ გამოიყენებს“



გიგი უგულავა თბილისის მერი აღარ არის. სასამართლო სხდომის შემდეგ, სადაც მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ იმსჯელეს, მოსამართლემ დახურული კარის მიღმა იმსჯელა მეორე შუამდგომლობაზეც, რომელიც თბილისის მერის უფლებამოსილების შეჩერებას უკავშირდებოდა. ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, სასამართლოდან დაურეკეს გიგი უგულავას და აცნობეს, რომ ის მერობიდან გათავისუფლებულია სასმართლო გამოძიების დასრულებამდე.

გიგი უგულავას ახალი ბრალდება 2013 წლის 18 დეკემბერს წარუდგინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით — სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ დედაქალაქის განვითარების მიზნით შექმნილი ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდისთვის“ გამოყოფილი დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის ფაქტზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დალი მეტრეველმა 21 დეკემბერს გიგი უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელა. პროკურატურა უგულავასთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა, მაგრამ მოსამართლემ პროკურატურის შუამგდომლობა არ დააკმაყოფილა და უგულავას პატიმრობის ნაცვლად 50.000 ლარიანი გირაოს გადახდა დააკისრა. მოგვიანებით, პროკურატურამ პირველს მეორე შუამდგომლობაც დააწია — უგულავასთვის უფლებამოსილების შეჩერების. ამ საკითხზე იმავე მოსამართლემ იმსჯელა.

სასამართლო სხდომის შემდეგ უგულავამ ივარაუდა, რომ სასამართლო მისი გადაყენების შუამდგომლობაზე გადაწყვეტილებას ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანდა. ვარაუდი გამართლდა — თბილისის მერის მოვალეობას პირველი მოადგილე, სევდია უგრეხელიძე ასრულებს.

რატომ მიიღო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილება და ამით დაირღვა თუ არა კანონი? ამ და სხვა საკითხებზე „სარკეს“ ექსპერტი კახი კახიშვილი ესაუბრა:

— სასამართლოს გადაწყვეტილებას აღმკვეთი ღონისძიების არშეფარდებასთან დაკავშირებით დადებითად ვაფასებ, რადგან ეს იქნებოდა აღქმული, როგორც ზეწოლა მერობის კანდიდატზე. თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვე დარჩა და გიგი უგულავამ არაერთხელ განაცხადა, რომ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. რაც შეეხება მის განცხადებას თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, სასამართლოს ამის უფლება ჰქონდა ზეპირი მოსმენის გარეშეც.

**— არჩეული მერის შემთხვევაშიც?**

— არჩეული მერის გადაყენების უფლებას სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს. მართალია, იქ პირდაპირ მერი არ წერია, მაგრამ წერია, რომ, თუ არსებობს ვარაუდები, რომ თანამდებობაზე ყოფნის შემთხვევაში ბრალდებული ხელს შეუშლის გამოძიებას ან განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, სასამართლოს უფლება აქვს, გადააყენოს თანამდებობიდან ბრალდებული. ამავე კოდექსის 162-ე მუხლში წერია, რომ სასამართლოს თანამდებობიდან გადაყენების უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის წევრების, აფხაზეთის და აჭარის რესპუბლიკის დეპუტატების, სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის, მოსამართლის, მაგრამ ამ შემთხვევაში დაკონკრეტებულია, რომ სასამართლოს უნდა მიმართოს მთავარმა პროკურორმა. ვინაიდან ამ ჩამონათვალში არ არის ქალაქის მერი, მასზე ვრცელდება ჩვეულებრივი წესები — პროკურატურამ მიმართა სასამართლოს და სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება. წმინდა იურიდიულად, სასამართლოს საშუალებაც ჰქონდა და უფლებაც, ზეპირი მოსმენის გარეშე განეხილა, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, ცოტა გაუგებარია, ზეპირი მოსმენის გარეშე ასეთი გადაწყვეტილების მიღება, როცა იმავე მოსამართლემ აღმკვეთი ღონისძიების შესახებ იმსჯელა. შეეძლო, შემდგომშიც მხარეთა მსჯელობით მიეღო ეს გადაწყვეტილება და ნაკლები კითხვის ნიშანი იქნებოდა.

**— უგულავა მოსამართლეზე განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობს და გვარსაც ასახელებს — ჩხენკელს.**

— არ ვიცი, ამაზე თვითონ სასამართლომ უნდა გასცეს პასუხი — რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე ღამის პირველ საათზე. კი, ბატონო, უფლება ჰქონდა, მაგრამ, რადგან ამ საქმის მიმართ ძალიან დიდი ინტერესია, ზეპირი მოსმენის გარეშე არ უნდა მიეღო.

**— როგორ გამოიყენებს ამ ამბებს უგულავა, ახლა უკვე მერობის კანდიდატი?**

— თუ მოახერხა და მსხვერპლის როლი მოირგო, გარკვეულწილად რაღაც მიზიდულობა ექნება, მაგრამ როცა საუბარია ისეთ ბრალდებაზე, რომელიც უკავშირდება მილიონიანი ქონების გაფლანგვას, მგონია, რომ ბევრი შეიკავებს თავს მისი მხარდაჭერისგან. მაგრამ ვაღიაროთ, რომ ნაცმოძრაობას ძლიერი პიარტექნოლოგები ჰყავს და ამას გამოიყენებენ. სასამართლომ ამიტომაც კარგად უნდა ახსნას, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. უნდა განმარტოს, ხომ არ იყო შეგნებულად გაკეთებული, რომ ნაცმოძრაობას ხელში ჰქონოდა „კოზირი“, აი, როგორი ზეწოლით მიიღეს გადაწყვეტილებაო. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელი სასამართლოს ხელმძღვანელობა ისევ ისაა, რომელიც ნაცმოძრაობას და მის ინტერესებს ემსახურებოდა.

**— ვანო მერაბიშვილის სკანდალის შემთხვევაში რასთან გვაქვს საქმე?**

— საფუძვლიანია თუ არა მერაბიშვილის განცხადება, მხოლოდ გამოძიების შედეგად თუ დადგინდება და ყოველი დღე, როცა პროკურატურა არ იწყებს ამ თემაზე გამოძიებას, ნაცმოძრაობის წისქვილზე ასხამს წყალს. მოხდა თუ არ მოხდა ეს ფაქტი, მნიშვნელობა არ აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მოთხოვნაა, თუ განცხადება შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს, პროკურატურა ვალდებულია, დაიწყოს გამოძიება. ხოლო, როცა მსგავსი განცხადება გაკეთდა პოლიტიკური პარტიის ლიდერების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყანაში საპარლამენტო ოპოზიციას და ეს სტატუსი ისევ „ოცნების“ დამსახურებაა, გამოძიების დაწყების დაყოვნება, უბრალოდ ნაცმოძრაობას აძლიერებს. შეისწავლე, დაკითხე პენიტენციალური სისტემის იმ ღამის მორიგეები, ამოიღე დისკები, წარუდგინე საზოგადობას შედეგები და გაარკვიე, სიმართლეა თუ არა. ამხელა ამბავია ატეხილი, ნაცმოძრაობა ცდილობს, ამის შესახებ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას გააგებინოს, ამიტომ გამოძიება აუცილებელია. თუ გამოძიება იტყვის, ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონიაო, წარმოიდგინეთ, ნაცმოძრაობა რა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**— მერაბიშვილმა თქვა, ჟვანიას მკვლელობაზე, საკაშვილზე გარკვეულ ინფორმაციას მთხოვდნენო.**

— საქართველოს პროკურატურას აქვს უფლება, საპროცესო შეთანხმება შესთავაზოს ბრალდებულს, მაგრამ ეს უნდა იყოს კანონის დაცვით.

**— რომ ჰქონოდა პროკურატურას მისი გაყვანის სურვილი, სოზარ სუბარს რამდენად შეეძლო ხელი შეეშალა მათთვის?**

— გააჩნია, რა სტატუსით გაიყვანდა. არ ვიცი, ვისთან ირიცხება პატიმარი მერაბიშვილი. როცა სასამართლოში იხილება საქმე, ირიცხება სასამართლოზე და მის გარეშე მისი გაყვანა არ შეიძლება, მაგრამ მე არ ვიცი, გამოძიებაში არის თუ არა საქმე, სადაც იგი ერიცხება პროკურატურას. თუ სასამართლოს ერიცხება მხოლოდ, მაშინ მას უნდა დაეშვა ასეთი ნებართვა, მაგრამ, თუ პროკურატურასაც ერიცხება სხვა საქმეზე, მაშინ იმ გამომძიებელს ან პროკურორს უფლება ჰქონდა მერაბიშვილთან შეხვედრის და, როგორც ზედამხედველ პროკურორს, მთავარ პროკურორსაც ჰქონდა უფლება მისი ნახვის. ამას ვსაუბრობ ჰიპოთეზებით და, იმედია, ისე არ იქნება აღქმული, რომ მე ვადასტურებ პოზიციას მერაბიშვილის გაყვანასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სუბარს, ის არის შემსრულებელი, მინისტრია და უნდა იცოდეს, რა ხდება სამინისტროში, მით უმეტეს, როცა საქმე წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს ეხება.

**— ანუ სუბარმა ყველაფერი იცის?**

— მე არ ვიცი, რა მოხდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ისიც მესმის, რომ ხელისუფლება ამბობს, ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონიაო, მაგრამ, ვინაიდან ნაცმოძრაობა ცდილობს, ყველა სამართლებრივი საკითხი გადაიტანოს პოლიტიკურ ჭრილში, თვითონ ხელისუფლებამ მათ არ უნდა მისცეს იმის შესაძლებლობა, ილაპარაკონ არგუმენტებით.

**— მერაბიშვილი თუ ტყუის, ამ ტყუილით რას მოიგებდა?**

— ნაცმოძრაობას არაერთხელ გამოუყენებია ტრიბუნა და გაუკეთებია უსაფუძვლო განცხადებები, ოღონდ იმ ერთ დღეს ყოფილიყო ეთერში წაყვან ამპლუაში და თავი მსხვერპლის როლში წარმოეჩინა, ამიტომ ძნელია თქმა, იტყუება თუ არა მერაბიშვილი. როცა ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, საჭიროა ობიექტური გამოძიება.






Cyan Magenta Yellow Black

# ფიქრია ჩიხრაძე: „სოზარ სუბარი ვალდებული იყო, პატიმარი მერაბიშვილი დაეცვა“

## „ასეთი გადაცდომებით იწყება ხელისუფლების თავგასულობა"



**2013** წელი, რომელიც პოლიტიკური პროცესებით იყო დახუნძლული, წარსულს ბარდება. პოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილი თვლის, რომ ქვეყანა წინ მიდის და ბევრი დადებითი ცვლილება მოხდა, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო აღარ ვითარდება და პროგრესის ნაცვლად უკან-უკან მიიწევს. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, მემარჯვენეების ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე, ქვეყნის ყველაზე დიდ მონაპოვრად ვილნიუსის სამიტზე ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას მიიჩნევს. ხელისუფლების მიერ გადადგმულ დადებით ნაბიჯებსაც აღნიშნავს, მაგრამ მათ გადაწყვეტილებებში დამალულ ბევრ საფრთხესაც ხედავს.

— **ქალბატონო ფიქრია, პირველ რიგში, 2013 წელს მომხდარ პოზიტიურ მოვლენებზე ვისაუბროთ. ამ მხრივ, რა შეფასებას გააკეთებთ?**

— არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა — ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი პრეცედენტი არამარტო 2013 წლის, არამედ საქართველოს ისტორიაში, რადგან მანამდე მხოლოდ რევოლუციებით ხდებოდა ცვლილებები. არაორდინარული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანი, რომელსაც დაუკავშირდა ეს ცვლილება, თვითონ წავიდა პოლიტიკიდან. შესაბამისად, ამ ცვლილებასთან დაკავშირებით გასაგები სიტუაცია ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ჯერ უნდა ვნახოთ, კოალიცია და ახალი თანამდებობის პირები როგორ გაართმევენ თავს ქვეყნის მართვას.

პოზიტივით რადგან დავიწყეთ საუბარი, ვიტყვი, რომ ქვეყნისთვის მიღწევაა ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება, ოღონდ აქაც მნიშვნელოვანია, ხელმოწერამდე პერიოდი ისე გავიაროთ, რომ ჩვენს ინტეგრაციას ევროპულ სივრცეში საფრთხე არ შეექმნას.

— **უკვე ისიც გაირკვა, რომ ხელშეკრულებას ხელი სექტემბრამდე უნდა მოეწეროს, პარალელურად კი პუტინი ვიზების გაუქმებაზე ალაპარაკდა. საქართველოსთან ღია ვაჭრობა გამოცხადდა?**

— ასეთი სუნი მართლა უდის და ასევე არ შეიძლება უკრაინაში შექმნილი სიტუაცია არ გაგახსენდეს, რომელიც კარგი გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენთვის. მე არ მივეკუთვნები იმ ძალას, რომელსაც მოსწონს კონფრონტაციული ტონი რომელიმე ქვეყანასთან, მაგრამ ამავე დროს რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენი კურსი არის ურყევი და ამ გზიდან გადახვევას არ ვაპირებთ. არ უნდა დავიწყოთ იმ ილუზიებზე გამოკიდება, რომ ჩვენ ევროპასთანაც დავალაგებთ ურთიერთობებს და რუსეთთანაც.

— **რამდენადაა დღევანდელი ხელისუფლება ამ გამოწვევისთვის მზად?**

— სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდა, ხელისუფლებამ ამ ყველაფერს გაუძლოს. საგარეო ორიენტაცია მიმაჩნია იმ საკითხად, სადაც ნებისმიერ ხელისუფლებას, რომელიც სწორ ნაბიჯებს გადადგამს, მხარი უნდა დავუჭირო, მაგრამ ამავე დროს, თუ იქნება მისი პოზიცია მოჩვენებითი, რეაქცია გამოვხატო და, მიუხედავად იმისა, რომ ვთვლი, ქუჩის პოლიტიკის დრო დამთავრდა საქართველოში, ეს ის საკითხია, რომელზეც მეც და სხვებიც მართლაც გამოვალთ ქუჩაში. დარწმუნებული ვარ, ამას ხელისუფლებაშიც აცნობიერებენ.

— **ამის მტკიცება შესაძლებელია მას შემდეგაც, რაც პარლამენტში უმრავლესობის 31-მა დეპუტატმა უკრაინის ხალხის წინააღმდეგ მისცა ხმა?**

— ეს არ იყო სასიამოვნო, მაგრამ ამის ტესტად გადაქცევა არ მინდა. ოპოზიციის პასუხისმგებლობა სხვაა. ჩვენ შეგვიძლია უფრო მკაცრი ვიყოთ შეფასებებში და მესმის, რომ ხელისუფლებაში მყოფ ძალას შეიძლება არ ჰქონდეს ასეთი სიცხადის და სიმკაცრის უფლება. თუმცა არის საკითხები, სადაც ბევრ ქვეყანას ჰქონდა მკაფიო განცხადებები რუსეთის ზეწოლასთან დაკავშირებით. რაც პოლიტიკაში ვარ, ევროპა ასეთი აქტიური არ ყოფილა და ეს არის ჩვენი ძალიან სერიოზული შანსი. ეს უნდა გამოვიყენოთ. ხშირად მესმის, რა უნდა ევროპას ჩვენგანო. კიდევ კარგი, რომ რაღაც უნდა და ამ ინტერესით ჩვენმა ქვეყანამ უნდა იხეიროს.

ჩვენ ასოცირების ხელშეკრულებამდე არავინ გვთხოვს, რომ ყველაფერი უნდა მოვასწროთ. საუბარია მხოლოდ გარკვეული საკანონმდებლო ლეგალიზაციების შექმნაზე და დანარჩენში თვითონ ევროპა დაგვეხმარება. უკრაინაში სხვანაირად მოხდა. შეიძლება მისი ეკონომიკა მართლაც ისეა მიბმული რუსეთთან, რომ მას ბევრად მეტი ზარალი ადგება, მაგრამ საქართველოს ეკონომიკას ასეთი სასიცოცხლო ბმა არ აქვს რუსულ ეკონომიკაზე.

— **ამ წლის უარყოფით მოვლენად რას მიიჩნევთ?**

— ყველაზე მეტად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მაშფოთებს. დღეს ვერ ვხედავ თუნდაც კონცეფციის დონეზე ეკონომიკის განვითარების საფუძველს და პერსპექტივას. ივანიშვილი გავიდა პოლიტიკური ველიდან და არ ვიცით, ახალი პრემიერი არის თუ არა ის, ვინც ახალ კონცეფციებს შექმნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

ვხედავთ, რომ ბიუჯეტში დიდი დანაკლისია და მომავალ წელსაც სესხის აღება იქნება ერთადერთი გამოსავალი, რომ დეფიციტი შეივსოს, რაც ქვეყნის განვითარებისთვის ძალიან ცუდია. დაპირება, რომ ივანიშვილის ფაქტორი შეცვლიდა ეკონომიკურ ვითარებას, არ შესრულდა. როცა ბიზნესი არ აქტიურობს, ქვეყანაში რაღაც არასწორად ხდება და ამაზე სერიოზული გადაწყვეტილებებია მისაღები.

— **ეკონომიკურ პრობლემებს ნაცმოძრაობას აბრალებენ.**

— პირდაპირ ვთქვათ — მეთოდებში შეიძლება მოედავო ნაცმოძრაობას, მაგრამ ბიუჯეტის მდგრადობა, როგორც სახელმწიფოს მახასიათებელი, შექმნეს და გარღვევის საფრთხეც არ იყო. სადავო გახლდათ მხოლოდ მეთოდები, თანხის ამოღების და პროექტების დაძალების ფორმები, რაც ცალკე თემაა. დღეს უკვე გაჩნდა პირველი ნიშნები წინმსწრები გადახდების მოთხოვნისა ბიზნესისთვის და, თუ უფრო გაუჭირდათ, როგორ მოიქცევიან, არ ვიცით.

— **ხელისუფლება გვარწმუნებს, შედეგები ჯერ მხოლოდ იმიტომ არ ჩანს, რომ ივანიშვილმა საფუძველი ჩაყარა და ეს მერე გამოჩნდება.**

— აბა, რა გითხრათ? სააკაშვილიც 9 წელიწადი გვიმტკიცებდა, რომ საფუძველი ჩაყარა... სახელმწიფოებრიობას რაღაც ტიპის საფუძველი თავის დროზე შევარდნაძემაც ჩაუყარა, სააკაშვილმაც გარკვეული პოზიტივები შექმნა, მაგრამ მერე იმდენი ნეგატივი დაგროვდა, რომ ყველა პოზიტივი გადაფარა. 9 წელიწადი ანგრევდით ქვეყანას და ნუ გვაკრიტიკებთო — ხელისუფლების მხრიდან ასეთი საუბარი არ შეიძლება. სააკაშვილის ხელისუფლებას შეეძლო ილუზიების შექმნა. ახალმა ხელისუფლებამ კი ამ ერთ წელიწადში ბევრი საკრიტიკო რამ დააგროვა, რაც გამოჩნდა კიდეც საპრეზიდენტო არჩევნებზე. ასე თუ გაგრძელდა, მეორე და მესამე წელიწადს რა იქნება, რთული წარმოსადგენი არ არის. ხელისუფლების ოპოზიციაში კი ვარ, მაგრამ ქვეყნის ოპოზიციაში არასოდეს ვყოფილვარ და ნამდვილად არ მინდა, ისეთი პროცესები წავიდეს, რომ მერე შემოსაბრუნებელი წერტილის პოვნა გაჭირდეს.

— **ვანო მერაბიშვილის სკანდალურმა განცხადებამ ბევრს წინა ხელისუფლება გაახსენა. გახდება თუ არა ეს სკანდალი „ოცნებისთვის“ აქილევსის ქუსლი?**

— ეს არის სახიფათო პრეცედენტი. თუ ხელისუფლება ვერ მიხვდა, რომ მერაბიშვილის სტატუსის მქონე პატიმრის მიმართ ასეთი მოქცევა იქნებოდა სკანდალური, მიანიშნებს იმას, რომ არაპროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუ ვინმე ამას აცნობიერებდა და მაინც გადადგა ეს ნაბიჯი, მაშინ სათანადო განმარტებებია საჭირო. რა მოიგო ხელისუფლებამ ამ ნაბიჯით? აბსოლუტურად არაფერი. რა მოიგო პროცესმა? აბსოლუტურად არაფერი. ის ფაქტი, რომ ეს ამბავი გახმაურდა, მაგრამ ხელისუფლება გამოძიების დაწყებას არ ჩქარობს, შემაშფოთებელია. თუ ისინი ამბობენ, რომ მერაბიშვილი ტყუის, ეს იოლი დასამტკიცებელია და ეს იქნებოდა ძალიან კარგი სამხილი არამარტო მერაბიშვილის წინააღმდეგ, არამედ მთელი ნაცმოძრაობის. მაგრამ, როცა ამბობენ, გამოსაძიებელი არაფერიაო, უნდა ვთქვათ, რომ ასეთი გადაცდომებით იწყება ხელისუფლების თავგასულობა. რაც მოხდა მერაბიშვილთან მიმართებაში, თუკი ამას არ გააბათილებ, ეს ნიშნავს, რომ ვიღაც თანამდებობის პირმა, ეს იყო გენპროკურორი თუ სხვა, ჩათვალა, რომ მას ყველაფრის უფლება აქვს.

— **სოზარ სუბარს შეეძლო, პატიმრის გაყვანის უფლება არ მიეცა პროკურატურისთვის?**

— დიახ და ვალდებულიც იყო, რომ დაეცვა. მანაც დაარღვია კანონი, თუ ეს მოხდა.

— **დაგვიანებული სამართალი შესაძლებელია ამ ხელისუფლებისთვის საბედისწერო შედეგის მომტანი გახდეს?**

— არ მივეკუთვნები იმ კატეგორიას, რომელიც ფიქრობს, რომ ძალიან მალე უნდა მოხდეს საქმეების გამოძიება, მაგრამ როცა არც ერთი საქმის წინ წაწევა არ ხდება — რაფალიანცის, ჟვანიას, გირგვლიანის, მერაბიშვილის, ახალაიასი... ეს ნამდვილად სერიოზული პრობლემაა. არ ვიცი, ეს დაბალი პროფესიონალიზმის ბრალია თუ ნივთმტკიცებები არ აქვთ, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ ერთი საქმეც ვერ ვნახეთ ბოლომდე მიყვანილი.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებები გამოსაცემად მზადაა

## კონსტანტინე გამსახურდია: „ჩემი ვალდებულებაა, ყველამ იცოდეს, რა მოხდა 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამეგრელოში“



20 წლის წინ, როცა 1994 წელი დგებოდა, საქართველოს მოსახლეობამ შეიტყო, რომ მისი პირველი პრეზიდენტი, დევნაში მყოფი ზვიად გამსახურდია, ცოცხალი აღარ იყო. ის სამეგრელოში 1993 წლის უკანასკნელ დღეს, 31 დეკემბერს, გამთენიისას იპოვეს გარდაცვლილი, იარაღით ხელში. მისი სიკვდილის მიზეზი დღემდე გაურკვეველია. არსებობს ორი მთავარი ვერსია — მკვლელობა და თვითმკვლელობა.

საქართველოს წინა ხელისუფლებამ თითქოს მოინდომა საქმის გამოძიება და ჭეშმარიტების დადგენა. წინა მოწვევის პარლამენტში შეიქმნა დროებითი კომისია, რომელიც პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებებს სწავლობდა. კომისიას ხელმძღვანელობდა ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი, კონსტანტინე გამსახურდია. გაკეთებული დასკვნებისა და შენიშვნების მიუხედავად, არც მაშინდელ და არც ახლანდელ ხელისუფლებაში ჯერ ისევ არ არის პოლიტიკური ნება, რომ საქმეს საგამოძიებო მსვლელობა მიეცეს. საქართველოს პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებებზე სიმართლის დადგენის საკითხი ისევ ღიად რჩება.

კონსტანტინე გამსახურდია აპირებს კომისიის ძირითადი დოკუმენტი გამოსცეს. ამ გადაწყვეტილების შესახებ მან თავად განუცხადა „სარკეს“. ის თვლის, რომ მისი ვალდებულებაა, ყველას გააგებინოს, რა მოხდა 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში. დოკუმენტი დაახლოებით ერთ თვეში გამოვა.

**კონსტანტინე გამსახურდია:**

— 1992 წლის მიწურულს დავტოვე საქართველო ოჯახთან ერთად და პოლიტიკური თავშესაფარი მოვითხოვე შვეიცარიაში. ზვიად გამსახურდია კი გროზნოში იმყოფებოდა. მან ერთხელ მოახერხა ევროპაში ჩამოსვლა, იმოგზაურა ფინეთ-ავსტრიაში, სადაც არაერთი პრესკონფერენცია მოაწყო საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. მაშინ ძალიან გაურთულეს გადაადგილება და დიდი გაჭირვებით დაბრუნდა ჩეჩნეთში. მაშინვე ცხადი იყო, რომ მას უამრავი მტერი ჰყავდა როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ. რა თქმა უნდა, ესენი პირადი მტრები არ იყვნენ, ისინი მტრობდნენ დემოკრატიის, ჰუმანიზმის იდეას და საქართველოს დამოუკიდებლობას. ზვიადი საქართველოში 1993 წლის 26 სექტემბერს დაბრუნდა და ცხადი იყო, რომ შეიძლებოდა ეს ყოფილიყო მისი ცხოვრებისეული დრამის უკანასკნელი აქტი. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება მე 1994 წლის 5 იანვარს გავიგე. ამ დღეს გაიგო მსოფლიომაც.

**— გარდაცვალებიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ?**

— შეიძლება უფრო მეტის, რადგან სხვადასხვა გარემოებათა გამო ზუსტი დრო არ სახელდება. ითქვა, 31 დეკემბრის გამთენია. არ დავიჯერე ეს თარიღი და ყველა სააგენტოს ვუთხარი, რომ ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ეს არც ერთ შემთხვევაში თვითმკვლელობა არ იქნებოდა. ამ დროს კი ამბის მიწოდება ხდებოდა ისე, რომ ამ ადამიანმა ყველაფერი თვითმკვლელობის მიმართულებით მოიმოქმედა. ანუ თვითმკვლელობა იყო მისი პოლიტიკა, თვითმკვლელობა იყო მის მიერ გადადგმული ნაბიჯები და ეს ბოლო აკორდიც დაგვირგვინება იყო მისი სუიციდური, თვითმკვლელობითი პოლიტიკის. მახსოვს, როგორ ველოდით გუგუშვილის დაბრუნებას გროზნოში. მერე გავიგეთ, უთქვამს, თვითმკვლელობა იყოო. მაშინ მივხვდი, რომ ზვიადი მართლაც არ იყო ცოცხალი, მაგრამ თვითმკვლელობის თეზა კატეგორიულად არ გავიზიარე და წიგნში, რომელიც დავწერე გერმანულ ენაზე — „ზვიად გამსახურდია — დისიდენტი, პრეზიდენტი და მოწამე“, წამოვაყენე თეზა, რომ ეს ვერსია, რომელიც ვრცელდება, იმიტირებულ იქნა, სინამდვილეში კი პოლიტიკურ მკვლელობასთან გვაქვს საქმე.

**„გიორგაძე, სიგუა და კიტოვანი — არც ერთი ეს ადამიანი არ უშვებდა იმას, რომ ზვიადმა თავი მოიკლა. ისინი ამბობდნენ, რომ ადგილი აქვს მკვლელობას, თუმცა ოპერატიულ მასალებს ვერც ერთი იძლეოდა ან არ იძლეოდა. და კიდევ ერთი ფაქტორი — მისი სიკვდილით დაინტერესებული იყო ედუარდ შევარდნაძე, რადგან თავად მას ლეგიტიმურობა აკლდა".**

**— როცა ევროპაში შეხვდით ერთმანეთს მამა-შვილი და ეს თქვენი უკანასკნელი შეხვედრაც იყო, რაზე ისაუბრეთ?**

— ჩვენ შევხვდით ვენაში და საინტერესოა, რომ სასტუმროს, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ერქვა „ქუქელ“, რაც ტყვიას ნიშნავს. ვსაუბრობდით კავკასიაზე, სამეგრელოში არსებულ წინააღმდეგობაზე. ის თვლიდა, რომ სამეგრელოში არსებული წინააღმდეგობა რეალური იყო და ის მართლაც შეძლებდა არამარტო თავდაცვას, არამედ ეტაპობრივად კანონიერი ხელისუფლების აღდგენას. ვფიქრობ, არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ ამ მოძრაობის მასშტაბებზე. როგორც აღმოჩნდა, სამეგრელოში მობილიზებული იყო 1200 ადამიანი და მინიმალური სამხედრო ტექნიკა. ან საიდან უნდა ჰქონოდა მეტი სახალხო მილიციას? მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ სამეგრელოს მოძრაობაში იყო ძალიან ბევრი ენთუზიასტი და ასეთი ადამიანების ერთობლიობა უდიდესი ძალა იყო.

**„ის თვლიდა, რომ სამეგრელოში არსებული წინააღმდეგობა რეალური იყო და ის შეძლებდა არამარტო თავდაცვას, არამედ ეტაპობრივად კანონიერი ხელისუფლების აღდგენას. ვფიქრობ, არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ ამ მოძრაობის მასშტაბებზე".**

ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ კანონიერი ხელისუფლება ტანკებით აღდგებოდა. სადაც ზვიადი ჩადიოდა, იქ მომენტალურად აღდგებოდა ხოლმე კანონიერი ხელისუფლება.

**— მილიციას ქობალია, ელიავა ხელმძღვანელობდნენ. ისინი ამ დეზინფორმაციას შეგნებულად აწვდიდნენ თუ მათაც ასე სჯეროდათ?**

— მაშინ შევარდნაძის მთავრობაც და „მხედრიონიც“ დეზორგანიზებული იყვნენ, მაგრამ ისინი გადაარჩინა რუსეთის მხრიდან ადმირალ ბალტინის რაზმების ჩარევამ — დაახლოებით 5000 კაციანი სადესანტო რაზმის გადმოსხმამ. ტექნიკა მიაშველეს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე ბათუმის მხრიდან. ბრძოლები იყო მარტვილში, სენაკისა და ზუგდიდის მისადგომებთან.

**— თქვენ ხელმძღვანელობდით კომისიას, რომელიც ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებებს სწავლობდა. რა მასალები შეგროვდა და რა დასკვნები გაკეთდა?**

— ძალიან ბევრი მასალა შევაგროვეთ. შევისწავლეთ პროკურატურაში დაცული 9 ტომეული, სადაც არის მთავარი მოწმეების დაკითხვები, გუგუშვილის გარდა. მან იმთავითვე უარი თქვა, რადგან თვლიდა, რომ არალეგიტიმური იყო ყველა უწყება. ერთადერთი გამონაკლისია გუგუშვილის ინტერვიუ ტელეკომპანია „იმედში“ 2004 წელს, სადაც იგი ასევე თვითმკვლელობაზე საუბრობს. ამის შემდეგ ჩვენ ჩავატარეთ ჩვენი მოსმენა — გამოკითხვები და მოვიძიეთ ბადრი ზარანდიას დღიური. საინტერესო იყო საუბარი მოსკოვში იგორ გიორგაძესთან, თენგიზ კიტოვანთან, თენგიზ სიგუასთან თბილისში. 50 მოსმენა-გამოკითხვიდან დავტოვეთ 38.

დასკვნაში ჩართულია კრიმინალისტის დასკვნა იარაღ სტეჩკინთან დაკავშირებით, ასევე პათანატომიის კომენტარები, რაც გაკეთდა ერთადერთი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და რომელიც ნეშტს ჩაუტარდა 14 წლის შემდეგ როსტოვში. ბოლოს არის წინააღმდეგობების და შეუსაბამობების აღნუსხვა და ზოგადი დასკვნები. 364 გვერდიანი დოკუმენტი გადავაგზავნეთ პროკურატურაში, თუმცა არც მიხეილ სააკაშვილის და არც არჩილ კბილაშვილის პროკურატურა ამ მიმართულებით არ განძრეულა. პარლამენტმა მაშინ მოიწონა დოკუმენტი და მიიღო გადაწყვეტილება, გამოძიებულიყო ეს საქმე, რადგან გამოვრიცხეთ თვითმკვლელობა, თუმცა როგორ ან ვის მიერ იქნა ეს მკვლელობა ჩადენილი, დოკუმენტები არ დაგვიდია.

**— ძირითად რა ვერსიას ავითარებს ეს დოკუმენტი?**

— არ გვაქვს არანაირი ვერსია. არსებობდა ერთადერთი თეზა — თვითმკვლელობა და გადამოწმება დავიწყეთ. კვლევის შედეგმა კი სულ სხვა რამ აჩვენა.

**— გიორგაძის, სიგუას და კიტოვანის დაკითხვებიდან რა გამოიკვეთა?**

— არც ერთი ეს ადამიანი არ უშვებდა იმას, რომ ზვიადმა თავი მოიკლა. ისინი ამბობდნენ, რომ ადგილი აქვს მკვლელობას, თუმცა ოპერატიულ მასალებს ვერც ერთი იძლეოდა ან არ იძლეოდა. მჯერა, რომ იგორ გიორგაძემ ოპერატიული მასალები იცოდა, მაგრამ, როცა გადავედით ოპერატიული მასალის შესახებ საუბარზე, მან უარი განაცხადა. და კიდევ ერთი ფაქტორი — მისი სიკვდილით დაინტერესებული იყო ედუარდ შევარდნაძე, რადგან თავად მას ლეგიტიმურობა აკლდა.

**— ეჭვი ამის შესახებ ცნობილია, მაგრამ დოკუმენტურად ამაზე რამე თუ მიანიშნებს?**

— გიორგაძემ თქვა, რომ შევარდნაძესთან ამაზე საუბარი ჰქონია და მას უთქვამს, რომ არ სჭირდებოდა ცოცხალი ზვიად გამსახურდია. გიორგაძემ მაშინ ზვიადის სპეცოპერაციით დაკავება და თბილისში ჩამოყვანა შესთავაზა, რასაც, სავარაუდოდ, სასამართლო უნდა მოჰყოლოდა. მათ არ აწყობდათ ზვიად გამსახურ-



Cyan Magenta Yellow Black

დიას პირდაპირი ლიკვიდაციაც.

— **ამიტომაც დაიგეგმა, რომ ისევ ზვიადისტების ხელით მომკვდარიყო?**

— ამას ამბობდა ზარანდიას დღიურის მიხედვით პოლკოვნიკი ბასიკაშვილი, მაგრამ ასეთი პიროვნება ჩვენ ვერსად მოვიძიეთ, თუმცა არსებობს პოლკოვნიკი გია ბასიაშვილი, რომელიც უშიშროებაში მაშინ რანგით მეოთხე თუ მეხუთე პირი იყო.

— **დაიკითხა ბასიაშვილი?**

— არა, რადგანაც არც გია ბასიაშვილი და არც გია მხეიძე არ მოგვეკარნენ და მათ მოსვლას არც კანონი აიძულებდა.

— **არსებობს ვერსია ზვიად გამსახურდიას წამებით მოკვლის შესახებ. იზიარებთ მას?**

— ეს ვერსია გაჩნდა როსტოვის ექსპერტიზის გამოქვეყნების შედეგად, რადგან როსტოვის ექსპერტიზის დასკვნაში საუბარია, რომ ცხედარს გატეხილი ჰქონდა 9 ნეკნის ძვალი, ბოქვენის ძვალი, მენჯის ძვალი და თავის უკანა ნაწილი. იქ ისიც დაიწერა, რომ ძვლები სასახლეში გრუნტის მასების ჩაღწევამ გატეხა, მაგრამ ჩვენთვის ეს არადამაჯერებელი იყო და ჩაიწერა, რომ ეს შესაძლებელია რაიმე მექანიკური ზემოქმედების შედეგი ყოფილიყო. რა მექანიკური ზეწოლაა ეს, ამის თქმა არ შემიძლია. ანუ წამების ფაქტს ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ.

— **ექვი ტანსაცმელმაც გააჩინა.**

— ჯონსონ კვარაცხელიას სახლის დატოვებამდე ამბავი გარკვეუწილად ლაგდება, გამონაკლისია ჯანმრთელობის გაუარესება. მაგრამ შემდეგ აბსოლუტურად წინააღმდეგობაშია. ჯიხაშკარიდან წავიდნენ ძველ ხიბულაში, კარლო და ლუდმილა ღურწკაიების სახლში. ამას ადასტურებენ ცოლ-ქმარი ღურწკაიები, ძმები ჩუხუები და სამი პირი, სხვა არავინ. ნუკრი ღურწკაიამ, შვილმა, მაგალითად, არ იცის, როდის მივიდა იქ პრეზიდენტი, მაგრამ პირველი ის ავიდა, როცა გაისმა გასროლისმაგვარი ხმა და პირველმა მან ნახა ცხედარი, რომელსაც სისხლი არ ჰქონდა. ამ დროს ორივე ჭრილობა — გამავალიც და შემავალიც, სისხლმდენი უნდა ყოფილიყო.

> **„გვამს რაღაც კოსტიუმი ეცვა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ კოსტიუმს ეძებდნენ 30 დეკემბრამდე. ეს იმას ნიშნავს, ან ვიღაცამ წინასწარ იცოდა, რომ ზვიადი აპირებდა თავის მოკვლას, ან უკვე ცოცხალი არ იყო, ანუ შედეგი გაცილებით ადრეა დამდგარი, ვიდრე 30-31 დეკემბრის ღამეს".**

— **რამდენადაც მახსოვს, საათნახევრით ადრე ჩაიც აუტანიათ პრეზიდენტისთვის.**

— კი, ლუდმილა იხსენებდა, მაგრამ ის ცოცხალი აღარ არის. მაშინ გარდაიცვალა, როცა ეს კომისია შეიქმნა.

— **კიდევ თუ არის ასეთი მნიშვნელოვანი მოწმე გარდაცვლილი?**

— გია გულუა, ბადრი ზარანდია, ზურაბ შონია — მათ ბევრი რამ იცოდნენ. შოთა კვირაიაც გარდაიცვალა. გვინდოდა მასთან დაკავშირება და ამაზე ბატონ კახა თარგამაძესაც ველაპარაკე ტელეფონით მოსკოვში. მან თქვა, კონტაქტებს თავს არიდებსო.

— **თქვენ უშვებთ წამების ვერსიას ანუ ხიბულაში ვიღაც სხვა მივიდა ფაფახით და არა — ზვიადი, მერე კი გარდაცვლილი პრეზიდენტის ცხედარი მიიტანეს?**

— რატომ არა? ეს დასაშვებია, მაგრამ ვერსიაა. როგორც კარლო ღურწკაია ამბობს, მან არ იცოდა, ვინ იყო, უბრალოდ მისმა გოგონამ იცნო, ზვიადი არისო. როცა ვკითხე, რა სიმაღლის იყო, მითხრა, შენზე მაღალიო, არადა ოდნავ დაბალი იყო. რაც მთავარია, მას სულ სხვა ტანსაცმელი ეცვა, ვიდრე კვარაცხელიას სახლის დატოვებისას 5 საათით ადრე ან ამდენ ხანს რატომ დარჩნენ გზაში, ესეც აუხსნელია — კვარაცხელიებიდან ღურწკაიებამდე სულ 5 კილომეტრია. ამბობენ, რომ ფაფახი ეხურა და ნაბადი ეცვა. კვარაცხელიებიდან გასულს კი ეხურა ეგრეთ წოდებული უშანკა და ეცვა პალტო და კოსტიუმი.

— **გვამს რა ეცვა?**

— გვამს რაღაც კოსტიუმი ეცვა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ კოსტიუმს ეძებდნენ 30 დეკემბრამდე. ეს იმას ნიშნავს, ან ვიღაცამ

> **„364 გვერდიანი დოკუმენტი გადავაგზავნეთ პროკურატურაში, თუმცა არც მიხეილ სააკაშვილის და არც არჩილ ქბილაშვილის პროკურატურა ამ მიმართულებით არ განძრეულა".**

წინასწარ იცოდა, რომ ზვიადი აპირებდა თავის მოკვლას, ან უკვე ცოცხალი არ იყო, ანუ შედეგი გაცილებით ადრეა დამდგარი, ვიდრე 30-31 დეკემბრის ღამეს.

— **როგორც ვიცი, ნივთმტკიცებებიც განადგურებულია.**

— კი, ასეა, ყველა ნივთმტკიცება — ქვეშაგები, ბალიშის პირები ან განადგურებული, ან დამწვარი, ან გარეცხილია.

— **სტეჩკინის გასროლის ხმაც ბადებდა ეჭვს.**

— ხმის გარდა, სტეჩკინს აქვს უკუცემის ძალა, ანუ გასროლის შემდეგ ხელში არ ჩერდება. ეს არის მცირე ზომის ავტომატური იარაღი.

— **როგორც ვიცი, მაყუჩიც იყო ნახსენები საქმეში.**

— როგორც ჩანს, ბევრი რამ პროკურატურის მასალებიდანაც ამოღებულია. მაგალითად, პროკურორის ერთ-ერთი მოადგილე ჯაფარიძე ამბობს, რომ რობიზონ მარგველანის თქმით, პრეზიდენტს თავი მოუკლავს მაყუჩიანი იარაღით, მაგრამ რას ეყრდნობა მისი ნათქვამი, ვერსად ვიპოვეთ.

— **გუგუშვილთან თუ გქონიათ პირადად საუბარი?**

— არა, როგორც ეტყობა, პირველი ჩვენების მძევალია და არც გადათქვამს, რადგან მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

— **არის ვერსია, რომ ზვიადი შემოიტყუეს, რათა მოეკლათ.**

— არა, შეიძლება მას არასწორი ინფორმაცია მართლაც ჰქონდა კანონიერებისთვის მებრძოლი ძალების სიდიდეზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ის ჩამოვიდა სოხუმის დაცემის მომენტში, ანუ იფიქრა, ან გადავარჩენ საქართველოს, ან, დაე, ბედისწერამ ილაპარაკოსო. ბედის სასწორზე დადო ყველაფერი და მოხდა მეორე — თავისი სიტყვა თქვა ბედისწერამ.

— **როგორ ფიქრობთ, რომ არა ეს ნაბიჯი, მისი ფიგურა დარჩებოდა თუ არა ასეთი დიდი?**

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ შვილისგან მამის მიერ სიკვდილისკენ გადადგმული ნაბიჯის შეფასება ძნელია, მაგრამ მჯერა, რომ მომავალი სწორედ ასე შეაფასებს. წარმოიდგინეთ წმინდანი, რომელიც სიკვდილისკენ მიდიოდა და უცებ სადღაც წასულიყო, თავი შეეფარებინა სხვა ქვეყნისთვის. სხვათა შორის, კომისიის ძირითადი დოკუმენტი ერთ თვეში გამოვა. მომზადებულია გამოსაცემად.

— **რატომ ასაჯაროებთ, გამოძიების იმედი აღარ გაქვთ?**

— ვფიქრობ, ჩემი ვალდებულებაა, ყველამ იცოდეს, რა მოხდა 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამეგრელოში. 1993 წლის 24 დეკემბრამდე ზვიადმა უამრავი რამ მოასწრო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის ცდილობდა, მოესწრო მოკლე დროში ბევრი რამ.

— **აპირებთ მიმართოთ ახლანდელ პროკურატურას?**

— შეიძლება მივმართო კიდეც, კბილაშვილის დროს მე — არა, მაგრამ მოქალაქეებმა მიმართეს, თუმცა შედეგი არ ყოფილა. რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს.

— **20 წლის მერე თუ ხედავთ სიმართლის გარკვევის შესაძლებლობას?**

— ბევრი ადამიანი გარდაიცვალა, მაგრამ ჯერ კიდევ არის რესურსი, ეს საქმე გამოძიებულ იქნეს, თუ იქნება პოლიტიკური ნება.

— **თქვენი აზრით, ზვიად გამსახურდიას და მასთან ერთად საქართველოს ბედი ასე ტრაგიკულად რომ არ წარმართულიყო, როგორი იქნებოდა დღეს ჩვენი ქვეყანა?**

— ძალიან წინ ვიქნებოდით და ვიდგებოდით განვითარებული ევროპის გვერდით. მე ასე მწამს.

— **მას პირდაპირ უთხრეს, რომ ის დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა.**

— ეს იყო დინება, რომლის მიხედვითაც, საზღვარი უნდა გაივლოს ევროპასა და აზიას შორის. ის თვლიდა, რომ საქართველო ევროპის მხარეს უნდა დარჩეს, ეს დინება კი თვლის, რომ საქართველო ევრაზიას ეკუთვნის.

— **მაგრამ ამ სიტყვების ავტორი არ ყოფილა რუსეთი, ამერიკა იყო.**

— ამერიკაშიც და ევროპაშიც არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ გარკვეული ქვეყნები ევროპას ეკუთვნიან, მათ შორის — საქართველოც და უკრაინაც. არ უნდა წარმოიდგინოთ, რომ ადამიანები, ვინც პოლიტიკაში ამინდს ქმნიან, ფიქრობენ, ევროპის საზღვრები შეიძლება უსასრულოდ გავრცელდეს.

— **დღეს იმ დინებაში ვართ, რაზეც ზვიად გამსახურდია ოცნებობდა?**

— ნაწილობრივ — კი, მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე. ერთ რამეში ვეთანხმები გურამ პეტრიაშვილს, საქართველოში პოლიტიკას აკეთებდა მხოლოდ ზვიად გამსახურდია, დანარჩენებს რაც შეეხება, ან ამერიკის ფოსტალიონები იყვნენ, ან რუსეთის.

— **საქართველოს ახალ პრეზიდენტზე, გიორგი მარგველაშვილზე რას ფიქრობთ?**

— ჯერ დაუწერელი ფურცელია და, იმედია, ისე შეივსება, როგორც ეს საქართველოს ეროვნულ ინტერესებშია.

— **პრეზიდენტის ინაუგურაციაზე თქვენი ოჯახი მიწვეული არ იყო. თქვენი აზრით, რა მიზეზით?**

— ეს ცოტა უცნაური იყო. ჩემთვის წარმოუდგენელია, ობამას ინაუგურაციაზე კენედის ოჯახი არ მიეწვიათ და გაუგებარია მით უფრო, რომ ბევრი უცნაური სახე შევნიშნე.

— **ვინ?**

— არ არის საჭირო, არ დავწვრილმანდები.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა
მანანა გეგიაშ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# სოფო ფარცხალაძე: „ხალხი ფიქრობს, დათო საგანელიძის ცოლი მატერიალური კეთილდღეობის გამო გავხდი“

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, დავით საგანელიძე, იანვარში მესამე შვილის მამა გახდება. მას და მის მეორე ნახევარს, სოფო ფარცხალაძეს, 3 წლის ნოდარი და 2 წლის ელენე ჰყავთ. ორი შვილის მამას თურმე ძალიან უნდოდა, მესამე ბიჭი დაბადებულიყო. გაუმართლა და მალე საგანელიძეებს გვარის კიდევ ერთი გამგრძელებელი ეყოლებათ.

„სარკე“ საგანელიძეებს სახლში ესტუმრა. ბავშვების ჟრიამული კარის აქეთაც ისმოდა. პატარა ელენიკო მამას ძალიან ჰგავს და თავადაც ამბობს, რომ მამიკოს გოგოა. მართალია, ბატონი დავითი ოჯახში დიდ დროს ვერ ატარებს, მაგრამ, როცა მომენტი ჩაუვარდება ხელში, ცოლ-შვილს ანებივრებს. მეუღლეს ბავშვების მოვლაშიც ეხმარება და ხშირად კერძებსაც თავისი ხელით ამზადებს.



**— სოფო, რა შეგრძნებებით ხვდებით მესამე შვილის დაბადებას?**

— მესამე შვილს ორივე დიდი სიხარულით ველოდებით. განსაკუთრებული და უცნაური შეგრძნება არ მაქვს, რადგან რაც გავთხოვდი, მას შემდეგ სულ ორსულად ვარ. ამ ფეხმძიმობაზე ჯანმრთელობის მხრივ ცოტა პრობლემები შემექმნა, მაგრამ ახლა ყველაფერი მშვენივრად არის, თავს კარგად ვგრძნობ. მერვე თვეში ვარ. ბიჭის მშობლები ვხდებით.

**— ბავშვის სახელიც შერჩეული გექნებათ.**

— სახელთან დაკავშირებით უცნაურ ისტორიას გიამბობთ. თავიდან, ორსულობის მე-12 კვირაში, მითხრეს, რომ გოგო დაიბადებოდა. ექიმთან მომდევნო ვიზიტზე დათოსთან ერთად ვიყავი მისული და აღმოჩნდა, რომ ბიჭს ველოდებით. ამას წინ ჩემი დედამთილის სიზმარიც უძლოდა. დაესიზმრა, რომ გოგო კი არა, ბიჭი გვეყოლებოდა. როგორც დედამთილმა თქვა, სიზმარში მას ვიღაც შეხვდა, მისი შვილიშვილები მოიკითხა, ლუკა, მარიამი, ნოდარიკო, ელენე როგორ არიან, ანდრია რას შვრებაო. ლუკა და მარიამი დათოს ძმის შვილები არიან. დედამთილმა მითხრა, მესამე შვილი ანდრია გეყოლებათო. გამიკვირდა, გოგოს ველოდებით და ანდრია როგორ იქნება-მეთქი. აღმოჩნდა, რომ მართლა ანდრიას ველოდებით.



**— ისე, რომელი უფრო გინდოდათ, ბიჭი თუ გოგო, ბატონი დავითი რას ამბობდა?**

— დათოს, როგორც გითხარით, ძმა ჰყავს, მათ განსაკუთრებული და იშვიათი ძმობა აქვთ. ვისურვებდი, რომ საქართველოში დედმამიშვილებს და ადამიანებს ერთმანეთი ასე უყვარდეთ. დათო სულ ამბობდა, ძალიან მიხარია, რომ ელენიკო გვყავს, მაგრამ ნოდარიკოს ძმაც თუ ეყოლება, კარგი იქნებაო. როცა გაიგო, რომ ბიჭი გვიჩნდებოდა, ისე გაუხარდა, მივხვდი, სადღაც გულის სიღრმეში მაინც ბიჭი სურდა, რომ ნოდოსთვის ძმობა გაეწია.

**— თქვენ რომელი გინდოდათ?**

— მეც — ალბათ ბიჭი, რადგან ეს დათოს უნდოდა ძალიან. იანვრის ბოლოს ველოდებით. ვხუმრობ ხოლმე, ყოველ ახალ წელს სახლში ახალი ბაიები გვყავს-მეთქი.

**— ასეთ მდგომარეობაში ორი შვილის მოვლას უმკლავდებით?**

## „ოჯახი რომ შეინარჩუნო, ვიღაცამ უნდა დათმოს“

— კარგი ორსულობა მაქვს, თავს კარგად ვგრძნობ, ბავშვების მოვლასაც ავუდივარ, მთელი დღე მათთან ერთად ვარ. სახლშიც საყვარელი დამხმარე, ნატუკა გვყავს, რომელიც ჩვენი ოჯახის წევრია, მას ძიძასაც კი არ ვეძახი.

**— ბატონი დავითი როგორ არის ამ ყველაფერში ჩართული?**

— ჯერ არჩევნების და ახლა პარლამენტის გადამკიდე, დათოს ისეთი რთული გრაფიკი აქვს, რომ სულ გზაშია, სულ გასულია და დროც ნაკლები აქვს. როცა ქუთაისიდან თბილისში ჩამოდის, აქაც იმდენი საქმე უგროვდება, სულ გარეთ არის. ამიტომ ვცდილობ, საოჯახო საქმეებით ზედმეტად არ შევაწუხო.

**„რაც გავთხოვდი, მას შემდეგ სულ ორსულად ვარ. ვხუმრობ ხოლმე, ყოველ ახალ წელს სახლში ახალი ბაიები გვყავს-მეთქი".**

**— ცნობილია, რომ რაჭველი მამაკაცები კარგი მეოჯახეები არიან. ეს თქვენს ქმარზეც ვრცელდება?**

— მაგარ ჩაქაფულს აკეთებს. თუ სახლშია და სამზარეულოსთან მივუშვებ, რაღაცეებს აკეთებს, მაგრამ ინგრედიენტები მე უნდა გავუმზადო. დამიჭერი, დამისუფთავე, დამილაგე და მე შევკმაზავო, მეუბნება. რასაც აკეთებს, ძალიან გემრიელი გამოსდის. ვეხუმრები, მთლად ბოლომდე შენ ნუ დაიბრალებ, ჩემი წვლილიც რომ არის, ეგეც თქვი-მეთქი. რაჭველები მართლაც ოჯახის მოყვარულები არიან, ისინი ამით ცხოვრობენ.

**„დათოსთვის ბავშვების დატოვება მიზანშეწონილი არ არის, რადგან შეიძლება სახლი ამოყირავებული დაგვხვდეს".**

**— რაჭველი მამაკაცები დინჯებიც არიან, მაგრამ ბატონი დავითი ასეთი არ ჩანს, საკმაოდ ფიცხიც არის ხოლმე.**

— ისეთ სფეროშია, ცოტა თუ არ გაცხარდა, ნამეტანი რაჭველობაც არ გამოადგება. დათოს ეკრანზე მკაცრს ხედავენ, მაგრამ ეკრანმიღმა აბსოლუტურად სხვანაირია. მასთან ერთად ძალიან კარგად შეიძლება მოილხინო. არაჩვეულებრივად ხუმრობს, კარგად გაგამხიარულებს. ძალიან ბევრი დადებითი თვისება აქვს იმის გარდა, რასაც ადამიანები ეკრანზე ხედავენ. იქ ბევრად მკაცრი ჩანს, ვიზუალურადაც რეალურ ცხოვრებაში სხვანაირია.

**— როცა სახლშია, ბავშვების მოვლაში გეხმარებათ?**

— კი, ამ ორი ბავშვის მოვლაში სულ მეხმარებოდა და, იმედია, ანდრიას გაზრდაშიც დამეხმარება. პატარებს ხომ ღამე უნდებათ ყველაფერი, დათო უცებ წამოხტებოდა ხოლმე, საჭმელს ვერ აჭმევდა, რადგან ორივე შვილი ბუნებრივ კვებაზე მყავდა, მაგრამ მაინც იღვიძებდა. რაღატომ იღვიძებ, საჭმელს მაინც ვერ აჭმევ-მეთქი, ვეუბნებოდი, მაგრამ მაინც დგებოდა, დაგჭირდები ან წყლის დასხმაში, ან ბავშვის დაბანაშიო. ჩუმად მინდა ხოლმე ადგომა, რომ არ გავაღვიძო, მაგრამ შუა ძილშიც რომ იყოს, ხმას თუ გაიგებს, მაშინვე წამოხტება.

**— პატარებთან როგორია, ანებივრებს თუ ხანდახან უჯავრდება?**

— დათო ბავშვებს ვერ უჯავრდება თუ არ უჯავრდება, არ ვიცი, ამიტომაც რაღაცეებს აფუჭებენ. ამის გამო მთლად ბოლომდე, ასი პროცენტით დათოსთვის ბავშვების დატოვება მიზნაშეწონილი არ არის, რადგან შეიძლება სახლი ამოყირავებული დაგვხვდეს. საბოლოოდ მკაცრი მე გამოვდივარ ხოლმე.

**— მართალია, მეოთხე შვილზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მაინც ხომ არ ფიქრობთ უკვე?**

— ვნახოთ, ყველაფერი უფლის ნებაა. შვილებზე და ოჯახის გამრავლებაზე კარგი არაფერია.

**— ადრეულ ასაკში გათხოვდით და უკვე სამი შვილის დედა ხდებით. როგორ აუღეთ ალღო ოჯახის დიასახლისობას?**

— ალბათ შინაგანად იმდენად მეოჯახე ვარ, რომ ეს ჩემთვის პრობლემა არ აღმოჩნდა. კარიერისტი ქალები ხომ არიან ან ადამიანები, რომლებიც დღის განმავლობაში სახლიდან აუცილებლად უნდა გავიდნენ, მე ასეთი არ ვარ. ამ ყველაფერს სახლში ვეძებ და ვინაზღაურებ. უფრო მეოჯახე ვარ, ვიდრე კარიერისტი. ალბათ ხასიათმა შემიწყო ხელი, რომ ამ პატარა ასაკში ოჯახში ყველაფერი რაღაცნაირად ავაწყვე.

**— რამდენი წლის გათხოვდით?**

— 20 წლის. დედაჩემიც ძალიან ახალგაზრდა, 16 წლის იყო, რომ გათხოვდა, ბებიაჩემი, თუ არ ვცდები, 15 წლის იყო, როცა ოჯახი შექმნა. ალბათ შინაგანად მეოჯახეები ვართ.

**— ამ პერიოდის განმავლობაში რა ეტაპების გადალახვა მოგიწიათ, რას შეეგუეთ და რას — ვერა?**

— როცა ოჯახი იქმნება, ასაკს მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის უფროსი და ვინ უმცროსი, ცოლ-ქმარი ერთი ასაკის არიან თუ არა, რაღაც სირთულეები ყველგან არის. ბევრ ჩემს მეგობარს, რომლებსაც თანატოლი ქმრები ჰყავთ, მაინც აქვთ რაღაც პრობლემები, ზოგიერთებს კი ისეთი, რომ ოჯახსაც ვერ ინარჩუნებენ. ჩვენ, ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად გვაქვს.

**„ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ისეთი მეუღლე მყოლოდა, კარს ხომ გავუღებდი, ამით ბედნიერი ყოფილიყო. დათო ათასი პროცენტით ზუსტად ასეთია".**

**— და ამაში ყველაზე მეტი წვლილი ვის მიუძღვის, თქვენ თუ ბატონ დავითს?**

— ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ისეთი მეუღლე მყოლოდა, რომელსაც ოჯახი, შვილები ეყვარებოდა, მეოჯახე იქნებოდა, კარს



Cyan Magenta Yellow Black

რომ გავუღებდი, ამით ბედნიერი ყოფილიყო. დათო ათასი პროცენტით ზუსტად ასეთია. ერთი წუთიც რომ ჰქონდეს თავისუფალი, სახლში მორბის. რაღაცეებში კი დამთმობი მე ვარ, რაღაცეებს ვუთმობ ხოლმე.

— **მაგალითად, რისი დათმობა გიწევთ ქმართან?**

— კონკრეტულად არ მახსენდება, დათო ისე სერიოზულად არც გაბრაზებულა, რომ გამახსენდეს, მაგრამ საერთოდ დამთმობი ხასიათი მაქვს. ოჯახი რომ შეინარჩუნო, ვიღაცამ უნდა დათმოს. დედასთანაც კი კამათობს ადამიანი და მეუღლესთანაც იქნება ასეთი მომენტები, ორი განსხვავებული ადამიანი ყოველთვის რაღაცაზე იკამათებს. ღმერთმა ნუ ქნას, ერთმანეთს ყველაფერზე რობოტებივით თავი ვუქნიოთ.

— **როცა ოჯახი შექმენით, თქვენ შორის ასაკობრივ სხვაობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ. ეს როგორ მოქმედებდა მაშინ თქვენზე?**

— ამაზე ახლაც ბევრს ჭორაობენ. არავინ თქვას, მსგავსი რაღაცეები არ მაინტერესებს და ჩემზე არ მოქმედებსო, თუმცა ალბათ ხასიათსაც გააჩნია. მე ასეთი ვარ, ხალხის აზრი მაინტერესებს. ინტერნეტში ხანდახან ისეთ აბსურდულ რაღაცეებს ვკითხულობ, მგონია, რომ ამ ხალხს არც პირადი ცხოვრება აქვს და არც ის იციან, ოჯახი რას ნიშნავს, არც ცოლის, ქმრის, შვილების სიყვარული განუცდიათ, ყველაფერი მატერიალურ კეთილდღეობაზე გადააქვთ. გასაგებია, რომ მატერიალურად კარგად ყოფნა ბევრ რამეს ცვლის, მაგრამ მითხარით, თუ ვინმეს ოდესმე საყვარელ ადამიანთან პრობლემა ჰქონია, მატერიალურ კეთილდღეობას ის პრობლემა შეუცვლია? რა თქმა უნდა, არა.

— **იმის თქმა გინდათ, რომ ხალხი ფიქრობს, მატერიალური კეთილდღეობის გამო გახდით დათო საგანელიძის ცოლი?**

— კი, ჩემს ამ ნაბიჯს მატერიალურს უკავშირებენ, მაგრამ რაც უნდა დიდი კეთილდღეობა გქონდეს, როდემდე იქნები ამ კეთილდღეობაში გამომწყვდეული, თუ პიროვნების მიმართ სიყვარული არ გაქვს? გასაგებია ნივთები, სახლი, მაგრამ როდემდე იქნება ეს ყველაფერი? მხოლოდ კედლებს ხომ არ დაელაპარაკები? პირველ რიგში, ადამიანთან გაქვს ურთიერთობა და ამის მიხედვით ხარ ბედნიერი. დანარჩენიც თუ არის, მშვენიერია.

— **როგორააწყვეთ ქმრის ოჯახთან, დედამთილთან ურთიერთობა?**

— როცა დათოს გავყევი ცოლად, სამწუხაროდ, მისი მამა ახალი გარდაცვლილი იყო. დედა, ლილიკო (ასე ეძახიან შვილიშვილები), არაჩვეულებრივი პიროვნებაა, მასთან თავს კარგად ვგრძნობ. პედაგოგია, ჩემს ასაკზე დიდი სამუშაო სტაჟი აქვს. ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან, ბედნიერია, რომ გადასარევი შვილიშვილები ჰყავს.

— **სიძე-სიდედრს როგორი ურთიერთობა აქვთ?**

— დათო დედაჩემს ეხუმრება ხოლმე, სოფო დედაჩემს დედას ეძახის, მე დედიკო ხომ არ დაგიძახოო (სოფოს დედა სიძეზე, დავით საგანელიძეზე უმცროსია. ავტ.). ასე ხუმრობა-ხუმრობით მშვენივრად არიან.

— **ბატონი დავითი თავდაპირველად ბიზნესით იყო დაკავებული, შემდეგ პოლიტიკაში გადაინაცვლა. ახლა, სავარაუდოდ, ბიზნესში აპირებს დაბრუნებას. თქვენ სად გირჩევნიათ ქმრის ყოფნა?**

— საერთოდ დათო ისეთი ტიპია, სახლში პრობლემა არასდროს შემოაქვს. როცა ტელევიზორს ჩავრთავ და მასზე რამეს წავაწყდები, სახლში დაძაბული ვხვდები. რა მოხდა, რა იყო, შენ ხომ არ ნერვიულობ-მეთქი, ვეკითხები. ამაზე კი მპასუხობს, სადაც ვარ, ისიც მეყოფაო. ცდილობს, სახლში პოლიტიკაზე არ ილაპარაკოს. გვიან მოდის და, თუ ბავშვებს არ სძინავთ, დროს მათთან ერთად ატარებს, პოლიტიკაზე საუბარს მშვიდ გარემოში ყოფნა ურჩევნია.

**„რაც უნდა დიდი კეთილდღეობა გქონდეს, როდემდე იქნები ამ კეთილდღეობაში გამომწყვდეული, თუ პიროვნების მიმართ სიყვარული არ გაქვს? პირველ რიგში, ადამიანთან გაქვს ურთიერთობა და ამის მიხედვით ხარ ბედნიერი. დანარჩენიც თუ არის, მშვენიერია".**

შეიძლება ბიზნესს კვლავ დაუბრუნდეს, მაგრამ ეს როდის იქნება კონკრეტულად, ამის შესახებ ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია. ბიზნესში როცა იყო, მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა, მაგრამ არც იმდენი, რომ თავზესაყრელი ყოფილიყო. დათო სადაც არის, ყველგან მაქსიმალურად იხარჯება.

— **სად და როგორ გარემოში შეხვდებით ახალ წელს, რა ოჯახური ტრადიცია გაქვთ?**

— სახლში ვიქნებით. ოჯახის წევრები გამოვიპრანჭებით და ჭიქით ხელში შევხვდებით ახალ წელს. რა კერძებიც გვექნება, სუფრაზე ყველაფერს დავდებთ, როგორც ყველა ქართულ ტრადიციულ ოჯახში ხდება. ახალი წლის ღამეს ერთმანეთს მივულოცავთ, საჩუქრებს ვაჩუქებთ. ბავშვებს სჯერათ, რომ თოვლის ბაბუა ბუხრიდან ჩამოდის და მათთვის საჩუქრები მოაქვს. განსაკუთრებული ტრადიციები არ გვაქვს, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ახალი წლის ღამეს, 12 საათზე, აუცილებლად სახლში უნდა ვიყოთ, რომ სახლში ყოფნა, ბედნიერება დაგვებედოს. მინდა, ახალმა წელმა მთელ საქართველოს ხვავი, ბარაქა მოუტანოს და ყველა ჯანმრთელად იყოს!

— **როგორი იყო გასული წელი თქვენთვის?**

— საკმაოდ დაძაბული, დატვირთული წელი იყო და, იმედია, ეს ყველაფერი ქვეყნის წინსვლასა და ხალხის ღიმილიან სახეებში გამოიხატება.

— **ქმარი საახალწლო სამზადისში მოგეხმარებათ?**

— რა თქმა უნდა, თუ ეცლება. თუ ვერ მოიცლის, დედამთილი მომეხმარება. ის რაღაცეებს მკარნახობს და მე ვაკეთებ ხოლმე.

✓ ეკა ლემონჯავა

# რა სიძნელეებს გაუძლეს ოთარ ტატიშვილმა და მისმა ცოლმა

## თიკა სვანიშვილი: „როცა მე და ოთარი შევუღლდით, მას ოფიციალურად ცოლი ისევ ჰყავდა“



**17** წელია, რაც შოუმენისა და ექიმის, ოთარ ტატიშვილის ცხოვრებაში არსებობს ქალი, რომლის გარეშეც ფაქტობრივად ვერაფერს ახერხებს. დილით მან უნდა მოუდუღოს ყავა, პერანგი, შარვალი ხელში მიაწოდოს. თუ ოთარი სახლში რჩება, სამსახურში არც ის უნდა წავიდეს... ასე ანებივრებს ოთარ ტატიშვილს ცოლი, თიკა სვანიშვილი. დანარჩენს თავისი მეორე ნახევრის შესახებ თიკა თავად გვიამბობს.

— **თიკა, როგორ გახსენდებათ თქვენი და ოთარის ურთიერთობის დაწყების პერიოდი?**

— რომ გავთხოვდი, 20 წლის ვიყავი, ოთარი — 25-ის. ჩვენ შორის ბევრი რომანტიკა იყო და კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ არა 1996-1997 წლები. ახლა გვეცინება ხოლმე, სად დავდიოდით, რითი ვირთობდით თავს და რაზე მეპატიჟებოდა. ძალიან სასაცილო იქნება ჩვენი ისტორია ახლანდელი ბავშვებისთვის. არ არსებობდა კაფე, თეატრი, კინო, ძირითადად ქუჩა-ქუჩა ვსეირნობდით. ფილარმონიასთან ერთი ღია კაფე „ნატალი“ იყო, სადაც ოთარი ყავაზე, კომბოსტოსა და სტაფილოს სალათზე მეპატიჟებოდა. მეტი ფინანსური შესაძლებლობა არც იყო. სამედიცინო უნივერსიტეტიდან ხშირად ფეხით მოვდიოდით, სახლამდე მაცილებდა, სულ ეს იყო ჩვენი რომანტიკა. პატარ-პატარა საჩუქრებითაც მანებივრებდა, რაც ასევე რთულად იშოვებოდა. თუ სახლებში რამე გვქონდა, ის ყველაფერი ჩუმად მიგვქონდა ერთმანეთისთვის.

**„ოთარს ჩემგან ხელშეწყობა რომ არ ჰქონდეს, ვფიქრობ, ასეთი წარმატებისთვის მიეღწია".**

ერთ ძალიან სასაცილო ისტორიას გავიხსენებ: ოთარს ძალიან უყვარს ეგვიპტური კულტურა. ერთხელ მითხრა, შენთვის კარგი საჩუქარი, ეგვიპტური პაპირუსი მაქვს, რომელზეც ეგვიპტური კალენდარიაო. რომ დავინახე, გავგიჟდი, ისე მომეწონა, ჩარჩოში ჩავსვი და კედელზე ჩამოვკიდე. მას მერე წლები გავიდა, მე და ოთარი დავქორწინდით, ჩემი დედამთილი რომ მოვიდა და კედელზე ჩამოკიდებული კალენდარი დაინახა, თქვა, ასეთი მეც მქონდა სახლში და ვერსად ვპოულობო. აღმოჩნდა, რომ ეს ეგვიპტური პაპირუსი ჩემი დედამთილისთვის თავის მოსწავლეს უჩუქებია. ოთარმა კი გადაწყვიტა, ჩემთვის ეჩუქებინა.

ჩვენ რომ დავქორწინდით, მაშინვე მოსკოვში წავედით. ბავშვთან ერთად ხშირად მიწევდა საქართველოში ჩამოსვლა. სანამ წამოვიდოდი, იქ კარადებში წერილებს ვმალავდი ხოლმე და მერე ოთარი ნახულობდა. ხან სამზარეულოს კარადაში აღმოაჩენდა წერილს და →22

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ხან — საძინებლის. ახლა ის პერიოდი ძალიან კარგად და ტკბილად გვახსენდება.

**— საიდან მოდიოდა თქვენი ასეთი ენთუზიაზმი იმ გაჭირვებისა და დეპრესიის პერიოდში, თანაც ოთარს მაშინ ხომ ჯერ კიდევ ჰყავდა ცოლი?**

— ასაკი, სიყვარული. ბავშვი თბილისში გავაჩინე და ერთი თვის იყო, მოსკოვში რომ წავიყვანე. მე 21 წლის ვიყავი. მანამდე არც მე და არც ოთარს ყოფითი პრობლემები არ გვეხებოდა. იქ ცხოვრებამ სულ სხვანაირი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბა, ბევრი რამ გვასწავლა, ჩვენი ოჯახის სიმყარისთვის კარგი გამოცდა იყო. არ ვჩხუბობთ იმ თემებზე, რაზეც შეიძლება სხვა წყვილებმა იჩხუბონ. 21 წლის გოგოსთვის იმ ქვეყანაში ყოფნა, სადაც 9 თვე ზამთარია და ქმრის მეტი ახლობელი არავინ ჰყავს, ძალიან რთულია. ყველაფრის მიუხედავად, ის პერიოდი კარგად მახსენდება.



**„დედამ რომ გაიგო, მე და ოთარს რომანი გვქონდა, მითხრა, ერთადერთი, რაც შენ გამართლებს, შენი ასაკიაო... ჩვენ ისეთი გრძნობა გვქონდა, რომელსაც დედამიწის ზურგზე წინ ვერავინ დაუდგა".**

ოთარს ცოლად რომ გავყევი, სადილის გაკეთებაც არ ვიცოდი. მოსკოვიდან დედას ვურეკავდი და მისი დახმარებით ვამზადებდი, ნელ-ნელა ყველაფერი ავითვისე. ოთარსაც ისეთი ყოჩაღი დედა ჰყავს, რომ მას სახლში არაფრის გაკეთება უხდებოდა, მშობლები მხოლოდ იმაზე იყვნენ ორიენტირებული, რომ მათ შვილს ესწავლა. ამის გამო ისიც კი არ იცოდა, პური რა ღირდა. მერე კი ძალაუნებურად პურის ფასებში გარკვევაც მოუწია და ბაზარში სიარულიც.

მე და ოთარი საღამოობით ხშირად ვსაუბრობთ იმ დღეებზე, რომლებიც ტკბილ მოგონებად გვექცა. მოსკოვში თავისუფალ დროს ვისხედით და ხან ნარდს ვთამაშობდით, ხან — ბანქოს. იმ სიცივეში სად უნდა წავსულიყავით, არც ფული გვქონდა სასიარულოდ, იქვე პიცერია იყო და იქ თუ ჩავიდოდით. სულ ეს იყო ჩვენი გართობა.

**— სანამ თქვენი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზრდებოდა, თქვენთვის არ იყო დამაფიქრებელი ის, რომ თქვენს საყვარელ მამაკაცს ორი შვილი და ცოლი ჰყავდა?**

— სხვათა შორის, დედამ რომ გაიგო, მე და ოთარს რომანი გვქონდა, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა და მითხრა, ერთადერთი, რაც შენ გამართლებს, შენი ასაკიაო. ოთარი რომ გავიცანი, 19 წლის ვიყავი. დედამ მითხრა, ახლა ვერ ხვდები რაღაცეებსო და მართალიც იყო. დღეს რომ ვიდგე იმავე გადაწყვეტილების წინაშე, ძალიან ბევრ რამეზე დავფიქრდებოდი. იმას არ ვამბობ, რომ ვნანობ. ერთი წამითაც არ მინანია, ისევ ისევ გავივლიდი იმ ყველაფერს, როგორც გამოვიარე. მე იმას ვამბობ, რომ თურმე იმაზე მეტად სანერვიულო იყო, ვიდრე მეგონა. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ ჩემს შვილს ორი უფროსი ძმა ჰყავს, რომლებიც მისთვის ყველაფერი არიან. შოთიკო ნანიკოზე 2 წლით უფროსია, ყოველწამიერი ურთიერთობა აქვთ და ჩემთვის ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?!

**— მაშინ თქვენზე ბევრს იჭორავებდნენ, ბევრი გაგკიცხავდათ ამ ნაბიჯისთვის.**

— ძალიან რთულად გადასატანი იყო ჩემთვის ჭორები. ინსტიტუტში ოთარი ერთ-ერთი პოპულარული ბიჭი იყო, რომელსაც ყველა იცნობდა. როცა შევუღლდით, მას ოფიციალურად ცოლი ისევ ჰყავდა, ამას არ უარვყოფ. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის, მაგრამ ჩვენ ისეთი გრძნობა გვქონდა, რომელსაც დედამიწის ზურგზე წინ ვერავინ დაუდგა. ჩვენ რომ დავქორწინდით, დედაჩემი დიდ განცდებში იყო. ეუბნებოდნენ, როგორ დაუშვი ასეთი რაღაცო, მაგრამ ყველას პასუხობდა, ხომ არ ჩავკეტავდი, არც მე მინდოდა, ასე მომხდარიყო, მაგრამ რა ვქნაო. დღეს უკვე არც მე მინდა, ჩემმა შვილმა ასეთი რაღაც გააკეთოს, მაგრამ იმ გრძნობის წინააღმდეგ, რომელიც მე და ოთარს გვქონდა, ვერც დედაჩემი გახდებოდა რამეს და ვერც ვინმე ახლობელი. ჩვენ ასეთი ძლიერი სიყვარული რომ არ გვქონოდა, ალბათ ჩვენი ოჯახიც დაინგრეოდა, მით უმეტეს, ამდენი პრობლემის ფონზე.

დღეს ვამბობ, რომ სამი შვილი მყავს, სამივე შვილს ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან და ამით ბედნიერი ვარ. ნანიკო მეუბნება, კიდევ ერთი შვილი, გოგო გააჩინეო. ვეუბნები, ასე როგორ დავგეგმო-მეთქი, მაგრამ წუწუნებს, კიდევ ბიჭი რომ იყოს, ცოდო ვარ სამი ძმის ხელშიო. ხომ ხვდები, რა დღეში ვიქნებიო.

**— ოთარს უნდა კიდევ ერთი შვილი?**

— უნდა, მაგრამ თან ამბობს, ამდენი ბავშვი სად წავიყვანო, ზუკა 22 წლის ხდება, მალე ის მოიყვანს ცოლს, მას ეყოლება შვილიო... ქალმა 30 წლის მერე აუცილებლად უნდა გააჩინოს შვილი, ამ დროს სულ სხვა შეგრძნება გაქვს და უფრო აცნობიერებ, რას ნიშნავს შვილის დაბადება. აქამდეც რომ არ გავაჩინე, ძალიან ვნანობ.

**— ქმრის რა ჩვევებთან და თავისებურებებთან მოგიხდათ შეგუება?**

— პირველი წელი უფრო შეგუების იყო. ახლა სულ ვფიქრობ, გასათხოვარი რომ ვიყო, ალბათ ვერც გავთხოვდებოდი-მეთქი. სრულიად უცხო ადამიანს უნდა შეეგუო, ის სხვანაირადაა გაზრდილი, შენ — სხვანაირად... ახალდაქორწინებულები ვიყავით, როცა ოთარზე გავბრაზდი, ეს რაღაცეები სად დაუყრია-მეთქი და დედაჩემს გაეცინა. მითხრა, წლები რომ გავა, ამაზე სიცილით მოკვდებიო. ახლა მართლაც სასაცილოდ მეჩვენება. სხვა იმდენი პრობლემაა, რომ შარვალს როგორ დადებს, ამაზე კამათი არ ღირს.

**„სამსახურში დამირეკა, სად არის ჩემი შარვალიო. ვუთხარი, კარადაში-მეთქი და მიპასუხა, შარვალს კარადაში რა უნდა, სადაც დავდე, იქ უნდა იყოსო. ასეთი ტიპია, არავის აქვს უფლება, მის დისკებს, წიგნებს ხელი ახლოს".**

ერთხელ სამსახურში ვიყავი და დამირეკა, სად არის ჩემი შარვალიო. ვუთხარი, კარადაში-მეთქი და მიპასუხა, შარვალს კარადაში რა უნდა, სადაც დავდე, იქ უნდა იყოსო. ოთარი ასეთი ტიპია, არავის აქვს უფლება, მის დისკებს, წიგნებს ხელი ახლოს. ასე შორიდან უნდა ვწმინდო და არ შევეხო. სადაც რას დადებს, იქ უნდა დახვდეს. აბაზანაში რომ შეგახედოთ, სიცილით მოკვდებით, იმდენი წიგნი დევს, შუაღამეზე რომ ადგეს, თვალდახუჭულმა უნდა მიაგნოს, არ უნდა გადავაადგილო. მეც არ ვიშლი ამის გამო ნერვებს. იდოს, რა პრობლემაა!

**— თქვენგან დიდი ხელშეწყობა სჭირდება?**

— კი, ასეა. სულ ვამბობ, ნანიკო 15 წლის არის, მაგრამ მას არ სჭირდება ისეთი მოვლა, როგორიც ოთარს. ნანიკო დილით ადგება, თავისით ჩაიცვამს, შეჭამს, წავა, მოვა, გაკვეთილებს მოამზადებს, ოთარს კი ყველაფერი ხელში მიწოდებული უნდა.

**— თუ სახლში არ ხართ, მაშინ როგორ უვლის თავს?**

— უნდა ვიყო! მე უკვე მიჩვეული ვარ, რომ ასე უნდა იყოს, სწორედ ამიტომ სამსახურის რეჟიმიც შესაბამისად მაქვს აწყობილი. ძირითადად მთელ დღეებს სამსახურში ატარებს, მაგრამ, როცა სახლშია, მეც სახლში უნდა ვიყო. როცა ოთარს გადაღება აქვს, იმ დღეს სამსახურში არ მივდივარ. ასე ჩამოყალიბდა ჩვენი ურთიერთობა. მისთვის საშინელი დისკომფორტია, როცა დილით დგება და მე სახლში არ ვარ. ამ დროს თავად უნდა მოიდუღოს ყავა, პერანგი თავად უნდა მოძებნოს. ვიცი, მაინც ვერ იპოვის და ისევ ტელეფონზე უნდა ვიყო ჩამოკიდებული. ჩემგან ხელშეწყობა რომ არ ჰქონდეს, ვეჭვობ, ასეთი დიდი წარმატებისთვის მიეღწია. თუმცა არ ვამბობ, რომ ყველაფერი ჩემი დამსახურებაა. მანამდე დედამისი ზრუნავდა, რომ ოთარს ყველაფერი დაწყობილ-გამზადებული ჰქონოდა.

**— შვილებთან როგორია, მომთხოვნია თუ ანებივრებს?**

— სამივეს ძალიან ანებივრებს. საკმაოდ მეგობრული მამაა, საერთოდ არაა მკაცრი. რომელიმე შვილმა რომ უთხრას, მინდა, ხვალ კოსმოსში გავფრინდეო, ეტყვის, კი, კაცო, რა პრობლემააო. მათთვის ოთარისგან სიტყვა „არა" არ არსებობს. სულ ვეუბნები, მე 15 წლის ასაკში ღამის 9 საათზე კონცერტზე არავინ გამიშვებდა-მეთქი. ის კი შვილებს არაფერს უშლის. მე უფრო მკაცრი ვარ.

**— ოთარი თქვენ მიმართაც ასეთი რბილია?**

— ჩემ მიმართაც ძალიან რბილია. 17 წელია ცოლ-ქმარი ვართ და არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, ეთქვას, ან იქ არ წახვიდე, ან ეს არ ჩაიცვაო. ოთარისგან ასეთი რაღაცეები გამორიცხულია. არც ეჭვიანია.

**— თქვენც არ ხართ პოპულარული ქმრის მიმართ ეჭვიანი?**

— ვერ ვიტყვი, რომ ეჭვიანი ვარ. როცა რესტორანში ან სადმე მივდივართ, ოთარი ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცევა. სხვათა შორის, ჩვენი მეგობრის გერმანელი ცოლი იცინოდა, შენ რა კარგი ნერვები გქონია, მე ძალიან გავბრაზდებოდი, ჩემს ქმართან უცხო გოგონები რომ მოვიდნენ და უთხრან, თუ შეიძლება თქვენთან სურათს გადავიღებო. ხშირად საკმაოდ გამაღიზიანებელი რაღაცეებიც ყოფილა, ისეთი შემთხვევები, როცა უცდიათ, ჩვენს პირად ცხოვრებაში შემოჭრილიყვნენ...

ოთარს სულ ვეუბნები, ბედნიერი ადამიანი ხარ, რომ ქუჩაში ყველა გიღიმის, თბილად გხვდებიან-მეთქი. ყველა მოდის და სიყვარულს უხსნის. ვენდობი და მთავარი ესაა. ასეთ წვრილმანებს რომ ყურადღებას ვაქცევდე, ჩვენი ურთიერთობა სერიოზულ კონფლიქტში გადავიდოდა. როგორ შეიძლება ყველაფერი გავაკონტროლო — ვინ დაურეკავს, ვინ წერილს მისწერს, ვის შეხვდება...

**— 17 წლის განმავლობაში რა ცვლილებები განიცადა თქვენმა ურთიერთობამ?**

— ცუდისკენ არაფერი შეცვლილა, ღმერთმა დაგვიფაროს! კარგი კი ის მოხდა, რომ ჩვენ შორის დიდი ნდობაა, „მოხარშულს" ვიცნობთ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ეს კარგია ბავშვებისთვის, ჩვენი ოჯახის სიმტკიცისთვის. უფრო მომთმენებიც გავხდით და იმასთან შედარებით, რაც ვიყავით, უფრო დავჭკვიანდით.

თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებთ, ძირითადად ჩვენთან მოდიან. ოთარი მეუბნება ხოლმე, ახლა არ დამიწყო, არ დალიო, დღეს უნდა განვიტვირთოო. მართალიცაა, სულ სამსახურზე ფიქრიც არ შეიძლება. მეც მჭირდება ხოლმე დასვენება, სტომატოლოგი ვარ და ჩემი საქმე ძალიან მიყვარს. ხშირად კი მეკითხებიან, რა აქვს საყვარელი მაგ პროფესიასო, მაგრამ მე მიყვარს.

✓ **ქეთი დინოშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

## განსაცდელი

# ჯანეტ ქერდიყოშვილი საავადმყოფოში სერიოზული დიაგნოზით წევს

### „ახალ წელს ალბათ კლინიკაში შევხვდები“



■ ჯანეტი ხარკოვის კლინიკის ეზოში

ქართველი ლამაზმანი, „მის საქართველო 2011“ ჯანეტ ქერდიყოშვილი, „მის სამყაროს“ კონკურსის მაგივრად საავადმყოფოში აღმოჩნდა თირკმლების შეტევით. „მის სამყარო“ 9 ნოემბერს მოსკოვში ჯანეტის გარეშე ჩატარდა. ამ კონკურსისთვის ის დიდხანს ემზადებოდა, მაგრამ ჯანმრთელობამ უმტყუნა და ერთი დღით ადრე კლინიკაში მოხვდა. მას შემდეგ საავადმყოფოშია პიელონეფრიტს მკურნალობს. ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა უკვე სტაბილურია, მაგრამ ჯერჯერობით სტაციონარული მკურნალობის გაგრძელება მაინც სჭირდება.

„სარკე“ ჯანეტს ხარკოვში დაუკავშირდა. საბედნიეროდ, გოგონა თავს უკეთესად გრძნობს, თუმცა დიდი შანსია ახალ წელს საავადმყოფოში შეხვდეს, რაზეც გული ძალიან სწყდება.

**— ჯანეტ, გწუხვართ, რომ ეს უსიამოვნება დაგემართათ. მალე გამოჯანმრთელებას გისურვებთ და იმედი გვაქვს, რომ ასეც იქნება. მოგვიყევით, რა დაგემართათ, საავადმყოფოში როგორ აღმოჩნდით.**

— საავადმყოფოში თირკმლების შეტევით, პიელონეფრიტის დიაგნოზით მოვხვდი. როგორც იცით, 9 ნოემბერს მოსკოვში „მის სამყაროს“ ფინალი იყო. იქ რამდენიმე დღით ადრე, 20 ოქტომბერს უნდა ჩავსულიყავი. მოსკოვში ხარკოვის გავლით მივდიოდი, მაგრამ იქამდე ვერც ჩავაღწიე, ხარკოვში სასტუმროში ყოფნისას ცუდად გავხდი. თავიდან მეგონა, რომ ეს მსუბუქი შემთხვევა იყო და ბილეთები გადავცვალე, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ აღმოჩნდა.

მოკლედ, მოსკოვში ჩაფრენამდე ერთი დღით ადრე ტემპერატურა 39 გრადუსამდე ამივიდა. ვიფიქრე, ალბათ გავცივდი-მეთქი, მაგრამ სიცხე წამლებით რომ ვერ დამიგდეს, საავადმყოფოში წამიყვანეს. ტემპერატურის აწევიდან დაახლოებით 5 საათში კი მუცლის ტკივილიც დამეწყო. გამოკვლევებით მუცლის არეში რაღაც სითხე ნახეს, მაგრამ ვერ გაიგეს, რა იყო. ჩატარებული პროცედურების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს საშიში არ იყო, ტკივილი კი მაინც გრძელდებოდა. ანალიზებმა აჩვენა, რომ ჰემოგლობინი ნორმაზე სამჯერ ნაკლები მქონდა, ლეიკოციტები კი — დადგენილ ზღვარზე სამ-ოთხჯერ მეტი. როგორც შემდეგში გაირკვა, თირკმლების შეტევა იყო.

**— თირკმლების პრობლემა მანამდე არასდროს გქონიათ?**

— არა. არც კი ვიცოდი, თირკმლის ტკივილი რა იყო. საავადმყოფოში მოხვედრა ჩემთვის დიდი შოკი იყო. სტრესში ვიყავი, რადგან იქ ოჯახის წევრებიც არ მახლდნენ, მაგრამ მეორე დილით თვალი რომ გავახილე, ჩემები უკვე ჩემთან იყვნენ.

**— რამ გამოიწვია ასეთი სერიოზული პრობლემა?**

— როგორც ექიმებმა მითხრეს, არასწორი რეჟიმი და კვება მქონდა, ზედმეტად დატვირთული ვიყავი. მართლაც ბოლო სამი თვე დაძაბული რეჟიმი მქონდა — სწავლა, სამსახური, „მის სამყაროსთვის“ ვემზადებოდი... ვერ ვიტყვი, რომ ამ გრაფიკს ვერ ვუძლებდი. ყველაფერს კარგად ვაკეთებდი, ვასწრებდი, მომწონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ორგანიზმმა თავისი სიტყვა თქვა.

**— ახლა თავს როგორ გრძნობთ?**

— იმაზე უკეთესად ვარ, ვიდრე თავდაპირველად ვიყავი, მაგრამ, რადგან ბევრ წამალს ვიღებ, ორგანიზმი ძალიან დამისუსტდა, არა — ავადმყოფობის, არამედ ბევრი წამლის მიღების გამო. რაღაც პერიოდი კარგად ვიყავი და ექიმებს ვეუბნებოდი კიდეც, სახლში გამიშვით-მეთქი, მაგრამ... ნეფრიტის სხვადასხვა ფორმებია. მე, სამწუხაროდ, რთული ფორმა მაქვს. ხანგრძლივი მკურნალობა მჭირდება. ექიმები მეუბნებიან, საშიში არაფერია, მოითმინე და ყველაფერი კარგად იქნებაო და მეც ვითმენ.

> „რაღაცები გადავაფასე. მივხვდი, რომ ცხოვრებაში რაღაცას არასწორად ვაკეთებდი და ამიტომაც ვარ ახლა ასე. ეს ხომ უბრალოდ არ ხდება? ეს რაღაცის ნიშანია. ალბათ უფალს ასე სურდა“.

**— მკურნალობის სახლში გაგრძელების უფლებას არ გაძლევენ?**

— აქ ასეთი წესი აქვთ, თუ მკურნალობას დაიწყებ, ბოლომდე მიგაყვანინებენ. მკურნალობის დასრულების შემდეგ კი ალბათ სადმე გამიშვებენ, მაგალითად, როგორი ადგილიც ჩვენთან არის საირმე, ბორჯომი, რომ მინერალური წყალი ვსვა და თირკმლები გამისუფთავდეს.

**— საავადმყოფოდან როდის გამოგწერენ?**

— ამას აღარც ვკითხულობ. თავიდან მითხრეს, დეკემბრის ბოლოს შეიძლება გაგიშვათ და ახალ წელს სახლში შეხვდეო, მაგრამ მერე უარი გამომიცხადეს, ჯობია, ბოლომდე გამოჯანმრთელდეო.

**— ალბათ როგორ დაგწყდათ გული, რომ კონკურსზე, რომლისთვისაც დიდხანს ემზადებოდით, გასვლას ვერ შეძლებდით.**

— გული ძალიან დამწყდა. ახლა ამაზე საუბარი შემიძლია, მაგრამ მაშინ ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს რაღაც დავკარგე.

> „ჰემოგლობინი ზომაზე სამჯერ ნაკლები მქონდა, ლეიკოციტები კი — დადგენილ ზღვარზე სამ-ოთხჯერ მეტი... ექიმებმა მითხრეს, რომ არასწორი რეჟიმი და კვება მქონდა, ზედმეტად დატვირთული ვიყავი და ორგანიზმმა თავისი სიტყვა თქვა“.

ამ კონკურსისთვის მართლა დიდი შემართებით ვემზადებოდი, თან ამ საქმეში ბევრი ადამიანი იყო ჩართული.

თქვენი საშუალებით მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ია კიწმარიშვილს, ასევე ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლებს, რომ ამ კონკურსზე გამიშვეს (ჯანეტი „დღის შოუს“ ერთ-ერთი წამყვანია. ავტ.). სამსახური ერთი თვის დაწყებული მქონდა, მეგონა, ჩემი იქ წასვლა არ მოეწონებოდათ და არ დამთანხმდებოდნენ, მაგრამ პირიქით, „იმედი“ მხარში დამიდგა, აბა, შენ იცი, იქიდან „სკაიპითაც“ ჩაგრთავთ, ამბები მოგვიყევიო. სამწუხაროა, რომ ჩემი ავადმყოფობის გამო ეს ყველაფერი ვერ განავახორციელეთ.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ გული საშინლად დამწყდა. სოციალური ქსელით ბევრ კეთილ წერილს ვიღებდი, თანადგომას მიცხადებდნენ, მანუგეშებდნენ, მამხნევებდნენ. ამან დიდი ძალა მომცა, ვგრძნობდი, რომ ხალხი გვერდით მედგა.

**— „მის სამყაროსთან“ დაკავშირებით გეგმები და იმედები გქონდათ?**

— ყველა ადამიანი თავის ცხოვრებაში რაღაც ეტაპს გადის. ეს →24



კონკურსიც ჩემთვის ერთ-ერთი ლამაზი ეტაპი იქნებოდა, თან საქართველოსთვის ეს არცთუ ისე ცუდი შანსი იყო. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ საქართველოს წარმომადგენელი მე ვიყავი. თუ ეს კონკურსი მართლაც პოლიტიკურია, ვთვლი, რომ წელს შეიძლებოდა საქართველოს იქ დიდი შანსი ჰქონოდა. ალბათ უფრო ამიტომ დამწყდა გული, რომ ეს შანსი ვერ გამოვიყენე.

— **როცა გავრცელდა ხმა, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო ამ კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებდით, ეს ფაქტი პოლიტიკურ მიზეზებს დაუკავშირეს. ამბობდნენ, რომ საქართველოს ამ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე უარი უთხრეს.**

— ეს ჭორები მეც გავიგე, ამაზე ალბათ თქვენც გაგეღიმათ და ახლა მეც მეღიმება. აბსურდია, რომ საქართველოს „მის სამყაროზე“ გამოსვლა აუკრძალეს. მე ორმაგი მოქალაქეობა მაქვს, რუსეთის მოქალაქეც ვარ, ამიტომ აქ ვიზის გარეშეც შემეძლო წამოსვლა. მოსკოვის „პირველი არხის“ რედაქტორს ვესაუბრეთ, მათ საქართველოს წარმომადგენელზე სიუჟეტის გაკეთება უნდოდათ. მე რუსეთში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ ჩემი სამშობლო საქართველოა, რომელიც ძალიან მიყვარს. ეს მათ კარგად იციან და ალბათ ისიც აინტერესებდათ, თუ როგორ ვხედავ ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ სიტუაციას. ეს პრობლემა ყველაზე მეტად ჩემთვისაა ახლობელი, რადგან მე რუსეთშიც ძალიან ბევრი ნათესავი მყავს... ალბათ მათთვის საინტერესო პერსონაჟი ვიქნებოდი.



**„მოსკოვის „პირველი არხის“ რედაქტორის ვესაუბრეთ, მათ საქართველოს წარმომადგენელზე სიუჟეტის გაკეთება უნდოდათ. მე რუსეთში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ ჩემი სამშობლო საქართველოა, რომელიც ძალიან მიყვარს. ეს მათ კარგად იციან და ალბათ ისიც აინტერესებდათ, თუ როგორ ვხედავ ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ სიტუაციას... ალბათ მათთვის საინტერესო პერსონაჟი ვიქნებოდი“.**

კონკურსის ორგანიზატორებს ქალბატონი ია კიწმარიშვილი დაუკავშირდა და ჩემი მდგომარეობა აუხსნა. რა თქმა უნდა, გული დასწყდათ, რომ ჩემთან დაკავშირებული გეგმები ვერ განახორციელეს, მაგრამ ეს ამბავი ჩვეულებრივად მიიღეს, არც არანაირი სანქცია დაუკისრებიათ, რადგან, კონტრაქტის მიხედვით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა მათთვის გასათვალისწინებელია. თუ მონაწილეს ჯანმრთელობის ოდნავი პრობლემა მაინც აქვს, ის კონკურსზე არ უნდა წავიდეს.

— **ახლა წოლითი რეჟიმი გაქვთ?**

— მაქსიმუმი, ერთი საათი შემიძლია ვიარო ძალიან ნელი ნაბიჯებით, საკმაოდ სუსტად ვარ. მაშინ კი, ცუდად რომ ვიყავი, საერთოდ ვერ ვდგებოდი. მხოლოდ სიარული მაქვს ნებადართული, ჩემთვის ზედმეტი დატირთვა, ნერვიულობა არ შეიძლება.

— **ძალიან დაითრგუნეთ საავადმყოფოში ყოფნით?**

— როგორც ჩანს, ძლიერი პიროვნება ვარ. საშინელებაა, როცა აქტიურ ცხოვრებას ხარ მიჩვეული, სულ ხალხში ხარ, საყვარელ საქმეს აკეთებ და უცებ ჩაკეტილ სივრცეში აღმოჩნდები. თავიდან უფრო მიჭირდა, თუმცა მეორე მხრიდანაც შეიძლება ამ ყველაფერს შეხედო: აქ ყოფნისას რაღაცეები გადავაფასე. მივხვდი, რომ ცხოვრებაში რაღაცას არასწორად ვაკეთებდი და ამიტომაც ვარ ახლა ასე. ეს ხომ უბრალოდ არ ხდება? ეს რაღაცის ნიშანია. ვთვლი, რომ ალბათ უფალს ასე სურდა.

— **კლინიკაში დრო როგორ გაგყავთ?**

— ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს შესაფერისი კომფორტი მაქვს, ასეთს მართლა არ ველოდი. სხვათა შორის, პრეტენზიული არ ვარ, რაც არის, იმას ვჯერდები, მაგრამ გამიმართლა, რომ აქ ძალიან კარგი სიტუაციაა. მედპერსონალისგან სითბოს ვგრძნობ, პალატაში სისუფთავეა, ცალკე ვარ, დედაჩემი გვერდით ოთახშია, ეს ყველაფერი ფსიქოლოგიურად მეხმარება. მაქვს ინტერნეტი, ტელევიზორი, საკაბელო არხებიც და შემიძლია „დღის შოუში“ ჩემს გოგოებს ვუყურო. ყველაფერი ვიცი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. ჩემთვის წიგნებიც მოაქვთ და ვკითხულობ. ამდენი ცხოვრებაში არ წამიკითხავს, სულ ვამბობდი, ამისთვის დრო არ მაქვს-მეთქი.

— **მკურნალობის დასრულების შემდეგ რაიმე შეზღუდვები გექნებათ? სამოდელო კარიერის გაგრძელებას შეძლებთ?**

— ექიმებსაც პირველი ეს ვკითხე, შეზღუდვები მექნებოდა თუ არა. საბედნიეროდ, ყველაფერი ისევ ისე იქნება, როგორც ადრე იყო. უბრალოდ ჩემს ჯანმრთელობას მეტად გავუფრთხილდები. როცა ახალგაზრდა ხარ, ჯანმრთელობა დიდად არ გაღელვებს, ფიქრობ, რომ ყოველთვის კარგად იქნები, ავადმყოფობა კი 50 და 60 წლის იქით იქნება. ასეთი აზროვნება ჩვენი, ახალგაზრდების, ძალიან დიდი შეცდომაა. ახლა უკვე რაღაც-რაღაცეებს მივხვდი და ჩემს თავზე სხვანაირად ვიზრუნებ.

✓ ეკა ლემონჯავა


## ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი



სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გპირდებათ...

**ჩაწერა ხდება წინასწარ.**

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.


# ლუკა ყვავილაშვილი: „გეგა ფალავანდიშვილს ჩემი ნახატის ყიდვა მოუნდა“

პროექტ „ნიჭიერის“ ფინალისტის, ლუკა ყვავილაშვილის სახლიდან სულ მუსიკის ხმა და კუბების ჩხაკუნი ისმის. მათ ოჯახში მუსიკა ყველას უყვარს, კუბერობით კი სერიოზულად მხოლოდ ლუკაა გატაცებული. „ნიჭიერში“ მისმა ნომერმა ყველა აღაფრთოვანა, განსაკუთრებით კი გეგა ფალავანდიშვილი, რომლის პორტრეტიც ბიჭმა კუბებითააწყო და პარალელურად მუსიკალური ნომერიც შეასრულა.

ლუკა 13 წლის არის. ერთი წელია, რაც ილია ვეკუას სახელობის მათემატიკურ სკოლაში სწავლობს. ამავდროულად ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალურ სკოლაში დადის. ჰყავს ტყუპისცალი დაიკო, 13 წლის ტატა და უფროსი და-ძმა, 24 წლის ანა და 19 წლის საბა. მათი დედა, ირმა ბერიანიძე, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია, მამა, გიორგი ყვავილაშვილი, პროფესიით ფიზიკოსი გახლავთ. ბებია კი, ელისო კორძაია, რომელიც „ნიჭიერის“ მაყურებელმა ლუკას გულშემატკივრად იხილა პროექტში, კიბერნეტიკოსი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია.

მსახიობი დედა უმცროს შვილს გვერდით უდგას, ამხნევებს და, რაც მთავარია, მისი სჯერა. „სარკე“ დედა-შვილს ესაუბრა.

— **ქალბატონო ირმა, ლუკას რა ასაკში შეატყვეთ, რომ მათემატიკური ნიჭი ჰქონდა?**

**ირმა**: მათემატიკური ნიჭი ჩვენს ოჯახში ყველას გენეტიკურად აქვს. ლუკას ბაბუაც ფიზიკოსი იყო. სამივე შვილს აქვს მათემატიკური ნიჭი. მთელი ჩვენი ოჯახი მუსიკალურია. ორივე ტყუპი უკრავს და ლუკას უფროსი ძმაც.

— **თუმცა ფართო საზოგადოებისთვის თავის გაცნობის სურვილი მარტო ლუკამ გამოხატა. როგორ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება?**

**ირმა**: ლუკა გადაცემა „შუადღეში“ მიიწვიეს კუბერებთან ერთად. იქიდან მიიღო შემოთავაზება, რომ „ნიჭიერში“ გასულიყო.

**ლუკა**: თავიდან მხოლოდ, როგორც კუბერი, ისე მოვიაზრებოდი „ნიჭიერის“ სცენაზე, მაგრამ შემდეგ, რომ აღმოაჩინეს, ვუკრავდი კიდეც, ეს ძალიან გაუხარდათ.

**ირმა**: თავიდან წინააღმდეგი ვიყავით, რომ პროექტში მიეღო მონაწილეობა, რადგან ლუკა ერთ-ერთი მუსიკალური კონკურსისთვის ემზადება და არ გვინდოდა, დრო მოგვეკლო. თვითონ ჰქონდა სურვილი, ამიტომ უარი აღარ ვუთხარით. ახლა მთელი ოჯახი ვართ ჩართული და ხელს ყველანაირად ვუწყობთ.

— **ლუკა, ცოტა ხნის წინ საქართველოში პირველად ჩატარებულ კუბერების კონკურსზეც გახვედი. რა შედეგები გაქვს?**

**ლუკა**: ამ კონკურსს ქართველი კუბერები 3 წელი ველოდებოდით. ერთმანეთი „ფეისბუქზე“ ვიპოვეთ. თავიდან 3 კაცი იყო, 3 წლის განმავლობაში უკვე 400 კუბერი შევგროვდით. დიდი ხანი ველოდებოდით ოფიციალურ ჩემპიონატს, რომელსაც სპონსორი სჭირდებოდა. ეს ჩემპიონატი, როგორც იქნა, ჩატარდა. მე მეოთხე ადგილზე გავედი. პირ-



Cyan Magenta Yellow Black



ველ ადგილზე გავიდა საქართველოში კუბერების კლუბის დამაარსებელი ბექა კახიანი. ის ადრე თურქეთში იყო წასული, ამგვარ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და იქაც პირველი ადგილი აიღო.

**— ქალბატონო ირმა, ადვილია თუ რთული ნიჭიერი ბავშვის დედობა?**

**ირმა**: ასე არასდროს დამიყენებია საკითხი, რადგან, ლუკას გარდა, სამივე შვილი ნიჭიერია და შესაბამისად, შეჩვეული ვარ. ამ შემთხვევაში ლუკაზე ვსაუბრობთ, თორემ დანარჩენებზე რომ დამაწყებინოთ ლაპარაკი, ზუსტად იმდენს ვილაპარაკებ, რამდენსაც ლუკაზე. კუბის თუ მუსიკის სიყვარული ლუკამ უფროსი ძმისგან, საბასგან ისწავლა. ასევე ტატაც დადიოდა მუსიკაზე, აწყობს კუბს და, ამათგან განსხვავებით, ფანტასტიკურად ხატავს. მთელი ოჯახი ვცდილობთ, მათ ხელი შევუწყოთ. რა თქმა უნდა, იგრძნობა მათი ტექნიკური ნიჭი. ხანდახან ისეთ რამეს ამბობენ, რომ ჩემთვის სრულიად გაუგებარია.

**ლუკა: „მომინდა, ბებასთვის დამემტკიცებინა, რომ კუბი სისულელე არაა. გეგა კასტინგების მერე რამდენჯერმე შემხვდა და თავს ვარიდებდი, რატომღაც მისი მრცხვენოდა".**

**— პროექტში გაირკვა, რომ ლუკას ბებოს არ მოსწონდა შვილიშვილის კუბით დაინტერესება.**

**ირმა**: ბებოს არ მოსწონდა ის, რომ კუბი ართმევდა იმ დროს, რაც შეიძლებოდა მუსიკისთვის ან თუნდაც მათემატიკისთვის გამოეყენებინა. არ დაგიმალავთ და, როცა უფროსმა შვილმა, საბამ, დაიწყო კუბების აწყობა, იქიდან მოყოლებული, ნერვებს მიშლიდა კუბების ჩხაკაჩხუკი სახლში. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს კუბი ასე გამოადგებოდა რომელიმეს.

**ლუკა**: თუ მოვიგე „ნიჭიერი", შენ არაფერს მოგცემ!.. (იცინიან).

**— ქალბატონო ირმა, რა ემოციებით გულშემატკივრობთ შვილს სცენაზე?**

**ირმა**: პირველი შერჩევითი ტური როცა იყო, მე და ჩემი ქმარი დარბაზში ვისხედით. ნახევარფინალში გადასვლისას ლუკას პავილიონში ველოდებოდით და მერე უკვე კულისებიდან ვგულშემატკივრობდით. არც მახსოვს, სცენაზე რა ხდებოდა. ძალიან ვღელავდი. ამ ყველაფრის მიუხედავად, ლუკაც დამეთანხმება, მას ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ მთავარია, ღირსეულად გამოვიდეს სცენაზე და მნიშვნელობა არ აქვს, გაიმარჯვებს თუ არა. პირველივე ტურიდან ჟიურის წევრებმა ისეთი შეფასება მისცეს, ვთქვი, რომ ნახევარფინალში სულ რომ ვერ გადასულიყო, ეს შეფასება მთელი ცხოვრება დაამახსოვრდებოდა. არც ვფიქრობდით, რომ ფინალში მოხვდებოდა.

**ლუკა**: ნახევარფინალშიც, არ მეგონა, თუ მოვხვდებოდი, სცენაზე მხოლოდ გამოცდილების მისაღებად გავედი. ახლა უკვე ფინალში ვარ.

**— ლუკა, დიდ სცენაზე როცა დგახარ, ძალიან ღელავ?**

**ლუკა**: არ ვღელავ, აუდიტორიის შიში არ მაქვს.

**— როცა ჟიურის დანარჩენი წევრებისგან განსხვავებით, გეგა ფალავანდიშვილმა შენიშვნა მოგცა, რომ კუბისთვის თავი დაგენებებინა, რა რეაქცია გქონდა?**

**ლუკა**: მომინდა, მისთვის დამემტკიცებინა, რომ კუბი სისულელე არაა. გეგა კასტინგების მერე რამდენჯერმე შემხვდა „რუსთავი 2"-ის შენობაში და თავს ვარიდებდი, რატომღაც მისი მრცხვენოდა.

**— პირისპირ საუბრისას რა გითხრა, მოეწონა თავისი პორტრეტი?**

**ლუკა**: ჩემი ნახატის ყიდვა მოუნდა.

**— აპირებ მიყიდვას?**

**ლუკა**: გააჩნია. ფასზე თუ შევთანხმდებით, შეიძლება მივყიდო.

**— რამდენად?**

**ლუკა**: კუბები ზოგადად ძვირი ღირს, თან დამატებული შრომაც... რა თქმა უნდა, ვხუმრობ. ალბათ ვაჩუქებ.

**ლუკა: „შეყვარებული მყავს, რომელიც ძალიან ლამაზია. მას კუბი არ აინტერესებს, მაგრამ მგულშემატკივრობს".**

**— ლუკა, ნიჭიერის ჟიურის წევრები სხვადასხვა ამპლუაში გხედავენ — ნიკა გვარამიას პოლიტიკაში წარმოუდგენიხარ, ია ფარულავას — პიანისტად, გეგას — მეცნიერად. გადაწყვეტილი გაქვს, რა პროფესიას აირჩევ?**

**ლუკა**: მე ყველაზე მეტად პიანისტობა მინდა. პროფესიად კი ალბათ მათემატიკოსობას ავირჩევ.

**— „ნიჭიერში" გამოსვლის შემდეგ პოპულარობას გრძნობ?**

**ლუკა**: ვერ ვიტყვი, რომ ქუჩაში მაჩერებენ, თან ფეხით დიდად არც დავდივარ. მაგრამ სკოლაში ყველაქომაგობს.



■ ლუკა მშობლებთან და ტყუპისცალთან ერთად

**ირმა**: მინდა, ხალხს გულშემატკივრობისთვის დიდი მადლობა გადავუხადო. მართლა არ გვიფიქრია, რომ ლუკა ხალხის რჩეული იქნებოდა. ასმაგად დასაფასებელია, როცა ხალხის რჩეული ხდები. ეს ძალიან ემოციური იყო. ჩვენ ვფიქრობდით, იქნებ ჟიურის მაინც გადაეყვანა, თან ფსიქოლოგიურად ვემზადებოდით, რომ შეიძლებოდა საერთოდ გამოთიშვოდა კონკურსს. ორმაგად სასიამოვნო იყო, როცა გავიგეთ, რომ ჟიურის და ხალხის აზრი დაემთხვა ერთმანეთს — ჟიურიც ფიქრობდა მის გადაყვანას. ახლა, რა თქმა უნდა, მინდა, უფრო შთამბეჭდავი იყოს ლუკას ფინალში გამოსვლა. მთელი ოჯახი და განსაკუთრებით ჩემი მეუღლე ეხმარება ნომრის მომზადებაში.

**ირმა: „არ დაგიმალავთ და, თავიდანვე, როცა უფროსმა შვილმა დაიწყო კუბების აწყობა, იქიდან მოყოლებული, ნერვებს მიშლიდა კუბების ჩხაკაჩხუკი სახლში. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს კუბი ასე გამოადგებოდა რომელიმეს".**

**— ლუკა, მგონია, რომ ბევრი თაყვანისმცემელი გოგონა გეყოლება, მით უმეტეს, ეკრანზე გამოჩენის შემდეგ.**

**ლუკა**: კი, ნამდვილად ასეა. „ფეისბუქზე" ბევრი წერილი მომდის. მე კი შეყვარებული მყავს, რომელიც ძალიან ლამაზია. მას კუბი არ აინტერესებს, მაგრამ მგულშემატკივრობს.

**— ქალბატონო ირმა, როცა გინდათ, ლუკამ რამე შეგისრულოთ, რა მეთოდს იყენებთ?**

**ირმა**: ვცდილობ, შვილებთან მეგობრული ვიყო. მათ არასდროს ველაპარაკები ისე, როგორც პატარებს. მიმაჩნია, რომ ბავშვი რა ასაკშიც უნდა იყოს, ყველაფერი ესმის და სწორად აღიქვამს. ლუკა როცა მშიერია, არ უნდა დაელაპარაკო. ჯერ უნდა აჭამო და მერე მოგისმენს. ამიტომ, თუ რამე მინდა, ვთხოვო, ჯერ კარგად ვაჭმევ ხოლმე.

**ლუკა**: როცა დედა მეკითხება, ხომ არ გშიაო, პირდაპირ ვპასუხობ, რა გინდა, რა უნდა გავაკეთო-მეთქი.

**— „ნიჭიერში" ლუკას გვერდით რატომ იყო ბებია და არა, ვთქვათ, დედა ან მამა?**

**ირმა**: ელისო, ლუკას ბებია, მას მუსიკის სიყვარულს ასწავლის, გაკვეთილებზე დადის მასთან, თან ამეცადინებს. ამიტომ, რადგან ლუკა მუსიკალური ნომრით გამოდიოდა სცენაზე, ბებო გაჰყვა საგულშემატკივროდ.

**ლუკა**: ეკრანზე ისე გამოჩნდა, რომ ბებოს არ მოსწონდა ჩემი გატაცება, მაგრამ ახლა უკვე მოსწონს.

**— ლუკა, „ნიჭიერში" გამოჩენის შემდეგ კუბი მოდური ხომ არ გახდა შენს თაობაში?**

**ლუკა**: სხვათა შორის, ერთი წელია, რაც ილია ვეკუას სახელობის სკოლაში გადავედი (ადრე სხვა სკოლაში ვსწავლობდი) და მალევე ყველა დაინტერესდა კუბით, ეკრანზე გამოჩენის მერე კი — უფრო მეტად.

**ირმა**: ლუკა, აღიარე, რომ მასწავლებლებს ხშირად ხელს უშლი კუბის ჩხაკუნით გაკვეთილებზე.

**— კუბის და მუსიკის გარდა, რა ინტერესები გაქვს კიდევ?**

**ლუკა**: როგორც ჩემს თაობას, მეც კომპიუტერი მაინტერესებს. ასევე ძალიან მიყვარს თხილამურებზე დგომა. ვირჩევ ინფორმაციას, რაც მინდა, ვიცოდე და მას ვსწავლობ.

✓ **მანანა ნოდია**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ტიციან ტაბიძის სახლში დღემდე 1937 წელია

## „საათიც იმ დროზეა გაჩერებული, რა დროსაც ბაბუა დაიჭირეს“


■ ტიციან ტაბიძე, ნინო მაყაშვილი და პატარა ნიტა

თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, დგას პოეტის სახლი, რომელიც ბევრ ლეგენდას ინახავს, ლეგენდებს სიყვარულზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე... იქ დრო თითქოს გაჩერებულია, საათის ისრებიც იმ დროს აჩვენებს, როცა შინსახკომელებმა პოეტი წაიყვანეს. იქ ტიციან ტაბიძის სული დღემდე ტრიალებს.

„აქ მოიტანეს, მოიტანეს ის განთიადზე,
ცხოველი ცრემლი არ დაღვრილა მგოსნის საფლავზე.
ის უცხო იყო ყველასთვის და ყველა მისთვის,
ვის რა საქმე აქვს, რომ მღეროდა ის ჰიმნებს მზისთვის?
იყო, იმღერა... და ვით ყველა, საფლავს შთავიდა.
მოკვდა მის ხსოვნაც... განა ბრბოსთვის არის რამ წმინდა?
მაგრამ სიკვდილსაც, შავ სიკვდილსაც აქვს გაზაფხული,
საფლავის მტვერშიც მზეს უმღერებს პოეტის სული“.

ლექსი „სასაფლაოზე“ ცისფერყანწელმა ტიციან ტაბიძემ 1913 წელს დაწერა. სამწუხაროდ, ამ გენიალურ პოეტს საფლავის მტვერი არ ღირსებია. საბჭოთა რეპრესიებს ისე ემსხვერპლა, ოჯახმა მისი ადგილსამყოფელი ვერ გაიგო.

1937 წლის ავბედით დღეებში ტიციანის განუყრელი მეგობარი, ასევე ცისფერყანწელი პაოლო იაშვილი, კომუნისტურმა წნეხმა თვითმკვლელობამდე მიიყვანა. გავიდა რამდენიმე თვე და ცკ-ის მდივანმა ლავრენტი ბერიამ ამჯერად ტიციან ტაბიძე დაიბარა. უბრძანა, მეგობრისთვის ჯაშუშობა დაებრალებინა. უარი მიიღო. რამდენიმე დღეში, ღამის 3 საათზე, პოეტი სახლიდან წაიყვანეს და უკან აღარ დაბრუნებულა. საბჭოთა ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ ის 10 წლით გადაასახლეს ოჯახთან მიმოწერის უფლების გარეშე, მაგრამ ოჯახმა მალევე შეიტყო, რომ პოეტი იმავე დღეს დახვრიტეს რუსთავის გზატკეცილზე. და მაინც, მის ცოლს, ნინო მაყაშვილს, სიცოცხლის ბოლო წუთამდე სჯეროდა, რომ ტიციანი ციმბირში იყო და მისი ნახვის იმედს არ კარგავდა.

**„ერთხელ ჩვენს ოჯახამდე მოსულა ცნობა, რომ ტიციანი ვიღაცამ ციმბირში ნახა. ბებიას ამ ამბის გაგების შემდეგ მეტი რაღა უნდოდა და დაიჯერა, რომ ბაბუა მართლა ციმბირში იყო. თურმე იქ წასვლას და მის მოძებნასაც აპირებდა. სიცოცხლის ბოლო წუთამდე სჯეროდა, რომ ბაბუა დაბრუნდებოდა“.**

ნინას და ტიციანს ერთადერთი ქალიშვილი ნიტა (ტანიტ) ტაბიძე დარჩა, რომელიც 2007 წელს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. მთელი ცხოვრება მამაზე მოგონებებში, მის მონატრებაში გაატარა, მის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე ბოლო წუთამდე ზრუნავდა. ახლა ოჯახის ტრადიციებს ქალბატონი ნიტას ვაჟი, კარდიოლოგი და მოფარიკავე გივი ანდრიაძე აგრძელებს. ამ ტრადიციების გაგრძელება იყო ის საღამოც, რომელიც 22 დეკემბერს თბილისში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა და ტიციანისა და ნიტას ხსოვნას მიეძღვნა. ბატონმა გივიმ სახელოვან წინაპრებზე საუბარი „სარკესთან“ სწორედ ამ საღამოს შთაბეჭდილებებით დაიწყო.

### ძველი მეგობრობა

**გივი ანდრიაძე:**

— დედაჩემის მეგობრების, ნატალია სოკოლოვსკაიას, ნატალია გუტმანისა და ანნა კანდინსკაიას ინიციატივა იყო, რომ თბილისში ჩამოსულიყვნენ და ხსოვნის კონცერტი გაემართათ. როდესაც ეს იდეა გამაცნეს, რა თქმა უნდა, გამიხარდა და შეძლებისდაგვარად გვერდით დავუდექი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ თანხები გამოყო, ლიტერატურის მუზეუმმა კი დარბაზი დაგვითმო. ნიტას რუსი მეგობრების გარდა, საღამოზე ჩამობრძანდნენ ირინა ერისანოვა და ირინა კანდინსკაია. ელენა პასტერნაკმა (ბორის პასტერნაკის შვილიშვილი) ჩამოსვლა ვერ შეძლო. ტიციან და ნიტა ტაბიძეების ხსოვნის საღამო-გამოფენაშიასევე მონაწილეობდნენ ლაშა თაბუკაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მარიამ ფილინა, კოტე ყუბანეიშვილი, ზაზა აბზიანიძე, ნინო ხოფერია, მურმან ჯინორია, ეთერ კაკულია, სოფო გელოვანი და ზაალ ჩიქობავა.

ძალიან ბევრი წლის წინ პასტერნაკების ოჯახში 10 წელი ვიცხოვრე. როდესაც მოსკოვში დისერტაციას ვიცავდი, მათთან დავბინავდი. სადოქტოროს დაცვაზე რომ ჩავედი, არც მაშინ გამიშვეს სხვაგან. ისინი ტრეტიაკოვის გალერეის პირდაპირ, მწერალთა კავშირის ბინაში ცხოვრობდნენ. ერთ სართულზე მე გახლდით დაბინავებული, მეორეზე კი თავად იყვნენ. პასტერნაკებთან მეფესავით ვცხოვრობდი.

ბაბუა და მისი განუყრელი მეგობარი პაოლო იაშვილი (ტიციანს და პაოლოს სიამის ტყუპებს ეძახდნენ) დიდი სიამოვნებით მასპინძლობდნენ რუსული ელიტის წარმომადგენლებს. აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან ვინც კი ჩამოვიდოდა, ტიციანი და სხვა ცისფერყანწელები ხვდებოდნენ. როგორც ბებიისგან და დედისგან ვიცი, ტიციანს ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები და მათ ყველაზე მაღლა აყენებდა. გრიბოედოვის ქუჩაზე, ბაბუას სახლში, რომელიც დღეს მუზეუმად არის ქცეული, ერთი დიდი, მრგვალი მაგიდა დგას. ამ მაგიდასთან ის და მისი მეგობრები დილამდე ისხდნენ, ერთმანეთს ლექსებს უკითხავდნენ, ქეიფობდნენ, სადღეგრძელოებს ამბობდნენ.

### გაჩერებული დრო

— ნიტა 16 წლის იყო, როდესაც ტიციანი დააპატიმრეს. ეს მისთვის დიდი სტრესი აღმოჩნდა, რადგან ერთ ჩვეულებრივ ღამეს მათ სახლში უცხო ადამიანები შეიჭრნენ, მამამისი წაიყვანეს და მას მერე ცოცხალი აღარც უნახავს. როდესაც ტიციანი სახლიდან გაჰყავდათ, ატირებულ ქალიშვილსა და მეუღლეს დაუბარა: „იცოდეთ ერთი რამ, რომ ჩემი სახელის ხსენებისა და ხალხისთვის თვალებში შეხედვის არასდროს შეგრცხვებათ“.

დედა მიყვებოდა, მამას ფეხსაცმლის თასმებს ყოველთვის მე ვუკრავდიო. თვითონ ცოტა მსუქანი გახლდათ და თურმე თასმების შეკვრა უძნელდებოდა. როდესაც ნიტაზე ნაწყენი ან გაბრაზებული იყო, თასმებს თავად იკრავდა. ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა და მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა.

ბებიამ მეგობრობის მუზეუმს ყველა ის ნივთი გადასცა, რაც სახლში გვქონდა. შემდეგ, როცა სახლი დავიბრუნეთ, ნივთებიც დაგვიბრუნეს. დედაჩემის გადაწყვეტილებით, გრიბოედოვის ქუჩაზე ყველა ის ნივთი, რაც მამას სიცოცხლეში სახლში ჰქონდათ, ხელუხლებლად დარჩა. სახლში დრო გაჩერდა, იქ დღემდე 1937 წელია. საათიც კი იმ დროზეა გაჩერებული, რა დროსაც ბაბუა დაიჭირეს. იქ ისევ ღამის 3 საათია. ჭაღიც ისეთივეა, როგორიც მაშინ იყო. თუ რამე აღვადგინეთ, ყველაფერი ისე გავაკეთეთ, რომ სიძველე შეგვენარჩუნებინა.


■ დედა-შვილი — ნიტა ტაბიძე და გივი ანდრიაძე

### ნინო მაყაშვილი – მარადიული შეუყვარებული

— ბებიაჩემი, ნინო მაყაშვილი, თავადის ქალი გახლდათ. 1965 წელს გარდაიცვალა, მე კი 1943 წელში ვარ დაბადებული. ასე რომ, ბებო კარგად მახსოვს. ის ჩემით ძალიან ამაყობდა. განსაკუთრებით გახარებული იყო, როცა 20 წლის ასაკში ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. ყველასთან დაიტრაბახებდა ხოლმე, ჩემი შვილიშვილი მსოფლიო ჩემპიონიაო. ჩემი ფოტო დაჰქონდა, რომელშიც ჩემპიონის თასი მიჭირავს.

ბებია ქმარს ყოველთვის თბილად იხსენებდა. ამბობდა, რომ



Cyan Magenta Yellow Black

ტიციანი ძალიან კეთილი, თბილი, ოჯახისა და მეგობრების მოყვარული იყო. ბაბუა თითქოს ციმბირში გადაასახლეს, მაგრამ წლების შემდეგ შევიტყვეთ, რომ დაკავების დღესვე დახვრიტეს რუსთავის გზატკეცილზე. ერთხელ ჩვენს ოჯახამდე მოსულა ცნობა, რომ ტიციანი ვიღაცამ ციმბირში ნახა. ბებიას ამ ამბის გაგების შემდეგ მეტი რაღა უნდოდა და დაიჯერა, რომ ბაბუა მართლა ციმბირში იყო. თურმე იქ წასვლას და მის მოძებნასაც აპირებდა. სიცოცხლის ბოლო წუთამდე სჯეროდა, რომ ბაბუა დაბრუნდებოდა. ერთი წამით არ დაუკარგავს იმის იმედი, რომ ტიციანი ცოცხალი იყო.



■ გივი ანდრიაძე ახალგაზრდობაში

ბებიაჩემი წარმოშობით ყვარლიდან გახლდათ, იქ დაიბადა და გაიზარდა. როდესაც რუსეთიდან ასეთი პატივსაცემი სტუმრები ჩამოდიოდნენ, ისინი ყვარელში მიჰყავდა თავის ნათესავ ნიკო ბეოქრიშვილთან. ნინა ბებომ ყვარელი მეც ძალიან შემაყვარა და ზაფხულობით სულ ბეოქრიშვილებთან ვისვენებდი. ვანშიც გვაქვს ბაბუას სახლი, სადაც დაიბადა, მაგრამ იქ ხშირად ვერ ჩავდივარ. ყვარელში ბებოს ნაკვეთი მისცეს. მეც მივუმატე ორი ნაკვეთი და იქ სახლი ავაშენე. ვცდილობ, მისი ტრადიციები გავაგრძელო. ყოველ სეზონზე სამ ტონამდე ყურძენს ვკრეფ და ღვინოს ვწურავ.

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა ანჩისხატის ეკლესიის წინ ტიციანის ძეგლი გააკეთა. ზუსტად ასეთივე მან ყვარელშიც დადგა. იქ ერთი, ძალიან უჩვეულო დამთხვევა მოხდა. როდესაც ბატონმა მერაბმა ეს გადაწყვიტა, ერთად ჩავედით კახეთში. მაშინდელ გამგებელ გია არსენიშვილს შევუთანხმდით და მან ნება დაგვრთო, ძეგლი დაგვედგა, თან ადგილი თავად აგვერჩია. ბევრი ადგილი ვნახეთ და ბოლოს ბატონმა მერაბმა არჩევანი ერთ პატარა სკვერზე შეაჩერა. მითხრა, აქ მზის სხივები ისე ურტყამს, რომ დღის განმავლობაში დიდხანს რჩებაო. როდესაც ჩვენთან ყვარლის მცხოვრებლები მოვიდნენ, გვკითხეს, თუ იცით, ეს რა ადგილიაო. მოკლედ, აღმოჩნდა, რომ ამ სკვერის ტერიტორიაზე წლების წინ ბებოს სახლი იდგა. აი, ასეთი დამთხვევა მოხდა. ასე რომ, დღეს ტიციან ტაბიძის ძეგლი მისი მეუღლის სახლის ეზოში დგას.

**„ტიციანს ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები და მათ ყველაზე მაღლა აყენებდა. გრიბოედოვის ქუჩაზე, ბაბუას სახლში, რომელიც დღეს მუზეუმად არის ქცეული, ერთი დიდი, მრგვალი მაგიდა დგას. ამ მაგიდასთან ის და მისი მეგობრები დილამდე ისხდნენ, ერთმანეთს ლექსებს უკითხავდნენ, ქეიფობდნენ, სადღეგრძელოებს ამბობდნენ".**

## ტიციანი და პასტერნაკი

— ბორის პასტერნაკისა და ჩვენი ოჯახის მეგობრობა მაშინ დაიწყო, როცა ტიციანმა ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა და სასწავლებლად მოსკოვში წავიდა. სწორედ იქ დაუმეგობრდა ბორის პასტერნაკს, ნიკოლოზ ტიხონოვს, სერგეი ესენინს, პაველ ანტაკოვსკის, კონსტანტინ სიმონოვს და სხვებს. სწავლის დამთავრების შემდეგ, თბილისში რომ დაბრუნდა, რუსი მეგობრები მასთან სტუმრად ხშირად ჩამოდიოდნენ.

ცალკე გვაქვს მოწყობილი ბორის პასტერნაკის კუთხე, სადაც მისი და ტიციანის სურათებია. იქვე დევს მისი წიგნებიც. ერთხელ მან ჩვენს ოჯახს თავისი წიგნი „ექიმი ჟივაგო“ აჩუქა. ამ რომანს თავის დროზე არ უბეჭდავდნენ და ბებიაჩემს ჩუმად გამოუგზავნა. ფაქტობრივად მხოლოდ ბებიას კი არა, მთელ საქართველოს აჩუქა. ეს წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ ოთხივე ტომში ავტორის ხელითაა ყველაფერი ჩასწორებული.

1959 წელს ბატონი ბორისი ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც „ექიმი ჟივაგო“ უკვე გამოცემული ჰქონდა საზღვარგარეთ და ამაზე მთელი ამბავი იყო ატეხილი. ამის გამო ხრუშჩოვის მთავრობა პასტერნაკს ძალიან მკაცრად ექცეოდა. მწერლებს ხელისუფლების ეშინოდათ და ამ ოჯახს ახლოს ვერ ეკარებოდნენ. ბებია კი მათ ოჯახში თვეობით ჩადიოდა. პასტერნაკის ცოლთან, ზინაიდასთან ძალიან მეგობრობდა და მძიმე წუთებში გვერდით ედგა. ბორის პასტერნაკი ავად რომ იყო, ბებიაჩემი გვერდიდან არ მოშორებია.

ბატონი ბორისი ჩვენთან რომ იყო სტუმრად, იმ დროს გოგებაშვილის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის სახლში ვცხოვრობდით. ეს ბინა რეაბილიტაციის შემდეგ მოგვცეს 1957 წელს. მოკლედ, პასტერნაკმა ჩვენთან ერთი თვე იცხოვრა. დედა და ბებია მასთან ერთად ქუჩაში დასეირნობდნენ. ნიტა იხსენებდა, რომ ერთხელ, მცხეთაში ყოფნისას, სვეტიცხოველში მივიდნენ, სადაც ბევრი ხალხი იყო. თურმე რუსი ეროვნების ორი მამაკაცი მიუახლოვდა და მწერალს ჰკითხეს, თქვენ ბორის ლეონიდოვიჩი ხომ არ ხართო. პასტერნაკი იმდენად იყო შეშინებული, უპასუხა, არა, ბორისი არ ვარ, სხვაში შეგეშალეთო.

ბებია თავისი ქმრის გზას აგრძელებდა. ის მეგობრობდა ტიციანის მეგობრების ოჯახებთან. ამას დედაც აგრძელებდა და მეც შეძლებისდაგვარად ვცდილობ, გავაგრძელო.

## მემკვიდრეები

— ტიციანის შთამომავლებში ლექსის წერის ნიჭი არავის აღმოგვაჩნდა და სულ სხვა სფეროებში წავედით. ერთი და მყავს, ბებოს მოსახელე ნინიკო ანდრიაძე. ის მწერალ გურამ ასათიანის რძალი გახლდათ. ჩემი სიძე იყო ლევან ასათიანი, რომელიც 46 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჩემი და ფილოლოგია. მე პროფესიით ექიმი-კარდიოლოგი, კარდიო-რეანიმაციული ცენტრის დირექტორი ვარ. მამაჩემის, ალექსი ანდრიაძის კვალს გავყევი, ისიც კარდიოლოგი იყო. ნინიკოს შვილი, გურამიკო ასათიანი, ადრე ლექსებს წერდა, ახლა კი კინორეჟისორია. ნინიკოს ჰყავს ქალიშვილი მანანაც. მე ქალ-ვაჟი მყავს და ისინი ბიზნესის სფეროში არიან.

ჩემი მეუღლე მანანა ანდრიაძე გახლდათ, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ გარდაიცვალა. კონსერვატორიის პრორექტორი იყო, კარგად უკრავდა და მღეროდა. ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს ძალიან უყვარდა და დასაფლავების დღეს, როცა ქაშუეთის ეკლესიაში გვყავდა დასვენებული, სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი თავად გადაუხადა.

მე ფარიკაობაში ჯერ საქართველოს ჩემპიონი გავხდი, სამჯერ ზედიზედ კი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. შემდეგ სამჯერ გავედი მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიაში, ეგვიპტესა და ბელგიაში. 1963 წელს კი ბელგიაში, ქალაქ გენტში ახალგაზრდა მოფარიკავეთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. საბჭოთა კავშირიდან ახალგაზრდა მოფარიკავეთა შორის პირველი ჩემპიონი ვიყავი.

ეს ყველაფერი 50 წლის წინ იყო, წელს კი იტალიაში, ქალაქ ტერნიში, ვეტერანების ევროპის ჩემპიონატზე გავედი, სადაც მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი ავიღე.

ერთი საინტერესო დამთხვევაც მოხდა: წლევანდელი ჩემპიონატი 12 მაისს ჩატარდა. ეს დღე ჩემი მეუღლის, მანანას დაბადების დღეა. მოკლედ, დაემთხვა, რომ სწორედ მის დაბადების დღეზე მოვიპოვე გამარჯვება და ეს ჩემთვის ორმაგად ამაღელვებული გახლდათ. შეტევის დროს ჩემს გარდაცვლილ მეუღლეზე ვფიქრობდი.

ასეთი ადამიანების შთამომავალი რომ ვარ, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. სადაც უნდა ვიყო, სულ ტიციანის გარშემო ვტრიალებ. ცუდად მოქცევის უფლება არ მაქვს, რადგან ბაბუის, ბებიის და მშობლების სახელები არ უნდა შევარცხვინო. ვცდილობ, ისინი ხშირად გავიხსენო. უკვე 70 წლის გახლავართ. ცხოვრება ისე გავლიე, რომ ბევრ რამეს მივაღწიე ჩემს სფეროში, მაგრამ, პირველ რიგში, დიდი პოეტის, ტიციან ტაბიძის შვილიშვილი გახლავართ. ეს ფაქტი ძალიან მახარებს და ვამაყობ, რომ ასეთი საინტერესო წინაპრები მყავდნენ.

✓ თეონა კენჭიაშვილი








Cyan Magenta Yellow Black

# „მეზობელმა მითხრა, ცუდი ფეხის მეკვლე გამოდექიო“

ბარბარობადღეს და ახალ წელს დიდი სიით ვხვდები, ყველა მთხოვს, ჩემთან მოდი მეკვლედ, კარგი ფეხი გაქვსო. 13 წლის ბიჭი ვარ და სიარული არ მეზარება. ყველასთან დიდი სიხარულით მივდივარ და თანაც დიდი გულით. ყველას სახლში იმ ოცნებით შევდივარ, რომ მათი სურვილები ასრულდეს და სიკეთე და დოვლათი ჰქონდეთ. დავიფიცებ, რომ გულში ცუდი არასოდეს არავისზე გამივლია!



წელს, ბარბაროობის დღესასწაულის წინა დღეს, მეზობელმა მითხრა, ჩემს სახლში მოსული არ დაგინახო, ცუდი ფეხის მეკვლე გამოდექიო. საქმე ის არის, რომ წელს დედამისი გარდაიცვალა, მე კი მისი მეკვლე ვიყავი. ამაზე არც მიფიქრია, სანამ თვითონ არ მითხრა. მერე მეზობლებმაც მითხრეს, ეგ, ეტყობა, სრულ ჭკუაზე ვერ არის, დადის და ლაპარაკობს, რა ფეხით და გულით შემოვიდა, რომ ოჯახი დამიქციაო.

ცუდი გულით რატომ უნდა შევსულიყავი?! მისთვისაც სიკეთე და სიხარული მსურდა. არ ვიცი, ასე რატომ იფიქრა ან ის სიტყვები რატომ მითხრა, მაგრამ გული მართლა ძალიან დამწყვიტა.

*თქვენი ერთგული მკითხველი*

# „კლასელ ბიჭს სიყვარული შემთხვევით ავუხსენი“

სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი გაუგებრობაში. 15 წლის ვარ და ასეთი უცნაური რამ აქამდე არასოდეს დამმართნია. სოციალურ ქსელში ნათესავებს წერილებს ვუგზავნიდი, მათ შორის დეიდასაც მივწერე, მიყვარხარ-მეთქი. პრობლემა კი ისაა, რომ ეს წერილი დეიდაჩემისთვის კი არა, ჩემი კლასელი ბიჭისთვის გამიგზავნია, რომელიც, ჩემდა საუბედუროდ, იმ წამს საიტზე იყო. დაბნეულობა არასდროს მახასიათებს, მაგრამ იმ დღეს, არ ვიცი, რა დამემართა. დეიდაჩემს ლიკა ჰქვია, იმ ბიჭს კი ნიკა და სახელები ერთმანეთში ამერია.

თავიდან არ მინერვიულია, ვიფიქრე, ყველაფერს ავუხსნი და ვეტყვი, რომ მას კი არა, დეიდას ვწერდი-მეთქი, მაგრამ იმ ბიჭმა პასუხად ვრცელი ტექსტი გამომიგზავნა, მეც დიდი ხანია მიყვარხარ, მაგრამ ვერ გეუბნებოდი, ვერ წარმოიდგენ, როგორ გამიხარდა, რომ ჩემ მიმართ არც შენ ხარ გულგრილიო. შემდეგ კი დამირეკა და შემომთავაზა, შეყვარებულები ვიყოთო. გავგიჟდი, ავუხსენი, რომ წერილს მას არ ვუგზავნიდი, მაგრამ არ დამიჯერა, ნუ გრცხვენია აღიარება, რომ შენც გიყვარვარო. მივხვდი, ახსნას აზრი აღარ ჰქონდა და თავი გავანებე.

ის ბიჭი საერთოდ არ მომწონს. ვიფიქრე, სკოლაში დაველაპარაკები და შევაგნებინებ-მეთქი, მაგრამ კლასში ყველამ მოლოცვა დამიწყო, კარგია, გვიხარია, რომ ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდითო. აღარავინ მიჯერებს, მე კი ის ბიჭი მიყვარს კი არა, უკვე თავი შემაძულა თავისი შეუგნებლობით.

თანატოლებო, გთხოვთ, გამომეხმაურეთ! თუ თქვენც მოხვედრილხართ ამგვარ გაუგებრობაში, რჩევის მოცემა ნუ დაგეზარებათ. მითხარით, რა გავაკეთო. წინასწარ გიხდით მადლობას.

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
**1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
**2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
**3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**
**ანონიმურობა დაცულია**

# „კლასელები და დამრიგებელი უსამართლოდ მომექცნენ“



12 წლის გოგო ვარ, გული ძალიან მაქვს ნატკენი და მინდა, ამის მიზეზი გითხრათ. დამრიგებელმა შეუძლოდ ყოფნის გამო სკოლაში მოსვლა ვერ შეძლო, ამიტომ თავისუფალი გაკვეთილი ჩაგვიტარდა და გადავწყვიტეთ, ასეთი რამ გვეთამაშა: თითოეული ბავშვი გამოვიდოდით და ჩვენს საყვარელ მასწავლებელს დავასახელებდით. ყველამ თქვა, რომ დამრიგებელი მათთვის ყველაზე კარგი მასწავლებელია, მე კი გულწრფელობა მიყვარს და საუკეთესო მასწავლებლად ჩვენი ინგლისურის პედაგოგი დავასახელე. ის ჩემი ძველი მეზობელია, მაგრამ მე მხოლოდ კარგი მასწავლებლობის გამო დავასახელე და არა იმიტომ, რომ მეზობლად ცხოვრობდა.

ამის გამო კლასელებმა ჩხუბი დამიწყეს, ჩვენგან მაინცდამაინც შენ რატომ უნდა გქონდეს ყოველთვის განსხვავებული აზრი ან ჩვენმა დამრიგებელმა რა დაგიშავაო. ახსნა დავიწყე, დამრიგებელი ძალიან მიყვარს, მაგრამ რა ვქნა, ჩემი საყვარელი მასწავლებელი ის არის-მეთქი. ის მართლაც კარგი ქალია, თბილი და სამართლიანი. კლასელებმა კი გამრიყეს.

ტირილი დავიწყე, ენა ჩამივარდა. ჩემმა მეგობარმაც კი დამადანაშაულა. ამაზე ხომ მთლად დამეწვა გული, გამწარებულმა ველარ მოვითმინე და ვუთხარი, შენთან მეგობრობა აღარ მინდა-მეთქი.

მეორე დღემ თავისი სიმწარით წინა დღე გადამავიწყა. კლასელებმა დამრიგებელთან დამაბეზღეს, მან კი საყვედურებით ამავსო, მაძალებდა, რომ მეთქვა, რა პრეტენზიები და ბოლმა მქონდა, ასე ცუდ მასწავლებლად რომ ვთვლიდი. ვუთხარი, რომ თვითონვე გვასწავლიდა ჩვენი აზრის გულწრფელად გამოხატვას, ახლა კი ამისთვის მტუქსავდა. თავი ცუდ სიზმარში მეგონა, რადგან უსამართლობამ გადამრია. მე ხომ მასზე ცუდი არაფერი მითქვამს, უბრალოდ ინგლისურის მასწავლებელი მომწონს და რა ვქნა?!

მას შემდეგ სკოლაში არ წავსულვარ, უკვე ზამთრის არდადეგებიც დადგა, მე კი თვალწინ სულ ის მიდგას, ყველა როგორ ამიჯანყდა, განსაკუთრებით კი მაშინ მეწვება გული, როცა მეგობრის სიტყვები მახსენდება. ის ძალიან მიყვარს, მაგრამ ვერ ვპატიობ, რომ არ დამიცვა და გვერდში არ ამომიდგა. გთხოვთ, მირჩიეთ, მეგობარს ვაპატიო თუ არა, კრიტიკულ მომენტში ზურგი რომ მაქცია.

*მკითხველი*

# „ახალ წელს ერთ რამეს ვინატრებ – დედამ ყურადღება მომაქციოს“

ამ წერილს 17 წლის გოგო გწერთ. შეიძლება დიდი არ ვარ, მაგრამ უკვე ვიცი, ცხოვრებაში რა არის კარგი და რა ცუდი. ჩემს ოჯახს არ უჭირს, არც საჭმელი გვაკლია და არც სასმელი, მაგრამ ოჯახის წევრები მუდმივად დაძაბულები არიან. არასდროს შემიგრძვნია ბედნიერება და არც ვიცი, ეს რას ნიშნავს, ჩემთვის ძალიან უცხო რამ არის.

მომბეზრდა მუდმივი დაძაბულობა. დედა უკვე მესამედ გათხოვდა და მას შემდეგ ჩემკენ არც კი გამოუხედავს. ახალი ცხოვრება დაიწყო, მე კი მხოლოდ მის მოგონებად დავრჩი, არადა ერთადერთი შვილი ვყავარ. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ არასდროს არაფერი მინახავს, არც ზღვაზე ვყოფილვარ, თვითონ კი ახალ ქმართან ერთად კარგად და ბედნიერად ცხოვრობს, ბევრს მოგზაურობს.

ახალ წელს ასეთი განწყობით ვხვდები. თუკი ამ დღეს სურვილები მართლაც სრულდება, ერთ რამეს ვინატრებდი — დედამ ყურადღება მომაქციოს!

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*



Cyan Magenta Yellow Black

გამოხმაურება

## „შენი მშობლები შვილიშვილს რომ ნახავენ, ყველაფერს გაპატიებენ"

ჟურნალ „სარკის“ 50-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი, სადაც ორსული გოგონა წერდა, დაქალთან ვცხოვრობ, რადგან დედა სახლში არ მიშვებსო. ამ წერილის ავტორს მივმართავ: ჩემო კარგო, მესმის შენი. ვიცი, ძნელია, მაგრამ არ ინერვიულო, სულ მალე დედა გახდები და შვილი ყველაფერს დაგავიწყებს. მერწმუნე, როდესაც შენი მშობლები ბავშვს დაინახავენ, მაშინვე გაპატიებენ. შეცდომები ყველას მოსდის ცხოვრებაში და ზუსტად ამ შეცდომებზე ვსწავლობთ.

ბედნიერებას გისურვებ! დარწმუნებული ვარ, შენს ცხოვრებაში გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც დაგაფასებს. შენს თანატოლ გოგოებს კი ვურჩევ, რომ თავი აარიდონ მსგავს სიტუაციებს, მით უმეტეს, თუ თავის ან ბიჭის გრძნობებში დარწმუნებული არ არიან.

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

## „ახალი წლის ღამეს შვილის გარეშე ნუ შეხვდებით!"

ჟურნალ „სარკის“ 50-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „ორსულად ვარ, დედა კი სახლში არ მიშვებს“. თავს უფლებას ვაძლევ, ამ გოგონას დედას რჩევა მივცე. თუ შვილს თქვენ არ დაუდგებით გვერდით, აბა, სხვა ვინ გააკეთებს ამას? თქვენზე უკეთ ვინ გაითავისებს მის ტკივილს?

ვიცი, ადვილი არ არის, შვილის ასეთ შეცდომას ურეაქციოდ შეხვდე, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა გზა არ გაქვთ, მის გვერდით უნდა დადგეთ. ახალი წელი მოდის და გირჩევთ, მის გარეშე ამ დღეს ნუ შეხვდებით. მიდით, დაქალის სახლიდან წამოიყვანეთ და გულში ჩაიკარით! მომავალ წელს კი ისეთი ბედნიერება გელით, ყველანაირ გულისწყრომას დაგავიწყებთ. შვილიშვილის ერთი შეხედვაც კი წარმოუდგენელ ბედნიერებას მოგანიჭებთ.

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

## „შენი მშობლები ანგელოზები არიან და ამ შობა-ახალ წელსაც შენ გვერდით იქნებიან"

ჟურნალ „სარკის“ 51-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია, სათაურით „ჩემს კლასელს გარდაცვლილ მშობლებზე უთხრეს, რომ ისინი თოვლის ბაბუად და ბებიად იქცნენ“. ამ წერილმა სულით ხორცამდე შემძრა! მინდა, იმ პატარა გოგოს მივმართო, რომელსაც მშობლები გვერდით არ ჰყავს. მინდა, სჯეროდეს, რომ მისი მშობლები ანგელოზები არიან და ზეციდან უყურებენ. ისინი სულ შენ გვერდით იქნებიან ჭირსა და გაჭირვებაში, ლხინის და ბედნიერების დროს და არასოდეს, არასოდეს მოგშორდებიან! ამ შობა-ახალ წელსაც შენ გვერდით იქნებიან, ასე რომ, თავი მარტო არ იგრძნო. მათ ვერ ხედავ, მაგრამ ზეციდან დიდ სითბოს გიგზავნიან.

ამ წერილის ავტორს კი ვეტყვი, რომ კარგი გოგონაა. მან და მისმა მეგობრებმა შეცდომა კი დაუშვეს, მაგრამ თავიანთი საქციელით შეუძლიათ გამოასწორონ. ამ ობოლ ბავშვს დიდი სიყვარული და სითბო აჩუქეთ და სინდისი აღარ შეგაწუხებთ.

*„სარკის“ მკითხველი*

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ








Cyan Magenta Yellow Black

# როდის პოულობენ რომანტიკისთვის დროს დათო დარჩია და მისი ცოლი



## ვიქტორია: „კატოსნაირი მეგობრებიც მყავს, რომელთაც კარგად ვუგებ“

მსახიობი დათო დარჩია ბევრს ძალიან მდიდარი ჰგონია. „ფულიანი“ კი მას შემდეგ გახდა, რაც სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ გამოჩნდა, სადაც მილიონერ მირიან ბარათეონს თამაშობს. მსახიობს ხალხის ასეთი რეაქცია აკვირვებს, ისიც აოცებს, მისი გმირი რატომ არ მოსწონთ. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად მასთან საერთოს ვერ პოულობს, მაინც თვლის, რომ მირიან ბარათეონი უარყოფითი პერსონაჟი არ არის.

თავისი გმირისგან განსხვავებით, რომელსაც ბევრი ცოლი ჰყავდა, დათო მრავალი წელია ერთი ქალის ერთგულია. ეს მისი ცოლი ვიქტორია ბუხნიკაშვილი გახლავთ. მათი ოჯახი 20 წელს ითვლის. მათმა ცოლქმრობამ ბევრ გამოცდას გაუძლო, პასუხისმგებლობის გრძნობამ ყველა დაბრკოლება გადაალახვინათ.

**ვიქტორია**: ძალიან მიკვირს ერთი ფაქტი — რატომღაც მაყურებელი ამ სერიალის გმირებს რეალურ პერსონაჟებად აღიქვამს. არც დათოა გამონაკლისი. ადამიანები მასაც სერიალის გმირ მირიანთან აიგივებენ. ეს მიხარია, რადგან, ესე იგი კარგად თამაშობს. რას, ალბათ „სიბნელეს“ უნდა დავაბრალოთ, რომ ხალხი დათოს რეალურადაც ძალიან წარმატებულ, ფულიან კაცად აღიქვამს. ძალიან ცუდია, რომ ქართველ ხალხს წარმატებული ადამიანები არ უყვარს. ეს სერიალშიც კარგად ჩანს. მირიანი დახმარების მეტს არაფერს აკეთებს და ცოტა უცნაურად მეჩვენება, რომ უცებ მისი გმირი უარყოფითი პერსონაჟი აღმოჩნდა. ეს ცოტა მიკვირს.

**დათო**: გოიმი ქართველებისგან რატომ გიკვირს?

**ვიქტორია**: დათოს თამაშით კმაყოფილი ვარ. ბევრი ჩემი მეგობარი მირეკავს და მეუბნება, რა კარგად თამაშობს, ზუსტად ის არის, ვინც უნდა იყოსო. ყველას ახსოვს ქართული სერიალი, სადაც დათოს გმირი კორკოტას (გია კორკოტაშვილი. ავტ.) გმირს კლავს. მაშინ დათოს ყველა მკვლელად აღიქვამდა. ქუჩაში ხალხი ეკითხებოდა, შენი მეგობარი რატომ მოკალიო. ალბათ ეს ხალხი სერიალებით ცხოვრობს.

ერთხელ სერიოზული კონფლიქტი მოგვივიდა, რადგან დათოს დაადგნენ, უახლოესი მეგობარი, კორკოტა მოკალიო. ახლაც მსგავსი სიტუაციაა, დათო ძალიან წარმატებული ადამიანი ჰგონიათ, რომელიც ხალხს ეხმარება.

**— თქვენ სულ პატარა მსგავსებასაც ვერ ამჩნევთ მათ შორის?**

**ვიქტორია**: ერთადერთი ის აქვთ საერთო, რომ დათოც ძალიან მშვიდი, დინჯი და დახვეწილია.

**დათო**: მე ვერ გეტყვით, რამით თუ ვგავარ ჩემს გმირს. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი, ჩემი გმირი ცდილობს, კეთილი ადამიანი იყოს და ქვეყნისთვის ბევრი სიკეთე გააკეთოს. მის ასეთ დამოკიდებულებას ვემხრობი. რაც მეტი ქართველი იფიქრებს იმაზე, რომ ქვეყნისთვის კარგი გააკეთოს, მით უფრო წარმატებული ქვეყანა გვექნება. რაც უფრო დაბოლმილები ვიქნებით, მით უფრო დიდ სიბნელეში ვიცხოვრებთ. მიბაძეთ მირიან ბარათეონს და ქვეყნისთვის რაღაც კარგი გააკეთეთ!

> **დათო: „ქალებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ თავიანთი საქმე, ენერგია დახარჯონ, რომ ქმრებს არ დაასხდნენ თავზე".**

**ვიქტორია**: სხვა თუ არაფერი, ხალხმა ერთმანეთი მაინც შეიყვაროს. წინა პლანზე სიძულვილია წამოწეული. ვფიქრობ, ხალხს ზედმეტი ამბიცია აქვს. ვისაც არაფერი გაუკეთებია, ყველაზე დიდი ამბიციები მათ აწუხებთ.

**— ალბათ ისიც იცით, რომ მირიან ბარათეონს ცნობილ ბიზნესმენ ლევან ვასაძესთან აიგივებენ.**

**დათო**: მე არ ვაიგივებ. კაცმა არ იცის, რატომ გაავლეს პარალელები ჩემს გმირსა და ლევან ვასაძეს შორის. შეგიძლიათ იგივე კითხვა ვასაძესაც დაუსვათ. ჩემი აზრით, ის ბარათეონთან არაფერ შუაშია. ორი აბსოლუტურად განსხვავებული ტიპია.

**ვიქტორია**: ჩვეულებრივი ქართული ფანტაზიაა.

**დათო**: ქართველებს ხომ უყვართ ასეთი თემების აგორება. ერთადერთი, რაშიც მირიანი და ლევანი ერთმანეთს ჰგვანან, ისაა, რომ ორივეს ბევრი შვილი ჰყავს.

**ვიქტორია**: სამაგიეროდ, ვასაძეს ამდენი ცოლი არ ჰყოლია!

**დათო**: ჰო, ვასაძეს ვინც ჰყავდა, დღემდე ის ჰყავს და ალბათ ბოლომდე ეყოლება. მირიანს კიდევ, მგონი, უკვე შვიდი ცოლი ჰყავდა.

**ვიქტორია**: შეიძლება ჩოხით რომ დადის, ასეთი შედარების მიზეზი ეს გახდა?

**დათო**: ჩოხაში გამოწყობილი ბევრი დადის და ეს არაფერ შუაშია. სხვათა შორის, როგორც გავიგე, ასე თუ ისე, ეს კაცი ამ ყველაფერში ჩაითრიეს და მანაც გააკეთა კომენტარი. მოკლედ, დიდი გაუგებრობა მოხდა და, იცით, ეს ყველაფერი ვისი ბრალია?

**— ვისი?**

**დათო**: თქვენ არაფერ შუაში ხართ, მაგრამ ჟურნალისტების ბრალია. ეს ამბავი სწორედ მათი ატეხილია.

**ვიქტორია**: მე მგონი, რადგან მირიანი ამბობს, მე ვარ ბარათეონი, ანუ სამეფო ოჯახის სუფთა სისხლის წარმომადგენელიო, ალბათ ეს

> **ვიქტორია: „ლევან ვასაძეც ძალიან დახვეწილი კაცია. ბავშვობაში მას ვიცნობდი კიდეც. მირიანის და ლევანის ტიპაჟები აბსოლუტურად განსხვავდებიან იმ ფულიანი კაცებისგან, ვინც საქართველოში გვყავს. დახვეწილი საუბარი, მანერები, ეს ყველაფერი უცხოა მათთვის".**

გახდა ამ ორი პიროვნების გაიგივების მიზეზი. პრინციპში, ლევან ვასაძეც ძალიან დახვეწილი კაცია. ბავშვობაში მას ვიცნობდი კიდეც. მირიანის და ლევანის ტიპაჟები აბსოლუტურად განსხვავდებიან იმ ფულიანი კაცებისგან, ვინც საქართველოში გვყავს. დახვეწილი საუბარი, მანერები, ეს ყველაფერი უცხოა მათთვის. ლევანიც და მირიანიც უფრო ევროპელი ბიზნესმენების ყაიდის არიან, ვიდრე ქართველების.

**— ქალბატონო ვიქტორია, სერიალის რომელი პერსონაჟი არ მოგწონთ?**

**ვიქტორია**: ვფიქრობ, დღეს დიტოს მხარეზე ძალიან ბევრი ადამიანია, რადგან საზოგადოებაში ის ვაჟკაცობის ეტალონია. ჩემთვის კი დიტოსნაირი მამაკაცი მიუღებელია. რა თქმა უნდა, ეს მსახიობ კოტე თოლორდავას არ ეხება, მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არ ვიცი, როგორ უნდა იყოს ვაჟკაცობის ეტალონი დიტოსნაირი ტიპაჟი, კაცი, რომელიც ქალზე ხელს ასწევს. ეს სერიალი ევროპაში რომ გადაეღოთ, ალბათ ასეთი ამბავი არ მოხდებოდა. კატო ერთი თავქარიანი გოგო კი არის, მაგრამ მისი პერსონაჟის მიმართ არანაირი აგრესია არ მაქვს.

**— თქვენმა ქმარმა რამდენიმე ხნის წინ „სარკესთან“ თქვა, ჩემი ცოლი კატოსგან სრულიად განსხვავებულიაო.**

**ვიქტორია**: ვხვდები, დათომ რა იგულისხმა, რადგან მე სულ სხვა ღირებულებები მაქვს ცხოვრებაში. კატო ქარაფშუტა, მეტიჩარა და საკმაოდ ზედაპირული გოგოა, მაგრამ სამაგიეროდ ბოღმიანი არ არის, პირიქით, სხვებს შურთ მისი. კატოსნაირი მეგობრებიც მყავს, რომელთაც კარგად ვუგებ.

**დათო**: ყველანაირი სტილის გოგოს გამოუჩნდება თავისი პატრონი, მაგრამ კატოსნაირი გოგოები ჩემთან ახლოს ვერ მოვლენ. ეს, რა თქმა უნდა, ლელა მებურიშვილს არ ეხება, ოქროს გოგოა! ძალიან ნიჭიერი მსახიობია და ამას ჩემი ცოლიც აღნიშნავს. ლელა ზუსტად ურტყამს, ზუსტად თამაშობს. მალე ფილმი გამოვა, რომელიც ფაქტობრივად კატოზეა და მიხვდებით, რომ მართლა კარგი არტისტი შეემატა ქართულ კინოხელოვნებას.

**— ქალბატონო ვიქტორია, ქმრის საქმის მიმართ კრიტიკული ხართ თუ გიჭირთ ობიექტურობის შენარჩუნება?**








Cyan Magenta Yellow Black

**ვიქტორია**: დათოს მიმართ სუბიექტური ნამდვილად არ ვარ. 20 წელია რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობია, მაგრამ რატომღაც მხოლოდ მაშინ ხდება პოპულარული, როცა სერიალში გამოჩნდება. ამ წლების განმავლობაში დათომ თეატრში ბევრი მთავარი როლი შეასრულა. მას ყოველთვის აინტერესებს ჩემი აზრი, იცის, რომ ზუსტად იმას ვეტყვი, რასაც ვფიქრობ და რამდენად ითვალისწინებს, ეს მას ვკითხოთ.

**დათო**: რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ.

**ვიქტორია**: ჯანსაღი კრიტიკა დიდი ფუფუნებაა. როცა ადამიანი თვითკმაყოფილია, ის ვერ იზრდება და ერთ ადგილზე რჩება.

**დათო**: ხომ ეტყობა, რომ ჩემი გაზრდილია?

**ვიქტორია**: პირიქით, ესაა ჩემი გაზრდილი! რომ არ მოგატყუოთ, ერთმანეთს ვზრდით.

**დათო**: ვაღიარებ, რომ ყოველთვის ათიანში არტყამს.

— **20 წელია ცოლ-ქმარი ხართ. ოჯახურ ცხოვრებაში რა ეტაპების გავლა მოგიწიათ?**

**ვიქტორია**: მე და დათომ ძალიან ბევრი ეტაპი გავიარეთ. ცოლქმრობა ყველაზე რთული რამ არის. თავიდან ყველაფერი ვნებით იწყება, მერე ეს ვნება გადის, ურთიერთობა იცვლება. ყოველდღიურად უამრავი პრობლემაა და ამ ყველაფერს უნდა გაუძლო. ოჯახი დიდი პასუხისმგებლობაა. ქალმაც და კაცმაც უნდა იფიქროს იმაზე, რომ ოჯახი არ დაინგრეს. ბევრი ისეთი წყვილია, ვინც პრობლემებს ვერ უძლებს, ოჯახი ენგრევათ, მერე სხვასთან ქმნიან ოჯახს და იგივე პრობლემები იწყება. ვნება და სიყვარული მხოლოდ მაშინ ნარჩუნდება, როცა ორი ადამიანი შორსაა ერთმანეთისგან. ოჯახი კი მხოლოდ პასუხისმგებლობაა.

— **პასუხისმგებლობა სიყვარულის გარეშე?**

**ვიქტორია**: არა, სიყვარულიც არის და მიჩვევაც. ჩემი მთავარი ფასეულობა და ღირებულება ოჯახია.

**დათო**: ჩემი მთავარი ღირებულება ისაა, რომ ცოლი და შვილები კარგად მყავდეს.

— **ვიქტორია, დამთმობი ხასიათი აქვს თქვენს ქმარს?**

**ვიქტორია**: კი, ამაში ერთმანეთს ვგავართ, მეც დამთმობი ვარ.

**დათო**: ეს ყველაფერი კარგად რომ არ გვქონდეს ერთმანეთთან შერწყმული, ამდენ ხანს ერთად ვერ ვიცხოვრებდით.

**ვიქტორია**: არის მომენტები, როცა მე ვთმობ და ზოგჯერ — დათო. ჩვენი შეხედულებები ძირითადად ემთხვევა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისგან განსხვავებულად ვცხოვრობთ. მე ჩემი საქმე მაქვს, მას — თავისი. ჩვენი გემოვნებაც განსხვავდება, მას სხვა ჟანრის ფილმები უყვარს, მე სრულიად განსხვავებული ჟანრის ფილმებს ვუყურებ.

4-5 წელია ჩემი ბიზნესი მაქვს — საცხობი. ტორტებს ვაფორმებ. ახლა ვაფართოებ. რესტორანი იხსნება, სადაც ქართული სამზარეულო იქნება. იქ ვგეგმავ საცხობის გაკეთებას. ძალიან მიყვარს საჭმელების კეთება, იქაც მთელ ჩემს გრძნობებს ვდებ. ვთვლი, რომ გრძნობის გარეშე არაფერი გამოვა.

— **ბატონო დათო, თქვენი აზრით, ქალს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი საქმე?**

**დათო**: ქალებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ თავიანთი საქმე, ენერგია დახარჯონ, რომ ქმრებს არ დაასხდნენ თავზე.

— **ვიქტორია, ქმარზე გიეჭვიანიათ?**

**ვიქტორია**: დათო არაპროგნოზირებადი ადამიანია. ხშირად მეკითხებიან, შენი ქმარი მსახიობია და როგორ არ ეჭვიანობო. ქორწინების პირველი წლები ძალიანაც მინდოდა, მეეჭვიანა, მაგრამ არანაირი საბაბი რომ არ მომცა, დავმშვიდდი. მსახიობები ბავშვებივით არიან, ისინი გადასაღებ მოედანზე თამაშობენ.

— **მერე გამორიცხავთ, რომ ამ თამაშ-თამაშში სერიოზული გრძნობა მოვა?**

**ვიქტორია**: ეს პიროვნებაზეა დამოკიდებული. დათო ძალიან თავშეკავებულია. ეჭვიანობის საბაბი ნამდვილად არ მაქვს, არადა ზოგჯერ ისიც მიფიქრია, ნეტა, რამე მიზეზი მქონდეს, რომ ვიეჭვიანო-მეთქი. როცა ჩვენს ცხოვრებაში შვილები გაჩნდნენ, მივხვდით, ეს რამხელა პასუხისმგებლობა იყო. უკვე რამდენი წელია ყველაფერს ორმაგად ვუწევთ ანგარიშს. როცა რაღაცაზე ბრაზდები და სახლიდან წასვლა გინდება, რაღაცნაირად შვილებს უწევ ანგარიშს, არ გინდა, მათ გული ეტკინოთ, მით უმეტეს, რომ დათო ძალიან კარგი მამაა. ბავშვები მამაზე გიჟდებიან. ღმერთმა ნუ ქნას და, ჩემსა და დათოს შორის სერიოზული პრობლემა რომ იყოს და სახლიდან წასვლა მომიწიოს, ჩემი შვილები არ გამომყვებიან, მამასთან დარჩებიან.

— **ალბათ თქვენ უფრო მომთხოვნი და მკაცრი ხართ, ვიდრე დათო.**

**დათო**: მე ძალიან ვანებივრებ ბავშვებს, ვიქტორია — არა. შეიძლება შვილებს მხოლოდ ნახევარი საათით გავუბრაზდე და მერე გადამივლის.

**ვიქტორია**: მესაკუთრე არ არის არც ჩემ მიმართ და არც ბავშვების მიმართ.

— **შვილებში ვისი ხასიათი ჭარბობს, მამის თუ დედის?**

**ვიქტორია**: ხასიათით მე ბიჭი მგავს.

**დათო**: სამაგიეროდ ელენე მე მგავს.

**ვიქტორია**: მე, ისევე როგორც ჩემი ბიჭი, შემიძლია სიმართლეს შევეწირო და ბოლომდე გავიტანო. დათოს და ელენეს დიდად არაფერი მიაქვთ გულთან. ერთხელ გუგა და ელენე ჩხუბობდნენ, გუგა უმტკიცებდა, ჩემს სათამაშოს ვერ ვპოულობ, ვიღაცას აჩუქე და მითხარი, ვის მიეციო. მთელი დღე ბავშვს თავი არ დაანება. ბოლოს ელენეს მობეზრდა და ვიღაცაზე უთხრა, იმას ვაჩუქეო. მეორე დღეს კი სათამაშო სახლში ვიპოვე. ოღონდაც ძმას მისთვის თავი დაენებებინა და ტყუილად დაიბრალა, მტკიცება კი არ დაიწყო, რომ არავისთვის უჩუქებია.

**„ვიქტორია: „სახლიდან წასვლა რომ მომიწიოს, ჩემი შვილები არ გამომყვებიან, მამასთან დარჩებიან".**

— **მსახიობობას ხომ არ აპირებენ?**

**დათო**: არ მინდა, რომელიმე ჩემი შვილი მსახიობი გახდეს და ვერც ვიტყვი, რომ ბავშვებს ხიბლავთ ეს პროფესია. გუგას რეჟისორობა უნდოდა, მაგრამ არ ვიცი, ბოლომდე არის თუ არა ჩამოყალიბებული. ელენე საბალეტო სკოლაში დადის და ორ წელში შევხედავთ, მისგან დადგება თუ არა ბალერინა.

— **ოჯახურმა, ყოფითმა პრობლემებმა გადაწონა თქვენს ურთიერთობაში არსებული რომანტიკა?**

**ვიქტორია**: რომ გითხრათ, ყოფითმა პრობლემებმა ჩვენს რომანტიკულობას ვერაფერი დააკლო-მეთქი, ხომ არ დაიჯერებთ? სწორედ ეს ყოფითობაა მთელი პრობლემა. დათო რაღაცნაირად მაინც ინარჩუნებს რომანტიკულობას, მსახიობია და დიდი ფანტაზია აქვს. როცა პირველ პლანზე პასუხისმგებლობაა, სხვა დანარჩენზე ფიქრისთვის დრო აღარ რჩება. ერთადერთი კარგი საშუალება ისაა, როცა მარტო ჩვენ ორნი მივდივართ საზღვარგარეთ და იქ ვივსებთ დანაკლისს.

✓ **ქეთი დინოშვილი**

# ვანო ჯავახიშვილი: „ცოლზე სულ ვეჭვიანობ“

## ვანო: „ოჯახში მატება აუცილებელია, მეორე ბავშვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს“

შოუმენი ვანო ჯავახიშვილი ახალ წელს ფინანსური სურვილებით ხვდება — ბანკის ვალები აქვს დასაფარი. ამისთვის თავდაუზოგავად შრომობს. თითქმის მთელი დეკემბერი ისე გავიდა, ცოლ-შვილისთვის ვერ მოიცალა. საახალწლო სამზადისი ოჯახში მეორე ნახევარს, თაკო მურუსიძეს მიანდო. ნაძვის ხეც ცოლმა მოურთო, საახალწლო სუფრისთვისაც ის ზრუნავს დედისა და დედამთილის ხელშეწყობით. ამ უკანასკნელისგან კარგი გოზინაყის გაკეთებაც ისწავლა.

ცოლ-ქმრისთვის უკვე მე-7 ერთობლივი ახალი წელი დგება. ამ დროის მანძილზე საკუთარი ჭერი გაიჩინეს, გაზარდეს შვილი ნიკოლოზი, ერთმანეთი კარგად გაიცნეს და უფრო შეკავშირდნენ. ახლა კი, ვანოს აზრით, მათ ოჯახში მატების დროა.

— **რამდენი წელია, რაც ახალი წლის დღესასწაულს ერთად ეგებებით?**

**ვანო**: პირველად 2008 წელს შევეგებეთ ერთად. თაკო 3 თვის ორსული იყო. ჩემს ოჯახში შევხვდით ახალ წელს, მაშინ ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. არ გვინდოდა სხვის სახლში შეხვედრა და ეს დღესასწაული დედასთან ერთად აღვნიშნეთ. თითქმის ყოველ ახალ წელს ოჯახში ვხვდებით, შემდეგ მივდივარ კორპორატიულ საღამოზე, სადაც წამყვანად მეპატიჟებიან ხოლმე.

**თაკო**: შარშან ისე მოხდა, რომ ვანოს შემოთავაზება არ ჰქონდა და 3 იანვარს სტამბულში წავედით. ასეთი ახალი წელი უფრო მომწონს, ვიდრე ტრადიციულად სუფრიდან სუფრაზე რომ გადადიხარ.

**ვანო**: საღამოს წაყვანის დროს თავს არაკომფორტულად ვგრძნობ. ურთულესია, ხალხი აიყვანო და დრო კარგად ატარებინო, თუმცა ჰონორარის გამო ამ ტიპის შემოთავაზებებზე უარს არ ვამბობ. არიან ადამიანები, რომლებიც გიტარას დაიჭერენ ხელში და დილამდე უპრობლემოდ მიჰყავთ საღამო. მე ეს არ შემიძლია, ცოტა მორიდებული კაცი ვარ.

— **ყველა ოჯახს თავისი საახალწლო ტრადიციები და რიტუალები აქვს. თქვენი რითი განსხვავდება სხვებისგან?**

→32

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



**თაკო**: არაფრით. რომ გითხრათ, ნაძვის ხის აწყობა ძალიან მიყვარს-მეთქი, მოგატყუებთ. 31 დეკემბრის საღამოს მოვალეობის მოხდის მიზნით ვრთავ. ადრე ისეთი ნაძვის ხე მქონდა, რომელსაც სათამაშოები ზედვე ჰქონდა დამაგრებული, გამოვიტანდი, დავდგამდი და მისი აღების დრო რომ მოდიოდა, მარტივად ვინახავდი. ჩვენი ნიკოლოზი ახლა უკვე 5 წლისაა და მის სურვილს ვერ ვეწინააღმდეგები, ძალიან უნდა დიდი ნაძვის ხე ლამაზი განათებებით. ბოლო 2 წელია მისი ხათრით მთელ სახლს ვრთავ.

**ვანო**: ამ პროცესში მე არ ვერევი, რადგან დეკემბრის თვეში ფაქტობრივად სახლში არ ვარ. კონცერტები გვაქვს, ფილმი გამოვუშვით და დილიდან ღამემდე ვმუშაობ. საახალწლო სამზადისისთვის ძალიან ცოტა დრო მრჩება, ვერც პროდუქტების ყიდვისთვის ვიცლი და ვერც სხვა დანარჩენისთვის.

**თაკო: „ვანოს საკმაოდ კრიტიკულად ვაფასებ, ამაზე არ ბრაზდება, მაგრამ მძიმედ რეაგირებს, ნერვიულობს".**

**— თაკო, საახალწლო სუფრას თავად ამზადებთ?**

**თაკო**: დედაჩემიც და ჩემი დედამთილიც კარგი კულინარები არიან და ისინი გვიგზავნიან გამზადებულ საჭმელებს. ჩვენ ტკბილეულს, ხილს, სასმელს ვიმარაგებთ. ეს ბოლო რამდენიმე წელია დედამთილის რეცეპტით ვაკეთებ გოზინაყს.

**ვანო**: თაკოს გოზინაყი უდაოდ კარგი გამოსდის. საერთოდ ყველა კერძს გემრიელად ამზადებს, მთავარია, გააკეთოს. ამ მხრივ ჩემს სიდედრს დაემსგავსა. ტოლმას ვერ ახვევს, მაგრამ კარგ სალათებს აკეთებს.

**— პატარა ნიკოლოზს ვინ უფრო ანებივრებს?**

**თაკო**: ვანო, რაზეც ხშირად ვბრაზდები. ნიკოლოზს ჯერ სანტასთვის წერილი არ გაუგზავნია, მაგრამ წელსაც ვანო იქნება ჩვენი ოჯახის სანტა.

**ვანო**: ნიკოლოზს საინტერესო მოთხოვნები აქვს. ისწავლა „იუთუბ"-ზე შესვლა, სადაც საბავშვო თამაშებით ერთობა. უცებ მოიხიბლება ნაყინის ჩამოსასხმელით, მომიბრუნდება და მეტყვის, იქნებ როგორმე ეს მიშოვოთო.

**თაკო**: იძულების წესით ჩვენც ვიწერთ ამ სათამაშოებს, ის ჩვენზე კარგად ერკვევა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში.

**ვანო**: შვილმა ჩვენი ოჯახი შეკრა. ნიკოლოზი რომ არ ყოფილიყო, ჩვენს ურთიერთობაში სიცარიელე იქნებოდა. მას ჩვენი ოჯახის ნორმალიზებაში ძალიან დიდი როლი მიუძღვის. თუმცა, როცა თაკოს ვეფერები და ვკოცნი, საშინლად ეჭვიანობს, ბრაზდება, მებუტება და მეჭიდავება.

**— დამდეგ წელიწადში ოჯახში მატებას არ გეგმავთ?**

**ვანო**: აქტიური, ლურჯი ცხენის წელი მოდის. მე ცოტა შენელებული კადრი ვარ და ამიტომ წელს უნდა ავჭენდე.

**თაკო**: თუ ღვთის ნება იქნება, აუცილებლად გავაჩენ შვილს. ჯერ კი ეს საკითხი დაგეგმილი არ გვაქვს.

**ვანო**: მატება აუცილებელია როგორც ჩვენთვის, ასევე ნიკოლოზისთვის. არ მინდა, დედისერთებივით ეგოისტი იყოს.

**— გოგოს მამობაზე ხომ არ ოცნებობთ?**

**ვანო**: მეორე ბავშვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს.

**— ვანო, თქვენ სუფრის გაძღოლაც კარგად გამოგივათ. ვიცი, სმა დიდად არ გიყვართ, მაგრამ დღესასწაულებზე მეგობრების წრეში მაინც არ თამადობთ?**

**თაკო**: ვანოს თამადობა მე არ მინახავს!

**ვანო**: ჩვენ თანამედროვე მიმართულებები მოგვწონს, მაგრამ სუფრა ყველა ოჯახში ტრადიციულია. ახალ წელს ძირითადად მიპატიჟების რეჟიმში ვართ, 2 იანვარს ყოველთვის ჩემს ძმასთან ვიკრიბებით, რადგან იუბილარია. 1 იანვარს თაკოს ოჯახში მივდივართ. აქედან გამომდინარე, ჩემი კოლეგები, მეგობრები ერთად შეკრებას ვერ ვახერხებთ. თან სამსახურში ძირითადად ქუთაისელები არიან და ყველა თავის ოჯახში მიდის.

**ვანო: „მე ცოტა შენელებული კადრი ვარ და ამიტომ წელს უნდა ავჭენდე".**

**— დგება ახალი წელი, განვლილის შეჯამების დრო. თქვენი ოჯახურ ცხოვრების 6 წელს როგორ შეაფასებდით?**

**თაკო**: ამ წლებმა ჩვენს ცხოვრებაში მეტი პოზიტივი მოიტანა, მეტად დავუახლოვდით, გავიცანით და მეტად გვესმის ერთმანეთის. უდიდეს პატივს ვცემთ ერთიმეორის საქმიანობას.

**ვანო**: ძალიან სტაბილური ურთიერთობა გვაქვს. კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და ვიცით, რა გვსიამოვნებს. ურთიერთობა ერთფეროვანი რომ არ იყოს, ვცდილობთ, სიურპრიზები ხშირად გავუკეთოთ ერთმანეთს.

**თაკო**: ვანო ამ მხრივ უფრო აქტიურია, მას ძალიან უყვარს საჩუქრების კეთება. როცა სამსახური მქონდა, არც მე ჩამოვუვარდებოდი, მაგრამ შვილი რომ გავაჩინე, სამსახურიდან წამოვედი, ამიტომ ვანოს მოცემული ფულიდან ვზოგავდი და ისე ვუკეთებდი სიურპრიზებს. ახლა ისევ გამიჩნდა შემოსავალი და საჩუქრების გაკეთების დროს უფრო თამამი ვიქნები.

**— თაკო, პოპულარულ ქმარზე ხომ არ ეჭვიანობთ ხოლმე?**

**თაკო**: ჩემ გარეშე რომ დადის, არ ვიცი, მაშინ თუ ეპრანჭება ვინმე, მაგრამ ერთად როცა ვართ, არასდროს შემიმჩნევია, ვინმეს გამოეხატოს კეკლუცობა. მიხარია, როცა აქებენ და ეფერებიან.

**ვანო**: სადაც სიყვარულია, იქ რაღაც დოზით ეჭვიანობაცაა.

**თაკო**: ვანო, შენ, რა, ეჭვიანობ ხოლმე?!

**ვანო**: რა თქმა უნდა, მე სულ ვეჭვიანობ, თუმცა ჩემი ეჭვიანობა ნორმის ფარგლებშია. ვერ ვიტან პათოლოგიაში გადაზრდილ ეჭვიანობას, ცოლს რომ ფანჯარაში ყურებას უკრძალავენ და სცემენ. ასეთი ადამიანები ფსიქიკურად ავადმყოფები არიან. ვერ ვიტან ძალადობას, კაცი რომ ქალს ხელს ურტყამს, უკვე მარაზმია.

**თაკო**: ამ ბოლო დროს ძალადობის სტატისტიკას გადავავლე თვალი და ძალიან გავღიზიანდი. ვერ ვიტან ქალების იმ კატეგორიას, რომლებიც ამბობენ, კაცია და გაივლის ქალებში, აბა, რას იზამსო.

**ვანო**: მეორე ვერსია ამ ამბის ის არის, როცა ამბობენ, მე ნუ დამანახებს და სადაც უნდა, იქ გაიაროსო.

**თაკო**: წინა თაობა შეიძლება ასე ფიქრობდეს, მაგრამ ახალგაზრდები რატომ უნდა ფიქრობდნენ ასე, არ ვიცი. ღალატი ღალატია, რა მნიშვნელობა აქვს, ერთჯერადად უღალატებ თუ მუდმივად?!

**— თქვენს ცოლქმრობაში კრიზისული პერიოდები თუ გქონიათ?**

**თაკო**: არა, ურთიერთობაში კრიზისი არ გვქონია. ვანო, ეს მაგიდა ხეა თუ ლამინატი? სამჯერ უნდა დავაკაკუნო! რა ვიცი, ახლა ყველაფერი კარგადაა და საშუალო ასაკის კრიზისს რომ ეძახიან, ისიც თუ არ შეგვეხო, კარგი იქნება.

**ვანო**: ეგ რომელია, კლიმაქსი? რა ასაკიდან იწყება კლიმაქსი?

**თაკო**: მაგ დროს კაცებს პატარა გოგოებისკენ გაურბით თვალი, ქალებს — პატარა ბიჭებისკენ.

**ვანო**: 32 წლის ვარ, ეს პერიოდი კარგად მიდის, ჯერ არავისკენ გამირბის თვალი.

**— თაკო, „ვანოს შოუს" როგორ აფასებთ, კრიტიკული ხართ ქმრის მიმართ თუ ნაკლს საერთოდ ვერ ამჩნევთ?**

**თაკო**: საკმაოდ კრიტიკულად ვაფასებ. ამაზე არ ბრაზდება, მაგრამ მძიმედ რეაგირებს, ნერვიულობს. სახლში არასდროს ხუმრობს, არ იცის ანეკდოტების მოყოლა და, რამდენადაც ვიცი, ანეკდოტები არც უყვარს.

**ვანო**: თაკოს აზრს ხანდახან ვეთანხმები. დიდი შემოქმედებითი გუნდი ვმუშაობთ. ვიდრე გადაცემა ჩაიწერება, ასჯერ ავწონდავწონით და საუკეთესო ვერსიებს ვტოვებთ.

**თაკო**: დღემდე მეცინება მის ხუმრობებზე.

**ვანო**: ხანდახან ისეთი ხუმრობები მაქვს, კი არ უნდა გეცინებოდეს, უნდა გეტირებოდეს.

**— დაბოლოს, რა სურვილებით ხვდებით 2014 წელს?**

**თაკო**: მთავარი ჯანმრთელობაა, სხვა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

**ვანო**: 2014 წელს ჩავუთქვამ, რომ ჯანმრთელები ვიყოთ და ბანკის ვალები არ გვქონდეს. თაკო, არ მოგწონს ეს სურვილები?

**თაკო**: სხვა გლობალური სურვილებიც მაქვს, მაგრამ არც ამაზე ვიტყოდი უარს.

**ვანო**: დამიჯერე, ესეც გლობალურია!

✓ ლანა კიკნაძე






Cyan Magenta Yellow Black

# თამუნა მუსერიძე: „ანჩო დოლიძისთვის შეყვარებული არ წამირთმევია!“

## „პირველად ვიგრძენი, რას ნიშნავს, როცა გვერდით კაცი გყავს"



ცელე და რადიოწამყვან თამუნა მუსერიძის გარშემო მუდმივად ხმაური და ჭორებია. ბოლოს ყურადღების ცენტრში იმ ფაქტის გამო მოექცა, რომ, როგორც ამბობენ, პროექტ „ახალი ხმის“ მონაწილე ანჩო დოლიძეს შეყვარებული წაართვა. თამუნა კი ირწმუნება, რომ მისი და ლევან დოგრაშვილის ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ეს უკანასკნელი შეყვარებულს დაშორდა. ლევანთან თავს ძალიან კარგად გრძნობს. როგორც „სარკესთან“ აღნიშნა, რომ ახლა უკვე შეუძლია თავს უფლება მისცეს, სუსტი ქალი იყოს. მას შვილის გაზრდა უქმროდ მოუწია და საკმაოდ იწვალა, რას ნიშნავს დღე-ღამეში 20 საათი მუშაობა, რათა ბავშვს უმამობა არ ეგრძნო.

— **თამუნა, თქვენ ირგვლივ სულ ხმაური, ჭორებია. მიზეზი თქვენშია თუ ობიექტურ რეალობაში?**

— ეს ჩემი ბრალი არ არის. ბოლო დროს აქტუალურ თემებს ქრონოლოგიურად რომ ჩამოვყვეთ, ჯერ მე და გიორგი ნაზღაიძე თურქეთში დაგვიჭირეს. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი ბრალი არ იყო. იქიდან რომ გამოგვიშვეს, ჟურნალისტებმა მეორე სკანდალი ააგორეს, რომ ვითომ მოვიტყუეთ. არადა როგორ შეიძლება ასეთი რაღაც მოიტყუო?! ამის მერე კიდევ ერთი სკანდალი გამოიწვია ჩემმა დაბადების დღემ. დამიჯერეთ, რომ არც ეს ყოფილა ჩემი ბრალი. თანამშრომლებმა შეკრიბეს ფული, იქირავეს მამაკაცი, რომელმაც სტრიპტიზი იცეკვა. მან იცეკვა, დანარჩენებმა ფული გადაიხადეს და მე ვიჯექი. ამ დროს კი ისევ მე გამოვედი სკანდალური პიროვნება.

რეალურად ძალიან მშვიდი, უკონფლიქტო ადამიანი ვარ. დარწმუნებული ვარ, ამას ბევრი არ დაიჯერებს და თქვენს ჟურნალს რომ წაიკითხავენ, იტყვიან, იგონებს, პოპულარობა უნდაო. ვინც მიცნობს, ის დარწმუნებულია ჩემში და ვინც არ მიცნობს, მათი აზრი არც მაინტერესებს.

„ქუჩაში ვილაც კაცმა გამაჩერა, ჩამეხუტა და მითხრა, ძალიან მიყვარხარო. თუნდაც ამ ერთმა ფაქტმა მთლიანად დამავიწყა ის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც ჩემკენ მოდის".

— **ცნობადობა მსხვერპლს მოითხოვს.**

— ჩემმა მეგობარმა ლევან აფშილავამ ცოტა ხნის წინ „ფეისბუქის“ გვერდზე დამიწერა, საქართველოში პოპულარობა წყევლააო. ეს გარკვეულწილად ასეა, მაგრამ ცოტა ხნის წინ ქუჩაში ვილაც კაცმა გამაჩერა, ჩამეხუტა და მითხრა, ძალიან მიყვარხარო. თუნდაც ამ ერთმა ფაქტმა მთლიანად დამავიწყა ის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც ჩემკენ მოდის.

— **ბოლო დროს კიდევ ერთი სკანდალი აგორდა თქვენ გარშემო, ანჩო დოლიძეს (კონკურს „ახალი ხმის“ ყოფილი მონაწილე. ავტ.) შეყვარებული წაართვათ.**

— მიუხედავად იმისა, რომ ანჩო დოლიძემ ფაქტობრივად მომთხარა, ჩემზე ისეთები თქვა, ვერაფრით გავამტყუნებ, ამ გოგოზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი. არ მიცნობს და არ ვიცი, ასე შორიდან რითი დავიმსახურე მისი ამგვარი დამოკიდებულება. ჩემი და ლევანის ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ის და ანჩო დაშორდნენ. ამას ლევანიც ამბობს. მათ დაშორებაში რომ მე არაფერ შუაში ვარ, ეს თავადაც აღნიშნა, მაგრამ მაინც გამლანძღა. 29 წლის რომ ვარ, ეს რატომაა ჩემთვის მინუსი, არ ვიცი. არადა თქვა, ასაკშია, მაგრამ არ ეტყობაო.

ვერ ვამტყუნებ ადამიანს, რომელიც თავისი ზურგით ცდილობს რაღაცის გაკეთებას, რაღაცის მიღწევას. მისი კარგად მესმის, რადგან ცხოვრებაში არავინ დამხმარებია, პატრონი არ მყოლია, ჩემზე არასოდეს უთქვამთ, ჩემიანია და დავასაქმებო. ამიტომ ამ გოგოსაც პატივს ვცემ, მაგრამ მე რატომ გავიჭყლიტე, ვერ ვხვდები. პატარაა და არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს და ხალხს თავი სწორად როგორ მიაწოდოს. ის, რომ მღერის, ბევრი მღერის, ის, რომ მან გაიხადა, ბევრმა სხვამაც გაიხადა.

„ჩემი და ლევანის ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ის და ანჩო დაშორდნენ, მაგრამ ანჩომ მაინც გამლანძღა. 29 წლის რომ ვარ, ეს რატომაა ჩემთვის მინუსი, არ ვიცი. თქვა, ასაკშია, მაგრამ არ ეტყობაო".

ალბათ აკმაყოფილებს ეს ორკვირიანი პოპულარობა, რომელსაც ამ სტატიებით მიაღწევს.

— **ლევანს რა რეაქცია ჰქონდა ამ ყველაფერზე?**

— ამ გოგონამ რამდენიმე ჟურნალს მისცა ინტერვიუ, მაგრამ ჩემი სახელი ყველამ ამოიღო, ერთის გარდა. სამწუხაროდ, არის ისეთი ჟურნალები, რომლებიც რესპონდენტებზე კი არა, იმაზე ფიქრობენ, რომ ორი ჟურნალით მეტი გაყიდონ. ლევანმა ანჩოს დაურეკა და უთხრა, ჟურნალისტს უთხარი, თამუნას სახელი ამოიღოსო. ის დაპირდა, რომ დარეკავდა, მაგრამ ფაქტი სახეზეა, რომ არ ამოიღეს. არც ვიცი, ანჩომ მართლა დარეკა თუ არა.

— **თქვენ რითი გახდით პოპულარული, რა წინაღობების გადალახვა მოგიხდათ ან რა მსხვერპლი გაიღეთ კარიერისთვის?**

— სამსახიობოზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ მამა ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. დედის მხრიდან ყველა ექიმია, ამიტომ უნდოდათ, მეც სამედიცინოზე ჩამებარებინა. მეუბნებოდნენ, რომ დაამთავრებ, პატარა კლინიკას გაგიხსნით, შენთვის იქნები, ყველა მოგეხმარებაო. მე კი ჩუმად ჩავაბარე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, თან იმ დროს, მამები რომ რეკავდნენ უნივერსიტეტში, ჩემი შვილია და მიიღეთო. მე ფასიან სექტორზე 16 წლის ასაკში მოვხვდი, მაგრამ სამაგიეროდ ჩემი ცოდნით ჩავაბარე.

ჩემმა პედაგოგმა, ნუგზარ ნაცვლიშვილმა, კასტინგი ჩაატარა და გადაცემა „საწინდარის“ წამყვანად ამიყვანა. მაშინ დაიწყო ჩემი ძიძგნა. ეს იყო ჩემი პირველი ყველაზე დიდი იმედგაცრუება. სწორედ ამის გამო დღეს მხოლოდ რამდენიმე ჯგუფელთან მაქვს ურთიერთობა. დღეს რომ მათ ვხვდები, ძალიან კარგად მესალმებიან, მაგრამ ზუსტად მახსოვს, მაშინ ვინ რას ამბობდა. მერე გადაცემა „მეტროს“ წამყვანად მიმიწვიეს. მაშინ მესამე კურსზე ვიყავი. ამან კიდევ ერთი ბოლმის ტალღა ააგორა. შემდეგ „პირველ სტერეოში“ მოვხვდი. შემთხვევით მივედით იქ მე და მომღერალი ლადო ჯანელიძე. გვითხრეს, გვინდა, საახალწლო საღამო თქვენ წაიყვანოთო და ორი კვირით ადრე ეთერში დაგვსვეს. ჩვენს იქ დატოვებას არავინ აპირებდა, მაგრამ ისეთი რეიტინგი გვქონდა, რომ სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ.

ახალი წლის საღამო რომ ჩავამთავრეთ, მამაჩემი გარდაიცვალა. დაკრძალვის დღეს დამირეკეს და მითხრეს, ხვალ თუ ეთერში არ დაჯდები, სხვა წამყვანს ავიყვანთო. 40 დღე შავებში ჩაცმული ვიჯექი ეთერში და ძალიან მხიარული გადაცემა მიმყავდა. მწერდნენ, შენ ის არ ხარ, მამა რომ დაასაფლავე და ახლა ტაშ-ფანდური გაქვს გამართული, რა გემღერებაო. მე უფრო კარგად ვიცი, ის ერთი თვე რა გამოვიარე, ვიდრე ნებისმიერმა იმ მაყურებელმა, რომელიც თავს უფლებას აძლევდა, შევეფასებინე.

— **იღბლიანი კარიერის პარალელურად თქვენი პირადი ცხოვრება არცთუ წარმატებული იყო.**

— გარკვეულწილად ეს ჩემი ბრალიცაა, გარკვეულწილად მისი ბრალიც, ვინც გვერდით მყავდა. აჩი ფურცელაძის შემთხვევაში ზუსტად ვიცოდი, ცოლად ვის მივყვებოდი. ერთი წელი შეყვარებულები ვიყავით, ცოლად გაყოლის შემდეგ კი თვენახევარში გავშორდი. დაქორწინება იმიტომ გადავწყვიტე, რომ მეგონა, შევცვლიდი, მაგრამ ვერ შევძელი.

მეორედ, არ ვიცი, რატომ მომივიდა ასეთი შეცდომა, რადგან მე და ჩემი მომავალი მეუღლე, გურამ მაკალათია, იგივე გუფი, 14 წელი ვიცნობდით ერთმანეთს. როგორც აღმოჩნდა, ქორწინებამდე საჭიროა თანაცხოვრება, რომ გაიგო, როგორი იქნება სახლში. ფანტასტიკური მეგობარი იმას არ ნიშნავს, რომ ასეთივე →34

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0. ქ-ნი ქეთევანი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

კარგი ქმარი იქნება. კარგად არ მქონდა გააზრებული, ვის მივყვებოდი, უფრო მეგობრად ალვიქვამდი. შეყვარებულების სტატუსით ორი თვე ვიარეთ. მე იმ რალაცეებს ვერ შევეგუე, რაც მას ჰქონდა, ის იმ რალაცეებს ვერ შეეგუა, რაც მე მქონდა და მისგან ორი თვის ფეხმძიმე წამოვედი. ეს ტრაგიკულად არ ალმიქვამს, რადგან ბავშვს ველოდებოდი და სხვა არაფრისთვის მეცალა. ჩვენს დაშორებას ბევრი საუბარი მოჰყვა, ხალხი რას იტყვის, ფეხმძიმე მარტო დარჩიო, ამიტომ შევრიგდით, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ერთხელ თუ გატყდება რალაც, რაც უნდა აწებო, ისეთი ველარ იქნება, როგორიც თავიდან იყო.

— **იმაზე არ ფიქრობდით, რომ მარტოხელა დედობა დიდ ძალას მოითხოვს?**

— დიდ ძალას რომ მოითხოვს, ეს ყოველთვის ვიცოდი. ვერ ვიტყვი, რომ ცუდი დედა ვარ, პირიქით, მეგობრები მეუბნებიან, ძალიან ცოტაა ისეთი დედა, როგორიც შენ ხარო. ძალიან ბევრს, დღეში 20 საათს ვმუშაობ. რადიოში მუშაობას ღამის 3 საათზე ვამთავრებ, მერე ერთი საათით სახლში მივდივარ, 5 საათზე კი უკვე ტელევიზიაში ვარ 11 საათამდე, მერე ბაღში მიმყავს შვილი და ტელევიზიაში ვბრუნდები. 6 საათზე ბავშვი ბაღიდან გამომყავს, 10-მდე ჩემთანაა, მერე ვაძინებ და ისევ სამსახურში მივდივარ.

**„40 დღე შავებში ჩაცმული ვიჯექი ეთერში და ძალიან მხიარული გადაცემა მიმყავდა. მწერდნენ, შენ ის არ ხარ, მამა რომ დაასაფლავე და ახლა ტაშ-ფანდური გაქვს გამართული, რა გემღერებაო. მე უფრო კარგად ვიცი, ის ერთი თვე რა გამოვიარე, ვიდრე ნებისმიერმა იმ მაყურებელმა, რომელიც თავს უფლებას აძლევდა, შევეფასებინე".**

— **ასეთ რეჟიმს როგორ უძლებთ?**

— ერთხელ საავადმყოფოში წავიქეცი და მეორედ როდის დავეცემი, არ ვიცი. იმასაც კი მწერენ, შვილს ყურადღებას არ აქცევ, ბავშვს შენი ფული, ტანსაცმელი არ უნდა, მასთან იყავიო. შვილს ყურადღებას არ ვაკლებ. ამას გარდა, თავს იმის უფლებას არ მივცემ, რომ ჩემს შვილს ვილაცაზე ნაკლებად ეცვას. კერძო ბაღში დამყავს, რომლის ფულსაც, რა თქმა უნდა, მე ვიხდი. აქვს ყველა ის სათამაშო, რომელიც უნდა, რომ ჰქონდეს. ალბათ იმაზე მეტად ვატუტუცებ, ვიდრე საჭიროა, მაგრამ ასე იმიტომ ვიქცევი, რომ მამისგან ცოტა დაჩაგრულია საჩუქრებით, ყურადღებით. ვცდილობ, ყველაფერი ორმაგად მივცე, რომ უმამობა ნაკლებად იგრძნოს.

— **მამა რა პერიოდულობით ნახულობს?**

— როცა უნდა, შეუძლია წაიყვანოს. დიდი სიხარულით ვატან, რადგან მამასთან ბავშვი მიფრინავს.

— **მესამედ გათხოვებაზე გიფიქრიათ?**

— არა, ამისთვის მზად არ ვარ. მამაკაცს გვერდით სჭირდება ქალი, რომელიც მოუვლის, გაურეცხავს, დაულაგებს, მე ასე ვერ ვიზამ. როცა ცოლი დღეში 20 საათი მუშაობს, ამ ყველაფერს ვერ გააკეთებს.

— **თქვენ რომ წასვიდეთ დათმობაზე და 20 საათის ნაცვლად 10 საათი იმუშაოთ?**

— მაშინ ისეთი უნდა იყოს, მე და ჩემი შვილი მაქსიმალურად უზრუნველგვყოს. აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, ჩემზე ვინმეს ეზრუნა.

— **იქნებ თქვენ ხართ ისეთი, ყველაფერს საკუთარ თავზე რომ იღებს?**

— კი, ასეთი ტიპი ვარ, თუმცა ლევანთან ვერ ვაჩენ ჩემს სიძლიერეს. აქამდე ის მამაკაცები, ჩემთან ერთად რომ იყვნენ, ჩემთან ვერ ლიდერობდნენ. იმას არ ვამბობ, რომ ვინმე „დაჩმორებული“ მყავდა, მაგრამ ჩემთვის ლაგამის ამოდებას ვერ ახერხებდნენ. ლევანმა ეს ყველაფერი მოახერხა. ყოჩაღ მას, რადგან თავადაც ვერ ვხვდები, ეს რანაირად შეძლო. ვერ ვახერხებ იმის დემონსტრირებას, რომ მე ვარ ძლიერი ქალი, პირიქით, მასთან აწუწუნებულ ბავშვს ვემსგავსები. ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, რას ნიშნავს, როდესაც გვერდით კაცი გყავს.

✓ **ქეთი დინოშვილი**




# ლიზა ვადაჭკორია: „კანს აუცილებლად გადავიჭიმავ, ნაოჭების ყურება ვის სიამოვნებს?!“

**„სტეფანემ ჩემს სტილსა და გარეგნობაზე ცინიკურად იხუმრა"**



**„წელიწადში ორჯერ თავს აუცილებლად ვაძლევ უფლებას, სერიოზული პროცედურები ჩავიტარო კანის გაჯანსაღებისთვის".**

„მიუზიქ ბოქსის“ ხელმძღვანელი, ტელეწამყვანი ლიზა ვადაჭკორია გემოვნებისა და უგემოვნობის ზღვარზე ხშირად არის. საკმარისია ერთი არასწორად შერჩეული აქსესუარი თუ პატარა დეტალი და შეიძლება კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდეს. თუმცა ექსპერიმენტირებას მაინც მედგრად აგრძელებს და მოდის თამამ ტენდენციებსაც არ ჩამორჩება.

40 წლის ტელეწამყვანი სახის და სხეულის მოვლას უკვე მეტ ყურადღებას უთმობს. საკუთარ თავს ძვირადღირებული პროცედურების ჩატარების უფლებასაც აძლევს, ფიგურას კი მუდმივი ვარჯიშით ინარჩუნებს. ქმარი და ერთადერთი ქალიშვილი კომპლიმენტებით ხშირად ანებივრებენ, მაგრამ მისი თამამი ექსპერიმენტები ზოგჯერ მათაც არ მოსწონთ და ლიზა მათგან შენიშვნებსაც იმსახურებს.

— **ლიზა, არაქართული იერი გაქვთ, უფრო — სლავური. გვარში უცხოელი გყავთ ვინმე?**

— დედითაც ქართველი ვარ და მამითაც, მაგრამ მამა ტიპურ ევროპელს ჰგავდა გრძელი სახით, ქერა თმით და მომწვანო თვალებით. ერთი პერიოდი რუსეთში ვსწავლობდი და ვმუშაობდი, ამანაც იქონია გავლენა ჩემს სტილზე. აღმოვაჩინე, რომ ჩემი სტილი და იმიჯი ერთ-ერთი რუსი მსახიობისას ზუსტად ემთხვევა. ფილმ „ბრილიანტის ხელის“ ვარსკვლავ სვეტლანა სვეტლიჩნაიასთან მქონდა ინტერვიუ. მივედი ჩემი სტილით — მეცვა მოკლე კაბა და მეხურა პატარა შლაპა. რომ დამინახა, მოეწონა. მითხრა, როგორც გაცვია, ეს ჩემი სტილიაო. მას დღემდე აცვია მოკლე კაბები, მიუხედავად იმისა, რომ 75 წლისაა.

ყოველთვის მიყვარდა მოკლე კაბები. პატარა გოგო აღარ ვარ, მაგრამ ახლაც ვიცვამ. ეს ვილაცას უხდება, ვილაცას — არა. მახსოვს, ლელა წურწუმია ამბობდა, ჩემთვის მიუღებელია მოკლე კაბები, რადგან ეს არ არის ჩემი სტილიო. მართლაც, ლელა ძალიან კლასიკური და აკადემიური სტილის ქალია. მე კი გრძელ კაბებში ვიკარგები. არ მაქვს პრეტენზია, რომ საქართველოში ყველაზე გემოვნებიანი ვარ, თუმცა ვიცი, რას რა არ უხდება და რას რა უნდა შევუხამო. წითელზე ვარდისფერს არ ჩავიცვამ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მოდაში ეკლექტიკაა და სამეჯლისო კაბაზე უხეში ჩექმების ჩაცმაც კი ტრენდია. მე ჩემი სტილი და გემოვნება მაქვს.

მახსოვს, ერთხელ სტეფანემ დამცინა კიდეც. მქონდა ჩემი საიტი, სადაც სტატიებს, მუსიკას და ჩემს ფოტოებს ვდებდი. ეს ის პერიოდი იყო, როცა გადაცემა „პრეს-პრესის“ გამო მთელი შოუბიზნესი გადამტერებული მყავდა. ერთ გადაცემაში სტეფანეს ვუთხარი, რომ ჯორჯ მაიკლს ჰგავდა. რატომღაც ეწყინა. ერთ მშვენიერ დღეს გადაცემაში როლები შევცვალეთ, მომღერლები ჟურნალისტებად ვაქციეთ, ჩვენ კი მათი რესპონდენტები გავხდით. სტეფანემ მითხრა, ჯობია, შენს საიტს მიხედო, ძალიან სასაცილო ფოტოები რომ გიდევსო, ანუ ჩემს სტილსა და გარეგნობაზე ცინიკურად იხუმრა. არ მწყენია, მაგრამ დამამახსოვრდა. ძალიან მიხარია, როცა იმიჯთან დაკავშირებით




Cyan Magenta Yellow Black

კომპლიმენტს ვიღებ. მიყვარს ფერები.

— **განსაკუთრებით რომელი ფერი გიზიდავთ?**

— უპირატესობას იმ ფერს ვანიჭებ, რომელსაც ბევრი სახიფათოდ მიიჩნევს. ჩანთა, პალტო თუ ფეხსაცმელი ხშირ შემთხვევაში წითელი მაქვს. შავს უხდება ეს ფერი. წითელი ყურადღებას იქცევს, მე კი ის ქალი ვარ, ვისაც ყურადღება მოსწონს.

— **აქსესუარების სიყვარულშიც ხართ შემჩნეული.**

— ევროპული სახე რომ მაქვს, ყველანაირი ქუდი მიხდება. ქუდს აქსესუარად ბევრი იმიტომ ვერ იყენებს, რომ უბრალოდ არ უხდებათ. მე კი ქუდების დიდი კოლექცია მაქვს. საზღვარგარეთ ყოფნისას ხშირად ვყიდულობ. მიყვარს ხელთათმანებიც. საერთოდ აქსესუარებს დიდ ყურადღებას ვაქცევ. შეიძლება მქონდეს ერთი კაბა და პალტო, მაგრამ ბევრი აქსესუარი — ჩანთები, შარფები თუ ქუდები.

— **თავის მოვლის საშუალებები თანდათან უფრო იხვეწება. კანის მოვლისთვის თქვენ რა ხერხებს მიმართავთ?**

— კოსმეტიკის გამოყენება 30 წლიდან დავიწყე. კანის მოვლისთვის საცხები თუ ნიღბები ნებისმიერ ასაკშია აუცილებელი, მაგრამ ჩემსავით 40 წლის თუ ხარ, მაშინ კანის მოვლისთვის ნამდვილად დიდი ძალისხმევაა საჭირო. ამიტომ მეზოთერაპიას, სპეციალურ ფილერებს და ვიტამინების კოქტეილებს ვიყენებ, თუმცა ყოველთვის არ მაქვს ამის დრო ან ფინანსები. ვიცნობ ქალებს, რომლებიც ნარკომანებივით არიან — სულ დადიან პლასტიკურ ქირურგებთან თუ კოსმეტოლოგებთან. კიდევ კარგი, მსგავსი რამ არ მჭირს, მაგრამ წელიწადში ორჯერ თავს აუცილებლად ვაძლევ უფლებას, სერიოზული პროცედურები ჩავიტარო კანის გაჯანსაღებისთვის. კი, გენეტიკა მიწყობს ხელს, რომ კარგად გამოვიყურებოდე, მაგრამ უკვე 40 წლის ვარ, ამიტომ შესაბამისად უნდა მოვუარო თავს.

— **პლასტიკური ქირურგიის გამოყენებაზე გიფიქრიათ?**

— მიფიქრია, მაგრამ არასდროს შევიცვლი სახის ნაკვთებს. ნინა წკრიალაშვილს პირდაპირ ვუთხარი, შენს ცხვირს რას ერჩოდი-მეთქი. თვითონაც მითხრა, არ ვიცი, რაღაც იდეალურ ფორმას ვეძებდიო. ყველა ქალს უნდა, სრულყოფილი იყოს, მაგრამ რაც ბუნებრივად გაქვს, ის უკეთესია, თუ ძალიან დიდი დეფექტი არ არის. გარეგნობაში არასოდეს არაფერს შევიცვლი, მაგრამ, როცა საჭირო გახდება, კანს აუცილებლად გადავიჭიმავ. დანაოჭებული სახის ყურება ვის სიამოვნებს?!

— **სხეულს, წონას, ფიგურას ფხიზლად აკონტროლებთ?**

— რაც მანქანა შევიძინე, ნაკლებად ვმოძრაობ და ზედმეტი კილოგრამები რომ მეტყობა, ვნერვიულობ, ამიტომ ფორმის შესანარჩუნებლად რამდენიმე მეთოდი მაქვს: მასაჟები, რომლებიც ძვირადღირებულია და ამის საშუალება ყოველთვის არ არსებობს; პერიოდულად ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ ან ვცურავ და მესამე — სირბილი ლისის ტბაზე, რომელიც ჩემს სახლთან ახლოს არის.

— **თავის მოვლის საშუალებებში ფული არ გენანებათ?**

— როგორც ყველა ქალი, მეც მუდმივად ძიებაში ვარ. სახის მოვლის ძალიან ძვირადღირებული საშუალებებიც შემიძენია და მერე მიფიქრია, ვაიმე, რაში ვხარჯავ ფულს, რად მინდოდა-მეთქი. მერე წავსულვარ და რუსული წარმოების ყველაზე დაბალფასიანი საცხი მიყიდია. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ იგივე შედეგი მიმიღია, რაც ძვირადღირებულის გამოყენებისას. სუნამოზე კი ეკონომიას არასოდეს ვაკეთებ.



— **სარკეში ყურებისას ყველაზე მეტად როდის მოგწონთ საკუთარი თავი?**

— აბაზანიდან თავზე პირსახოცშემოხვეული რომ გამოვდივარ, მაშინ. არასოდეს ვიხედები სარკეში სამსახურის დასრულების მერე, რადგან დაღლილობისგან ძალიან ცუდად გამოვიყურები.

— **ვის გიყურებთ სარკიდან?**

— სარკიდან ძალიან ნაზი, სათნო სახის და სიმპათიური ქალი მიყურებს, მაგრამ სინამდვილეში ეს ქალი ძალიან ძლიერი და დამოუკიდებელია.

**„შეიძლება მქონდეს ერთი კაბა და პალტო, მაგრამ ბევრი აქსესუარი — ჩანთები, შარფები თუ ქუდები".**

— **ხშირად მოგზაურობთ საზღვარგარეთ. შეადარეთ ქართველი და უცხოელი ქალების ჩაცმის სტილი.**

— რუსეთშიც არსებობს ელიტა, სადაც ძალიან გემოვნებით იცვამენ, მათ შორის დავასახელებ თინა კანდელაკსაც. თუმცა ახლახან რომ ჩამოვიდა საქართველოში, ძალიან უგემოვნო, ვულგარული კაბა ეცვა. ზოგადად რუსებს ძალიან უყვართ ბრჭყვიალა ელემენტები და ეს ხშირად უგემოვნობაში გადასდით.

გერმანიაში ქალები დიდი ზომის მოკლე შარვლებითა და კაცის ფეხსაცმელებით დადიან. იქ ქალურობას ხაზს არ უსვამენ. საფრანგეთში გემოვნება იგრძნობა, მაგრამ ის ქალები, რომლებც ძალიან კარგად იცვამენ, ქუჩაში ფეხით ნამდვილად არ დადიან.

**„სარკიდან ნაზი, სათნო სახის და სიმპათიური ქალი მიყურებს, მაგრამ სინამდვილეში ეს ქალი ძალიან ძლიერი და დამოუკიდებელია".**

რაც შეეხება ქართველებს, მიმაჩნია, რომ გემოვნება გვაქვს, მაგრამ ბევრს იმდენად დიდი კომპლექსი აქვს სხეულის ფორმებთან დაკავშირებით, რომ მათ შესანიღბად მასობრივად შავ ფერს ატარებენ. არადა სხვა ფერითაც შეიძლება ფორმის დამალვა. შავი ფერი, რომელიც ელეგანტურობასთან ასოცირდება, საქართველოში გაუფასურებულია.

— **რა მიგაჩნიათ ცუდ ტონად?**

— ვერ ვიტან სნობიზმს. მგონი, სალომე გოგიაშვილმა ვიღაც ცნობილი სახის ფოტო დადო და გააკრიტიკა — ეს ცუდი ტონია. შინაგანი კულტურა უნდა გქონდეს, რომ ვიღაც თუ არ მოგწონს, ეს არ თქვა. კი, მე გავაკრიტიკე თიკა კანდელაკის კაბა, მაგრამ კონკრეტული „ლუქი" გავაკრიტიკე და არა — თიკა კანდელაკი. კრიტიკასა და დაცინვას შორის დიდი განსხვავებაა.

— **ხშირად აკრიტიკებთ ხოლმე ცნობილ სახეებს. ეს ურთიერთობებში ხელს არ გიშლით?**

— ინტერვიუების გამოსვლის შემდეგ ბევრი რჩება განაწყენებული. ზოგი მირეკავს და მეუბნება, ზოგი არ მეუბნება, მაგრამ ბოლოს მაინც ვიგებ. არ მიყვარს ზოგადი ლაპარაკი. ჩემს რესპონდენტებსაც სულ ვთხოვ, კონკრეტული გვარები დაასახელონ. როცა ამბობენ, რომ ქართული შოუ-ბიზნესის დაღმასვლაში ვიღაცეები არიან დამნაშავეები... ვინ ვიღაცეები? სახელები და გვარები ახსენონ!

— **თქვენი ოჯახის უფროსი თაობის ქალებისგან რაიმე რჩევები მიგიღიათ თავის მოვლასთან დაკავშირებით?**

— დედა ყველანაირი კოსმეტიკის წინააღმდეგი იყო. ბუნებრიობას იმდენად დიდ პატივს სცემს, რომ ყურიც არ აქვს გახვრეტილი. თავს ბუნებრივი საშუალებებით უვლის და არაჩვეულებრივად გამოიყურება. მე, რა თქმა უნდა, თანამედროვე საშუალებებს ვიყენებ. ჩემი შვილი კი საზღვარგარეთ მოგზაურობისას სხვადასხვა კოსმეტიკას თუ სახის საცხებს იძენს და მჩუქნის.

— **ქმარი როდის გეუბნებათ განსაკუთრებულ კომპლიმენტებს?**

— თითქმის ყოველთვის. მინდა, ერთი სასაცილო ისტორია გავიხსენო: ამ სეზონის მოდური ტრენდია თხელი წინდები, ე.წ. კოლგოტები, რომელიც მუხლის ზემოთ მთავრდება, მაგრამ კაბა არ ფარავს. ერთ დღესაც ასე გამოვეწყვე, რასაც ჩემი მეუღლის გაოცება მოჰყვა. საბოლოოდ მთხოვა, რომ მუხლის ქვემოთ, გეტრების მსგავსად ჩამეცვა. მისი სურვილი გავითვალისწინე.

— **თვითკრიტიკული ხართ?**

— ყოველთვის, მით უმეტეს, იმ სტილიდან გამომდინარე, რაც მაქვს — ფერების სიყვარულს ვგულისხმობ. ვცდილობ, ზღვარს არ გადავიდე, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ჩემი ქალიშვილი, 24 წლის ია, მეუბნება, რა არის, დედა, რა ნაძვის ხესავით აჩონჩხლილხარ.

✓ **მანანა ნოდია**

**მამაკაცებისთვის!**

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია. ყველა საჭირო გამოკვლევით.

**ექიმი — ქალბატონი მზია**
**☎ 514-246-446, 218-48-99**
**მის.: ალმაშენებლის 154.**

# „ქართული ბრენდის დღე“ — ცერემონიალი, რომელზეც ქართული ბიზნესი ფასდება

„ქართული ბრენდის დღე“ პირველად 2003 წლის 22 დეკემბერს გაიმართა და მასში მხოლოდ ღვინის კომპანიები იღებდნენ მონაწილეობას. წლებთან ერთად „ქართული ბრენდის დღემ“ ბევრ ნაციონალურ ბრენდს მისცა ასპარეზი, ხელი შეუწყო განვითარებასა და პოპულარიზაციაში. თუ ადრე ამ დღეს თითზე ჩამოსათვლელი ქართული კომპანიები ჯილდოვდებოდნენ, დღეს მათი ნუსხა შეუდარებლად არის გაზრდილი.

„ქართული ბრენდის დღის“ იდეაც და განხორციელებაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილს“ და მის დამფუძნებლებს, მანანა გეგიძესა და ელგუჯა მარღიას ეკუთვნით. ცერემონიალი წლის ბოლოს იმართება და საქმიანობის შეჯამებასთან ერთად სტიმულიცაა ქართული ბიზნესისათვის.

2013 წლის ბოლოს, 26 დეკემბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“ ქართული ბრენდების დაჯილდოება მეთერთმეტედ გაიმართება. სანამ მიმავალი წლის ფავორიტები დასახელდებიან, მანამდე „სარკე“ ამ პროექტის ავტორებს, მანანა გეგიძესა და ელგუჯა მარღიას ესაუბრა.


მანანა გეგიძე

„ბევრი სატელევიზიო პროექტი თითქმის თანაბარი რეიტინგებით სარგებლობდა, ამიტომ რთული იყო, მათ შორის საუკეთესოები გამოგვევლინა. ყოფილა შემთხვევა, როცა ქართულ ბაზარზე გამოჩენილა ჟურნალი, დაგვიჯილდოებია და შემდეგ გამქრალა“.

**მანანა გეგიძე:**

— ნაციონალური ბრენდების ზეიმს საახალწლო განწყობით ვხვდებით. ვფიქრობ, რომ ეს დაჯილდოება უკვე თვითონ გახდა ბრენდი. ყოველი წლის დაჯილდოება განსახვავებულია, მხოლოდ ლოკაციის ადგილი არ იცვლება. ყოველ წელს ვცდილობთ, დაჯილდოების ცერემონიალი შოუს ელემენტებით იყოს გაჯერებული და სანახაობრივად საინტერესო იყოს. მისი გაკეთება კი მარტივი არ არის, ძალიან შრომატევადია. ეს პროექტი ასახავს ქართული ბრენდების არსებობას ბაზარზე. გამარჯვებულები უკვე გამოვლენილი არიან, მაგრამ მათი დასახელება 26 დეკემბერს, 7 საათზე მოხდება.

არსებობს შესაბამისი კრიტერიუმები, რის მიხედვითაც კომპანიები კონკურსში მონაწილეობენ. არიან ბრენდები, რომლებიც ლიდერობას წლების განმავლობაში ინარჩუნებენ და, თუ გადავხედავთ ქართული ბრენდის ისტორიას, არიან კომპანიები, რომლებიც საერთოდ გაქრნენ. მათ განვითარების გარკვეული ეტაპი გაიარეს, მაგრამ ზრდა ველარ მოახერხეს. საკმაოდ საინტერესო დინამიკაა, რომელიც წლის ბოლოს შემაჯამებელი სახით გვაქვს.

**— კონკრეტულად რა კრიტერიუმებით წყვეტთ, რომელი კომპანიები უნდა დაჯილდოვდეს?**

— ძირითადად 10 კრიტერიუმი არსებობს: ბრენდის პოზიციონერობა ბაზარზე, ცნობადობა, მარკეტინგული სტრატეგია, კრეატიული მიდგომები, სოციალური ვალდებულებები და სხვა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს პორტალი „ქართული ბრენდი“, სადაც მომხმარებელი ხმას აძლევს სხვადასხვა ნომინაციაში თავის რჩეულ ბრენდებს. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა, რომ ბრენდები ობიექტურად და გამჭვირვალედ შეფასდეს. ვაწარმოებთ სიღრმისეულ კვლევებს. ვარკვევთ, არის თუ არა წარმატებული ახალი ბრენდი თუ ის ახალი სახელია მხოლოდ.

„ქართული ბრენდის დღეს“ სამი ძირითადი ნომინაცია აქვს, რომლებიც წლების განმავლობაში არ იცვლება. ესენია — რეპუტაცია და ნდობა, ლიდერი, წარმატებული ახალი სახელი.

**— რა განსხვავებაა ახალ ბრენდსა და ახალ სახელს შორის?**

— არის შემთხვევები, როცა ახალი ქართული ბრენდის ნომინაციაში წარმატებული ახალი სახელი გაგვიყვანია. ეს გულისხმობს იმას, რომ ის ჯერ არ არის ბრენდი, მაგრამ წარმატებულად მიდის ამ გზისკენ.

**— მეთერთმეტე წელია ეს დაჯილდოება იმართება, რა პროგრესს ხედავთ ზოგადად ქართულ ბიზნესში?**

— რა თქმა უნდა, პროგრესი ჩანს. ახალი კომპანიები ჩნდებიან და აქვთ პრეტენზია არამარტო ქართულ, უცხოურ ბაზარზეც დაიმკვიდრონ ადგილი. ეს სახელები გარკვეულ ეტაპებს გადიან. მომხმარებელმა რომ გაღიაროს, ამისთვის, პირველ რიგში, ხარისხია საჭირო. ამავდროულად, კომპანიას უნდა ჰქონდეს კარგი რეპუტაცია, სოციალური დამოკიდებულება თუ სარეკლამო რგოლი.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის ქართული ბაზრის თავისებურება, რატომ შეიძლება გაქრეს ისეთი ბრენდი ბაზრიდან, რომელიც ადრე თქვენს ნომინაციაშიც მოხვედრილა?**

— მიზეზი ბევრია. შეიძლება არასწორი მარკეტინგული გათვლების თუ არასწორი ინტეგრირებული კომუნიკაციების შედეგად გაქრეს. რა თქმა უნდა, ხარისხის შემცირებაც იწვევს ამ შედეგს. კომპანიამ შეძლება კარგად დაიწყოს, მაგრამ თანდათან გააფუჭოს პროდუქტი. მომხმარებელი კი პატარა რამესაც არ პატიობს მწარმოებელს.

**— როგორ გაჩნდა ამ დაჯილდოების იდეა და რა პასუხისმგებლობაა კომპანიისთვის ბრენდის წოდების მინიჭება?**

— 2003 წელს შეიქმნა ეს ცერემონიალი. იმ პერიოდისთვის ღვინის ბაზარი იყო განვითარებული, შესაბამისად მხოლოდ მათი ბრენდების შექმნა ხდებოდა. თავიდან დაჯილდოება სალონური სახის იყო, შემდეგ სხვა მასშტაბის გახდა. ამგვარი ცერემონიალი ყველა ქვეყანაში ძალიან პრესტიჟულად ითვლება. ჩვენ მას „ქართული ბრენდის დღე“ ვუწოდეთ და მკაცრად განვსაზღვრეთ, რომ მხოლოდ ქართული ბრენდები დაგვეჯილდოებინა. უცხოური ბრენდები ჩვენთან სტუმრის სტატუსით ხვდებიან. კომპანიები წლიდან წლამდე ცდილობენ სტატუსის შენარჩუნებას ან უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლას, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კონკრეტული ადამიანების სურვილზე არ არის დამოკიდებული, ბრენდი წინ უნდა წავიდეს.

**— წელს თუ არის რამე სახის სიახლე „ქართული ბრენდის დღეზე“?**

— ყოველ წელს გვაქვს სიახლეები, მათ შორის ნომინაციებშიც. ცერემონიალს პირველად 2008 წელს დაემატა ნომინაცია „ბრენდპერსონა“. ამ ნომინაციში სხვადასხვა წელს გაიმარჯვეს ბუბა კიკაბიძემ, ნანი ბრეგვაძემ, კახი კავსაძემ, ოთარ მეღვინეთუხუცესმა და მურმან ჯინორიამ. წელსაც დავასახელებთ ბრენდპერსონას. ასევე ვასახელებთ ისტორიულ ბრენდებს. თავის დროზე ამ ნომინაციაში თბილისის „დინამომ“ გაიმარჯვა, არა — ამჟამინდელი მდგომარეობის გამო, არამედ ისტორიული სტატუსით. ამ ჭრილში წელსაც გვყავს ნომინანტი, თუმცა ეს ნომინაცია ყოველ წელს არ არის ჩვენს ცერემონიალზე.

**— „ქართული ბრენდის დღეს“ მასმედიაზეც დიდი აქცენტი კეთდება. რა ტენდენციებია ამ მხრივ?**

— მასმედიაში უფრო ღრმა კვლევები კეთდება. ბევრი სატელევიზიო პროექტი თითქმის თანაბარი რეიტინგებით სარგებლობდა, ამიტომ რთული იყო, მათ შორის საუკეთესოები გამოგვევლინა. მედიაბაზარზე გაჩნდნენ ბრენდები, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ გაქრნენ. ყოფილა შემთხვევა, როცა ქართულ ბაზარზე გამოჩენილა ჟურნალი, დაგვიჯილდოებია და შემდეგ გამქრალა. მათი გამოჩენა, ისევე როგორც გაქრობა, გარკვეულ მოვლენებთან იყო დაკავშირებული.


ელგუჯა მარღია

ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ ვახერხებთ, იმ ეკონომიკურ პროცესებს მივადევნოთ თვალი, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს. როგორც წესი, წლიდან წლამდე ესა თუ ის კომპანია ზოგჯერ სხვა ნომინაციაში ხდება გამარჯვებული ან პოზიციებს თმობს. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ განვითარების დინამიკა აშკარაა, მიუხედავად პოსტკრიზისული პერიოდისა. ქართულ ბაზარზე გამოჩნდნენ ახალი კომპანიები, რომელთაც უკვე საკმაოდ კარგი მდგომარეობა და განვითარების კარგი პერსპექტივა აქვთ.

❖

ბატონი ელგუჯა მარღიას თქმით, „ქართული ბრენდის დღის“ ცერემონიალი უცხოელების გამოცდილების გათვალისწინებით დაფუძნდა და საუკეთესო შედეგიც მიიღეს:

— მრავალ ქვეყანაში არსებობს ამგვარი ცერემონიალი. ჩვენ სწორედ ამის გათვალისწინებით დავაარსეთ „ქართული ბრენდის დღე“. ის ერთ-ერთი წარმატებული ცერემონიალია. როცა ჩვენ ამ პროექტს ვიწყებდით, ბევრისთვის სიტყვა „ბრენდიც“ კი არაფრისმთქმელი იყო. ამ პროექტის მიმართ ინტერესი არ ცხრება კომპანიების მხრიდან. ეს მხოლოდ დაჯილდოების ცერემონიალი კი არა, მთელი წლის მუშაობის შეჯამება გახლავთ, რადგან, როგორც წესი, ყველა კომპანია წლის ბოლოს აჯამებს შესრულებულ სამუშაოებს. ჩვენ ამ შეფასებებში ვეხმარებით. მიგვაჩნია, რომ ეროვნული წარმოების განვითარებისთვის აუცილებელია ასეთი პროცესები.

✓ მანანა ნოდია








Cyan Magenta Yellow Black

## შეჭირვებულები

# მამა ვახტანგი: „ჩემს შვილს როცა ძალიან უჭირს, „მამა“-ს ამბობს“



■ მამა-შვილი

წლინახევრის იოანე ძებნიაური დიდი, ნათელი თვალებით ისე გიცქერის, თითქოს არაფერი აწუხებდეს, არადა პატარას ექიმებმა მძიმე დიაგნოზი დაუსვეს — ცერებრალური დამბლა. მისი განკურნების შანსი არცთუ მცირეა, თუ ჩინეთის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობის სრულ კურსს გაივლის, რომლის ღირებულებაც 50 ათასი ევროა. ეს კი მანამდე უნდა მოხდეს, სანამ ბიჭუნა 3 წლის გახდება.

იოანე სასულიერო პირის ოჯახში იზრდება. მამამისი, მამა ვახტანგი, მეოთხე წელია, რაც ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის დედათა მონასტრის დიაკვანი გახლავთ. შვილის სნეულებას უფლისგან მოვლენილ განსაცდელად მიიჩნევს და სწამს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რადგან ღვთისგან დაშვებულ განსაცდელებს ბოლო ყოველთვის კეთილი აქვს.

**— მამა ვახტანგ, როდის შეექმნა პატარა იოანეს ჯანმრთელობის პრობლემები?**

— იოანე სრულიად ჯანმრთელი დაიბადა საკეისრო კვეთით. ერთი თვის იყო, როცა კვებასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა, მიღებულ საკვებს უკან აბრუნებდა. გამოკვლევების შედეგად პილაროსტენოზი დაუდგინდა, თორმეტგოჯა ნაწლავის კუნთი იყო გასაზრდელი. იოანეს მარტივი ოპერაცია ჩაუტარდა. ერთ კვირაში, საავადმყოფოდან რომ გამოგვყავდა, შევამჩნიე, რომ თავი გვერდით ჰქონდა გადაგდებული. ექიმმა დაგვამშვიდა, ნარკოზისგანაა დასუსტებულიო. 2-3 თვის შემდეგ კი სხეულის დაჭიმულობა და ნერვული ტირილი დაიწყო. ნევროპათოლოგმა რომ ნახა და გამოკვლევები ჩავუტარეთ, დადგინდა, რომ თავში რამდენიმე ადგილას ჩაკირული სისხლჩაქცევები ჰქონდა. გვითხრეს, ამ ყოველივემ შეიძლება ცერებრალური დამბლა გამოიწვიოს და მკურნალობა ესაჭიროებაო.

> **„არ ვიცი, ბოლო რა იქნება, მაგრამ თუ განსაცდელი ღვთისგანაა, მას ბოლო ყოველთვის კეთილი აქვს“.**

ბავშვს ქირურგიული ჩარევა არ სჭირდება, რადგან ტვინის ფორმას არანაირი ცვლილება არ განუცდია. მას შემდეგ იოანე რეაბილიტაციის ცენტრში ვარჯიშებზეც დაგვყავს და მკურნალობის კურსსაც გადის, მაგრამ, სამწუხაროდ, არანაირი შედეგი არ გვაქვს. ცერებრალური დამბლა უკვე ჩამოუყალიბდა.

**— განკურნების რა შანსები არსებობს?**

— განკურნების იმედი გვაქვს, რადგან ჯანმრთელი დაიბადა და ეს დაავადება შეძენილია. ოთხივე კიდურის დაჭიმულობა თავში ჩაკირულმა კალცინატებმა გამოიწვია. ბავშვი ვერ ჯდება. სხეული ისეთი დაჭიმული ჰქონდა, ვერც იხრებოდა. ვარჯიშების შედეგად თითქოს ცოტა მოეხსნა დაჭიმულობა. როგორც დავაწვენთ, ისე წევს, ვერ ბრუნდება. თავს ცოტა ხანს იჭერს, მაგრამ მალევე უვარდება. ძალიან უნდა, ხელში სათამაშო დაიჭიროს, იწევს კიდეც მისკენ, მაგრამ ვერ ახერხებს. ცნობიერება ძალიან კარგი აქვს, ყველას ხმაზე გვცნობს. ჯერ მხოლოდ ბგერებს გამოთქვამს, მაგრამ, როცა ძალიან უჭირს, „მამა“-ს ამბობს. მკაცრად თუ შევხედავ, ხვდება, რომ ვუბრაზდები და ტირილს იწყებს. მხიარული და თბილი ბავშვია.

რეაბილიტაციის ცენტრში თანდაყოლილი ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვებიც დადიან და ფეხზე დააყენეს. იოანე რომ მივიყვანეთ, გვითხრეს, ერთ თვეში არანაირი პრობლემა არ ექნებაო. ყველას გვეგონა, რომ განიკურნებოდა, მაგრამ მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. სექტემბერში ბოლო კურსი დავუმთავრეთ. ექიმს ფორმა №100 რომ გამოვართვით, დაწერა, რომ შედეგი ნულის ტოლფასია, რამაც ძალიან შეგვაშინა. მოძრაობის მოთხოვნილება აქვს და, რომ ვერ მოძრაობს, ძალიან განიცდის. ჩემი სიდედრი გვეხმარება, თორემ, არ ვიცი, როგორ მივხედავდით პატარას. რომ შეხედავთ, ავადმყოფობის არაფერი ეტყობა.

**— რას გეუბნებიან ექიმები, რა არის იოანეს საშველი?**

— იოანეს საშველი, პირველ რიგში, უფლის წყალობაა. გვინდა, რომ ჩინეთის სარეაბილიტაციო ცენტრში წავიყვანოთ, სადაც თითო კურსი სამთვიანია და 21.000 ლარი ღირს. უკრაინაში, კაზინკინის სამკურნალო ცენტრში, ათდღიანი კურსი 4.000 ევრო ჯდება. ჩინეთში წაყვანაც ამიტომ გადავწყვიტეთ, თან ამ კლინიკას ბევრი ემადლიერება. მასაჟების გარდა, ჩინური ტრადიციული ნემსებითაც მკურნალობენ და ბალახეულისგან დამზადებული წამლებითაც. ხალხური ტრადიციული მედიცინა კლასიკურ მედიცინასთანაა შეზავებული და კურსიც ამ მეთოდებით ტარდება. ვერ გეტყვით, რომ იოანე 100%-ით განიკურნება, მაგრამ ვნახე ბავშვები, რომლებიც ამ კლინიკაში განკურნეს და ფეხზე დააყენეს.

> **„საზოგადოებას ვთხოვ, არამხოლოდ ჩემი შვილის, არამედ ნებისმიერი გაჭირვებული ადამიანის მიმართ იყოს გულისხმიერი“.**

ერთი თვეა, რაც იოანესთვის ჩემს სახელზე „საქართველოს ბანკში“ ანგარიშის ნომერია გახსნილი და უკვე სამი საქველმოქმედო ღონისძიება ჩატარდა.

უფალს მადლობა, ძალიან ბევრი ადამიანი გვეხმარება. ჩვენი მთავარი ამოცანაა, იოანე 2 წლამდე დამოუკიდებლად დავსვათ. თუ ეს მოხერხდა, ის დამოუკიდებლად სიარულსაც შეძლებს. თავიდან არ ვახმაურებდით, იოანეს ცერებრალური დამბლა რომ ჩამოუყალიბდა, მხოლოდ ახლობლებმა იცოდნენ.

**— რატომ გერიდებოდათ?**

— არ მინდოდა, ამდენი ადამიანი შემეწუხებინა. უბრალოდ სოციალურ ქსელში ჩემს მეგობარს მივწერე, ჩემს შვილს ასეთი პრობლემა აქვს და იქნებ ბიზნესმენებს ან კომპანიებს გავაგებინოთ, რომ იოანე უცხოეთში წავიყვანოთ-მეთქი. ჩემმა მეგობრებმა ეს რომ გაიგეს, სოციალურ ქსელში მთელი ამბავი ატეხეს. არავინ წარმოიდგენდა, რომ იოანესთვის ასეთი ღონისძიებები ჩატარდებოდა. ერთ-ერთ კონცერტზე ჩემი შვილის დასახმარებლად სოფო ნიჟარაძემ, ნინი ბადურაშვილმა და სხვა ბევრმა ცნობილმა ქართველმა მომღერალმა იმღერა. ეს ყველაფერი ღვთის განგებით მოხდა.

მადლობა ღმერთს, ერთი კურსის თანხას უკვე სახელმწიფო დაგვპირდა. ჯანდაცვის სამინისტროც გვპირდება დახმარებას და თბილისის მერიაც, მაგრამ მკურნალობის სრული კურსისთვის 50.000 ევროა საჭირო. იოანეს ეს მკურნალობა 3 წლამდე უნდა ჩაუტარდეს, ამ ხნის განმავლობაში ის თუ დამოუკიდებლად დაჯდება და გაივლის, მერე არანაირი პრობლემა არ ექნება. ღვთის წყალობით და კეთილი ადამიანების დახმარებით, ჩინეთში იოანეს წაყვანას აღდგომის მესამე კვირას ვფიქრობთ.

ეს განსაცდელი უფლისგანაა, ეს ერთგვარად უფლის მკაცრი ხელია. როგორც მშობელი თავის შვილს ზრდის მკაცრად და სამართლიანად, უფალიც ასეთია ჩვენ მიმართ. არ ვიცი, ბოლო რა იქნება, მაგრამ, როგორც ეკლესია და მამები გვასწავლიან, თუ განსაცდელი ღვთისგანაა, მას ბოლო ყოველთვის კეთილი აქვს. არ ვიცი, უფალმა მაინცდამაინც ასეთი განსაცდელი რატომ მომივლინა. იოანეს სახარებაში ასეთი ეპიზოდია, როცა მაცხოვარი იერუსალიმში დაბადებიდან ბრმა ადამიანს დაინახავს, მოციქულები შეეკითხებიან, ამისმა მშობლებმა რა სცოდეს ასეთი, რომ ბრმა შვილი ჰყავთო. მაცხოვარმა უპასუხა, არც ამ ადამიანს შეუცოდავს და არც მის მშობლებს, ეს იმიტომ დაიბადა ბრმა, რომ მასზე ღვთის განგება აღსრულდესო. უფალი მივიდა და განკურნა.

**— ალბათ ტაძარში ხშირად დაგყავთ იოანე.**

— რა თქმა უნდა. მამა რევაზმა იოანეს ავადმყოფობის შესახებ თავიდანვე იცოდა. ტაძარში რომ შევიყვანდი, თავზე ბარძიმს დაადებდა და ეტყოდა, ღმერთმა გამოგაჯანმრთელოსო. მამა სოკრატესთან კვეთებულის ლოცვაზეც მყავდა. მოძღვარი ძალიან ცუდად იყო, მაგრამ ადამიანები იმდენად უყვარს, კვეთებულის ლოცვებს მაინც კითხულობდა. მთელი ლოცვის განმავლობაში იოანესთვის ხელი არ გაუშვია. იმ პერიოდში საქართველოში წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის მარჯვენა მტევნის ნაწილი ჩამოაბრძანეს. ვიცოდი, რომ სამებაში იყო დაბრძანებული და იმ ლოცვიდან იოანე იქ წავიყვანე. წირვის ბოლოს გადავწყვიტე, იოანე საქართველოს პატრიარქთან მიმეყვანა. დაცვის წევრებს ვთხოვე და შემიყვანეს. ავუხსენი პატრიარქს იოანეს პრობლემა, დალოცა და გამოჯანმრთელება უსურვა. ვფიქრობ, რომ ღვთის წყალობის, უწმინდესის, მამებისა და დედების ლოცვა-კურთხევით, ყველაფერი კარგად იქნება. დახმარებას საპატრიარქოც გვიწევს.

სახარებაში კი წერია, გიყვარდეს მოყვასიო, თუმცა სიყვარული ისეთი გრძნობა არ არის, რომ ადამიანი გიყვარდეს და არ ეხმარებოდე. ჭაობში ხარ, იყავიო — ეს სიყვარული არ არის. სიყვარული ერთადერთი გრძნობაა, როცა ადამიანს თავგანწირვა შეუძლია. ვინც სიყვარულით თავს გაწირავს, ის მოწამეობის გვირგვინს იდგამს, ასე ყოფილა ოდითგანვე. დღეს ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს და ამ სიტყვებს მხოლოდ ჩემი შვილის გამო არ ვამბობ. საზოგადოებას ვთხოვ, არამხოლოდ ჩემი შვილის, არამედ ნებისმიერი გაჭირვებული ადამიანის მიმართ იყოს გულისხმიერი.

❖

**მამა ვახტანგ ძებნიაურის ანგარიშის ნომერია:**
**„საქართველოს ბანკი“:**
GE22BG0000000629737800

✓ სოფიო ბოჭორიძე


**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:**
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83




Cyan Magenta Yellow Black

# კახა კანდელაკს მანქანის ტარება დედამ ასწავლა

## „ჩემს ძმაკაცებს მაგარი მანქანები ჰყავთ, მაგრამ საწვავის ფულს მე მეხვეწებიან"



კომპანია „ისთერნ ფრომოუშენის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცნობილი მელომანი და ყოფილი წყალბურთელი კახა კანდელაკი, მანქანას, პირველ რიგში, იმის მიხედვით აფასებს, როგორი მუსიკალური სისტემა აქვს ჩამონტაჟებული. ავტომობილი მისთვის მუსიკის მოსასმენად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ საცობში დგას. ძვირადღირებულ ავტოებს თვალს აყოლებს განა იმიტომ, რომ მათი მარკა ხიბლავს, უბრალოდ იცის, რომ ასეთ ავტომობილებს ხშირ შემთხვევაში მშვენიერი სქესი მართავს. ამ დროს შეიძლება დაეწიოს, გვერდით ამოუდგეს და მანდილოსანი კარგადაც შეათვალიეროს. საერთოდ ქალ მძღოლებს გულშემატკივრობს და ასეთი დამოკიდებულება მათ მიმართ ჯერ კიდევ ბავშვობიდან ჩამოუყალიბდა. თუ რატომ, ქვემოთ შეიტყობთ.

— **ბატონო კახა, თქვენი პირველი ავტომობილი რა მარკის იყო?**

— საჭესთან მეცხრე კლასიდან ვზივარ. მაშინ წყალბურთელი ვიყავი და ვინც უმაღლეს ლიგაში ვთამაშობდით, კომუნისტები მანქანებს თავის ფასში გვირიგებდნენ. პირველად „ჟიგული" მყავდა. მერე საბჭოთა კავშირის ნაკრებში ამიყვანეს და იქაც „ჟიგული" მომცეს. ორი მანქანის მფლობელი ვიყავი.

— **მეცხრე კლასის მოსწავლეს საჭესთან დაჯდომის უფლება გქონდათ?**

— ეს ის პერიოდი იყო, როცა ინსპექტორს 10 მანეთს თუ აჩუქებდით, გაგიშვებდათ. წითელ შუქზეც არ ვჩერდებოდი. სიმართლე გითხრათ, მართვის მოწმობაც მამაჩემის ამხანაგმა მაჩუქა დაბადების დღეზე. თავიდანვე ფრთხილი მძღოლი ვიყავი, ამიტომაც მამა და ბაბუა ძალიან მენდობოდნენ. ახალ წელს იმდენი მთვრალი დადის ქალაქში, ჩემს შვილს მანქანას არ ვაძლევ და ახლა ვფიქრობ, მე როგორ მენდობოდნენ.

— **ვინ გასწავლათ მანქანის მართვა?**

— დედამ, მასაც „ჟიგული" ჰყავდა. იმ პერიოდში ქალი მძღოლი დიდ იშვიათობას წარმოადგენდა და მთელი თბილისი დედაჩემზე ლაპარაკობდა. მამაჩემს ეუბნებოდნენ, თავში რაღაც ხომ არ გიქრის, ქალს როგორ სვამ საჭესთანო. დედა ჩემზე 19 წლით უფროსია. სკოლიდან რომ გამოვყავდი და ბიჭები უყურებდნენ, ნერვები მაწყდებოდა. ვეუბნებოდი, გადაჯექი, საჭესთან მე დავჯდები-მეთქი და სახლამდე მე მიმყავდა.

მანქანის მართვას თავიდან როგორც ისწავლი, მერეც ისე ატარებ. დედამ კი, როგორც ქალმა მძღოლმა, ფრთხილად სიარული მასწავლა. მეუბნებოდა, ნეტა, სხვა საგნებშიც ასეთი დამჯერი იყოო. მანქანა უკვე ისეთი მობეზრებული მაქვს, ჩემი ბიჭი ინგლისიდან რომ ჩამოდის, საქმეებზე მას ვუშვებ. ლუკა ლონდონში უნივერსიტეტს ამთავრებს. თანამედროვე საქართველო იმიტომ მომწონს, რომ ვერაფერს ჩააწყობ. მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდა ჩააბარა და ძალიან კარგი მძღოლია. ჩემი მარიამი 16 წლისაა და მძღოლობისთვის ჯერ პატარაა. კონსტანტინე კი წლის და 4 თვის გახლავთ. მისთვის მანქანაში სავარძელიც მაქვს.

— **ბავშვთან ერთად გადაადგილება არ გიჭირთ?**

— მისი წაყვანა მარტო არსად მიწევს, გვერდით ყოველთვის ჩემი მეუღლე უზის. ზაფხულში, როცა წლისაც არ იყო, ჯაზფესტივალზე ბათუმშიც გვყავდა. სავარძელი ისე მოეწონა, უპრობლემოდ იმგზავრა, გაკვირვებული ათვალიერებდა გზას.

— **თქვენი ცოლი არ ზის საჭესთან?**

— არა, მანქანის ტარების ეშინია. არადა ქალი საჭესთან ძალიან მომწონს, ვგიჟდები! რაც ავტომატური მართვის მანქანები მომრავლდა, მით უკეთესად მოძრაობენ ქალები. ბოლო პერიოდში ისეთი მაგარი მანქანები ჰყავთ, ყველა ფრთხილად დადის. ყველაზე მაგარი ავტომობილებით ქალები მოძრაობენ და ამით უფრო ვხვდები, რომ საჭესთან კარგი ქალია. მათთან ცოტა მიახლოება მსიამოვნებს კიდეც. ქალებს პარკირება და უკუსვლით მოძრაობა რომ უჭირთ, ამას გაგებით ვეკიდები. რატომ უნდა დააპანიკო ქალი, რომელსაც რაღაც უჭირს საჭესთან? ამ დროს ჩემს შვილს წარმოვიდგენ ხოლმე, მათ მხარეს ვარ და ვგულშემატკივრობ. ავარიულ სიტუაციას საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ტაქსის მძღოლები უფრო ქმნიან, ვიდრე ქალები. როცა ცოლი მიზის გვერდით და სიჩქარეს ვუმატებ, მეუბნება, ნელა იარეო.

ჩვენს ქალაქში მძღოლების 80% უწესრიგოდ დადის. ზოლის დაჭერა არავინ იცის, რაც მათ შინაგან კულტურაზე მეტყველებს. მე იმ პერიოდში დავჯექი საჭესთან, როცა საგზაო ნიშნების სწავლას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდით. ახლა კი ჩემს შვილს ვეკითხები, რა რისი მანიშნებელია და მისგან ბევრი რაღაც ვისწავლე. არ არსებობს, წითელ შუქზე გავიარო და სადაც გაჩერება არ შეიძლება, იქ გავაჩერო. ამას მირჩევნია, რამდენიმე ნაბიჯი ფეხით გავიარო, ეს მსიამოვნებს კიდეც.

— **გზის დათმობაც გიყვართ?**

— ძალიან, როგორც ფეხით მოსიარულეებთან, ასევე სხვა მძღოლებთან. ზოგს ისეთი კომპლექსი აწუხებს, ეამაყება, გზას რომ არავის უთმობს. მე კი მირჩევნია, გზა დავუთმო, რომ დროზე გამატაროს, ვიდრე დიდხანს ვუსიგნალო. აი, სიგნალი ძალიან ცუდ ტონად მიმაჩნია. რამდენიმე წამი არაფერს წყვეტს.

— **ალბათ პატრულიც არ გაჩერებთ ხშირად.**

— მათთან ურთიერთობა იშვიათად მიწევს. ერთხელ მანქანა ცუდად მყავდა გაჩერებული, მოვიდნენ და შენიშვნა მომცეს, რა თქმა უნდა, ბოდიში მოვუხადე. მათ მიცნეს და იცით, რა მითხრეს? თქვენ ჯაზის მოყვარულებს ისეთ საქმეს უკეთებთ, ამჯერად გაპატიებთ და არ დაგაჯარიმებთო. ძალიან ზრდილობიანები არიან. მახსოვს, საბურავზე პრობლემა მქონდა, მოვიდნენ და დამეხმარნენ. თუ უზრდელურად არ დაელაპარაკები, თვითონაც თავაზიანობას იჩენენ და თუ ძველბიჭობას დაუწყებ, არც მათგან უნდა გაგიკვირდეს უხეში სიტყვები. ვისაც პატრულთან პრობლემები ექმნება, 99% მძღოლის ბრალია. როცა შენი ბრალია, რატომ უნდა გაბრაზდე? თუ ღვედი არ გადაიჭირე ან თუ ვიღაცას არასწორად გადაუსწარი, ამ დროს ხომ პოტენციური მკვლელი ხარ.

**„რატომ უნდა დააპანიკო ქალი, რომელსაც რაღაც უჭირს საჭესთან? ამ დროს ჩემს შვილს წარმოვიდგენ ხოლმე და მათ ვგულშემატკივრობ".**

ვიღაცას შეიძლება ბავშვიც ეჯდეს და რატომ უნდა ჩააგდო საფრთხეში? მგონი, მხოლოდ ქართველები ამბობენ, შემომეხარჯა, შემომელახა ან კიდევ შემომაკვდაო.

— **ავტომობილში მუსიკის მოსმენა გიყვართ?**

— მანქანაში გამუდმებით მუსიკას ვუსმენ და ავტომობილი ბოლომდე ამიტომ არ მბეზრდება. კონსტანტინეს გამო სახლში მაღალ ხმაზე ვერაფერს მოვუსმენ. შეიძლება ჩემს მანქანას ძლიერი ძრავი არ ჰქონდეს, მაგრამ საუკეთესო მუსიკალური აპარატურით უნდა გამოირჩეოდეს. ეს ჩემთვის მანქანის შერჩევის პირველი კრიტერიუმია. როცა კარგი მუსიკა მაქვს ჩართული, ავტომობილის ჭრიჭინიც ნაკლებად ისმის. უმუსიკოდ ცხოვრება არ შემიძლია, ეს მე ცხოვრების ფონად მაქვს. რა შეხვედრაზეც მივდივარ, მუსიკასაც შესაფერისს ვუსმენ. თუ დაძაბულ თემაზე სასაუბროდ მივდივარ, ამისთვის სხვა მუსიკას ვრთავ და, თუ სავარჯიშოდ მივდივარ, ამისთვის კიდევ სხვა ჟანრი მაქვს ამორჩეული.

ზოგჯერ საცობში დგომაც კი მსიამოვნებს, ამ დროს მუსიკას თავისუფლად ვუსმენ. ამ ხალხს რომ შეეკითხოთ, სამსახურები არ აქვთ და ვერ ვხვდები, სად ეჩქარებათ. ვისაც კარგი მუსიკა უყვარს, არც აგრესიული მძღოლია. მუსიკოსმა ჰენ კოკმა თქვა, ვისაც ჯაზი უყვარს, ის უფრო კარგი მოქალაქეაო და ამაში ვეთანხმები.

— **თქვენს ახლანდელ ავტომობილს როგორ დაახასიათებთ?**

— 5 წლის წინ ვიყიდე 2007 წელს გამოშვებული „მიცუბიშ აუთლენდერი". არასოდეს მინდოდა, ვიღაცის ნახმარი მანქანა მყოლოდა, რადგან არ იცი, სხვის გამოყენებულ ავტომობილს როდის რა გაუფუჭდება. ეს „მიცუბიში" განვადებით შევიძინე. თანხა ხელფასიდან მეჭრებოდა და სესხი როგორ დავფარე, ვერც გავიგე. ძალიან კომფორტულია. ორხიდიანია და წავკისში ჩემს აგარაკზე წასვლა-წამოსვლა ცუდ ამინდშიც არ მიჭირს. ავარიაც არასოდეს მახსენდება, უმნიშვნელო გაკაწვრას თუ არ ჩავთვლით. მანქანის მოვლაც ძალიან მიყვარს, ყველაფერს თავის დროზე ვუკეთებ.

— **ნაწილებში ერკვევით?**

— ვერა, პროფილაქტიკაში დამყავს, სადაც დიდი სისუფთავეა, ინტერნეტიც არის და კაფეც. ჯერჯერობით ამ მანქანის გაყიდვას არ ვაპირებ, მაგრამ, თუ ფინანსურად გავძლიერდები, ალბათ შევცვლი.

— **რა მარკის ავტომობილის შეძენა გსურთ?**

— არც ძალიან დიდი ჯიპი მინდა და არც სედანი, ამიტომ ისევ ამ კლასის ქალაქურ ჯიპს შევიძენ. „პორშე" რომ მყავდეს, თბილისში სად უნდა ვატარო? სტადიონზე? ჰა, ჰა, წელიწადში ერთხელ ნატალი კოლი თუ ჩამოვიყვანე, მის დასახვედრად წავიდე. სტინგს „პორშეთი" რომ დავხვედროდი, ჩემს ძმაკაცს გამოვართვი. „პორშე" რომ მყავდეს, სახლიც სხვანაირი უნდა მქონდეს, ტანსაცმელიც განსხვავებული უნდა მეცვას და საათსაც შესაფერისს ვატარებდე. ჩემს ძმაკაცებს კი ჰყავთ მაგარი მანქანები, მაგრამ საწვავის ფულს მე მეხვეწებიან. ერთ ოთახში საცოდავად ვცხოვრობდე, მაგარი მანქანით ვმოძრაობდე და ხალხს მილიონერი ვეგონო? ვფიქრობ, რომ ყველაფერი ერთმანეთს უნდა უხდებოდეს.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

ვყიდით მაკულატურას
☎ 599 95 54 83



Cyan Magenta Yellow Black

# 2013 წლის ვარსკვლავური გაყრები




2013 წელმა ჰოლივუდის ზოგიერთ წყვილს ბევრი პრობლემა და უთანხმოება მოუტანა. ზოგმა გაუძლო, ზოგმაც — ვერა. წლის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე მყარი ოჯახი დაინგრა.

### 1. კეტრინ ზეტა ჯონსი და მაიკლ დუგლასი

13 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მათი დაშორება მოულოდნელი იყო. აგვისტოს ბოლოს მსახიობების წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ წყვილი გარკვეული პერიოდი ცალ-ცალკე იცხოვრებდა. გაყრის მიზეზი ჟურნალისტებმა მალე გამოიტანეს სააშკარაოზე. აღმოჩნდა, რომ მაიკლს ცოლის ფსიქიკური პრობლემები მობეზრდა, მეორე მხრივ კი, კეტრინიც დაიღალა ქმრის მუდმივი ღალატით. ნოემბრის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ წყვილი კვლავ ერთად ცხოვრობს ნიუ იორკის ბინაში, თუმცა ჯერჯერობით ეს ინფორმაცია არ დასტურდება.

### 2. მონიკა ბელუჩი და ვენსან კასელი

აგვისტოს ბოლოს გახდა ცნობილი, რომ 14 წლიანი ვარსკვლავური ოჯახი დაინგრა, გაყრის მიზეზი კი დღემდე უცნობია. მათ შორის უთანხმოების პირველი ნიშნები 2012 წლის გაზაფხულზე გაჩნდა, როდესაც ვენსან კასელი ღალატში დაადანაშაულეს. მონიკამ კი გაყრის შემდეგ განაცხადა, რომ ის ვენსანს აღარასოდეს დაუბრუნდება. მათ ორი გოგონა — დევა და ლეონი ჰყავთ.

### 3. უილ სმიტი და ჯადა პინკეტ-სმიტი

უილ სმიტისა და ჯადა პინკეტის ოჯახი ჰოლივუდში ერთ-ერთ სამაგალითოდ ითვლებოდა. 15 წლის განმავლობაში ისინი არასოდეს მოხვედრილან სკანდალის ეპიცენტრში. მშვიდად ზრდიდნენ ორ შვილს — უილოუს და ჯეიდანს. 2013 წლის სექტემბრის დასაწყისში კი წყვილმა დაშორება გადაწყვიტა. უილი თავის აპარტამენტებში დარჩა, ხოლო ჯადა ძმის სახლში გადავიდა საცხოვრებლად. ოფიციალურად ისინი ჯერ არ განქორწინებულან, თუმცა მათი ერთობლივი სახლი გასაყიდად გაიტანეს. ჯადა ქორწინების ბეჭედს აღარ ატარებს, უილის ცხოვრებაში კი უკვე სხვა ქალი გამოჩნდა, ახალგაზრდა მსახიობი მარგო რობი.

### 4. ორლანდო ბლუმი და მირანდა კერი

ყველასათვის მოულოდნელი იყო პოპულარული მსახიობისა და მოდელის იდილიის დასასრული. 6 წლის შემდეგ მათ ცხოვრებაშიც დადგა გაყრის მომენტი. თავდაპირველად არსებობდა ვერსია, რომ წყვილი კრიზისს გადალახავდა და ოჯახს შეინარჩუნებდა, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ორივეს სხვა გატაცებები აქვს. სკეპტიკოსები არ კარგავენ იმედს, რომ ორლანდო და მირანდა ოჯახს მაინც გადაარჩენენ. ისინი ერთხელ ოჯახის ფსიქოლოგთანაც შენიშნეს.

### 5. კლინტ ისტვუდი და დინა რუიზი

17 წლიანი ოჯახი წელს, ოქტომბერში დაინგრა. გაყრის ინიციატორი 83 წლის კლინტ ისტვუდი იყო. მისმა 48 წლის ცოლმა, ჟურნალისტმა დინა რუიზმა, ქმრისგან ალიმენტი მოითხოვა. კლინტს უკვე დიდი ხანია აღარ უყვარს ცოლი და ახალი სიყვარულის გამო ოჯახი ერთი ხელის მოსმით დაანგრია.

### 6. რიჩარდ გირი და კერი ლოუელი

შემოდგომაზე რიჩარდისა და კერის 11 წლიანი ოჯახიც დაინგრა. 64 წლის რიჩარდ გირი 52 წლის ცოლს, ყოფილ მოდელ კერი ლოუელს დაშორდა. მათ მაშინვე გამოიტანეს გასაყიდად ერთობლივი სახლი, რომელიც 65 მილიონი დოლარი ღირს. გაყრის მიზეზად წყვილი ცხოვრებისადმი განსხვავებულ შეხედულებებს ასახელებს.



# სამი ვარსკვლავი ფუნიკულიორზე



■ მარცხნიდან: ლია მიქაძე, ჯულიეტა ვაშაყმაძე და ალექსანდრა მაჭავარიანი

57 წლის წინ, 1956 წლის 30 დეკემბერს, საქართველოში პირველად აინთო ცისფერი ეკრანი. „მოგესალმებათ საქართველოს ტელევიზია!“ — ამ სიტყვებით გავიდნენ ეთერში საქართველოს პირველი დიქტორები (მაშინ ასე უწოდებდნენ) ლია მიქაძე და ალექსანდრა (საშა) მაჭავარიანი. მალევე მათ შეუერთდა პირველი ჟურნალისტი, როგორც დღეს მას უწოდებენ, ტელევიზიის ლეგენდა ჯულიეტა ვაშაყმაძე — თავისი განსხვავებული ტემბრით, მეტყველებით... ამ სამმა ქალმა 50 წელი შეალია ტელევიზიას, თავიანთი საქმის კეთებას, მერე კი ისე გამოუშვეს ყველაზე ძვირფასი და მშობლიური ადგილიდან, რომ არაფერი აუხსნეს, მადლობაც კი არ უთხრეს. ამიტომ მათთვის გამაოგნებლად სასიხარულო იყო, როცა შეიტყვეს, რომ „პირველი არხი“ მათ ვარსკვლავებს ხსნიდა.



წელს, 22 დეკემბერს, თბილისში, ფუნიკულიორზე, იქ, სადაც 57 წლის წინ პირველი ტელევიზია განთავსდა, ლია მიქაძე, ალექსანდრა მაჭავარიანი და ჯულიეტა ვაშაყმაძე საკუთარი ვარსკვლავების გახსნას დაესწრნენ ახლობლებისა და ძველი და ახალი კოლეგების გარემოცვაში. ყველამ ერთად ჯერ ფუნიკულიორის რესტორნის მესამე სართულზე მოიყარა თავი, სადაც პირველი ტელესახეების განვლილი გზა გაიხსენეს. შემდეგ კი ტელეანძის მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ, საიდანაც მათი პირველი გადაცემა გავიდა ეთერში, დიქტორების ვარსკვლავები გახსნეს.

იმ დღის მთავარი გმირები, რა თქმა უნდა, სიხარულს ვერ მალავდნენ. ემოციები, ტკბილ-მწარე მოგონებები მათ „სარკესაც“ გაუზიარეს.

— იმ დროს არ მაფასებდნენ, არც არასოდეს მიცდია, რომ ზედმეტად გამოვჩენილიყავი. ტელევიზიას აღვიქვამდი სამსახურად, სადაც ჩვეულებრივად დავდიოდი და ზოგჯერ ზედმეტად განერვიულებულიც კი ვიჯექი ეთერში. მაშინ ჩემი შვილი პატარა იყო, ის ახლა ტელეკომპანიის ხნის, 57 წლის არის. მუშაობაში არავინ მიწყობდა ხელს, პირიქით, მიშლიდნენ. იყო ბევრი

**ალექსანდრა მაჭავარიანი: „უცხო ქვეყნებში რომ დავდიოდი, იქ ვიგებდი ჩემს ფასს. აქ კი შურის, მტრობის მეტი არაფერი მიგრძვნია. თავად არ ვარ ბოღმიანი და როცა ჩემს დაჩრდილვას ცდილობდნენ, გული მტკიოდა".**

ინტრიგა და ყოველდღიური ხელისშეშლა. უცხო ქვეყნებში რომ დავდიოდი, იქ ვიგებდი ჩემს ფასს. სასტუმროებში ხშირად ყვავილებით მოდიოდნენ, აქ კი შურის, მტრობის მეტი არაფერი მიგრძვნია. თავად არ ვარ ბოღმიანი ადამიანი და როცა ჩემს დაჩრდილვას ცდილობდნენ, გული ძალიან მტკიოდა.

დღეს კი პირველად მოხდა, რომ ძალიან ბედნიერი ვარ. მივხვდი, რომ ხალხმა დამაფასა. მძიმე ვარსკვლავური გზა გამოვიარე დღემდე. იმდენ რამეს ვაკეთებდი ტელევიზიისთვის, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა. თქვენც რომ ყოფილიყავით ჩემს ადგილას, ძალიან გეწყინებოდათ, — გვითხრა ალექსანდრა მაჭავარიანმა.

**ლია მიქაძე: „დღევანდელი დღე ჩემი 50 წლის ნაღვაწია. იცით, როგორ მენატრება ტელევიზიაში მუშაობა? ის იყო ჩემი პირველი შვილი. 19 წლის ვიყავი, სამუშაოდ რომ მივედი, ფაქტობრივად მთელი ცხოვრება ტელევიზიაში გავატარე".**

— ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელ დღეს დიდი ღელვით შევხვდი. რაღაცნაირად გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავით, რადგან ასეთ დიდ ყურადღებას არ ვართ მიჩვეული. თავის დროზე თავდაუზოგავად ვმუშაობდით და ვინ როგორ დააფასებდა ჩვენს ღვაწლს, ამაზე არასოდეს გვიფიქრია. ჩემი საფიქრალი სულ ის იყო, მაყურებელი ყოფილიყო კმაყოფილი. დღევანდელი დღე ჩემი 50 წლის ნაღვაწია. იცით, როგორ მენატრება ტელევიზიაში მუშაობა? მე ცოტა სხვა დამოკიდებულება მქონდა ტელევიზიასთან, რადგან ის იყო ჩემი პირველი შვილი.



ჩემი შვილი ყოველთვის ეჭვიანობდა და დღესაც კი ეჭვიანობს ტელევიზიაზე. 19 წლის ვიყავი, სამუშაოდ რომ მივედი, ფაქტობრივად მთელი ცხოვრება ტელევიზიაში გავატარე და როგორ შეიძლება ის ყველაფერი არ მენატრებოდეს, — თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა ლია მიქაძემ.

ჯულიეტა ვაშაყმაძეს კი ისევ არ დაუკარგავს იმედი, რომ დაკარგულ წლებს აინაზღაურებს და ეკრანს დაუბრუნდება. ვარსკვლავის გახსნამ ეს იმედი გაუძლიერა.

— ძალიან ლამაზად აღინიშნა ჩემი შემოქმედებითი საქმიანობა. ამისთვის დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისი იდეითაც ვარსკვლავები გაგვიხსნეს. მადლობა ხალხს, რომელიც ყოველთვის გვერდით მედგა, ყოველი გადაცემის შემდეგ მათგან უამრავი მადლობა მომდიოდა. სამწუხაროა, რომ ჩემი შემოქმედებითი საქმიანობა შეჩერებულია, მაგრამ ვფიქრობ, ტელევიზიას დავუბრუნდები, რადგან მის გარეშე ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია.

მთაწმინდა სწორედ რომ ტელევიზიასთან, ყოველდღიურ შრომასთან და დიდ პასუხისმგებლობასთან ასოცირდება ჩემთვის. მაშინ, როცა ტრამვაი არ მუშაობდა, ზამთარ-ზაფხულ ფეხით ამოვდიოდი აქ,


შვეიცარული გლუკომეტრი 29ლარი!
ქოლესტერინის აპარატი 40 ლარი!
ვცვლით ძველ აპარატებს ახალზე 15 ლარის დამატებით!!!
აკონტროლეთ თქვენი ჯამრთელობა!
უარი უთხარით მიოკარდიუმის ინფარქტს და ათეროსკლეროზს!
გაიზომეთ დამოუკიდებლად ქოლესტერინი და გლუკოზა!
მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)
ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge




■ მარცხნიდან: ლია მიქაძე, ნუკრი კაპანაძე და ირმა გურიელი




რომ გადაცემისთვის მომესწრო. იმ წლებიდან ბევრი რამ მახსნედება საინტერესოდ. აბსოლუტურად ყველაფერი მენატრება, ის შემოქმედებითი გარემო ძალიან ძვირფასი იყო ჩემთვის. დღემდე „მოამბის“ მაყურებლად დავრჩი, მაგრამ... დღეს ჩემი შვილი, გიორგი გაბუნია აგრძელებს ჩემს გზას, — გვითხრა ქალბატონმა ჯულიეტამ. ცერმონიალს მთელი მისი ოჯახი ესწრებოდა — ქმარი, სამი შვილი და შვილიშვილები. „სარკეს“ ისინიც გაესაუბრნენ.

**დათო გაბუნია,** ჯულიეტა ვაშაყმაძის შვილი:

— ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქარია, განწყობა ამაღლებული გვაქვს. დედამ თავისი ცხოვრების ნახევარი ტელევიზიაში გაატარა და სასიამოვნოა, ასე რომ დააფასეს. დედა ძალიან ნერვიულობდა,



**ჯულიეტა ვაშაყმაძე: „აბსოლუტურად ყველაფერი მენატრება, ის შემოქმედებითი გარემო ძალიან ძვირფასი იყო ჩემთვის. დღემდე „მოამბის" მაყურებლად დავრჩი".**



■ ჯულიეტა ვაშაყმაძის ქმარი, შვილები და შვილიშვილები

ღელავდა. ამ დღისთვის ძალიან ემზადებოდა, რომ ყველაფერი განსხვავებულად ყოფილიყო. ტელევიზია ძალიან ენატრება და დღესაც მზადაა, რომ დაბრუნდეს.

**გიორგი გაბუნია,** ჯულიეტა ვაშაყმაძის შვილი:

— დედას მთელი გულით ვულოცავ დღევანდელ დღეს. ვერ ვიტყვი, რომ ეს ფაქტი ჩემთვის მაინცდამაინც მოულოდნელი იყო. ძალიან მიხარია, რომ დედა ტელევიზიის პირველ ვარსკვლავებს შორის მოხვდა. ის ერთ-ერთი პირველი ტელეწამყვანი იყო და საკმაოდ რთული გზა გამოიარა. 50 წელი ცოტა დრო არაა. ყველაზე მეტად იმ რეპორტაჟების გახსენება უყვარს, რომლებიც მსგავსი ღონისძიებებიდან მიჰყავდა. ხშირად უწევდა ქუჩაში მუშაობა, დემონსტრაციებზე თუ დღესასწაულებზე ყოფნა.

ჯულიეტა ვაშაყმაძის სახელი ჩემთვის ყოველთვის დიდი ჩრდილია. ახლა მე მგულშემატკივრობს, რადგან მის გზას ვაგრძელებ და თითქოს ჩემით ახდენს იმ მონატრების კომპენსირებასაც, რაც ტელევიზიის მიმართ აქვს. დედა ძალიან ღელავდა, თავის მაყურებელთან, კოლეგებთან შესახვედრად ძალიან ემზადებოდა. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ძალიან ლამაზი დღე გამოვიდა.

**შალვა გაბუნია,** ჯულიეტა ვაშაყმაძის მეუღლე, ტელევიზიის ყოფლი თანამშრომელი:

— ჯულიეტა ძალიან ღელავდა და ჩემთვის გასაგებია მისი ეიფორია. ძალიან ბედნიერია. უამრავი ჩვენი ძველი თანამშრომელი ვნახეთ, საოცარი დღეა. მისი სატელევიზიო მოღვაწეობიდან ყველა დღე მახსოვს, რადგან თითოეულ დღეს რაღაც დოზით დაძაბულობა ახლდა თან. ჩვენთვის დღე და ღამე არ არსებობდა, მუდმივად აქტიურ რეჟიმში ვიყავით, მაგრამ ჩვენი საქმე ისე გვიყვარდა, რომ არასოდეს დაგვიწუწუნია.

■

„პირველი არხის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი თიკო ბერძენიშვილი ამბობს, რომ ეს სერია გაგრძელდება და ძველი თაობის ჟურნალისტებს სათანადოდ დააფასებენ.

— ღონისძიება 30 დეკემბრისთვის, ტელევიზიის 57 წლის იუბილესთვის გაკეთდა. ვარსკვლავების გახსნის იდეა დიდი ხნის წინ



■ მარკ რივკინი და დონარა კინწურაშვილი

გაჩნდა. მიხარია, რომ წელს როგორღაც ამ ყველაფერს გვირგვინი დავადგით. ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის სამეული, ვისთვისაც პირველ ვარსკვლავებს გავხსნიდით, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ქალბატონები ლია მიქაძე და ალექსანდრა მაჭავარიანი იყვნენ პირველი დიქტორები, იმის გამო, რომ ქალბატონი ჯულიეტა ვაშაყმაძე ტელევიზიის ლეგენდაა, ეს გადაწყვეტილება მივიღეთ.

მოსამზადებელი პროცესის განმავლობაში სამივე ძალიან ნერვიულობდა, მაგრამ ვფიქრობ, დღეს ისინი უბედნიერესები არიან, რადგან, როგორც იქნა, მათი ამაგი დაფასდა. ახლა გვიჭირს ჟურნალისტებს და, წარმოიდგინეთ, მათ იმ პირობებში როგორ უჭირდათ მუშაობა, მაგრამ გაუძლეს. ვფიქრობ, საბოლოოდ ძალიან ემოციური დღე გამოვიდა.



■ ნუგზარ ჯულელი და ნანა ფარჯაშვილი

ეს სერია გაგრძელდება, ძველი თაობის ჟურნალისტებიდან ბევრი ღირსეული ადამიანია და, ვფიქრობ, ისინიც იმსახურებენ ვარსკვლავების გახსნას, — აღნიშნა თიკო ბერძენიშვილმა.

✓ ქეთი დინოშვილი

# ვიქტორია სიკრეტის ახალი წლის ანგელოზები



საახალწლოდ მოდის სამყაროში ყველაზე დიდი ყურადღება ვიქტორია სიკრეტის ანგელოზების შოუს ეთმობა. ის ყველაზე ხმაურიანი, მასშტაბური და სანახაობითი ჩვენებაა, ამიტომ მოდის სფეროში ნომერ პირველ შოუს უწოდებენ.





წლევანდელი ჩვენებისთვის მზადება 9 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა და მასში მსოფლიოს 40 ლამაზმანი მონაწილეობდა. სტანდარტები უცვლელი იყო — გოგონები 28 წლის ზევით, რომელთა სიმაღლე 178 სანტიმეტრს აღემატება.

ჩვენებისათვის 67 კოსტიუმი და 28 აქსესუარი შეიკერა, ძირითადად — ფრთები. სწორედ ამ ჩვენებაში ქენდის სვენპულმა წარმოადგინა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული, 10 მილიონიანი, ბიუსტჰალტერი. გამორჩეული იყო ასევე ადრიანა ლიმას 3000 მარგალიტით გაწყობილი კოსტიუმი, რომლის დიზაინი XIX საუკუნის ბრიტანული პიჯაკის სტილში იყო გადაწყვეტილი. კოლექციის ჩვენებას 22 სტილისტი, 28 ვიზაჟისტი და მანიკიურის 8 სპეციალისტი ემსახურებოდა.



















# ნათია მონტგომერი: „ამერიკაში პირის გემო გამეხსნა“

## „ქართველი მსოფლიოში ერთადერთი ერია, რომელიც ნოსტალგიას ვერ უძლებს და სამშობლოში ბრუნდება"

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში დილის ეთერში სამზარეულოს დიასახლისი ნათია მონტგომერია (ქალიშვილობის გვარი გოგშელიძე. ავტ.შენ.), რომელსაც ბედიც და ცხოვრების საქმეც მოგზაურობამ აპოვნინა. ყველაფერი კი 1998 წელს დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებით, სადაც სამსახურიდან კონფერენციაზე წავიდა. სწორედ იქ, უცხო ქვეყანაში, მიხვდა, ცხოვრებაში ყველაზე მეტად რა სურდა. ნიუ იორკში ფრანგული კულინარიის ინსტიტუტში სწავლობდა, შემდეგ ნიუ ჯერსის შტატში, ერთ-ერთ ცნობილ ოჯახში შეფმზარეულად დაიწყო მუშაობა. სწორედ ამ ოჯახში შეხვდა მომავალ ქმარს, ბობ მონტგომერის.

დღეს, სადაც უნდა წავიდეს, პირველ რიგში, კულინარიით ინტერესდება. ყველა ქვეყნიდან თავისებური გემო და შთაბეჭდილება მოჰყვება. ამის შესახებ „სარკესაც“ სიამოვნებით უამბობს.

**— ნათია, რა პროცესია თქვენთვის მოგზაურობა?**

— მოგზაურობა ძალიან მიყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, დროის დეფიციტის გამო ამ სიამოვნებით დიდად განებივრებული არ ვარ. სანამ ამერიკიდან საქართველოში დავბრუნდებოდი, ქმართან ერთად ბევრს ვმოგზაურობდი, მაგრამ ჩემი მოგზაურობა 2-3 დღით შემოიფარგლებოდა. იმის ფუფუნება არ მქონია, უცხო ქალაქში 10 დღით მაინც დავრჩენილიყავი, რადგან ჩემი ქმარი ყოველთვის მუშაობდა. ამერიკაში კი დასვენებისთვის წელიწადში სულ რაღაც 10 დღეა.

**— ამერიკაში დიდი ხანი იცხოვრეთ?**

— საკმაოდ. 1998 წელს წავედი. საქართველოში ამერიკულ კომპანიაში ვმუშაობდი და ტენესის შტატში კონფერენციაზე გავემგზავრე. რუსული კარგად ვიცოდი და იუტას შტატში ამ კომპანიის რუსულ სექტორში მუშაობა შემომთავაზეს, სადაც რამდენიმე წელი ვიცხოვრე. ჩემს მომავალ მეუღლეს კი ნიუ ჯერსიში შევხვდი. 2006 წელს ვიქორწინეთ.

**— მომავალი ქმარი როგორ გაიცანით?**

— ერთ-ერთ ოჯახში შეფმზარეულად ვმუშაობდი. იტალიურ-ამერიკული საკმაოდ შეძლებული ოჯახი პერსონალურ მზარეულს ეძებდა. კულინარია კი ყოველთვის მეხერხებოდა. ჩატარდა კონკურსი, სადაც გავიმარჯვე და მე ამიყვანეს. ოჯახის უფროსი, რომელმაც სამუშაოდ ამიყვანა, უოლ სტრიტის ერთ-ერთი ფინანსური მრჩეველი იყო, თეთრ სახლშიც კითხულობდა ლექციებს. სადილზე კონგრესმენებსა და სენატორებს ვმასპინძლობდი. ისეთი ფართები ეწყობოდა, ყოველთვის ფორმაში გამოწყობილი ვიყავი.

ჩემი მომავალი ქმარი ამ ოჯახის ერთ-ერთი წევრის მეგობარი გახლდათ და ხშირად მოდიოდა სტუმრად. მასთან პირველი შეხვედრა განსაკუთრებულად მახსოვს. ერთი ჩვეულებრივი დღე იყო, ყოველგვარი წვეულებისა და სადილის გარეშე. უბრალო ფორმაში გახლდით. თავს ისე ვგრძნობდი, მეგონა, საშინლად გამოვიყურებოდი, ცოტა დეპრესიულიც ვიყავი. რაღაცას ვამზადებდი, როცა სახლში ახოვანი, სიმპათიური, მაღალი და არისტოკრატული გარეგნობის მამაკაცი შემოვიდა. შევხედე თუ არა, გადავირიე, ბობით თავიდანვე მოვიხიბლე. სარკეში ჩავიხედე და, შენ ვის უნდა მოეწონო-მეთქი, გავიფიქრე. მომესალმა და გაიარა...

გაცნობიდან ერთ წელიწადში დავქორწინდით და მერე მოვუყევი, რას ვგრძნობდი, როცა პირველად დავინახე. გამომიტყდა, რომ თურმე მასაც მოვწონებივარ. ისეთი ბუნებრივი იყავი, შეუძლებელი იყო, არ მომწონებოდიო. ჩემი ქმარი პროფესიით აიტი მენეჯერია და სადაზღვევო-საბანკო კორპორაციაში მუშაობს. 4 წლის ალექსი გვყავს.

**— როგორ გახსენდებათ ამერიკაში გატარებული წლები?**

— ვფიქრობ, რომ იქ ცხოვრების პერიოდი არამხოლოდ ჩემთვის, ყველა ადამიანისთვის მომავლის განმსაზღვრელია. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“, სადაც ის პეტერბურგში სწავლის პერიოდზე გვიამბობს, ასეთი აზრია გადმოცემული: ეს არის ის წლები, რომელიც ცხოვრების ქვაკუთხედია, ეს არის საფუძველი, რომელიც მომავალს განსაზღვრავს, ნეტაი, იმას, ვინც მას ხეირიანად მოიხმარსო. ამერიკაში გამგზავრებამ ჩემი მომავალიც განსაზღვრა და დამანახა ის, რაც მომწონდა და მიყვარდა. ამერიკამ საკუთარი თავი აღმომაჩენინა.



ვინც საზღვარგარეთ ცხოვრებას იწყებს, კულინარიაზე ყველას ტვინი ეკეტება. ამერიკაში პირის გემო მეც გამეხსნა. წარმოიდგინეთ, მსოფლიოში რაც კი საუკეთესო კერძია, ყველაფერი იქაა თავმოყრილი. ეს არის ისეთი რაღაცეების სიმრავლე, რის შესახებაც არც კი გვსმენია. ამ ყოველივემ კი სურვილი გამიჩინა, კულინარიის სფეროში მეტრიალა და უფრო მეტი მესწავლა. მართალია, აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრების გიჟური ტემპია, მაგრამ ნიუ ჯერსიში შედარებით სიმშვიდეა და იქ ვარჩიე ცხოვრება.

**— ქმართან ერთად სად იმოგზაურეთ?**

— რაც დავქორწინდით, მას შემდეგ თითქმის სულ ერთად ვმოგზაურობთ. თაფლობისთვის გასატარებლად ნიუ ჯერსის სამხრეთ სანაპიროზე, ქალაქ ქეიფ მეიში წავედით. ეს არის ქალაქი „ბამბანერკა“, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩადიან დასასვენებლად. იცით, იქ როგორი სასტუმროებია? ადრე ჩვენს თავადებს რომ მაღალჭერიანი, რიკულებიანი სახლები ჰქონდათ, ამ ქალაქში ასეთი სახლები სასტუმროებადაა გადაკეთებული. ნომრებში ვარდებიანი შპალერებია გაკრული, ეს ყოველივე კი ერთობლიობაში დიდ რომანტიკას ქმნის. წარმოიდგინეთ, აივანზე ზიხართ, რესტორანში წასვლამდე კოქტეილს ან ღვინოს მიირთმევთ და ამ დროს ფაეტონი ჩაგივლით! ქუჩები და შენობები ვარდებსა და ყვავილებშია ჩაფლული, თან, ნუ დაგავიწყდებათ, ოკეანისპირა ქალაქია.

ქეიფ მეი ახალდაქორწინებულების და შეყვარებულების ქალაქია. იქ სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო რესტორნებს ნახავთ. ნებისმიერში რომ შეხვიდეთ, იმდენად გასაგიჟებელი გემოებია, ვერ იტყვით, რომელი ქვეყნის სამზარეულო უფრო მოგეწონათ. ერთ-ერთ რესტორანში კრაბ ქეიქი ვჭამეთ. ეს გახლავთ კიბორჩხალისგან დამზადებული კატლეტი, ოღონდ დაქუცმაცებული ხორცისგან კი არ მზადდება, კიბორჩხალას ხორცი დიდ ნაჭრებადაა დაძენძილი და შეზავებული. ეს გემო არასოდეს დამავიწყდება!

**— ალბათ მოგზაურობის დროს ყველაზე მეტად კულინარია გაინტერესებთ.**

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სამზარეულო მაინტერესებს. მოგზაურობისას სამზარეულო ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ქორწინებას სანელებლები რომ დააყარო და უფრო ეშხიანი გახადო, მე და ჩემი მეუღლე რესტორანში ახლის შესაცნობად სწორედ ასე ვემზადებით. ბობი კერძებს ჩემზე არანაკლებად ამზადებს, ისიც გურმანია ჩემსავით.

**— და, ეტყობა, ძალზე კომფორტული თანამგზავრიც.**

— ბობი არაჩვეულებრივი თანამგზავრია. ხშირად ვეუბნები კიდეც, საუკეთესო კომპანიონი ხარ-მეთქი. იცით, როგორ ადამიანს მახსენებს? ფილმ „ქარწაღებულნიდან“ რედ ბატლერს.

**— დასასვენებლად სად დადიხართ ხოლმე?**

— როცა ზამთარში ამერიკაში ვარ, ფლორიდის შტატში მივდივართ, სადაც ყოველთვის თბილა. შუა ზამთარში შეიძლება პლაჟზე დაწვეთ და ცხოვრება იზეიმოთ. ასეთ თბილ ქვეყანაში ცხოვრების დიდი სურვილი მაქვს. იქ არის რესტორანი „აუთ ბექ სთეიქ ჰაუზი“. ეს გახლავთ სტეიკის სახლი. ხახვის დუმფარა რომ მოაქვთ ზეთში შემწვარი და სუნელებში ამოვლებული, გარედან ისეთივეა, როგორც თიხა. იქ შეგიძლიათ დააგემოვნოთ ღორის შემწვარი ნეკნები და ეს ხახვის დუმფარა კეტჩუპით, მაიონეზით, პირშუშხათი და ლუდით დამზადებულ სოუსში. ვერ გეტყვით, რა გემრიელია! იმხელა რიგები იდგა, საღამოს 10 საათამდე ვერ შევდიოდით, ამიტომ იძულებულები ვხდებოდით, შეგვეკვეთა და სახლში წამოგვეღო.

ნიუ იორკში ტყუპი შენობების ადგილას რესტორანია, რომელიც რობერტ დე ნიროს ეკუთვნის. როცა იქ ვარ, ამ რესტორანში ხშირად მივდივარ.

**— ამერიკა მართლაც ამოუწურავი თემაა. სხვა რომელი ქვეყანა გახსენდებათ ასეთივე აღტაცებით?**

— გერმანიაზე გიამბობთ. ბავარიის დედაქალაქი მიუნხენი არაჩვეულებრივია, ძალიან მიყვარს. გერმანიას თვითმფრინავიდან რომ გადახედავთ, ნამდვილი კი არა, კალმით ნახატი გეგონებათ. ყველაფერი იმდენად მოწესრიგებულია, ეს ქვეყანა ხელოვნურს უფრო ჰგავს. მიუნხენის ცენტრში ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტია, რომლის გვერდით მშვიდი უბანია, უამრავი კაფე, რესტორანი და გამოფენაა. მხატვრებისა და გამოჩენილი ადამიანების თავშეყრის ადგილია. უზარმაზარი ხეები ბულვარს ჩრდილავს და იქ ყოფნა დიდი სიამოვნებაა. ლენინი იქ დადიოდა დასასვენებლად.

**„გერმანიას თვითმფრინავიდან რომ გადახედავთ, ნამდვილი კი არა, კალმით ნახატი გეგონებათ. ყველაფერი იმდენად მოწესრიგებულია, ეს ქვეყანა ხელოვნურს უფრო ჰგავს".**

→44

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

მიუნხენში არის „ოლიმპიკ არეა“, სადაც 1972 წელს ოლიმპიური თამაშები ჩატარდა. ეს მთა მეორე მსოფლიო ომის ნარჩენებისგანაა აგებული. იქიდან რომ გადაიხედავთ და ბავარიის ალპებს დაინახავთ, სუნთქვა შეგეკვრებათ!

**„დილით შემწვარ ბეკონთან, სატაცურთან და კვერცხთან ერთად შამპანურს რომ მოგიტანენ, ეს ალბათ მხოლოდ ფრანგებს შეუძლიათ. იქ პირველად მივხვდი, კვერცხს შამპანური როგორ უხდება. თურმე ერთმანეთისთვის ყოფილან გაჩენილი".**

გერმანელები ლორისა და სოსისის დამზადებაში ექსპერტები არიან. ხორცის გასატარებელი მანქანა პირველად მათ გამოიგონეს. ლორის ჩოპები იმდენად რბილი და ნაზია, პირში დნება. რესტორნებში რომ შეხვალთ, დიდი, უხეშად გამოთლილი მაგიდები და სკამები დაგხვდებათ, ჩვეულებრივი გლეხური სიტუაციაა. დედამიწაზე რაც კი ნატურალური, სიკეთე და სილამაზე არსებობს, ამის ზეიმია.

**— ყველაზე შთამბეჭდავად რომელი მოგზაურობა გახსენდებათ?**

— ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი საფრანგეთში მოგზაურობა იყო, სადაც 2011 წელს გახლდით. მაშინ ამერიკიდან საქართველოში ქმართან ერთად მოვფრინავდი და ორი დღით პარიზში გავჩერდით. ამ ქალაქში პირველად ვიყავი. საფრანგეთის არქიტექტურასა და სილამაზეზე რომ აღარაფერი გითხრათ, იქ ყველა საჭმელზეა გადარეული. რესტორნებში რომ შედიხართ, მაგიდებად როიალები დგას. „კაფე დე ფლორ“ ჩემი საყვარელი კაფეა. დილით შემწვარ ბეკონთან, სატაცურთან და კვერცხთან ერთად შამპანურს რომ მოგიტანენ, ეს ალბათ მხოლოდ ფრანგებს შეუძლიათ. იქ პირველად მივხვდი, კვერცხს შამპანური როგორ უხდება. თურმე ერთმანეთისთვის ყოფილან გაჩენილი.

საფრანგეთში ჩვენი შვილი, ალექსიც გვყავდა. მაშინ 2 წლის იყო, მაგრამ საერთოდ არ გვიშლიდა ხელს. პარიზში გატარებული დღეები ჩვენ ორის დრო იყო. ყველა ქუჩაზე ფერმერების პატარ-პატარა მარკეტებია, სადაც თავიანთ დამზადებულ ნაწარმს ყიდიან. პროდუქტი უგემოვნოდ დაყრილი ნუ გეგონებათ, კალათებში ფერების მიხედვით არტისტულადაა ჩალაგებული. ამის შემხედვარე შემოქმედი გახდებით. რომც არ გინდოდეთ, თქვენში კულინარი გაიღვიძებს.

საფრანგეთი განსაკუთრებულად მახსენდება, მაგრამ თურქეთმაც არანაკლები შთაბეჭდილება დამიტოვა.

**— თურქეთმა რითი მოგხიბლათ?**

— სტამბულში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, ოღონდ მარტო. იქაურობა ძალიან მიყვარს. არაჩვეულებრივი შოპინგ ცენტრებია, ყველაზე მეტად კი კაფეებმა მომხიბლა. როცა იქ პირველად მოვხვდი, ეს პროფესია ჯერ კიდევ არ მქონდა. გული კაფეებისკენ მიმიწევდა. ცენტრში, სულთნის ერთ-ერთი სასახლის გვერდით, იყო კაფე, სადაც ქალები თონეში აცხობდნენ საჭმელს, შენ კი დახლზე უნდა წამოწოლილიყავი და ისე მიგერთვა. გარშემო უამრავი ბალიში ეწყო და ტიულის ფარდა იყო ჩამოფარებული. წამოწვები, დაისვენებ, შეგიძლია, ჩიბუხიც მოსწიო. როგორც გითხარით, მარტო გახლდით, თურმე ასეთ ადგილას საყვარელ ადამიანთან ერთად უნდა



ნიუ იორკი, რობერტ დე ნიროს რესტორანში

წახვიდე. თურქეთის გარდა ასეთი რამ სხვაგან არსად მინახავს.

ძვირფასეულობის აღმოსავლური ბაზარი დიდი სანახაობაა. ქუჩაში დასათვალიერებლად რომ დადიხარ, ბიჭები წელგატეხილი ჭიქებით ჩაის დაატარებენ. ეს ჩაი სრულიად უბრალოა, მაგრამ როგორ ამზადებენ, დღემდე ვერ ვხვდები. როგორ არ ვეცადე, თურქეთიდანაც ჩამოვიტანე, მაგრამ ისეთი არ გამომივიდა.

**— კიდევ რომელ ქვეყანაში მოგზაურობა გახსენდებათ სასიამოვნოდ?**

— ინგლისს სიამოვნებით გავიხსენებდი. იქ ჩემი ბავშვობის მეგობარია გათხოვილი და მასთან სტუმრად გახლდით. დედოფლის სასახლე და სხვა ღირსშესანიშნაობები დავათვალიერე, ყველაზე მეტად კი მაინც კულინარიამ მომხიბლა. არსებობს ფერმერების ბაზარი, სადაც მსოფლიოს ქვეყნებიდან ყველანაირი საკვები იყრის თავს. იქიდან ნებისმიერი ადამიანი იდეებით სავსე და სიახლეებისთვის მომზადებული გამოდის.

**„ინგლისურად ქართული აქცენტით რომ ვმეტყველებდი, ბევრჯერ საკუთარ თავზე ვბრაზდებოდი კიდეც, მაგრამ თურმე იქ ეს ყოფილა ჩემი სილამაზე, ყურადღებამისაქცევი და უცხოელებისთვის მომხიბვლელი".**

ინგლისელებს საინტერესო საჭმელები აქვთ. კარტოფილისგან რაღაც საოცრებას ამზადებენ. გაუთლელი და გარეცხილი კარტოფილი სიგანეზე უნდა ჩავჭრათ ისე, რომ ყველა ნაჭერს ძირში ქერქი დარჩეს. შემდეგ მას ქონდარს, მარილსა და შავ პილპილს ვაყრით, ცოტა ზეითუნის ზეთს ვასხამთ და ვაცხობთ ღუმელში. სიცხეზე ნახევრადჩაჭრილი კარტოფილი გადაწვება და როგორც ზღვის ნიჟარა, ისეთი ხდება. ულამაზესი სანახავია, გემოზე აღარაფერს ვამბობ.

**— თქვენმა ქმარმა ქორწინებამდე თუ იცოდა საქართველოს შესახებ?**

— ბობიმ საქართველო მხოლოდ რუკაზე იცოდა. ჩვენი ქვეყნის შესახებ საერთოდ არაფერი გაეგო. პირველად აქ 2007 წელს ჩამოვედით და მას შემდეგ ნოსტალგია აქვს. მცხეთა და უფლისციხე მოვატარე. ყაზბეგის ნახვა ძალიან უნდა, მაგრამ ყოველთვის ზამთარში უწევს ჩამოსვლა და იქ წასვლას ვერ ვახერხებთ. საფრანგეთში წასვლა ისე არ უხარია, როგორც საქართველოში. პირველ რიგში, ალბათ იმიტომ, რომ აქ ჩვენ ვეგულებით და ქართული სტუმართმოყვარეობითაც მოხიბლულია.

ბობის საქართველო ძალიან უყვარს. სულ მეუბნება, შენი ფესვები არასოდეს დაკარგო და ყოველთვის იამაყე იმით, რაც გაქვსო. ბევრ ამერიკელს ეს გრძნობა არ აქვს. ინგლისურად ქართული აქცენტით რომ ვმეტყველებდი, ბევრჯერ საკუთარ თავზე ვბრაზდებოდი კიდეც, მაგრამ თურმე იქ ეს ყოფილა ჩემი სილამაზე, ყურადღებამისაქცევი და უცხოელებისთვის მომხიბვლელი.

შობის დღესასწაულზე შეიძლება ბობი ჩამოვიდეს. ახლა ჩემი მთავარი ამოცანა მისი საჩუქრის შერჩევაა. მე და ალექსი მართლმადიდებლები ვართ და შობას 7 იანვარს ვზეიმობთ, ბობი კი 25 დეკემბერს აღნიშნავს.

**— სხვადასხვა ქვეყნიდან თვითონ თუ ჩამოაქვს თქვენთვის საჩუქარი?**

— კი, რა თქმა უნდა. მაგალითად, ბოლოს ამერიკიდან სუნამო ჩამომიტანა. უცნობი ბრენდია, მაგრამ ვფიქრობ, ჩემი არომატი აღმოვაჩინე. არ ვიცი, ასეთი სუნამო როგორ შეარჩია. მისი შემადგენელი მთავარი ინგრედიენტი ფაჩულის ეთერზეთი გახლავთ, რომელიც იმითაა ცნობილი, რომ საწინააღმდეგო სქესს იზიდავს.

**— საყიდლებზე სიარული გიყვართ?**

— კი, მაგრამ სამზარეულოს შოპინგი უფრო მიყვარს, რაც ჩემთვის ტანსაცმლის შოპინგზე არანაკლებ სახალისოა. სამოსის საყიდლად სიარული მღლის, კულინარიული შოპინგით კი არასოდეს ვიღლები. სამზარეულოს აღჭურვილობიდან უმეტესობა ამერიკიდან მაქვს ჩამოტანილი, მაგალითად, თუჯის ქვაბები იქიდან წამოვიღე. ბობი სამზარეულოს მაღაზიებში ჩემსავით სიამოვნებით დადის.

**— ამერიკა და საქართველო საკმაოდ დაშორებული ქვეყნებია და ალბათ თვითმფრინავში დიდ დროს ატარებთ. ეს თქვენთვის შემაწუხებელი არ არის?**

— თვითმფრინავი იმდენად მიყვარს, მისი მხოლოდ ყურებაც კი მსიამოვნებს. მაღლა რომ ფრინდება, რაღაც მეფურ, თავისუფლების განცდაში გაგდებს. თურქეთში რომ მივფრინავდი, თვითმფრინავი ტრაპზონში დაჯდა. იქ აეროპორტი შავი ზღვის სანაპიროზეა. ზღვის თავზე რომ მიფრინავდა, ეს რაღაც უკიდეგანო სივრცისა და უსასრულობის შეგრძნებას ბადებდა. ოკეანის თავზე ფრენა ჩემში ცოტა შიშს იწვევს, მაგრამ, როგორც კი დედამიწაზე ვეშვებით, იქვე მავიწყდება ყველაფერი.

**— ამერიკაში საცხოვრებლად დაბრუნებას აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერჯერობით აქ ვარ. ნიუ ჯერსიში სახლი გვაქვს, ბობიც იქ მყავს და აუცილებლად დავბრუნდები. ალექსი ბაღში დამყავს. მინდა, ქართული კარგად ისწავლოს, ჩემი ოჯახი და მიწა შეუყვარდეს. დიდი სურვილი მაქვს, ჩემმა შვილმასაქართველოშიც იცხოვროს. ქართულად კარგად ლაპარაკობს, ინგლისური კარგად არ იცის, მაგრამ ეს არ მადარდებს, ქართული ენა უფრო მანერვიულებდა. მე და ბობი სულ ინგლისურად ვლაპარაკობთ და ალექსი ასე ქართულს ვერ ისწავლიდა.

აქაურობა ძალიან მენატრებოდა, ამიტომაც დავბრუნდი. ქართველი მსოფლიოში ერთადერთი ერია, რომელიც ნოსტალგიას ვერ უძლებს და სამშობლოში ბრუნდება. ჩემი ჩამოსვლა „რუსთავი 2“-დან მიღებულმა შემოთავაზებამაც განაპირობა.

✓ სოფიო ბოჭორიძე

# მარსელი – ქალაქი, რომელიც სიყვარულმა დააარსა

მარსელი საფრანგეთის უმსხვილეს საპორტო ქალაქს წარმოადგენს და ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ის ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრია.

ქალაქი განსაკუთრებით საინტერესოა შუა საუკუნეების არქიტექტურით. ყველაფერთან ერთად ის საფრანგეთის ეთნიკურად ყველაზე მრავალფეროვანი ქალაქია, რაც მის იერსახეზეც ნათლად აისახება. გარდა ამისა, მარსელი არა მარტო საფრანგეთის, არამედ დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ უდიდეს პორტს წარმოადგენს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულად დიდ როლს თამაშობს.

### მცირე რამ ისტორიიდან

ერთობ საინტერესოა ქალაქის დაარსების ისტორია. ლეგენდის თანახმად, დღევანდელი მარსელის სიახლოვეს ერთი სამეფო იყო. როდესაც მისმა მეფემ ქალიშვილი გაათხოვა, საჩუქრად სწორედ მარსელის ტერიტორია მისცა. შეყვარებულმა წყვილმა კი იქ ქალაქი



Cyan Magenta Yellow Black

დააარსა, ამიტომაც უწოდებენ მას სიყვარულის მიერ დაარსებულ ქალაქს. აღსანიშნავია, რომ მარსელს ადრე მასილია ერქვა.

## კლიმატი

მარსელში ხმელთაშუა ზღვისპირეთისთვის დამახასიათებელი კლიმატია გამეფებული. ზაფხული მშრალი და მზიანია და ტემპერატურა 28 გრადუსამდე თბება. ზამთარში კი ტემპერატურა 0 გრადუსამდე ეცემა.

მარსელში ყინვა და თოვლი იშვიათობაა. გადაუღებელი წვიმები მხოლოდ ივნისშია მოსალოდნელი.



■ მარსელი

## ფული

მარსელის ეროვნული ვალუტა 2002 წლის პირველი იანვრიდან ევროა. მანამდე მიმოქცევაში ფრანგული ფრანკი იყო. უმაღლესი დონის სასტუმროებსა და რესტორნებში ევროსთან ერთად ამერიკული დოლარით სარგებლობა არ უნდა გაგიჭირდეთ.

თანამედროვე ქალაქში საკრედიტო ბარათების გამოყენება პრობლემას არ წარმოადგენს. სასტუმროს ორადგილიანი ნომრის ფასი 50 ევროდან იწყება და 25 ათას ევრომდე ადის. რაც შეეხება ზოგადად ფასებს, მარსელში სიძვირე ნამდვილად არ არის.

## ენა

ფრანგული მარსელის სახელმწიფო ენაა. გავრცელებულია პროვანსული, ბრეტანული დიალექტები, კორსიკული და ბასკური ენები.

ფრანგულის გარდა ქალაქში თავს ინგლისურითაც გაიტანთ, რადგან ინგლისური ენის ცოდნა თითქმის ყველა დაწესებულებაში მომსახურე პერსონალის ვალდებულებაა.

## გადაადგილება

მარსელის საერთაშორისო აეროპორტი ქალაქიდან 30 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და ტაქსით, ავტობუსით და ახლა უკვე მატარებლით ქალაქის ცენტრში ზუსტად 30 წუთში იქნებით. მარსელის აეროპორტი მარსელ პროვანსი პარიზის შარლ დე გოლის აეროპორტის შემდეგ საფრანგეთში უდიდესია. თვითმფრინავით ძირითადად სხვა კონტინენტების მცხოვრებნი სარგებლობენ.

მარსელის მიმართულებით მატარებლის რეისები საფრანგეთის დანარჩენი ქალაქებიდან თითქმის ყოველდღიურად სრულდება. ავტობუსითა და მანქანით მარსელში ჩასვლას მეზობელი ქვეყნებიდანაც ადვილად მოახერხებთ. რაც შეეხება გემით მგზავრობას, უდიდეს საპორტო ქალაქში ეს ასევე თითქმის ყველა ქვეყნიდან შესაძლებელია.

ქალაქში გადაადგილებისათვის კარგად არის განვითარებული სატრანსპორტო ქსელი. 1977 წლიდან მეტროპოლიტენი ფუნქციონირებს, ასევე მოწესრიგებულად მოძრაობენ ავტობუსები, ტროლეიბუსები და ტრამვაი. მგზავრობის ფასები კი 2 ევროდან იწყება.

უსაფრთხოების თვალსაზრისით, თანამედროვე ტრამვაით მგზავრობა ყველაზე კარგი გამოსავალია. საკმაოდ კომფორტული ავტობუსები მარსელში შუაღამემდე მოძრაობენ და მგზავრობის ფასი 1,4 ევროა. ბილეთები კონდუქტორისაგან უნდა შეიძინოთ. ბილეთის უქონლობის შემთხვევაში საკმაოდ დიდი ჯარიმის გადახდა მოგიწევთ.

## სამზარეულო

ფრანგული სამზარეულო დახვეწილი და ძალიან გემრიელია. პაშტეტი, ანჩოუსები, შებოლილი ვირთევზა — ეს ყველაფერი მისი შემადგენელი ნაწილია, განსაკუთრებით კი ისეთ საზღვაო ქალაქში, როგორიც მარსელია. იტალიასთან სიახლოვის გამო, იტალიური სამზარეულოს გავლენაც შესამჩნევია. მარსელის ლაჟვარდოვან სანაპიროზე პიცისა და ტომატის სოუსის ბევრი მოყვარული ცხოვრობს.

პორტთან უამრავი რესტორანია, სადაც სტუმრებს მხოლოდ ზღვის პროდუქტებით უმასპინძლდებიან. იქ შემოგთავაზებენ ცოცხალ თევზს, განთქმულ წვნიან ბუაიბეს, მოლუსკებს კი აუცილებლად წითელ ღვინოსა და ნივრის სოუსთან ერთად მოგართმევენ. ალბათ უკვე მიხვდით, რომ მარსელში, როგორც ზღვისპირა ქალაქში, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს თევზეული.

ყველი და ღვინო ფრანგული სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია. ტრადიციული კერძებიდან ლიდერობს პო ტო ფე და ფუა გრა, ხოლო დელიკატესებს შორის ყველაზე მოთხოვნადი სუნელებით შეკმაზული ძროხის მოხარშული ენაა.

რესტორნებში ყველაფრის მირთმევა შეგიძლიათ, მსოფლიოს ნებისმიერი სამზარეულოს ცნობილი და ნაკლებად ცნობილი კერძები თქვენს განკარგულებაშია. ფასების მხრივ კი ნორმალური სიტუაციაა: საშუალო კლასის რესტორანში 30 ევროდაც მშვენივრად ივახშმებთ, მაღალი კლასის რესტორანში სადილის ფასი კი 300 ევროდან იწყება. შეგიძლიათ დანაყრდეთ ფასტ ფუდით და გემრიელი სენდვიჩებითაც, რომლებსაც 4-5 ევროდ შეიძენთ.

ადგილობრივი ღვინო ბურგუნდიულს არაფრით ჩამოუვარდება. ყველაზე გავრცელებული ღვინო კი ვარდისფერი „კოტ დე პროვანსია“. 18 წლამდე ახალგაზრდებზე ალკოჰოლური სასმელი არ იყიდება.

## ღირსშესანიშნაობები

მარსელს აქვს რამდენიმე ძალიან ცნობილი პლაჟი. მათ შორის აღსანიშნავია დე ლავი, კორბიერი, ფორტენი და დე ლა ბატრი, სადაც მთელი ზაფხულის განმავლობაში უამრავი ტურისტი და ადგილობრივი ისვენებს.

ქალაქი ისეა დაგეგმილი, რომ პირველი ვიზიტის დროსაც არ დაიკარგებით. ეს არაა პარიზი, მაგრამ არის საფრანგეთის უდიდესი პორტი ძალიან ლამაზი არქიტექტურით და, ბუნებრივია, სანახავიც უამრავი რამეა. თუ გსურთ, რომ, ასე თუ ისე, ყველაფრის ნახვა მოასწროთ, გირჩევთ, ქალაქის დათვალიერება მთავარი მოედნიდან დაიწყოთ. უნდა დაათვალიეროთ სენტ მარი მაჟორის ციხესიმაგრე, ნოტრ დამ დე ლა გარდის ბაზილიკა, რომელიც მე-19 საუკუნისაა და ქალაქის მთავარ სიმბოლოდ ითვლება. ასევე აუცილებლად მოინახულეთ სან ვიქტორის მე-5 საუკუნეში დაარსებული სააბატო.

რაც შეეხება მუზეუმებს, აუცილებლად ეწვიეთ მარსელის ისტორიის მუზეუმს, ასევე ნახეთ ხელოვნების, ცეკვის, საზღვაო, არქეოლოგიური და მოდის მუზეუმები. არ უნდა გამოგრჩეთ მარსელის ოპერა და თეატრები. რაც შეეხება ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების ღირებულებას, ფასები 10 ევროდან იწყება.

სხვა თემაა მარსელის ბაღები და პარკები. საერთოდ რომ არ გეგმავდეთ ქალაქის პარკების ფეხით შემოვლას, თქვენდაუნებურად იქ მაინც შეხვალთ, განსაკუთრებით ზაფხულში. კარგს იზამთ, თუ ქალაქის ბოტანიკურ ბაღსაც დაათვალიერებთ.

## უსაფრთხოების წესები

საფრანგეთის სხვა ქალაქებთან შედარებით, მარსელში კრიმინალის დონე საგრძნობლად დაბალია. მაინც სიფრთხილე გამოიჩინეთ ჯიბის ქურდებთან. მანქანის დაქირავების შემთხვევაში, მას საკუთარი შვილივით გაუფრთხილდით, რადგან მცირე ნაკაწრის შემთხვევაშიც კი ჯარიმის სახით ათასობით ევროს გადახდა მოგიწევთ.

მარსელში საოცრად გულთბილი და მეგობრული ხალხია. ზოგადად ფრანგებზე ამბობენ, რომ ცივები და ჩაკეტილები არიან, მაგრამ ალბათ ეს პარიზს უფრო შეეფერება, მარსელის შემთხვევაში კი აბსოლუტურად სხვა სიტუაციაა და ამ მხრივ ნამდვილად კმაყოფილი დარჩებით.

გაითვალისწინეთ, რომ ქალაქში მაღაზიები 9-დან 19 საათამდე მუშაობენ, შესვენება კი 14-დან 15 საათამდეა. რაც შეეხება ბანკებს, სამუშაო დღე 9-დან 19 საათამდეა, შესვენების გამო კი ბანკის მომსახურებით 13-დან 14 საათამდე ვერ ისარგებლებთ. გარდა ამისა, კვირადღეს არაფერი მუშაობს.

## უბის წიგნაკი

**ქვეყანა — საფრანგეთი;**
**ქალაქი — მარსელი;**
**მოსახლეობა — 851.420;**
**ფართობი — 240,62 კვ.კმ;**
**ენა — ფრანგული;**
**ეროვნული ვალუტა — ევრო.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ






Cyan Magenta Yellow Black

# სასჯელი უარყოფილი სიყვარულისთვის

## „ავადმყოფ შეყვარებულს ზურგი ვაქციე, ქმრად კი ნარკომანი შემხვდა“



ჩვენი რესპონდენტი, შუახნის ქალბატონი ელენე, ახალგაზრდობაში დაშვებულ შეცდომას ძალიან ნანობს. შეყვარებულს თავის დროზე იმიტომ დაშორდა, რომ ბიჭს ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა. იმის შიშით, ავადმყოფი ქმარი არ შერჩენოდა ხელთ, სიყვარულს ზურგი აქცია. ბედის ირონიით, ისეთ კაცს გაჰყვა ცოლად, ვინც, ერთი შეხედვით, ჯანმრთელი ჩანდა, მაგრამ მისი ცხოვრების წესი იყო პათოლოგიური.

ელენეს წარუმატებელ პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დედის გავლენამ. მშობლის აქტიურმა ჩარევამ და საკუთარი ხაზის გატარებამ შვილს ბედი დაუმახინჯა. ამ მწარე გამოცდილების მიღების მერე ელენე ვაჟიშვილს მეტ თავისუფლებას ანიჭებს. ცხოვრება აქაც უწყობს გამოცდებს — მის შვილს უკვე აქვს ერთი უიღბლო ქორწინება გადატანილი, ახლა კი მასაც ავადმყოფი გოგონა უყვარს.

**ელენე:**

— ახალგაზრდობაში შემიყვარდა ბიჭი, ლევანი, რომელსაც ხერხემლის პრობლემა ჰქონდა. დიდხანს ფეხზე დგომა უჭირდა. სიყმაწვილეში სპორტის ერთ სახეობაზე დადიოდა და მძიმე ტრავმა მიიღო, რაც მის ჯანმრთელობაზე აისახა. მკურნალობამ დიდი ვერაფერი შედეგი გამოიღო. ლევანი რომ გავიცანი, მისი ამ პრობლემის შესახებ არაფერი ვიცოდი. გარეგნულად ვერაფერს ვამჩნევდი, ამ თემაზე არც მის სამეგობროში ლაპარაკობდნენ. კეთილგანწყობას სიმპათია მოჰყვა, მოწონებას — სიყვარული... მერე დედასაც გავაცანი. დედაჩემი ექიმია და მაშინვე იეჭვა, რომ ლევანს ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები ჰქონდა.

— **რა შეამჩნია?**

— დროდადრო წელზე იკიდებდა ხელს. დედამ მითხრა, საბედისწერო შეცდომა არ დაუშვა, კარგად დააკვირდი, რამე არ გამოგვეპაროს, თუ ხერხემლის პრობლემა აქვს, ასაკთან ერთად შეიძლება გაურთულდეს და ინვალიდი ქმარი არ შეგრჩეს ხელშიო. დედას ეჭვმა და დამოკიდებულებამ ამაფორიაქა, მოსვენება დამიკარგა. ლევანს ამის შესახებ როგორ ვკითხავდი, უბრალოდ დაკვირვება დავიწყე. ქალაქგარეთ ვაწყობდით ხოლმე პიკნიკებს მეგობრებთან ერთად. იქ შევამჩნიე, რომ ლევანი ხშირად იცუცქებოდა, მაშინაც, როცა ყველა ფეხზე იდგა ან მოძრაობდა. მდელოზე მჯდომი აუცილებლად ზურგით რაღაცას უნდა მიყრდნობოდა.

**„დედამ მითხრა, საბედისწერო შეცდომა არ დაუშვა, თუ ხერხემლის პრობლემა აქვს, ასაკთან ერთად შეიძლება გაურთულდეს და ინვალიდი ქმარი არ შეგრჩეს ხელშიო“.**

მართალი გითხრათ, შიშმა შემიპყრო. ამის შესახებ დედას ვუთხარი. დედა კი შემიჩნდა, თავად ლევანისგან შეიტყვე, რა სჭირს, თუ არ გაგიმხელს, მე გავიკითხავო. იმის შიშით, რომ დედაჩემს ხალხში გაკითხვა არ დაეწყო, გავბედე და ლევანს ვკითხე. მან თავისი ტრავმის შესახებ მიამბო და გამამხნევა, საშიში არაფერია, არ მაწუხებსო.

— **ამის შემდეგ შეყვარებულის მიმართ დამოკიდებულება შეგეცვალათ?**

— შემეცოდა და უფრო შემიყვარდა. დედაჩემი კი სულ გადაირია, დიდ წინააღმდეგობას მიწევდა, მაგ ბიჭს როგორმე უნდა დაშორდე, თავი არ გაიუბედუროო. მარწმუნებდა, შენი მხრიდან ეს გატაცებაა, სიყვარულზე მეტად კი სიბრალულია, რუტინულ ცოლქმრულ ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვლება, კაცი რომ თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს, შენს შეცდომას მერე მიხვდებიო.

— **დედის შეძახილმა ნაყოფი გამოიღო?**

— დედას ჩემზე ყოველთვის ჰქონდა გავლენა. ქვეშეცნეულად საკუთარი თავი დავაჯერე, რომ ლევანთან ცხოვრებით თავს მხოლოდ და მხოლოდ გავიუბედურებდი და დავიწყე მიზეზების ძიება, რასაც შეიძლებოდა ჩვენ შორის კონფლიქტი წარმოეშვა. ეს კი იმისთვის მჭირდებოდა, რომ განხეთქილება მომხდარიყო, რაც გაშორებას გამიადვილებდა და ჩემს ამ ნაბიჯსაც გაამართლებდა. არადა ჩვენი ურთიერთობის განმავლობაში ლევანთან არასდროს მიჩხუბია. ძალიან მშვიდობისმოყვარე და გაგებული იყო და მასთან თავს კარგად ვგრძნობდი.

— **იპოვეთ მიზეზი, რომელსაც ეძებდით?**

— დიდხანს არ მაძლევდა ამის საშუალებას და მეც ორ ცეცხლშუა ვიწვოდი. ბოლოს, როცა დავინახე, რომ საშველი არ იყო, რაღაც წვრილმანზე წავეკიდე, ერთს მეორე დავუმატე და... მოკლედ, კონფლიქტი ხელოვნურად ავაგორე. გამოვუცხადე, ერთმანეთს ვერ ვუგებთ და საერთო მომავალი არ გვექნება, ჯობია, დავშორდეთ-მეთქი.

— **იოლად დაგნებდათ, ადვილად დაგთმოთ?**

— მასთან შეხვედრებს თავს ვარიდებდი. რომ მირეკავდა, ყურმილს არ ვიღებდი. ბოლოს ვუთხარი, ვწუხვარ, მაგრამ აღარ მიყვარხარ-მეთქი.

— **ალბათ თქვენი უცაბედი ცვლილებით გაოგნებული დატოვეთ. ნამდვილ მიზეზს ვერ მიხვდა?**

— რომ ვერ მიმიხვდა, ამაშიც მინუსი დავუწერე და ჩემი ქცევა გავამართლე, აი, ასეთ გაუგებარ კაცთან როგორ ვიქნებოდი-მეთქი.

— **თქვენი ცხოვრება ამ დაშორების შემდეგ როგორ გაგრძელდა?**

— ჩემი დაქალების ცხოვრებაში ზედიზედ ჩნდებოდნენ თაყვანისმცემლები, ჩემთან კი არაფერი ხდებოდა. ჩემი დაქალები გათხოვდნენ, მე კი კენტად დავდიოდი. სიყვარული მენატრებოდა, ბედს ვუჩიოდი, თავს ცხოვრებისგან დაჩაგრულად ვთვლიდი... როდის-როდის გამოჩნდა ვატო, ყოველმხრივ ნორმალური ბიჭი, რომელმაც ხელი მთხოვა. დიდხანს არ გვივლია, არც შეყვარებულები ვყოფილვართ. დედასაც ძალიან მოეწონა და დავთანხმდი.

— **დათანხმდით იმის შიშით, რომ გაუთხოვარი არ დარჩენილიყავით?**

— ალბათ. ლევანთან დაშორების შემდეგ წონაში ძალიან დავიკელი და მეგონა, აღარავინ შემიყვარებდა. დედაც მიკიჟინებდა, კარგი ვარიანტია და ხელიდან არ გაუშვაო. თან ვატო და დედამისიც ექიმები იყვნენ.

— **ამ ქორწინებამ გაამართლა?**

— ქორწინებიდან შვილი რომ შეგვეძინება, უმჯობესია, ღმერთს მადლობა შესწირო და არაფერზე იწუწუნო. ჩემი ვაჟი, ნიკუშა, უკვე 26 წლისაა, თუმცა...

— **როგორც ვატყობ, ქმრის კმაყოფილი არ ხართ.**

— თანაცხოვრების განმავლობაში ჩემი ქმარი ძალიან შეიცვალა. ჯერ იყო და, ნარკოტიკებს და აზარტულ თამაშებს დაუმეგობრდა, მერე ვალების გამო ბინა გაყიდა, ბოლოს კი სხვა ქალში გამცვალა. არც არაფერი აგვიხსნა, ისე მიგვატოვა. მის გამო ბევრი განსაცდელი და სიმძიმე გადავიტანე. რას აღარ ვუძლებდი!.. მიუხედავად იმისა, რომ არც ქმრად ვარგოდა და არც ოჯახის უფროსად, ქორწინების შენარჩუნებას ბოლომდე ვეცადე, მაგრამ გაქცეული ველარ მოვაბრუნე.

— **შვილთან ურთიერთობა თუ მაინც აქვს, მამობას უწევს?**

— შვილი სამი წლის შემდეგ გაახსენდა და რაღაც უფლებები წამომიყენა. ნორმალურ ცხოვრებას დღემდე არ მაცდის. პერიოდულად ესიზმრება, თითქოს ვთხოვდები და მუქარით მიკლებს. მოუშორებელ ჭირად მექცა. აი, ასე, ესეც შენი ჯანმრთელი სიძე!

— **ძველი შეყვარებულის დაკარგვა ინანეთ?**

— რა თქმა უნდა. ლევანი ჩემს ქმართან შედარებით ბევრად უფრო ადამიანური, კეთილსინდისიერი და წესიერია. მათი ერთმანეთთან შედარებაც არ შეიძლება. ვფიქრობ, ლევანთან ბედნიერი ვიქნებოდი. მისი ფიზიკური ნაკლი არაფერია იმასთან შედარებით,



Cyan Magenta Yellow Black

რაც ჩემმა ქმარმა გამოავლინა.

**— ლევანის შესახებ რა იცით, პირადი ცხოვრებაააწყო, ოჯახი შექმნა?**

— ცოლი ჩემი გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ მოიყვანა. ორი შვილი შეეძინათ. როგორც გავიგე, ცოტა თავისებური, რთული ხასიათის ქალი შეხვდა. მაინცდამაინც ვერ ააწყვეს ურთიერთობა, მაგრამ პასუხისმგებლობის გამო ოჯახს მაინც ინარჩუნებს.

საშინლად მწყდება გული, ის ურთიერთობა რომ დავარღვიე, რაც ლევანთან მქონდა — მოწესრიგებული, ჰარმონიული, იდეალური. ადამიანები ასეთ ურთიერთობებზე ოცნებობენ, ასეთ პიროვნებებს სანთლით ეძებენ, მე კი საკუთარი ნებით დავთმე. ჩემს თავს ვერ ვპატიობ და ალბათ ვერც ვერასდროს ვაპატიებ.

**„მიუხედავად იმისა, რომ არც ქმრად ვარგოდა და არც ოჯახის უფროსად, ქორწინების შენარჩუნებას ბოლომდე ვეცადე, მაგრამ გაქცეული ველარ მოვაბრუნე".**

**— დედათქვენი ნანობს, რომ თქვენს პირად ცხოვრებაში ასე უხეშად ერეოდა და მისმა აქტიურობამ ეს შედეგი გამოიღო?**

— დედაჩემი, შეუძლებელია, არ ნანობდეს, მაგრამ ჩემთან არაფერს იმჩნევს, იხტიბარს არ იტეხს. როგორია, გგონია, შვილი გაათხოვე, კარგ ბედში ჩააგდე და მერე მთელი ცხოვრება შენი თავშისახლელი ხდება?! საერთოდ დედა ასეთია ბუნებით — არასდროს აღიარებს, რომ რაღაც შეეშალა ან დამნაშავეა.

**— თქვენი ვაჟი უკვე დიდი ყოფილა. გამოცდილებიდან გამომდინარე, მის პირად ცხოვრებაში ჩარევისგან ალბათ თავს იკავებთ.**

— დიახ, იმის შიშით, რომ ნეგატიური როლი არ მეთამაშა, მის პირად ცხოვრებაში არ ჩავერიე და ვფიქრობ, არც ესაა გამართლებული. გუგამ (ჩემმა ბიჭმა) ცოლი რომ მოიყვანა, 19 წლის სრულდებოდა. დამეთანხმებით, ამ ასაკში ბიჭი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მისი მეუღლე ნიაც მისი კბილა გახლდათ. ერთმანეთი უყვარდათ (ეგონათ, რომ უყვარდათ) და სპონტანურად დაქორწინდნენ. მათი სიყვარულის შესახებ ვიცოდი, მაგრამ არ ველოდი, ასე უცებ თუ შეუღლდებოდნენ.

**— რომ გცოდნოდათ, წინააღმდეგობას გაუწევდით?**

— ვურჩევდი, არ ეჩქარათ. როცა მამაკაცს თავისი შემოსავალი არ აქვს და მყარად არ დგას ფეხზე, ცოლის მოყვანაზე არ უნდა იფიქროს. ნია ფიზიკურადაც და ბუნებითაც მშვენიერი გოგონა იყო, მაგრამ მაშინ ისიც სტუდენტი გახლდათ. ჩვენს ბინაში სივიწროვე იყო, ამიტომ ნიას სახლში გადავიდნენ საცხოვრებლად. დიდი, კერძო სახლი ჰქონდათ და ეს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ. სიმამრი შემოსავლიანი კაცი იყო, შინ თუ გარეთ პირველობას არავის უთმობდა. შვილს და სიძეს გვერდში კი დაუდგა, მაგრამ გუგა მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას ვერ შეეგუა, თავს შეურაცხყოფილად და დამცირებულად გრძნობდა. შეიძლება ამ შემთხვევაში უმამობის კომპლექსიც ჰქონდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გუგამ მუშაობა დაიწყო და ჯიბის ფული გაუჩნდა. ნიას შესთავაზა, ბინა ვიქირავოთ და ცალკე გადავიდეთო, მაგრამ მშობლებისგან განებივრებული და ხელისგულზე ნატარები ცოლი არ დათანხმდა — დედამისი ერთადერთ შვილს სახლში ხელს არ ანძრევინებდა და ბავშვის მოვლაშიც ძალიან ეხმარებოდა. გუგა ოჯახიდან წამოვიდა და ჩვენთან დაბრუნდა. ვეცადეთ, ცოლთან შეგვერიგებინა, ნია დასაკარგი გოგო არ იყო, მაგრამ ურთიერთობა ველარ ააწყვეს, უკვე სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს ველარაფერს აგებინებდნენ.

გუგა ბავშვს მამობას უწევს, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოლთან საერთოს ველარ პოულობს. ერთხანს ეცადნენ შერიგებას ბავშვის გამო, მაგრამ ამაოდ.

**— ასეთ დროს კაცებს გამოსავლის პოვნა არ უჭირთ — სხვა ქალი.**

**„დედაჩემი, შეუძლებელია, არ ნანობდეს, მაგრამ ჩემთან არაფერს იმჩნევს, იხტიბარს არ იტეხს. საერთოდ დედა ასეთია ბუნებით — არასდროს აღიარებს, რომ რაღაც შეეშალა ან დამნაშავეა".**

— ინტერნეტით გაიცნო ერთი გოგონა, ქეთი. ერთმანეთთან მიმოწერა ჰქონდათ, მერე შეხვდნენ. გუგას მის მიმართ სერიოზული გრძნობა გაუჩნდა. მშვენიერი გოგოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონია, სისხლში სერიოზული ცვლილებები აქვს. გუგასთვის არც დაუმალავს. ჩემი შვილი მის ცოლად მოყვანას აპირებს და ძალიან ვნერვიულობ. პირველ რძალზეც ძალიან ბევრი ვინერვიულე, რომ დაშორდნენ და ახლა ამ გოგოს ჩვენს ხელში რამე რომ დაემართოს, ნამდვილად ველარ გადავიტან. გუგას იმდენი შემოსავალი კი აქვს, რომ ცოლს სერიოზულად მიხედოს, უმკურნალოს, მაგრამ მაინც მეცოდება ამხელა ტვირთისთვის და ვერც წინააღმდეგობას ვუწევ. იქნებ ღვთის მადლით გოგოს ჯანმრთელობა მოუწესრიგდეს და ცხოვრება ააწყონ. ჩემთან დაკავშირებით ისეთი მწარე გამოცდილება მიიღო, არც დედაჩემი იღებს ხმას.

**— შვილიშვილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ჩემი შვილიშვილი, ანიტა, ანგელოზივით ბავშვია, 6 წლისაა და სკოლაში დადის. ამას წინათ მითხრა, სკოლაში ერთი ბიჭი შემიყვარდა, ნიკუშა ჰქვიაო. ალბათ შენსავით ლამაზი და ჭკვიანიამეთქი, ვუთხარი. ჭკვიანია, მაგრამ ელამიაო. ალბათ ამიტომაც გეცოდება და გგონია, გიყვარს-მეთქი. მერე რა, რომ ელამია, იცი, რა საყვარელიაო, მითხრა.

ამას, რა თქმა უნდა, ახლა იუმორით ვყვები, მაგრამ არ ვიცი, რა ხდება ჩვენს თავს. საგვარეულოში მიდრეკილება გვაქვს ავადმყოფების სიყვარულისადმი, თუ რა გვჭირს. არ ვიცი, რა ვთქვა. განა იცის ვინმემ, სად იწყება და მთავრდება ბედნიერება, სად გადის მისი ზღვარი? ზრდასრულ ასაკში ამ ულამაზესმა გოგომ საბედოდ ელამი კაცი რომ აირჩიოს, ვიქნები კი წინააღმდეგი? ალბათ — არა.

✓ **ნანა კობახიძე**

## ეს იცოდით?

- 1900 წელს ამერიკაში 8000 ავტომობილი იყო, ხოლო 1919 წელს — უკვე 6 მილიონი.
- ინგლისელებმა გამოთვალეს, რომ ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში დაახლოებით 100 000 კილომეტრს გადის ფეხით.
- 1976 წელს, როდესაც ლოს ანჯელესის ექიმები გაიფიცნენ და სამუშაოზე არ გავიდნენ, ქალაქში სიკვდილიანობა 18%-ით შემცირდა.

- სამხრეთ ამერიკის წყლებში ბინადარი გველთევზას ელექტროგენერატორებს 1200 ვოლტამდე ძაბვის გამომუშავება შეუძლიათ, რაც საკმარისია 6 ასვატიანი ნათურის ასანთებად.
- ფრანგები მტრედებს მფრინავ ვირთხებს უწოდებენ.
- სინდიოფალას დღე-ღამეში 20 საათი სძინავს.
- ცხოველთა სამყაროში ჟირაფებს ყველაზე მაღალი არტერიული წნევა და ყველაზე დიდი გული აქვთ.
- ანტარქტიდაში ბინადარი ზოგიერთი თევზის სხეულის ტემპერატურა -1,7 გრადუსი ცელსიუსია.
- სპილოს თავის ტვინის მასა მისი სხეულის მასის დაახლოებით 0,27%-ს შეადგენს.
- ზრდასრული ვეშაპი 2 წამში 2400 ლიტრ წყალს შთანთქავს.
- პითონს შეუძლია, კურდღელი მთლიანად გადაყლაპოს. ის ნახევარი წლის განმავლობაში 150 თაგვს ჭამს.
- გველების უმეტესობას შეუძლია, 1 წელი საჭმლის გარეშე გაძლოს.
- მამონტს 5 მეტრი სიგრძის ეშვები ჰქონდა.
- დღემდე ვერავინ შეძლო აფრიკული სპილოს მოშინაურება.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ქმართან წესების დაცვით ვკამათობთ



**რატომ აღმოცენდება კონფლიქტი? ხშირად მიზეზი შექმნილი სიტუაციის გამო ერთ-ერთი პარტნიორის უკმაყოფილებაა. ის დაგროვილ პრეტენზიებს აფრქვევს, რაც, ჩვეულებრივ, ერთმანეთის მიმართ კიდევ უფრო დიდი გაუცხოებით მთავრდება. როგორ მოიქცეთ, დაელოდოთ, ქმარი როდის გააცნობიერებს თავის დანაშაულს და შესარიგებლად პირველ ნაბიჯს გადმოდგამს? აღიარებს, რომ კონფლიქტი მის გამო აღმოცენდა? ისწავლეთ სწორად და უბრალოდ კამათი. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ტემპერამენტითა და ხასიათით, თითოეულს თავისი წარმოდგენა აქვს იმაზე, როგორი ურთიერთობა უნდა იყოს შეყვარებულებს, ქმარსა და ცოლს, ცოლქმრულ წყვილსა და მათ მშობლებს შორის.**

## ცხელ გულზე ნუ იმოქმედებთ

როგორც წესი, ჩხუბი ემოციური აფეთქებით იწყება. ეს ნორმალურია, მაგრამ საჭიროა ამ პროცესის გაკონტროლება. თავში წყენას ნუ გააღვივებთ. ბრაზმორეული ბევრ ზედმეტს იტყვით, რომელიც პრობლემას სრულებით არ ეხება. ეს გამოიწვევს იმას, რომ პარტნიორი თქვენზე გაბრაზდება და ურთიერთობა დაიძაბება, აუტანელი გახდება. ეცადეთ, მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე ისაუბროთ და დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილ ჭუჭყიან თეთრეულს ნუ გამოფენთ.

## განტვირთვა გესაჭიროებათ

თუ გრძნობთ, რომ თავის შეკავება გიჭირთ, სხვა ოთახში გადით და კარი გაიხურეთ. დაელოდეთ, სანამ გაღიზიანება სრულად არ გაქრება. შეგიძლიათ ძაღლთან ერთად გაისეირნოთ. ბოლოს და ბოლოს, სახლის დალაგება დაიწყეთ. თავსა და ქმარს განტვირთვის საშუალება მიეცით.

როდესაც იგრძნობთ, თავს სრულად ფლობთ და სიტუაციის გაკონტროლება შეგიძლიათ, მხოლოდ მაშინ დაუბრუნდით მტკივნეული საკითხის განხილვას. ისაუბრეთ კამათის კონკრეტულ მიზეზებზე, თემას არ გადაუხვიოთ. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ უბრალოდ პრობლემის მოგვარება გსურთ. პროვოკაციას ნუ წამოეგებით, სიმშვიდე და მშვიდობისმოყვარეობა შეინარჩუნეთ.

## პრობლემებზე თვალებს ნუ ხუჭავთ

თუ ფიქრობთ, რომ პრობლემა მეტად სერიოზულია, მაშინ მისი გადაჭრა მეორე დღისთვის გადადეთ. ამ დროის განმავლობაში შექმნილ სიტუაციას შეაფასებთ და გაიგებთ, როგორ იმოქმედოთ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში მიიღოთ ისეთი სახე, თითქოს არაფერი მომხდარა და მოუგვარებელ პრობლემაზე თვალი არ დახუჭოთ. ეცადეთ, ახალი არგუმენტები იპოვოთ. ჩამოწერეთ, თუ საჭიროა, მოსინჯეთ, თქვენი მოთხოვნები სხვა გამოთქმებში გამოხატოთ. საუბრისას პარტნიორს ხმის უფლებას ნუ წაართმევთ, მისი არგუმენტებიც მოისმინეთ. კამათს მონოლოგად ნუ აქცევთ, სიტყვას ნუ შეაწყვეტინებთ. ჩვეულებრივ, მამაკაცები ასეთი ფრაზით ამთავრებენ: „ორივემ გადავაჭარბეთ. მოდი, საქმეზე ვილაპარაკოთ. ამ სიტუაციაში რას მთავაზობ?“

## საიდუმლო ფანდები

ნებისმიერ კამათში ფსიქოლოგიური ფანდები გამოიყენეთ და ყოველთვის მოგებული დარჩებით.

1. პირველი ნაბიჯი გადადგით. გაბუტული დიდხანს ნუ იქნებით, ეს კარგს არაფერს მოგიტანთ. გემრიელი ვახშამი მოამზადეთ, სანთლები აანთეთ, უბრალოდ მიდით ქმართან და მოეხვიეთ. გახსოვდეთ, ძლიერი ისაა, ვინც შესარიგებლად პირველი უწვდის ხელს. თუ ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეგიძლიათ, მაშასადამე, ძლიერი პიროვნება ხართ, თავის და თქვენი ურთიერთობის გჯერათ. თუ პირველ ნაბიჯს ქმარი გადმოდგამს, მადლობელი დარჩით.

2. განაწყენებულის როლს ნუ ითამაშებთ. თუ ქმარი ცდილობს, პირველი დაგელაპარაკოთ, მჭმუნვარე მდუმარებით ნუ უპასუხებთ. ასეთი ქცევა კონფლიქტს მხოლოდ გააღრმავებს. შემდეგ იძულებული გახდებით, ითამაშოთ ახალი თამაში — „სიჩუმეს პირველი ვინ დაარღვევს“. თანაც თქვენი ამაყი თავმოყვარეობა პირველი ნაბიჯის გადადგმის უფლებას არ მოგცემთ.

3. ნუ მოგერიდებათ თქვენს გრძნობებზე ლაპარაკი. ნუ მიიღებთ ისეთ სახეს, თითქოს თავს მშვენივრად გრძნობთ. თქვით, რომ გულნატკენი ხართ, რომ ქმარი თქვენს ძალისხმევას არ აფასებს. შეიძლება თავის ბრალეულობას ხვდება კიდეც, მაგრამ არ იცის, როგორ გამოასწოროს, ეშინია, თქვენს თვალში მოუქნელი არ გამოჩნდეს. კონფლიქტს ნუ გაამწვავებთ ასეთი ფრაზებით: „შენ უნდა“, „შენ არასდროს“ — ეს უთანხმოებას მხოლოდ გააღრმავებს.

4. ობიექტურობა უპირატესობას იძლევა. თუ ქმარი ხედავს, რომ უბრალოდ კი არ ჯიუტობთ და თქვენი შეხედულების დაცვას ცდილობთ, არამედ თქვენს მსჯელობაში ნამდვილად ობიექტური ხართ, შესარიგებლად მაშინვე პირველ ნაბიჯს გადმოდგამს. პარტნიორის გაგება, სიტუაციის მისი თვალით შეხედვა — ამ თვისებებს მეტად აფასებენ ოპონენტები კამათში.

5. ქმარი არავის შეადაროთ. თავი შეიკავეთ ენის წვერზე მომდგარი ასეთი გამოთქმებისგან: „როდესაც ახალგაცნობილები ვიყავით, მხოლოდ ყვავილებს მჩუქნიდი, ჩვენი მეზობლის ქმარი კი...“. არავის სიამოვნებს ვინმესთან შედარება. პატიოსნად აღიარეთ, რომ არც თქვენ ხართ იდეალური. უმჯობესია, საუბარი ასე ააგოთ: „ისეთი აღტაცებული ვიყავი შენი ხელმარჯვეობით...“.

6. პარტნიორის ავტორიტეტი განამტკიცეთ. საუბარში ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ქმრის აზრი თქვენთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია, რომ ის თქვენთვის ავტორიტეტია. ადამიანი როდესაც გრძნობს, რომ პატივს სცემენ, ბევრად ადვილად შეიცვლის აზრს და საკუთარ „მე“-ს გადააბიჯებს.

7. პატიება სთხოვეთ, თუ მართალი არ იყავით. საკუთარი შეცდომების აღიარების უნარი ყოველთვის დადებითად ფასდება მოწინააღმდეგის მხრიდან. ამით აჩვენებთ, რომ ნამდვილად სწორ გადაწყვეტილებას ეძებთ და არა — უბრალოდ საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას.

8. იყავით მეგობარი და არა — დედა. თუ დედის როლს ირგებთ და საუბარს იწყებთ მეთაურის ტონით, რომელიც შეპასუხებას ვერ იტანს, მზად იყავით, რომ ქმარი თქვენთან ჭირვეული ბავშვის პოზიციას დაიკავებს. ეს გჭირდებათ?

## კამათი დედამთილის გამო

იშვიათად გვხვდება ისეთი დედამთილი, რომელიც ცოლქმრის უთანხმოების დროს ცეცხლზე ნავთს არ ასხამს. მაშინაც კი, თუ ამას კეთილი განზრახვით აკეთებს, შედეგი სავალალოა. ხშირად დედამთილი რძალს სწორად ცხოვრებას ასწავლის, ქმრის მიმართ უყურადღებობაში ადანაშაულებს, ფეთხუმობის გამო საყვედურობს. ზოგჯერ ამ „ცივ ომში“ მეორე ნახევარიც ჩართულია და ამგვარად ურთიერთობაში ბზარი ჩნდება.

თქვენი საზღვარი ზუსტად შემოფარგლეთ. დედამთილს აუხსენით, რომ ოჯახური საქმეებისა და გეგმების განხილვას მასთან არ აპირებთ. ქმარს თავს ნუ მოაბეზრებთ დედამისზე ჩივილებით. უბრალოდ აუხსენით, რომ ასეთი ტიპის შენიშვნების მოსმენა არ გსურთ.

ქმარი მოკავშირედ გაიხადეთ. თუ დედამთილთან ურთიერთობის მოგვარება მშვიდობიანად არ ხერხდება, ქმარს სთხოვეთ, პირისპირ დაელაპარაკოს. შესაძლებელია, დედამ მისი აზრი „მოისმინოს“.

თავი მოაჩვენეთ, თითქოს ვერ გაიგონეთ. თუ ქმრის მშობლებთან კამათს თავი ვერ დააღწიეთ, ეცადეთ, „ომიდან“ ნაკლები დანაკარგით გამოხვიდეთ. ხანდაზმული ადამიანების შეცვლა შეუძლებელია. უბრალოდ ზოგიერთ რამეზე თვალები დახუჭეთ. ქმარს უთხარით, რომ ამის არშემჩნევას ცდილობთ, ვინაიდან არ გსურთ, მშობლებთან ურთიერთობა გაუფუჭდეს.

დაბოლოს, თანაცხოვრებაში მთავარია სიტუაციის შერბილების ცოდნა.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ





Cyan Magenta Yellow Black

# ჰიპერაქტიურობა — დაავადება თუ ხასიათი

თქვენი შვილი იმდენად აქტიურია, რომ მისი მშვიდად გაჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელია? საინტერესოა, მისი ამგვარი ქმედება ტემპერამენტითაა გამოწვეული თუ ზედმეტად აღზნებული და მგრძნობიარე ნერვული სისტემის ბრალია.

მოდით, გავერკვეთ, როდის არის ჰიპერაქტიურობა ხასიათით გამოწვეული და როდის — დაავადებით.

**ჯიუტია, თუ:**

❖ შეუძლია, მაგრამ არ ასრულებს უფროსების თხოვნას;

❖ შეუძლია თავის შეკავება, მაგრამ ამას საჭიროდ არ თვლის, რადგან მიზანს ყოველთვის აღწევს;

❖ სიჯიუტით მშობლებზე მანიპულირებს, რათა საწადელი აისრულოს, მაგალითად, უყიდონ სასურველი სათამაშო, წაიყვანონ სტუმრად, გაუშვან ეზოში სათამაშოდ;

❖ კარგად ესმის, რა მოჰყვება მის ამა თუ იმ საქციელს, მაგრამ არ ისვენებს, რათა ცუდი საქციელის გამო არ დასაჯონ — ოღონდ დაწყნარდეს და კუთხეში არავინ დააყენებს.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი თქვენთვის ნაცნობია, საქმე ტემპერამენტთან და ხასიათთან გვაქვს და ნერვული დაავადებები არაფერ შუაშია.

**ჰიპერაქტიურია, თუ:**

❖ უნდა, მაგრამ არ შეუძლია გაჩერება;

❖ ვერ აკონტროლებს თავს, მაგრამ ხშირად სხვა ადამიანების თანდასწრებით რადიკალურად განასხვავებული ხდება;

❖ არ იცის, რას რატომ და რისთვის აკეთებს. ხშირად იმპულსებს მიჰყვება;

❖ არ ფიქრობს იმ სავალალო შედეგებზე, რაც მის ამა თუ იმ საქციელს შეიძლება მოჰყვეს;

❖ არ რცხვენია საკუთარი საქციელის, არ არის თვითკრიტიკული;

❖ ყველაფერზე ყვირის ან ტირის, შფოთავს და ვერ ისვენებს.

თუ მსგავსი რამ შეამჩნიეთ შვილს, ე.ი. მისი საქციელი ნერვული დარღვევებითაა გამოწვეული. ასეთ დროს აუცილებელია ნევროპათოლოგთან კონსულტაცია. საჭიროების შემთხვევაში კი დახმარებისთვის ბავშვთა ფსიქოლოგსაც მიმართეთ.

# გავზარდოთ შვილი ალერგიის გარეშე



ბოლო 15 წლის განმავლობაში ექიმები აღნიშნავენ, რომ ალერგიით შეპყრობილი ბავშვების რიცხვი გასამმაგდა. როგორ დავიცვათ შვილები ალერგიისგან და პროფილაქტიკისთვის რისი გაკეთებაა შესაძლებელი, ამაზე ქვემოთ.

ადრე ითვლებოდა, რომ თუ დედიკოს ან მამიკოს რაიმე ფორმის ალერგია ჰქონდათ, ბავშვიც რისკჯგუფში იყო. ორსულ დედიკოს ექიმები რეკომენდაციას აძლევდნენ, გარკვეული პროდუქტები რაციონიდან ამოეღო, რათა მომავალი პატარა ალერგიისგან დაეცვა. ასეთი „დიეტის“ გამო კი ორსულის ორგანიზმი სხვადასხვა კვებითი ნივთიერებების დეფიციტს განიცდიდა.

თანამედროვე ექიმები თვლიან, რომ ორსულობის პერიოდში მომავალი დედა მრავალფეროვანი და სრულფასოვანი საკვებით უნდა იკვებებოდეს და ე.წ. დიეტის დაცვა საჭირო არაა.

პროფილაქტიკას რაც შეეხება, ამაზე ფიქრი უკვე პატარას გაჩენის შემდეგ უნდა დაიწყოთ. სტატისტიკის თანახმად, ალერგიის არსებობა ძირითადად ვლინდება სიცოცხლის პირველ წელიწადს. როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში ეს არის ატოპიური დერმატიტი. ამ დროს პატარას აქვს წითელი ლოყები, გაუხეშებული, მშრალი სახის კანი, რომელიც აქერცვლადია. ყველაზე უსიამოვნო კი გამონაყარის არსებობაა. სამწუხარო ისაა, რომ დროსთან ერთად ის სხვადასხვა სახით ვლინდება და შემდგომში ალერეგიის სახით იჩენს თავს — ყალიბდება, მაგალითად, რინიტის, ასთმის სახით.

ალერგიის განვითარებისგან ჩვილის დაცვის ერთ-ერთი უნიკალური საშუალება ძუძუთი კვებაა. თუ აუცილებლობა არ მოითხოვს, 6 თვემდე ბავშვს დამატებით საკვებს ნუ მისცემთ. თუ გარკვეული მიზეზების გამო ძუძუთი ვერ კვებავთ, ხელოვნური მინარევის შერჩევა აუცილებლად პედიატრს მიანდეთ. თვითნებურად ნურაფერს გადაწყვეტთ.

# როგორ დავეხმაროთ ბავშვს ქათმის სიბრმავის დროს



შვილი გთხოვთ, რომ ღამღამობით მის ოთახში ბრა ენთოს და სინათლეში ეძინოს? ასეთ დროს, როგორც წესი, მშობლები თვლიან, რომ პატარას სიბნელის ეშინია. სინამდვილეში შესაძლოა საქმე სხვაგვარად იყოს და ბავშვს ე.წ. ქათმის სიბრმავე აწუხებდეს, რომელსაც ორგანიზმში ა ვიტამინის ნაკლებობა იწვევს.

როცა ბავშვის ორგანიზმი ა ვიტამინის ნაკლებობას განიცდის, მის თვალებს უჭირს სიბნელესთან შეგუება და საგნების გარჩევა. თუ მშობელი ამ პრობლემის მიმართ სათანადო ყურადღებას არ გამოიჩენს, დროთა განმავლობაში ბავშვს სინათლის მიმართ შიში ჩამოუყალიბდება. როგორც წესი, ასეთ დროს მწვავდება დიათეზი, სახეზეა ტუჩების სიმშრალე და ხშირად მის კუთხეებში ნახეთქებიც იჩენს თავს. ამასთან ერთად, ბავშვს ეკარგება მადა, არსებობს გასტრიტის განვითარების რისკიც და, რაც მთავარია, ქვეითდება იმუნიტეტი.

## რატომ უვითარდებათ პატარებს ა ვიტამინის დეფიციტი?

ეს ხშირად უკვირთ კარგად მჭამელი პატარების მშობლებს, მით უფრო, როცა ბავშვის რაციონში სტაფილო ფიგურირებს, რომელიც ა ვიტამინის საბადოა. საქმე ისაა, რომ სტაფილოში არსებული ა ვიტამინი ორგანიზმის მიერ სრულად არ შეიწოვება. რეტინოლი და კაროტინი მხოლოდ მაშინ შეითვისება კარგად, თუ ბავშვს სტაფილოს ახალგამოწურულ წვენს არაჟანთან ან ზეთისხილთან ერთად მისცემთ.

მხედველობიდან არ გამოგრჩეთ სეზონური ფაქტორი. აღსანიშნავია, რომ კაროტინის რაოდენობა სტაფილოსა და ნაღების კარაქში გაცილებით ნაკლებია ზამთარსა და გაზაფხულზე, ვიდრე ზაფხულსა და შემოდგომაზე.

ა ვიტამინის დღიური ნორმის უზრუნველყოფა საჭიროა ისეთი საკვებით, რომელიც რეტინოლს შეიცავს, მაგალითად, საქონლის ღვიძლი, კარაქი, კვერცხის გული.

რაც შეეხება კაროტინს, მას შეიცავს სტაფილო, გარგარი, გოგრა, ოხრახუში.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა






Cyan Magenta Yellow Black

# ნატურალური წვენები კარგ ხასიათზე მოგიყვანთ

არ არსებობს ადამიანი, რომელიც ყოველთვის კარგ ხასიათზეა. ცუდი განწყობა გარეგნობაზეც აისახება და იმუნიტეტის დაქვეითებისა და სხვა დაავადებების აღმოცენების პროვოცირებასაც ახდენს. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია სასიცოცხლო ტონუსის ამაღლება. ამის მისაღწევად კი ბევრი საშუალება არსებობს, ერთ-ერთი მათგანია მატონიზირებელი სასმელები.



### ძალის აღმდგენი სასმელი

დაგჭირდებათ სტაფილო, ჭარხალი, გარგარის ჩირი, ქიშმიში, თაფლი. 0,5 კგ ქორფა სტაფილო და 0,5 კგ ჭარხალი დაჭერით, მდუღარე დაასხით ორი თითით მაღლა ბოსტნეულზე და მოხარშეთ. ნახარში ჭურჭელში გადაასხით, ერთი მუჭა გარგარის ჩირი და ამდენივე ქიშმიში დაუმატეთ, 2-3 წუთი ადუღეთ და გადმოდგით. 1 სუფრის კოვზი თაფლი დაუმატეთ და გრილ ადგილას 12 საათი დადგით. ერთი თვის განმავლობაში ნახევარი ჭიქა დღეში 3-ჯერ დალიეთ. რეცეპტი ასევე წარმატებით გამოიყენება ძალის აღსადგენად გონებრივი გადაღლის და ნერვული გადაძაბვის დროს.

### კედრის პოლივიტამინური სასმელი

ეს სასმელი ყოველმხრივ სასარგებლოა. კედრის წიწვები შეიცავს ვიტამინებს, ეთერზეთებს, დუბილურ ნივთიერებებს. კედრის წიპწები ზოგადგამაძლიერებელი არომატული და ჰიგიენური აბაზანისთვის ძვირფას საშუალებად ითვლება, ხოლო მისი ფისი ანტიბაქტერიულ თვისებას ფლობს. კედრის პოლივიტამინური სასმელის მომზადების წესი: 100 გრამ დაქუცმაცებულ წიწვებს 1 ლიტრ წყალს ასხამენ, 5-7 წუთი ადუღებენ, 2-3 საათი ტოვებენ. 2-3 ფენა მარლაში წურავენ, შაქარს გემოვნებით უმატებენ და ახალგამოწურულ წვენს დღის განმავლობაში სვამენ.

მეორე ვიტამინურ სასმელში უფრო მეტი ვიტამინია შენარჩუნებული. დაქუცმაცებულ წიწვებს იმდენი ცივი წყალი დაასხით, რომ ფარავდეს. წყალში წინასწარ ლიმონის წვენი გაურიეთ. სასმელი 2-3 დღე დადგით.

როდინში კედრის თხილის გული დანაყეთ, ცოტა წყალი დაუმატეთ და მიქსერით აურიეთ. მიღებული კედრის ნაღები თავისი მკვებავი ღირებულებით ხორცსა და კვერცხს აჭარბებს.

# რატომ უნდა ვჭამოთ ნელა

ბევრის აზრით, ლუკმის ღეჭვა საჭიროა მხოლოდ მისი დაქუცმაცებისთვის პიურეს კონსისტენციამდე, რაც არასწორია.

ღეჭვის დროს პირში გამომუშავდება ნერწყვი. ის მაგარ საჭმელს არბილებს და მავნე ბაქტერიებს ანადგურებს მასში



არსებული გამაუსნებოვნებელი ნივთიერების წყალობით. ნერწყვში არის ამილაზა — ფერმენტი, რომელიც საწყის ეტაპზე რთული ნახშირწყლების გასახლეჩად აუცილებელია. ამიტომ პირში საკვების კარგად დამუშავებით კუჭს მუშაობას ვუმსუბუქებთ.

რატომ არ შეიძლება ახალი ლუკმის 6-10 წამზე ადრე ჩაყლაპა წინას შემდეგ? იმიტომ, რომ სხვაგვარად საყლაპავი მილის ნორმალური პერისტალტიკა ირღვევა. გარდა ამისა, დანაყრების გრძნობის აღმოსაცენებლად აუცილებელია დაახლოებით 20 წუთი. თუ სადილს სწრაფად ჩაყლაპავთ, ორგანიზმი ვერ მოასწრებს „გაგებას“, რომ უკვე საკმარისი ენერგია მიიღო და ზედმეტს შეჭამთ.

# როგორ ავარჩიოთ სასმელი საახალწლო სუფრისთვის

საახალწლო სუფრისთვის რომელი სასმელი შევიძინოთ — შამპანური, მშრალი წითელი ღვინო თუ კონიაკი?



### შამპანური

სადღესასწაულო სასმელია. შესანიშნავად ახალისებს და ამხნევებს, მაგრამ მასში არსებული ნახშირორჟანგი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას აძლიერებს, ამიტომ ალკოჰოლი სისხლში სწრაფად გადადის, რაც მალე თრობას იწვევს. შამპანურის სმა რეკომენდებული არ არის გასტრიტითა და კუჭის წყლულით დაავადებულთათვის.

### კონიაკი

მის შემადგენლობაში არსებული ტანინები და დუბილური ნივთიერებები ორგანიზმში C ვიტამინის მოქმედებას აძლიერებს, კუჭის წვენის აქტიურად გამოყოფას ხელს უწყობს. ამ სასმელს მასტიმულირებელი მოქმედება აქვს. სისხლძარღვებს საკმაოდ სწრაფად აფართოებს, რამაც შეიძლება არტერიული წნევის მკვეთრად დაცემა გამოიწვიოს.



### ღვინო

თეთრ ღვინოს შარდმდენი მოქმედება აქვს, ატონიზირებს. მას ურჩევენ ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს. ვარდისფერი კარგია დალიოთ ნევროზის, კუჭის, თირკმლების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ჰიპერტონიის დროს. წითელი ღვინო სისხლში ანტიმჟანგავების რაოდენობას ზრდის, ათეროსკლეროზისა და თრომბის წარმოქმნისგან დაგიცავთ. წითელმა ღვინომ შეიძლება თავის ტკივილი გამოიწვიოს. ხოლო მშრალი ღვინო რეკომენდებული არ არის ადამიანებისთვის, ვისაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტთან პრობლემები აქვს.

### არაყი

არყის დალევა უმჯობესია 8-10 გრადუსამდე გაგრილებულის და მცირე ყლუპებით. არაყი, სხვა მაგარი ალკოჰოლური სასმელის (ვისკი, ბრენდი და სხვა) მსგავსად, რეკომენდებული არ არის ორგანიზმში ნებისმიერი ქრონიკული პროცესის გამწვავებისას. ეს სასმელი ეკრძალებთ დიაბეტიანებსაც.

### წესები ყველასთვის

1. სპირტიან სასმელს ტკბილ გაზიან სასმელს ნუ დააყოლებთ, სწრაფად დათვრებით. წვენი სხვა საქმეა.

2. სმას ტკბილი ღვინით ნუ დაიწყებთ. შაქარი ალკოჰოლის შეთვისებას აძლიერებს და ასეთი სასმელებისგან ნაბახუსევის სინდრომი ბევრად უფრო მძიმეა.

3. არასოდეს აურიოთ სპირტიანი სასმელები, მით უფრო, ერთ ბოკალში. ფრთხილად იყავით კოქტეილებთან. თუ მათი რეცეპტი არ იცით, მათი მოქმედების ეფექტის განჭვრეტა ძნელია.



Cyan Magenta Yellow Black

# შორს ხარახურა — ძველი თუ არ წავა, ახალი არ მოვა!

საცხოვრებელი სივრცის მიკროკლიმატი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენგან დამოუკიდებლად, მთელი დღის განმავლობაში დაგროვილი ყველა ემოცია შინ მიგვაქვს. ემოციები კი ყოველთვის დადებითი არ არის. ენერგეტიკულად დადებითი მიკროკლიმატის შესაქმნელად საჭიროა დაგროვილი ხარახურისგან ბინის პერიოდული გასუფთავება.

## სიძველეთა ფუჭი სიყვარული

ბარაქის ცნობილი კანონია: ახალი რომ მოვიდეს, ძველისგან უნდა გათავისუფლდეთ, სხვაგვარად ბინაში ახალი შენაძენისთვის ადგილი საერთოდ არ იქნება. ძველი უსარგებლო ნივთები, გარდა იმისა, რომ საცხოვრებელ სივრცეს ზედმეტად ტვირთავს, ასევე სასიცოცხლო ენერგიას თავისუფლად მოძრაობის საშუალებას არ აძლევს. ამ შემთხვევაში ცხოვრებაში რაიმე სასიამოვნო ცვლილებებს ან ახალ შენაძენს ნუ მოელით.




ცალკე საუბრის თემაა ძველი სამოსი და სუნამოები. ისინი წარსულში გვაბრუნებენ. ჩვენი ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ ნებისმიერ ნივთთან ან არომატთან გარკვეული მოგონებებია დაკავშირებული, რომლებიც მათთან კონტაქტის დროს ამოტივტივდება. ასევე ჩვენს თავში ცოცხლდება ფიქრებით, რაც ძალიან საშიშია. სწორედ ჩვენი აზრები ქმნიან ჩვენს ცხოვრებას. და თუ მას ძველი ფიქრებითა და განცდებით დავაპროგრამებთ, არავითარ ახალს არ უნდა ველოდოთ.

## დროა, გადაყაროთ!

პირველ რიგში, საჭიროა სახლი ძველი სამოსისა და ფეხსაცმელებისგან გაათავისუფლოთ, ასევე პერიოდულად ჩაატაროთ სხვა ნივთების რევიზია: პირსახოცის, ლოგინის თეთრეულის. აუცილებელი არ არის, ყველაფერი მიყოლებით გადაყაროთ, მაგრამ ძალიან სასარგებლოა კარადის გათავისუფლება წყვილი ძველი ფეხსაცმლის, გახუნებულ-გაცვეთილი პირსახოცებისა და დაგლეჯილი ჯინსებისგან. ფენ შუის მიხედვით, გაქუცული სამოსი მოხდენილ ფიგურას და ზედმეტი კილოგრამების დაკლებას ხელს უშლის. გარდა ამისა, მათ ცხოვრებაში შფოთვა-წუხილი მოაქვთ.

არ ღირს, სახლში გქონდეთ გატეხილი ან გაბზარული ჭურჭელი. გაბზარულ ჭურჭელს, საიდანაც ვჭამთ, ბზარი შეაქვს ჩვენს ცხორებაში. სწორედ თეფშები და ფინჯნებია სახლში სიმშვიდის, ოჯახური ბედნიერების, შეძლებისა და კომფორტის სიმბოლო. თქვენი ჭურჭელი უნდა იყოს ლამაზი და მოსახერხებელი, ყოველგვარი დეფექტის გარეშე.

არ ღირს, სახლში გქონდეთ დამჭკნარი მცენარეები — სიკეთეს არ მოგიტანთ. ასევე ცუდ ნიშნად ითვლება ხელოვნური ან გამხმარი ყვავილები — ბედნიერებას ხელს უშლის.

## შავი დღე არ იქნება

ბევრი ხანდაზმული ადამიანი ძველ ნივთებს „შავი დღისთვის“ ინახავს. გარდერობში ჰკიდია მოდიდან გადასული ქურქი, რომლისგან გათავისუფლებაში ხელს უშლით აზრი — „ფული რომ არ მექნეს ახლის შესაძენად?“. ადამიანი არასაჭირო სიფრთხილისთვის ჯილდოდ სიღარიბეს იღებს. აუცილებელი არ არის, ძველი ნივთები გადაყაროთ, შეგიძლიათ უპოვართ აჩუქოთ, მაგრამ წინასწარ კარგად გარეცხეთ ან გაასუფთავეთ, მათზე თქვენი ენერგია რომ არ დარჩეს.

ის, რაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ გამოგიყენებიათ, დაუნანებლად გაეცით.

# ახალი წლის ღამის საიდუმლო



სტატისტიკის მიხედვით, ქალების 75% ახალი წლისთვის გახდომას გეგმავს და დაახლოებით 40% დიეტის დაცვას იწყებს. მაშინაც კი, თუ თქვენი ძალისხმევა წარმატებით დაგვირგვინდა, წინ დიდი სირთულე გელით — მდიდრული და მრავალფეროვანი საახალწლო სუფრა. ძნელია, ცდუნებას არ აჰყვე და ყველაფერი არ გასინჯო. მერე ფიგურა?

გაგაცნობთ რამდენიმე საიდუმლოს, სიამოვნებაზე როგორ არ თქვათ უარი და დააგემოვნოთ ის, რაც გსურთ. ამავდროულად ზედმეტი არ ჭამოთ.

**პირველი საიდუმლო.** სუფრასთან დაჯდომამდე 2-2,5 საათით ადრე ქათმის ხორცის რამდენიმე პატარა ნაჭრით, ქორფა ბოსტნეულით მსუბუქად წაისაუზმეთ. ეს კუჭს „თვლემის“ საშუალებას არ მისცემს, ვინაიდან ხშირად სუფრას ნაშუაღამევს მივუსხდებით.

**მეორე საიდუმლო.** ჭამა არ დაიწყოთ ცხიმიანით, შემწვარით ან მოხარშულით — საჭმლის მონელების პროცესს არსებითად ამუხრუჭებს. შედეგად, დანაყრების შეგრძნება ბევრად უფრო გვიან ჩნდება.

**მესამე საიდუმლო.** დაიცავით ე.წ. ცარიელი თეფშის პრინციპი ანუ თეფში არ დააცარიელოთ. მასზე ყოველთვის უნდა იდოს სალათის ფოთლები ან ქორფა ბოსტნეული, ასეთ შემთხვევაში იმაზე მეტს არ გადმოიღებთ, რის ჭამასაც დასაწყისში აპირებდით. ასევე არ დაივიწყოთ პროდუქტების შეთავსებადობა.

# სირბილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს



თუ კვირაში 1 საათს სირბილს დაუთმობთ, შანსი გაქვთ, 6 წლით მეტ ხანს იცოცხლოთ, ვიდრე გენეტიკით არის გათვალისწინებული. დანიელი მეცნიერები 35 წლის განმავლობაში 20-93 წლის 20 ათას მამაკაცსა და ქალს აკვირდებოდნენ. გამოკვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სირბილით დაკავებულ მამაკაცებში სიცოცხლის ხანგრძლივობა — 6,2, ხოლო ქალებში 5,6 წლით მეტი იყო არამორბენალ თანატოლებთან შედარებით. სპეციალისტები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ მოძრაობა სისხლში კარგი ქოლესტერინის მომატებას უწყობს ხელს, არტერიულ წნევას კი დაბლა სწევს.

✓ რუბრიკა მოამზადა აზა გაგოშიძემ


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

# როგორ აღმოჩნდა ქეთა თოფურია ნიკა ლაზარიაშვილის კალთაში

## „გოგოებთან თავაზიანიც ვარ და ბრაზიანიც“



ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელებში მომღერალ ქეთა თოფურიას ფოტო დაიდო, სადაც ქეთა ახალგაზრდა მამაკაცს კალთაში უზის. ის ახალგაზრდა პროექტ „ახალი ხმის“ კონკურსანტი ნიკა ლაზარიაშვილია. მითქმამოთქმას, რომელიც ამ ფოტოს გარშემო გაჩნდა, ნიკა „სარკეში“ პასუხობს და განმარტავს, როგორ აღმოჩნდა ქეთა მის კალთაში. ახალგაზრდა კონკურსანტი არც იმ კითხვებზე პასუხებს დაზარებია, რომლებიც ჩვენი რუბრიკიდან გამომდინარე დავუსვით ზოგადად მის დამოკიდებულებაზე მშვენიერი სქესისადმი.

ნიკა 24 წლისაა. ჯერ ნამდვილი სიყვარული არ განუცდია, მაგრამ გატაცება ბევრი ჰქონია. უფრო დაწვრილებით — ქვემოთ.

— **ნიკა, თავდაპირველად ქეთა თოფურიასთან ერთად გადაღებულ ფოტოებზე გკითხავთ, რომელიც „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნეთ. როდის არის ეს სურათები გადაღებული?**

— ახლახან არის გადაღებული. ქეთა თოფურიას სტეფანეს სახლში შევხვდი, ერთმანეთი იქ გავიცანით და მეგობრული ფოტოები გადავიღეთ. ძალიან კარგი, დადებითი ადამიანია. ის გოგო ჩემს ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ზუსტად ისეთია, როგორი გოგოებიც მომწონს. ფოტო, სადაც ქეთა კალთაში მიზის, მე არ მაღიზიანებს და სხვისი აზრი არ მაინტერესებს. ისე, ცუდი კომენტარიც არსად მინახავს. ეს ფოტოები რომ ნახეს, არ სჯეროდათ, რომ ქეთა იყო და მეკითხებოდნენ, ის იყო თუ არა. ქეთას მხოლოდ „ფეისბუქით“ ვეხმიანები.

— **ერთობლივი გეგმები ხომ არ გაქვთ?**

— არ ვიცი, ვნახოთ. სამომავლო გეგმებზე საუბრისგან ჯერ თავს შევიკავებ.

— **რა ასაკიდან მღერით?**

— 12 წლიდან ჩემს ძმასთან ერთად ფოლკლორულ ანსამბლში ვმღეროდი. მერე მქონდა პერიოდი, როცა არ ვიცოდი, რა მსურდა და ცოტა ხანს გავჩერდი. 20 წლის ვიყავი, როცა ვოკალის პედაგოგთან დავიწყე მომზადება. მაშინ მივხვდი, რომ სიმღერა ჩემში დიდი დოზით იყო. ვოკალის პედაგოგი ხუმრობით მეუბნებოდა, კიდევ რამდენ ხანს უნდა იმღერო ოთახში, რომელიმე პროექტში გადიო, მაგრამ კამერებისა და ეკრანზე გამოჩენის იმხელა კომპლექსი მქონდა, კონკურსზე გასვლას ვერ ვბედავდი. მერე კი გავრისკე და ახლა სტეფანეს გუნდის წევრი ვარ. ვერ აგიხსნით, ამ ადამიანთან ურთიერთობა როგორი სასიამოვნოა. ვთვლი, რომ ჯერჯერობით კარგად მივდივარ. სტეფანე ჩემზე დიდ იმედებს ამყარებს და შევეცდები, არ ვუმტყუნო. გარკვეული დოზით კამერებსაც შევეგუე, მაგრამ შინაგანად კომპლექსი მაინც მაქვს, რაც, იმედია, ეკრანზე არ ჩანს.

> **„გოგო ძალიან მოსაუბრე უნდა იყოს. მხოლოდ მოდელის გარეგნობა არ კმარა, შინაგანად საინტერესო უნდა იყოს".**

— **პროექტში გამოჩენის შემდეგ გოგონებში უფრო პოპულარული გახდით?**

— კი, ძალიან. „ფეისბუქზეც“ ხშირად მწერენ, ვგიჟდები შენზე, განსხვავებული ხმის ტემბრი გაქვსო და ა.შ. ზოგი წარმატებას მილოცავს, ზოგიც მთხოვს, რომ პირადად გავიცნო, მაგრამ სოციალური ქსელით გაცნობილ გოგოებს არ ვხვდები. ყოველთვის ვცდილობ, ყველას ვუპასუხო, ოღონდ მთავარია, სისულელეს არ მწერდეს. სხვათა შორის, ბევრ ასეთ წერილს ვიღებ, მაგრამ ინტერვიუში ამას ვერ ვიტყვი. ბევრი იმასაც ამბობს, რომ ბობ მარლის ვბაძავ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. შეიძლება ბობ მარლის რაღაცით ვგავარ, მაგრამ მე ვერ ვამჩნევ. ამ მომღერლის სიმღერა სცენაზე ჯერ არ შემისრულებია, თუმცა დიდი სურვილი მაქვს.

> **„მამაკაცი ყველაფერს პირდაპირ და ზუსტად ხედავს. ქალი ცოტა გვერდიდან უყურებს და ამ დროს შეიძლება უფრო სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. ამიტომ მათი აზრი ყოველთვის მაინტერესებს".**

— **შეყვარებული გყავთ?**

— არა, არავინ მიყვარს და თუ ადრეულ ბავშვობას არ ჩავთვლით, არც არასდროს მყვარებია. ალბათ ჩემს ცხოვრებაში ისეთი არავინ გამოჩენილა, ვინც ჩემში ბოლომდე „ჩაჯდება“.

— **როგორი გოგონები იქცევენ თქვენს ყურადღებას?**

— რატომღაც ქღალთმიანი გოგონები მომწონს. გოგონას წონასაც არ ვანიჭებ დიდ მნიშვნელობას, მთავარია, სექსუალური იყოს და ჩემს გემოვნებას აკმაყოფილებდეს.

— **რა განსაზღვრავს ქალის სექსუალურობას?**

— მისი შინაგანი სამყარო და მერე — სილამაზე. არ შეიძლება ქალის სექსუალურობა მხოლოდ მისი გარეგნული მონაცემებით შეფასდეს. თავისუფალი, დადებითი ხასიათის და მხიარული გოგოები მომწონს, ოღონდ სერიოზული. გოგო კარგად მოსაუბრე უნდა იყოს. მხოლოდ მოდელის გარეგნობა არ კმარა, შინაგანად საინტერესო უნდა იყოს. მე თვითონ ძალიან საინტერესო და მხიარული ადამიანი ვარ და თუ ქალი გამაგიჟებს, რაღაც მომენტებში გიჟიც ვხდები. გოგოსთან ურთიერთობაში არაერთი სიგიჟე ჩამიდენია, მაგრამ ამას ვერ დაგიკონკრეტებთ.

— **ქალში ყველაზე მეტად რას აფასებთ?**

— ჩემ მიმართ პატივისცემასა და ერთგულებას. ერთგულება ბევრი რამით შეიძლება გამოიხატებოდეს. გოგო თუ დამთმობი იქნება, მეც დავუთმობ და არაერთხელ დამითმია კიდეც. ქალთან დათმობაზე წასვლა სირცხვილი ნამდვილად არ არის. სხვანაირად წყვილის ურთიერთობა ვერ შედგება. ქალში ინტელექტს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. რამდენად ჭკვიანია, ურთიერთობაზე აუცილებლად აისახება. როცა ქალი ელემენტარულ შეკითხვაზე ვერ გპასუხობს, აქ უკვე ყველაფერი ნათელია. თავისი განსხვავებული აზრი უნდა გააჩნდეს. ურთიერთობაში ყოველი დღე ახლის დასაწყისი უნდა იყოს, ამ საკითხში კი ქალი დიდ როლს თამაშობს. ჩემ ირგვლივ საკმაოდ ბევრი ჭკვიანი ქალი ტრიალებს და მათთვის რჩევა არაერთხელ მიკითხავს. გოგოების აზრი ცხოვრებაში ძალიან მეხმარება. ქალის ხედვა კაცის ხედვასთან შედარებით მაინც სხვანაირია.

— **ქალის განსაკუთრებული ხედვა თქვენც დაგხმარებიათ?**

— მამაკაცი ყველაფერს პირდაპირ და ზუსტად ხედავს. ქალი ცოტა გვერდიდან უყურებს და ამ დროს შეიძლება უფრო სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. ამიტომ მათი აზრი ყოველთვის მაინტერესებს. რჩევებს დედაჩემსაც ხშირად ვეკითხები, თუმცა ჩემს პირად ურთიერთობებში დიდად არ ერევა. მეუბნება, შენ როგორი გოგოც შეგიყვარდება, მეც ის მეყვარებაო.

მაია დარსმელიძესთან საკმაოდ ხშირი ურთიერთობა მაქვს, ვმეგობრობ. სიმღერასთან დაკავშირებით ძალიან კარგ რჩევებს მაძლევს. ურთიერთობაში თბილი და მოსიყვარულეა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მაია დარსმელიძე ძალიან ჭკვიანი ქალია. ქალის გამოცნობა კარგად გამომდის, მაგრამ მას ბოლომდე მაინც ვერ გამოიცნობ და ეს კიდევ უფრო საინტერესოა ჩემთვის.

— **როცა ვინმე მოგწონთ, როგორ აგრძნობინებთ?**

— როცა ვინმე მომწონს, ეს ჩემს ხასიათზე ძალიან მოქმედებს, მხიარული ვხდები. გოგოებისთვის ბევრჯერ მიმღერია. მათთან ურთიერთობაში თავაზიანიც ვარ და ბრაზიანიც. თუ გოგოსთან მე არ ვიხსნები და ის ჩემთან კონტაქტში მაინც შემოდის, ვაფრთხილებ, რომ ეს საჭირო



Cyan Magenta Yellow Black

არ არის და მერე თუ იმავეს გაიმეორებს, უკვე ვბრაზდები. ზედმეტად აქტიური და ცანცარა გოგოები არ მიყვარს. ისე, „ხარისხიანი“ ცანცარიც არსებობს. ზომიერად აქტიური გოგოები მომწონს, მაგალითად, ქალს სიყვარულიც აუხსნია ჩემთვის და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. სასიყვარულო ურთიერთობაში გოგომ რომ გადადგას პირველი ნაბიჯი, ეს სულაც არ არის სამარცხვინო.

**— ქალისთვის კომპლიმენტის თქმა გჩვევიათ?**

— კი, ოღონდ მაშინ, როცა ამას ქალი ნამდვილად იმსახურებს. ყველანაირ ქალს შეიძლება ვუთხრა კომპლიმენტი, მთავარია, დაიმსახუროს. სპორტული სტილის გოგოც მომწონს და კლასიკურად ჩაცმულიც, მთავარია, გემოვნებით ეცვას. არ მომწონს ძალიან „კუკლა“ და ლამაზები, უფრო მეტად უხეში გარეგნობის ქალები მიზიდავს. მთავარია, ქალს თავისი შარმი და ეშხი გააჩნდეს. არ არის აუცილებელი, ზედმეტ მაკიაჟს ატარებდეს და არც ტუჩების ხელოვნურად გადიდება მომწონს დიდად, რასაც მკერდის გადიდებაზე ვერ ვიტყვი, ეს უფრო მისაღებია ჩემთვის. ჩვენს გოგოებს ძალიან ბევრ სტერეოტიპს დავუმსხვრევდი, თუნდაც ქალიშვილობის ინსტიტუტს.

**— არაქალიშვილ გოგოს ცხოვრებას დაუკავშირებდით?**

— თუ შემიყვარდება, რატომაც არ მოვიყვან ცოლად?! განა, მარტო ქალებს, კაცებსაც ბევრი სტერეოტიპი აქვთ დასამსხვრევი — კომპლექსები გვაქვს. ბავშვობაში მეც ძალიან კომპლექსიანი ვიყავი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ რაც ხარ, ის უნდა იყო ცხოვრებაში და ეს პრობლემა გადავლახე.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

# რონალდუ რეკორდსმენია



მადრიდის „რეალისა“ და პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელმა კრიშტიანუ რონალდუმ ერთ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გატანილი გოლების რეკორდი დაამყარა.

პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეექვსე ტურის მატჩში, რომელშიც მისი კლუბი დანიურ კლუბ „კოპენჰაგენს“ დაუპირისპირდა, თავისი მე-9 გოლი გაიტანა.

კრიშტიანუმ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ექვსიდან ხუთ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ცხრაჯერ დალაშქრა „სამეფო კლუბის“ მეტოქეთა კარი, ანუ საშუალოდ ყოველ მატჩში 2 გოლზე მეტი გაჰქონდა. ჯგუფური ეტაპის მატჩში „გალათასარაისთან“ რონალდუ ჰეთ-თრიკის ავტორი გახდა.

მანამდე ჯგუფურ ეტაპზე 8-8 გოლი გატანილი ჰქონდათ ერნან კრესპოს, ფილიპო ინძაგის (ორივემ — 2002-03 წლების სეზონში) და რუდ ვან ნისტელროის (2004-05 წლების სეზონში).

ამავე დროს „კოპენჰაგენის“ კარში რონალდუს მიერ გატანილი გოლი საიუბილეო მე-800 იყო „რეალისთვის“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. ამ მაჩვენებლით „სამეფო კლუბი“ უსწრებს მიუნხენის „ბაიერნს“ (542 გოლი), „ბარსელონას“ (487), „მანჩესტერ იუნაიტედს“ (464) და „მილანს“ (415).

სულ მადრიდის „რეალს“ ევროთასებზე 972 გოლი აქვს გატანილი, მათ შორის, 800 ჩემპიონთა ლიგაში, 111 — უეფას თასზე, 57 — თასების თასზე, 4 — სუპერთასზე და 10 — საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში.

# ოლიმპიური მედალი მილიონნახევარ დოლარად



ოლიმპიური ოქროს მედალი, რომელიც 1936 წელს ბერლინის ოლიმპიური თამაშების დროს ამერიკელ მძლეოსან ჯესი ოუენსს გადაეცა, ონლაინაუქციონზე 1 466 574 დოლარად გაიყიდა და ის ამერიკელმა მილიარდერმა რონ ბერკლიმ შეიძინა.

ონლაინვაჭრობის დაწყებამდე სპორტსმენის ქალიშვილმა მარლენ ოუენსმა იმედი გამოთქვა, რომ მედალს რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მუზეუმი ან მსგავსი ორგანიზაცია შეიძენდა და ხალხისთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა. ვაჭრობიდან შემოსული თანხის ნაწილი ჯესი ოუენსის ფონდს გადაეცემა.

ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც 1936 წელს ბერლინში გაიმართა და ადოლფ ჰიტლერი ესწრებოდა, შავკანიანმა სპორტსმენმა, რომელიც აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობდა, საერთო ჯამში, 4 ოქროს მედალი მოიპოვა.

აუქციონზე გაყიდული მედალი ადრე მოცეკვავე ბილ რობინსონს ეკუთვნოდა. ოუენსმა მას თავად აჩუქა ეს მედალი სამუშაოს მოძებნაში დახმარების აღმოჩენისთვის. თუ სად არის ოუენსის მიერ ბერლინში მოგებული დანარჩენი 3 მედალი, უცნობია.

ოუენსის ოქროს მედალში გადახდილი თანხა რეკორდულია ოლიმპიური მედლების ისტორიაში. აქამდე ყველაზე ძვირად (865 ათას დოლარად) 1896 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის თასი გაიყიდა 2012 წელს.

# ბრაზილიაში ფეხბურთის მატჩის დროს ოთხი ფანი დაშავდა

ბრაზილიის ჩემპიონატის ბოლო 38-ე ტურის მატჩის დროს, რომელშიც ერთმანეთს „ატლეტიკო პარანაენსე“ და „ვასკო და გამა“ ხვდებოდნენ, გულშემატკივრებს შორის მომხდარი დაპირისპირებისას ოთხი ფანი დაშავდა — იუწყება ბრაზილიური გამოცემა „გლობო“.

მატჩი, რომელიც ქვეყნის სამხრეთ რეგიონში მდებარე ქალაქ ჟოინვილიში გაიმართა, მისი დაწყებიდან 17 წუთში შეწყდა, როდესაც ანგარიში 1:0 იყო „ატლეტიკო პარანაენსეს“ სასარგებლოდ და მხოლოდ ერთი საათის შემდეგ განახლდა. საბოლოო ჯამში, მასპინძლებმა მეტოქე 5:1 გაანადგურეს, რის შემდეგაც „ვასკო და გამამ“ ბრაზილიის ჩემპიონატის ქვედა დივიზიონში გადაინაცვლა.

ჩხუბის დროს დაშავებული გულშემატკივრები საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთი მათგანი მალევე გაუშვეს სახლში, კიდევ ერთი დაშავებულის მდგომარეობას კი ექიმები სერიოზულად აფასებენ — მას ქალათავის ტრავმა აქვს. საავადმყოფოში დარჩენილთაგან ორი „ვასკო და გამას“ გულშემატკივარია, ხოლო ერთი „ატლეტიკო პარანაენსეს“.

სტადიონზე უსაფრთხოების დაცვას კერძო ორგანიზაციის თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ, რომლებიც „ატლეტიკო პარანაენსემ“ დაიქირავა. რაც შეეხება პოლიციის თანამშრომლებს, ისინი სტადიონის გარე პერიმეტრზე იმყოფებოდნენ და ამიტომ მაშინვე ვერ მოახერხეს სიტუაციაში ჩარევა. დაშავებულთა ევაკუაციისთვის შვეულმფრენი გახდა საჭირო, რომელიც პირდაპირ მოედანზე დაეშვა.

ორივე კლუბის მოთამაშეები შეძრა გულშემატკივრებს შორის ატეხილმა ჩხუბმა, „ატლეტიკო პარანაენსეს“ მცველმა ლუის ალბერტომ კი იტირა კიდეც. მისი თქმით, მეტად სამწუხაროა, როდესაც ასეთი რამ ხდება და თანაც მაშინ, როცა რამდენიმე თვეში ბრაზილიის სტადიონებზე ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები უნდა გაიმართოს.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**








Cyan Magenta Yellow Black

## არაბმა ავტომობილის ნომერში 14 მილიონი დოლარი გადაიხადა



არაბეთის გაერთიანებულ საემიროში, კერძოდ კი აბუ დაბიში გამართულ ავტომობილის სანომრე ნიშნების აუქციონზე, არაბმა მილიონერმა საიდ აბდულ გაფარ ხოერიმ სასურველ ნომერში 14 000 000 დოლარი გადაიხადა. მანქანის ნომრის „1“-ის საწყისი ფასი 27 000 დოლარს შეადგენდა.

აბუ დაბის პოლიციის ორგანიზებით, მანქანის ექსკლუზიური ნომრების აუქციონი ყოველთვიურად ტარდება. ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემოსავალი — 136 000 დოლარი, 2007 წელს ჩატარებული აუქციონის შედეგად დაფიქსირდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აუქციონიდან მიღებული თანხა ქველმოქმედებას ხმარდება.

## ხელის თხოვნა ცაზე გაკეთებული წარწერით




ლოს ანჯელესის თავზე, კერძოდ კი ბევერლი ჰილზსა და სანტა მონიკას შორის ცაზე, წარწერა გამოჩნდა, სადაც მამაკაცი გოგონას, სახელად მიკოს, ხელს სთხოვს. როგორც გაირკვა, წარწერა ცაზე პილოტმა თვითმფრინავის გამონაბოლქვით გააკეთა. ამას ადგილობრივი მცხოვრებლების საოცარი რეაქცია მოჰყვა. მათ ორიგინალურ წარწერას ფოტოები და ვიდეოები გადაუღეს და სოციალურ ქსელებში ატვირთეს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მიკო პილოტის წინადადებას დათანხმდა, რის შემდეგ ცაზე ისევ გაჩნდა წარწერა: „მიკო დამთანხმდა“.

## კაცს მოკვეთილი ხელი ფეხზე მიაკერეს



ჩინელმა ქსიაო ვეიმ დაზგაზე მუშაობის დროს მარჯვენა ხელი დაკარგა. კლინიკაში მიყვანილ კაცს, კანის ქსოვილების გადარჩენის მიზნით, მოკვეთილი ხელი დროებით კოჭზე მიაკერეს, საიდანაც ხელი ერთი თვის განმავლობაში სისხლით იკვებებოდა. მომხდარიდან ერთი თვის შემდეგ, თითქმის 15 საათიანი ოპერაციის შედეგად, ქირურგმა წარმატებით შეძლო კიდური თავის ადგილზე დაბრუნება. მკურნალი ექიმის განცხადებით, ქსიაო ვეის კიდევ რამდენიმე ოპერაცია დასჭირდება, რათა ხელს ფუნქციონირება ძველებურად აღუდგეს.



## საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილმა სანტებმა მარათონი გამართეს



ოჰაიოს შტატში ჩატარებულ უცნაურ მარათონში სამასამდე ამერიკელმა მიიღო მონაწილეობა. საშინელი ყინვის მიუხედავად, სანტას ქუდებსა და საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილებმა ერთობლივი გარბენით, 5 კილომეტრიანი მანძილი დაფარეს. უცნაური მარათონის ორგანიზატორი დიაბეტით დაავადებულთა ადგილობრივი ორგანიზაცია იყო. საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილმა სანტებმა თავიანთი გარბენით ამ ორგანიზაციას წინასაშობაოდ 20 000 დოლარი გადაურიცხეს.

## კაცი შოპინგს შეეწირა

ჩინეთში ძიანსუს პროვინციაში მცხოვრებმა 38 წლის ტაო ქსიაომ ხანგრძლივ შოპინგს ვერ გაუძლო და თავი მოიკლა.

საქმე ის გახლავთ, რომ კაცი საცოლესთან ერთად საახალწლო საჩუქრების საყიდლად სავაჭრო ცენტში წავიდა. მაღაზიებში დაახლოებით ხუთსაათიანი ხეტიალის შემდეგ ტაო ძალიან დაიღალა და საცოლეს სახლში წასვლა შესთავაზა. გოგონა რამდენიმე მაღაზიაში კიდევ იყო მისასვლელი, რაზეც საქმროს მხრიდან სასტიკი უარი მიიღო. გამწარებულმა ქალმა საქმრო საშინელი სიტყვებით ლანძღა, რის შემდეგაც კაცი სავაჭრო ცენტრის მეშვიდე სართულიდან გადახტა. სასწრაფო დახმარების დროულად მოსვლის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.



Cyan Magenta Yellow Black

## ფრანგი სტუდენტი ჰაერს ყიდის




22 წლის ფრანგმა სტუდენტმა ენტონი დიბლეიმ რკინის ყუთებში მშობლიურ ქალაქ მონტრიოს ჰაერი დახუფა და გაყიდვის მიზნით ერთ-ერთ ფრანგულ საიტზე განათავსა. ერთი ქილა ჰაერის ფასი 5,5 ევრო (7,5 დოლარი) გახლავთ. ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების, ანუ ადგილზე მიტანის სერვისის ფასიც.

სტუდენტის იდეამ ნამდვილად გაამართლა — 2 თვეში მან 1000 დოლარი გამოიმუშავა. ენტონის იდეის შესახებ ყოველდღიურად იწერებოდა ჟურნალ-გაზეთებში, ამიტომ შეკვეთები დღითიდღე იზრდებოდა. სტუდენტი მშობლიური ქალაქის ჰაერის გაყიდვას აგრძელებს და კვირაში 10 ლიტრს ყიდის. აღებული თანხით ის საკუთარი ვებსაიტის გაკეთებას გეგმავს.

## ვერცხლისფერკანიანი ქალი

ამერიკის ქალაქ ვერმონტში მცხოვრები 71 წლის როზმარი იაკობსის სახის კანი ბოლო 60 წელიწადია ვერცხლისფერია. 11 წლის ასაკში მას უიშვიათესი დაავადების — არგიროზის დიაგნოზი დაუსვეს, რომლის დროსაც ადამიანს კანის ფერი ეცვლება. როზმარის ამ დაავადების ნიშნები ცხვირის წვეთების ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ დაეწყო, რომელიც დიდი რაოდენობით ვერცხლის პრეპარატებს შეიცავს.



თავდაპირველად გოგონა მშობლებმა დერმატოლოგთან მიიყვანეს სამკურნალოდ, მაგრამ სანამ მედიკოსები სწორ დიაგნოზამდე მივიდნენ, მკურნალობა უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ როზმარი მუდმივად დაცინვის და კრიტიკის საგანი იყო, ის ესპანურის მასწავლებლად წლების განმავლობაში მაინც მუშაობდა. პენსიაზე გასული ვერცხლისფერკანიანი ქალის გარეთ გამოჩენა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, უწინდებურად ალიაქოთს იწვევს.

## 4 წლის ბიჭუნას აინშტაინის ინტელექტი აქვს



4 წლის ბრიტანელი შერვინ სარაბის ინტელექტის დონე ანუ აიქიუ 160 ერთეულს შეადგენს, რითაც ის ალბერტ აინშტაინსა და ბილ გეიტსს უტოლდება. პირველი სიტყვა შერვინმა 10 თვის ასაკში წარმოთქვა, 1 წლის და 8 თვისა უკვე წინადადებებს ამბობდა, 2 წლისას კი 500 სიტყვის წაკითხვა, 200-მდე დათვლა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის დასახელება შეეძლო. ბიჭუნა უკვე ბრიტანული ინტელექტუალური კლუბის „მენსას" წევრია, რომელიც მსოფლიოს ყველაზე მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებს აერთიანებს.

შერვინი მშობლებმა სკოლაში 3 წლის ასაკში შეიყვანეს. დედის, ამანდა სარაბის თქმით, მისი შვილი უზომო ინტერესს იჩენს ყველაფრის მიმართ და მუდმივად კითხვებს სვამს. 4 წლის შერვინი დედისერთაა, მას უკვე 940 წიგნი აქვს წაკითხული. ბავშვის მამა მშენებელია, რომელიც მძიმე ავარიის შემდეგ სახლის პირობებში მკურნალობს.

## ირემი მაგიდასთან სადილობს და ტელევიზორს უყურებს

ლაპლანდიის ერთ პატარა სოფელში მცხოვრებ პია ტუკანეცს მოშინაურებული ირემი ჰყავს. ირემი, სახელად აატუ, ადრე დაობლდა და იგი ადგილობრივმა შეიფარა. პატრონის თქმით, აატუ ოჯახის სხვა დანარჩენ წევრებთან ერთად მაგიდასთან სადილობს და ტელევიზორსაც მათთან ერთად უყურებს. ყველაზე გასაკვირი კი ის გახლავთ, რომ მისი ასეთი ქცევა წვრთნის შედეგი არ არის. პია ტუკანეცს შეუძლია დაიკვეხნოს, რომ მას მსოფლიოში ერთადერთი მოშინაურებული ირემი ჰყავს.



## ოქროს ტუალეტის ქაღალდი 1,3 მილიონად



ავსტრალიაში არსებულმა ტუალეტის ქაღალდის დამამზადებელმა კომპანიამ უკვე გამოუშვა ტუალეტის ოქროს ქაღალდი. 22 კარატიანი ოქროთი დამზადებული ქაღალდის ერთი რულონის შეძენა 1,3 მილიონ დოლარადაა შესაძლებელი და ნებისმიერ მსურველს ქაღალდს სახლში მიუტანენ. ეს მომსახურება მხოლოდ ავსტრალიის ტერიტორიაზეა ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ უძვირფასეს ჰიგიენურ საშუალებას ჯერ მყიდველი არ გამოსჩენია.



# ნაახალწლევს კარტოფილის დიეტა გიშველით



არავისთვისაა უცხო, რომ საახალწლო დღესასწაულების შემდეგ ორგანიზმს დახმარება სჭირდება, რადგან საზეიმო სუფრაზე უხვად მივირთმევთ ნუგბარს და კუჭს ვტვირთავთ. მოგეხსენებათ, ეს ორგანიზმისთვის სერიოზული დატვირთვაა. როგორ მოვიქცეთ, რომ საკუთარ თავს დავეხმაროთ, შლაკებისგან გავიწმინდოთ და ჯანმრთელობას ზიანი არ მივაყენოთ? ამ დროს კარტოფილი და მინერალური წყალი მისწრებაა. მაშ, ასე! ერთკვირიანი დიეტა და ყველაფერი რიგზე იქნება.

### I დღე

**საუზმე** —კარტოფილის (2 ცალი) პიურე უმარილოდ და უცხიმოდ. სასიამოვნო გემოს მისაცემად შეგიძლიათ, ლიმონის წვენი მოასხათ. პიურეს ჭიქა მინერალური წყალი დააყოლეთ.

**სადილი** — 200 გ მოხარშული მჭლე ხორცი, 1 კარტოფილის პიურე, და 1 ჭიქა მინერალური წყალი.

**ვახშამი** — 2 ჭიქა მინერალური წყალი.

### II დღე

**საუზმე** — ერთი ცალი მოხარშული კარტოფილი დაჭერით, დაახეხეთ 1 სტაფილო, ერთი პატარა ჭარხალი, დააჭერით ბლომად მწვანილი, მოასხით 2 ს.კ. ლიმონის წვენი (ყველაფერი უმარილოდ) და დააყოლეთ ჭიქა მინერალური წყალი.

**სადილი** — 200 გ ქათმის ბულიონი (უმარილოდ), კარტოფილის პიურე (ლიმონის წვენი მოასხით), ჭიქა მინერალური წყალი.

**ვახშამი** — 2 ჭიქა მინერალური წყალი.

### III დღე

**საუზმე** — 2 მოხარშული კარტოფილი მდოგვით, ჭიქა მინერალური წყალი.

**სადილი** — 2 ს.კ. ბრინჯი და 2 დაჭრილი კარტოფილი მოხარშეთ. დააჭერით მწვანილი, მოასხით ლიმონის წვენი და დააყოლეთ ჭიქა მინერალური წყალი.

**ვახშამი** — 2 ჭიქა მინერალური წყალი.

### IV დღე

**საუზმე** — 2 ცალი კარტოფილის პიურე ლიმონის წვენითა და მწვანილით, ჭიქა მინერალური წყალი.

**სადილი** — 2 საშუალო ზომის კარტოფილის სუპი, 2 კიტრი, ჭიქა მინერალური წყალი.

**ვახშამი** — 2 ჭიქა მინერალური წყალი.

### V დღე

**საუზმე** — 2 მოხარშულ, დაჭრილ კარტოფილს 2 ს.კ. მოხარშული ლობიო შეურიეთ, მოასხით 2 ს.კ. ლიმონის წვენი და დააყოლეთ ჭიქა მინერალური წყალი.

**სადილი** — 4 ცალი ქამა სოკოსა და 2 კარტოფილის სუპი, 2 კიტრი, 2 ცალი ბულგარული წიწაკა ბევრი მწვანილითა და ლიმონის წვენით. ჭიქა მინერალური წყალი.

**ვახშამი** — 2 ჭიქა მინერალური წყალი.

### VI დღე

**საუზმე** — 2 მოხარშული კარტოფილი, 50 გ ჭყინტი ყველი, ჭიქა მინერალური წყალი.

**სადილი** — 1 მოხარშული კარტოფილი, 1 პომიდორი, მწვანილი (ნებისმიერი) და ჭიქა მინერალური წყალი.

**ვახშამი** — 2 ჭიქა მინერალური წყალი.

### VII დღე

**საუზმე** — 2 კარტოფილის პიურე ლიმონის წვენით, 2 ცალი კიტრი და ჭიქა მინერალური წყალი.

**სადილი** — ქათმის ბულიონში მოხარშული 2 კარტოფილი, კიტრისა და კომბოსტოს სალათა, უხვად მწვანილითა და ლიმონის წვენით.

**ვახშამი** — 2 ჭიქა მინერალური წყალი.

დღის განმავლობაში შეგიძლიათ დალიოთ ყავა, ოღონდ უშაქროდ.

# უხერხულ სიტუაციებში ხშირად ვარდებით?

**1. როცა უყურებთ, როგორ ვარდება ვიღაც უხერხულ მდგომარეობაში, ეს სიამოვნებას განიჭებთ?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

**2. შვილებისთვის გითქვამთ, რომ სინამდვილეში თოვლის პაპა არ არსებობს?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

**3. არასრულფასოვნების კომპლექსი ხომ არ გაწუხებთ?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

**4. გასართობ ჟურნალებს ხშირად კითხულობთ?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

**5. ბავშვმა საიდუმლო გაგანდოთ, გასცემთ მას?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

**6. ჭორაობა სიამოვნებას განიჭებთ?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

**7. როცა ვიღაც საკუთარ პრობლემებს განდობთ, გიჩნდებათ სურვილი, რომ მათ შესახებ სხვებს მოუყვეთ?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

**8. გიჭირთ, ენას კბილი დააჭიროთ?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

**9. ბევრი ლაპარაკი გიყვართ?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

**10. როცა ვინმე გენდობათ და საიდუმლოს გიმხელთ, გიხარიათ?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

**შედეგები:**

**10-20 ქულა** —ენაზე არაფერი გადგებათ, ყველაზე დიდ სიამოვნებას სხვისი საიდუმლოს გამხელა განიჭებთ. ეს ჭორიკანას იმიჯსაც გიქმნით და ხშირად უსიამოვნებასა და უხერხულ სიტუაციაშიც გაგდებთ.

**4-8 ქულა** — სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა არ გიყვართ, მაგრამ ხანდახან სული წაგძლევთ ხოლმე და ჭორაობთ. მართალია, ხშირად არა, მაგრამ თქვენი თავშეუკავებლობის გამო უხერხულ სიტუაციაშიც ვარდებით.

**0-2 ქულა** —საიდუმლოს იდეალური შემნახველი ხართ. თქვენი ნდობა ნამდვილად შეიძლება. სხვის საიდუმლოს არასდროს გასცემთ. ამის გამო ყველა თვალდახუჭული გენდობათ და უხერხულ სიტუაციაშიც არასოდეს ვარდებით.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

# სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 9 | | 8 | 7 | |
| 4 | 2 | 1 | | | | | | |
| | | | 5 | 3 | | | | 2 |
| | | | | | 7 | | 1 | 6 |
| | | 8 | | | | | 9 | |
| 7 | | | 2 | | 9 | 5 | | |
| | | 4 | | 2 | | | 8 | |
| | 9 | | | | | | | 5 |
| 6 | | | 1 | | | 3 | | |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | 1 | | | 6 | 4 | | |
| | | 2 | 1 | | | | 7 | |
| 9 | | | | 3 | | | 5 | |
| | | | 8 | | | | 1 | 4 |
| | 5 | | | | | 8 | | |
| 3 | | | | 4 | | | 2 | |
| | 4 | | | 9 | | | | 3 |
| 6 | | | 5 | | | | | |
| | | 7 | | | 1 | 2 | | |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

ტესტი ქალებისთვის

# ხშირად ხართ მოტყუებულის როლში?



**1. მაღაზიაში შესულს გითხრეს, რომ მე-1000 მყიდველი ხართ და ტელევიზორი მოიგეთ....**

ა) თვლით, რომ უფასო მხოლოდ ყველია ხაფანგში. მაღაზიის მომსახურე პერსონალს სთხოვთ, თავი დაგანებონ — 3

ბ) სათანადო დოკუმენტების ჩვენებას მოითხოვთ, რათა დარწმუნდეთ, რომ ეს ბოროტი ხუმრობა არაა — 2

გ) სიხარულისგან აცმუკდებით და სასწრაფოდ პირადობის მოწმობისა და სახლის მისამართს აძლევთ, რომ საჩუქარი მოგიტანონ — 1

**2. ოდესმე მარჩიელთან ყოფილხართ?**

ა) დიახ — 1

ბ) ერთი-ორჯერ — 2

გ) არა, მათი არ გჯერათ — 3

**3. საყვარელი მამაკაცი სახლში ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა...**

ა) ზედმეტ შეკითხვებს არ დაუსვამთ, რადგან მისი გჯერათ — 1

ბ) მკაცრ დაკითხვას მოუწყობთ — 2

გ) გაბრაზებული შეპირდებით, რომ ამის შემდეგ ყველგან მასთან ერთად ივლით — 3

**4. სად იძენთ საკვებ პროდუქტებს?**

ა) სუპერმარკეტებში — 3

ბ) საბითუმო ბაზრობებზე — 2

გ) ჯიხურებში — 1

**5. რა აზრის ხართ ტოქ შოუებზე?**

ა) ყველა ისტორიას იჯერებთ და გმირს უთანაგრძნობთ — 1

ბ) არ უყურებთ, თვლით, რომ ნებისმიერ შოუში ყველაფერი თამაშია — 3

გ) თუ საინტერესოა, სხვა არხზე ნამდვილად არ გადართავთ — 2

**შედეგები:**

**5-8 ქულა** — ბუნებით მიმნდობი ადამიანი ხართ. ცოტა სიფრთხილე არ გაწყენდათ.

**9-11 ქულა** — თქვენი კრედოა: ენდე, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

**12-15 ქულა** — გვერწმუნეთ, ყველა ადამიანი მატყუარა არ არის. პირნათელიც ბევრია ჩვენ გვერდით.

# ადვილად ეხთვებით კონფლიქტში?

**1. რა რეაქცია გექნებათ, თუ თქვენი მეუღლე კოლეგებმა ბანკეტზე არ მიიპატიჟეს?**

ა) ავუხსნი, რომ ასეთი დამცირება არ უნდა აიტანოს და ყველას საკადრისი პასუხი გასცეს — 2

ბ) ვეცდები, დავამშვიდო და შევაგნებინო, რომ ეს ტრაგედია არ არის — 1

გ) გული რომ არ დასწყდეს, სადმე სხვაგან წავიყვან გასართობად — 0

**2. თანამშრომლების კონფლიქტის შემსწრე გახდით**

ა) მათ საქმეში არ ჩავერევი, თვითონ გაარკვიონ თავიანთი საქმე — 1

ბ) ვეცდები, ხუმრობით განვმუხტო სიტუაცია — 0

გ) ვინც მართალია, იმის მხარეს დავიჭერ — 2

**3. შეესწარით, როგორ დააჯარიმეს უბილეთო მგზავრი. მას ჯარიმის გადასახდელი ფული არ აქვს, როგორ მოიქცევით?**

ა) ხმას არ ამოვიღებ, ეს ჩემი საქმე არაა — 1

ბ) კონტროლიორს ვთხოვ, უბილეთოს მიმართ გულისხმიერება გამოიჩინოს — 2

გ) ჯარიმას მე გადავუხდი — 0

**4. თქვენი შვილი სკოლიდან ნაჩხუბარი დაბრუნდა...**

ა) ვეტყვი, რომ ასეთი რამ ყველას ბავშვობაში ხდება — 0

ბ) იმ ბავშვის მშობლებს დავურეკავ, ვისთანაც ჩემს შვილს ჩხუბი მოუვიდა და მკაცრად გავაფრთხილებ, რომ ასეთი რამ არ განმეორდეს — 2

გ) შვილს საკადრისი პასუხის გაცემას ვასწავლი, რომ თავი არავის დააჩაგვრინოს — 1

**5. მაღაზიაში მყიდველი და მოლარე კამათობენ...**

ა) იმის მხარეს დავიჭერ, რომელიც მართალი მგონია — 2

ბ) მკაცრად ვეტყვი, ჩხუბი შეწყვიტონ, რადგან სხვებსაც ეჩქარებათ — 0

გ) იქაურობას გავეცლები და სხვა მაღაზიაში წავალ — 1

**შედეგები:**

**0-4 ქულა** — მშვიდობის მტრედი ხართ. კონფლიქტურ სიტუაციებს ვერ იტანთ.

**5-8 ქულა** — ჩხუბი არ გიყვართ, მაგრამ არც პასიური დამკვირვებლის როლი მოგწონთ. თქვენთვის იდეალურია მომრიგებლის ამპლუა.

**9-10 ქულა** — თუ კონფლიქტში ჩაერევით, ის აუცილებლად გამწვავდება, რადგან ძალიან კონფლიქტური ხართ და ცეცხლზე ნავთს ასხამთ. კარგი იქნება, თუ ასეთი სიტუაციებისგან თავს შორს დაიჭერთ და არ ჩაერევით.

# მორიდებული თუ თამამი?

1, 2, 5, 6, 10 კითხვებზე დადებით პასუხში 2 ქულა დაიწერეთ. 3, 4, 7, 8, 9 კითხვებზე უარყოფით პასუხში — 2 ქულა, სხვა შემთხვევაში — 0.

1. როცა წონაში გატყუებენ ან ხურდას ზუსტად არ გიბრუნებენ, შეკამათება გერიდებათ?

2. აღშფოთდებით, თუ ვინმე თქვენი პირადი ბარათი ან დღიური დაუკითხავად წაიკითხა?

3. როცა ვინმე თავს გაბეზრებთ, ამას აშკარად აგრძნობინებთ?

4. გიყვართ სხვადასხვა შეჯიბრში მონაწილეობა?

5. პლაჟზე საბანაო კოსტიუმში გამოჩენა გერიდებათ?

6. აუდიტორიის წინაშე საჯაროდ გამოსვლისას თავს უხერხულად გრძნობთ?



7. როცა გაქებენ, გსიამოვნებთ?

8. როცა გეხუმრებიან, ამას ადეკვატურად აღიქვამთ?

9. ანეკდოტების მოყოლა გიყვართ?

10. როცა სხვებისგან გამორჩეულად გაცვიათ, თავს უხერხულად გრძნობთ?

**შედეგები:**

**18-20 ქულა** — ისეთი მორიდებული ხართ, რომ დაკომპლექსებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ეს არც ისე სასიამოვნოა, ამიტომ ეცადეთ, ცოტა თამამად იმოქმედოთ.

**6-16 ქულა** — მორიდებული კი ხართ, მაგრამ თუ საჭირო გახდა, არც სითამამე გაკლიათ.

**0-4 ქულა** — როგორც იტყვიან, არაფრის გერიდებათ და თქვენს გემოზე ცხოვრობთ. ზოგჯერთ მოკრძალების გამოჩენაც არ გაწყენდათ, რადგან ზედმეტმა სითამამემ შეიძლება უზრდელის იმიჯი შეგიქმნათ.


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

# როგორ დავწიოთ წნევა — 15 მარტივი საშუალება



### 1. ზედმეტი წონისგან გათავისუფლდით.

ჰიპერტონია ჭარბწონიანი ადამიანების დაავადებაა. ყოველი დაკლებული კილოგრამი წნევას 1 მმ-ით აქვეითებს.

### 2. სიგარეტის რაოდენობა შეამცირეთ.

თამბაქო შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც სისხლძარღვებს ავიწროებს და ნაკლებად ელასტიკურს ხდის. ყოველი ღერი მოწეული სიგარეტის შემდეგ წნევა იმატებს. ეს ეფექტი 2 საათი გრძელდება. წლებთან ერთად სისხლძარღვები სულ უფრო ნელა უბრუნდება საწყის მდგომარეობას, რაც ჰიპერტონიის განვითარების რისკს ამაღლებს. მოცემულ სიტუაციაში ყველაზე სწორი ნაბიჯი მოწევისთვის თავის დანებებაა. თუ არ გამოგდით, სიგარეტის რაოდენობა შეამცირეთ.

### 3. მარილის მოხმარება შეზღუდეთ.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით, 45 წლის ზევით ყველა ადამიანმა საჭმელში მარილის მოხმარება უნდა შეამციროს, ხოლო რომელთა მშობლები ჰიპერტონიით იტანჯებიან, მარილი უფრო ახალგაზრდა ასაკში უნდა შეზღუდონ. მარილის დღიური დოზა 1 ჩაის კოვზს არ უნდა აჭარბებდეს. ამ რაოდენობაში იგულისხმება ის მარილიც, რომელსაც შეიცავს მზა პროდუქტები — ძეხვი, ნახევარფაბრიკატები, წვნიანის ფხვნილები, კონსერვები.

### 4. ნაკლებად ცხიმიანი საკვები მიიღეთ.

ცხიმიანი საჭმელი წნევას უშუალოდ არ ამაღლებს, მაგრამ ხელს უწყობს ქოლესტერინის ფოლაქების გაჩენას, რომლებიც ჰიპერტონიის დროს სისხლძარღვებზე დატვირთვას კიდევ მეტად ზრდის.

### 5. ჭამეთ მეტი ხილი და ბოსტნეული.

ისინი მდიდარია ანტიმჟანგავებით, ვიტამინებით, უჯრედისით — ნივთიერებებით, რომლებიც სისხლძარღვებს ამაგრებს და ზოგადად ჯანმრთელობას აუმჯობესებს. ვინც ახალგაზრდობასა და მოწიფულობის წლებში ბევრ ბოსტნეულს მიირთმევს, ხანდაზმულობის ასაკში ჰიპერტონიით იშვიათად იტანჯება.

### 6. გამოიყენეთ ზეითუნის ზეთი

ზეითუნის ზეთი ხელს უწყობს წნევის დაკლებას, სისხლძარღვების კედლებს ამაგრებს, უფრო მტკიცეს ხდის.

### 7. დალიეთ მწვანე ჩაი.

მასში არსებული ფლავონოიდები სისხლძარღვების მდგომარეობას აუმჯობესებენ.

### 8. მოერიდეთ კოკა-კოლას.

გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ კოკა-კოლა წნევას ამაღლებს. ჯერჯერობით დადგენილი არ არის, ამაში რომელი კომპონენტია დამნაშავე — კოფეინი თუ შაქარი, მაგრამ ერთი რამ ცხადია — კოკა-კოლა ჰიპერტონიკებისთვის საუკეთესო სასმელი არ არის.

### 9. ღვინო ზომიერ დოზებში სასარგებლოა.

მცირე ულუფა წითელი ღვინო წნევას დაბლა სწევს, მაგრამ სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებას უკუეფექტი აქვს. მამაკაცებს შეუძლიათ დღეში არაუმეტეს 300 მლ-ისა ღვინო დალიონ, ქალებს — 150 მლ-მდე.

### 10. კალციუმი მიიღეთ.

ცნობილია, რომ კალციუმი ძვლებისთვის სასარგებლოა, მაგრამ ცოტამ იცის, რომ წნევის დაწევას ეხმარება, ვინაიდან ორგანიზმიდან ზედმეტი მარილი გამოაქვს. კალციუმის წყაროა: რძის პროდუქტები, სარდინი, ფოთლოვანი ბოსტნეული (სალათა, რეჰანი, ოხრახუში, ქინძი და სხვა მწვანილი), კომბოსტო, ბროკოლი, ჩირი.

### 11. არ დაივიწყოთ მაგნიუმი

მაგნიუმს უნიკალური თვისება გააჩნია: სისხლძარღვების კედლებს შიგნიდან ამაგრებს. მაგნიუმის ნაკლებობისას ხშირია წნევის ხტუნვა. ამ ნივთიერებით მდიდარია ნიგოზი, მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული, ოსპი, ბურღულეული (მუქი ფერის ბრინჯი, წიწიბურა, ქერის ბურღული), ზღვის პროდუქტები.

### 12. რაციონში თევზი ჩართეთ.

თევზი (ორაგული, თინუსი, პალტუსი) შეიცავს ომეგა 3 ცხიმმჟავას, რომელიც სისხლძარღვებზე სასიკეთოდ მოქმედებს. აღნიშნული სახეობის თევზი გასახდომ დიეტაში ჩართეთ, არამხოლოდ წონას შეამცირებს, ასევე წნევასაც.

### 13. სპორტით დაკავდით.

ფიზკულტურა სისხლის დინებას აუმჯობესებს, სისხლძარღვებს ამაგრებს და წნევის ნორმალიზაციას ეხმარება. საუკეთესოა ყოველდღიურად არანაკლებ 30 წუთისა ივარჯიშოთ (ან კვირაში 3-ჯერ მაინც). წნევის უეცარი ხტუნვა რომ არ მოხდეს, სანამ წვრთნას დაიწყებთ, ექიმთან კონსულტაცია გაიარეთ. ასევე დატვირთვა თანდათან გაზარდეთ.

### 14. ტონომეტრი შეიძინეთ.

ჰიპერტონია ქრონიკული დაავადებაა, ამიტომ საჭიროა წნევის რეგულარულად გაზომვა. ეს მდგომარეობის შეფასებასა და პრობლემის გაკონტროლებაში დაგეხმარებათ.

### 15. სტრესი შეამცირეთ

მომატებული წნევის ერთ-ერთი მიზეზი სტრესია, რომლის დროსაც სისხლში გადაისროლება ჰორმონი კორტიზოლი (წნევას უმატებს). ადამიანს, რომელიც ხშირად ნერვიულობს, დროთა განმავლობაში ქრონიკული ჰიპერტონია უვითარდება. სტრესს კარგად ხსნის ცურვა, იოგა, ბუნებაში სეირნობა, ზღვის სანაპიროზე დასვენება, მომადუნებელი მასაჟი. სასარგებლოა ჰობი — ცეკვა, ხატვა. ქალებში ნერვულ დაძაბულობას კარგად ხსნის თავის მოვლა — სილამაზის სალონში სიარული. მამაკაცებზე ანალოგიურად მოქმედებს თევზაობა, ჭადრაკის თამაში. როგორიც უნდა იყოს თქვენი არჩევანი, მნიშვნელოვანია, სიამოვნება მოგანიჭოთ.

## მთელი სიმართლე ქოლესტერინზე

რა ითვლება მომატებული ქოლესტერინის მიზეზად და როგორ ვაკონტროლოთ?

ქოლესტერინი არის ცხიმების ჯგუფის რთული შენაერთი, ორგანიზმის უჯრედების საშენი მასალა (განსაკუთრებით ნერვული ქსოვილების) და თითქმის ყველა გაცვლით პროცესში მონაწილეობს. აუცილებელია ნაღვლის მჟავის სინთეზისთვის ღვიძლში და სტეროიდული ჰორმონებისთვის თირკმელზედა ჯირკვალში. განასხვავებენ „კარგ“ და „ცუდ“ ქოლესტერინს. „ცუდი“ სისხლძარღვების შიგნითა კედლებს ფარავს, მათ სანათურს ავიწროებს და სისხლის გულში შეღწევას აბრკოლებს. ეს შეიძლება სტენოკარდიის, გულის კუნთის ინფარქტის, ინსულტის მიზეზი გახდეს. „კარგი“ — პირიქით, გულის ჯანმრთელობას იცავს. თანაც „კარგი“ ქოლესტერინი „ცუდს“ ბოჭავს და ღვიძლში აგზავნის, სადაც ის ნადგურდება.

მომატებული ქოლესტერინის მიზეზია: მემკვიდრეობა, რომლის დროსაც ადამიანს ქოლესტერინის რეცეპტორების სინთეზის მარეგულირებელი დეფექტური გენები აქვს; ჭარბი წონა და უმოძრაო ცხოვრების წესი; ასაკი და სქესი (20 წლის შემდეგ აბსოლუტურად ყველა ადამიანში ზრდას იწყებს, მამაკაცებში 50 წლის შემდეგ და ქალებში მენოპაუზის დადგომის მერე განსაკუთრებით სწრაფად იმატებს); თამბაქოს მოწევა; დიაბეტი; ჰიპოთირეოზი; თირკმლების დაავადება; ციროზი; საკვები.

### გადახედეთ მენიუს

ცხოველური წარმოშობის ცხიმები ქოლესტერინის ამაღლებას ხელს უწყობს, ხოლო მცენარეული, პირიქით, ამცირებს. ამიტომაც უპირატესობა მიანიჭეთ მცენარეულ ზეთს, მზესუმზირას, თხილეულს. რაც შეეხება კვერცხს, ის მეტად სასარგებლო პროდუქტია, შეიცავს ცილას და $B_{12}$ ვიტამინს, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია სისხლის წარმოსაქმნელად. კვერცხის გულში არსებულმა ქოლესტერინმა სისხლში ქოლესტერინის დონე რომ არ აამაღლოს, კვერცხის გულს მცენარეული ზეთი დაუმატეთ. კვირაში ნორმაა 3-5 კვერცხი ნებისმიერი სახით მომზადებული.

გადაიყვარეთ ძეხვი, სოსისი, შებოლილი პროდუქტები. მაღალი ფასი „ნატურალურობის“ მაჩვენებელი არ არის. სულ ერთია, მათში ცხიმების უზარმაზარი რაოდენობაა, თანაც დაბალი ხარისხის. რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი ხორცი, ქათმისა და ინდაურის კანი, ასევე ცხიმიანი ხორცის წვნიანები. შეწვის დროს ხორცი ორცხობილას ფხვნილში ან ფქვილში ამოავლეთ. უარი თქვით ჩიპსებსა და კრეკერებზე. სასარგებლოა მენიუში შეიტანოთ თევზი და ზღვის პროდუქტები. რძის პროდუქტებში ცხიმიანობა 5%-ს არ უნდა აჭარბებდეს. მოიხმარეთ რუხი პური, ყავისფერი ბრინჯი, ფაფები (მანის გარდა), პარკოსნები. ჭამეთ ცოტ-ცოტა ყოველ 3-4 საათში. ყოველდღიურად 1,5-2 ლიტრი წყალი დალიეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— გავიკეთე სისხლის საერთო ანალიზი, მხოლოდ ედს მაქვს მომატებული, სხვა ყველაფერი ნორმის ფარგლებშია. რისგან შეიძლება იყოს გამოწვეული?**

— ამ შემთხვევაში საჭიროა ზუსტი მაჩვენებლის დასახელება, რადგან მიზეზი უამრავია და ერთ-ერთი მიზეზი ანთებითი პროცესია.

**— წავიკითხე, გასახდომად უზოზე დალიეთ ერთი სირჩა ზეითუნის ზეთიო. სირჩა რამდენი გრამია ან ამ დროს დიეტა აუცილებელია თუ არა და ზეითუნის ზეთის მიღება რამდენად ეფექტურია?**

— სირჩა დაახლოებით 50 გრამია, მაგრამ მხოლოდ ზეითუნის ზეთის მიღებით წონაში კლება წარმოუდგენელია. ყველა თვითნებური დიეტა საზიანოა. თუ ვერ მიმართავთ დიეტოლოგს ან თვლით, რომ რამდენიმე კილოგრამის დაკლებას თავადაც უპრობლემოდ გაუმკლავდებით, მაშინ შეცვალეთ თქვენი კვების რეჟიმი. არ მიიღოთ ნახშირწყლებით გაჯერებული, ძალიან ცხიმიანი საკვები, რის შემდეგაც ძლიერი წყურვილის გრძნობა გექნებათ და მიიღებთ დიდი რაოდენობით სითხეს, არ მიიღოთ ტკბილი სასმელები. იკვებეთ ძირითადად ცილოვანი საკვებით ერთსა და იმავე დროს. რა თქმა უნდა, ძილამდე 4 საათით ადრე მსუბუქად ივახშმეთ.

**— მენსტრუაციის დროს მქონდა სექსი, ამ დროს რამდენად შესაძლებელია დაფეხმძიმება ან ორგანიზმისთვის საზიანო ხომ არ არის?**

— მენსტრუალური ციკლის დროს დაფეხმძიმება პრაქტიკულად გამორიცხლია. ამ დროს სექსისას დიდია ალბათობა, ორგანიზმში ინფექცია გავრცელდეს. ამიტომ გირჩევთ, ამ დროს სქესობრივი კავშირისგან თავი შეიკავოთ.

**— ა ჰეპატიტი გადამდებია?**

— ყველა ტიპის ჰეპატიტის გადამდებია, გადაცემის გზები სხვადასხვაგვარია.

**— ყელზე ჯირკვალი გამომეზარდა, არ მტკივა. ხელის დადებისას თითქოს დიდდება. რა ვქნა, ვის მივმართო? შეიძლება სახლის პირობებში მკურნალობა?**

— ჯირკვალი ძირითადად ლიმფური ხასიათისაა. მის გადიდებას ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები იწვევს, მათ შორის ეს შეიძლება იყოს ანთებითი პროცესიც, ინფექციური და თვითონ ლიმფური კვანძის დაავადებაც. პირველ რიგში, გაიკეთეთ სისხლის საერთო ანალიზი, თუ რაიმე ცვლილება არ გაქვთ, ნუ დამშვიდდებით, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

თვითნებურად ვიტამინების მიღებას არ გირჩევთ.

**— პოლინოზი იკურნება?**

— პოლინოზი ანუ „თივის ცხელება“ ალერგიული დაავადებაა, რომელსაც სხვადასხვა მცენარის მტვერი იწვევს. იგი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე შეიძლება გაგრძელდეს. პოლინოზის სამკურნალოდ საჭიროა ალერგოლოგს მიმართოთ. დღეს არსებული ანტიალერგიული მედიკამენტები მდგომარეობას აუცილებლად შეგიმსუბუქებთ. თუ სეზონურად მკურნალობას ჩაიტარებთ, შედეგი აუცილებლად გექნებათ.

**— სიმსუქნე მემკვიდრული ხასიათისაა?**

— ჯერჯერობით არავის აღმოუჩენია სიმსუქნისა და სიგამხდრის გენები. თუმცა, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თუ მშობელთაგან ერთ-ერთი მსუქანია, 40-50% არსებობს შესაძლებლობა, რომ ბავშვი მსუქანი იქნება, თუ ორივე მშობელი ჭარბწონიანია, ბავშვს სიმსუქნისაკენ 70-80% მიდრეკილება ექნება. გამხდარი მშობლების 7-8% ჰყავს მსუქანი შვილები. სიმსუქნის ჩამოყალიბებაში ბევრი ფაქტორი იღებს მონაწილეობას. წონის მატების დროს უნდა გაირკვეს მისი გამომწვევი მიზეზი და მკურნალობაც შესაბამისად უნდა ჩატარდეს.

**— მაწუხებს ჯიბლიბო. ზოგჯერ ორივე თვალზე გამომდის. რა ვქნა?**

— ჯიბლიბო ყველა ასაკში შეიძლება გაჩნდეს. ქუთუთოს გარკვეულ არეში თავს იჩენს სიწითლე, შემდეგ ვითარდება ჩირქგროვა. ავადმყოფს აწუხებს ქუთუთოს ტკივილი. შეიძლება სხეულის ტემპერატურამ მოიმატოს. არასწორი მკურნალობის შედეგად შეიძლება ინფექცია შორს წავიდეს და საკმაოდ გართულდეს. ჯიბლიბოს არ უყვარს მშრალი სითბო, ამიტომ წინათ მტკივან ქუთუთოზე მოხარშულ, ნაჭუჭიან კვერცხს იდებდნენ. საჭიროა სპეციალური მალამოების ხმარება.

**— როგორ მოვუარო მშრალ თმას?**

— მშრალი თმა ზოგჯერ ქერტლის გაჩენის მიზეზი ხდება. ზოგი დერმატოლოგი მიიჩნევს, რომ მშრალი თმა კვირაში ერთხელ უნდა დაიბანო, რაც ზოგჯერ ძალიან შემაწუხებელი ხდება. უმჯობესია, იხმაროთ მშრალი თმისთვის განკუთვნილი სპეციალური შამპუნები და ბალზამები. ორ კვირაში ერთხელ თმაში შეიზილეთ აბუსალათინის ზეთი. ნახევარი საათის შემდეგ ჩვეულებრივი წესით დაიბანეთ.

**— ვარ 23 წლის, შარდვა გაძნელებული მაქვს, რას მირჩევთ?**

— გაძნელებული შარდვა თირკმლის ან შარდ-სასქესო გზის დაავადებათა გამოვლენის ნიშანია. უროლოგის კონსულტაცია აუცილებლად დაგჭირდებათ, მანამდე კი დღეში 5-ჯერ ნახევარი ჭიქა ჭარხლის ან სტაფილოს წვენი მიიღეთ რძესთან ერთად. ნახევარ კილოგრამი ოხრახუში კარგად გარეცხეთ, შემდეგ მდუღარე წყალი გადაავლეთ. ჩააწყვეთ მომინანქრებულ ჭურჭელში და იმდენი რძე დაასხით, რომ ოხრახუში დაიფაროს, წამოადუღეთ რძის გასქელებამდე. დღეში რამდენჯერმე მიიღეთ სუფრის კოვზით.

## სუსტ შუქზე კითხვა მავნე არ არის



გავრცელებული აზრი, რომ სუსტ შუქზე კითხვა თვალებისთვის საზიანოა, მართალი არ აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, თვალების ირგვლივ კუნთები ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მაგარია ჩვენს სხეულში. ვინაიდან მხედველობის დახმარებით ადამიანი გარემოს შესახებ ინფორმაციის 90%-ს იღებს, ბუნებამ თვალის კუნთები გამძლეობის დიდი მარაგით დაასაჩუქრა — შეუძლიათ 100-ჯერ მეტი დატვირთვა აიტანონ, ვიდრე მათგან ითხოვენ. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, „თვალები დამეღალა“ საუბარია კუნთების დაღლაზე. საკმარისია რამდენიმე წუთი თვალებზე ხელი დაიდოთ ან მხედველობის ფოკუსი შეცვალოთ (მაგალითად, კომპიუტერიდან მზერა ფანჯრის მიღმა ხედზე გადაიტანოთ) და დაღლა გაქრება.

„თვალების დაღლის“ მეორე მიზეზი ისაა, რომ სუსტი განათების დროს თვალებს იშვიათად ვახამხამებთ, შედეგად თვალის ზედაპირი შრება. ამიტომ, თუ თვალების დასრესა მოგინდებათ, ინტუიციას ენდეთ: ეს მარტივი მოძრაობა საცრემლე ჯირკვლების მუშაობას ასტიმულირებს, რომელიც თვალს ატენიანებს. იგივე ეფექტი მიიღწევა, თუ რამდენიმე წამით თვალებზე ხელისგულებს დაიდებთ.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.





Cyan Magenta Yellow Black

1. სპორტული ცურვის ხერხი; 2. პოლონელი კომპოზიტორი (1765-1833); 3. ამერიკელი მომღერალი ქალი ... ანდერსონი; 4. საპირისპიროს აღმნიშვნელი წინსართი; 5. საქირაო ეტლი დასავლეთში; 6. დედამიწის ბრტყელი გამოსახულება; 7. კათოლიკეთა მღვდელი; 8. ნოტიო, ჩახურებული ფქვილი; 9. ქმრის და; 10. განსჯის პროდუქტი; 11. სიგრძის საზომი ერთეული; 12. ძველეგვიპტელთა ღვთაებრივი ხარი; 13. ფილოსოფიური ქვის მაძებარი მისტიკური მოძღვრება; 14. ... მაკფერსონი; 15. დიდი შენობის მთავარი შესასვლელი; 16. სამორინე; 17. საფუტკრე ყუთი; 18. რბილი, თეთრი კირქვა; 19. მონღოლეთის არმიის ჯარისკაცი; 20. მტაცებელი ცხოველი; 21. ერთ-ერთი აზიური ენა; 22. თავდავიწყებით გატაცება რაიმეთი; 23. მუსიკალური ბგერის გრაფიკული ნიშანი; 24. ... კრამლინგი; 25. რთული ორგანული ნივთიერება; 26. ფეხბურთელი ... კოშტა; 27. სპარსეთის პროვინციის მმართველი შეუზღუდავი უფლებებით; 28. იტალიური ღვეზელი; 29. ჩრდ. კორეის სახ. მოღვაწე ... ენ გენი; 30. ქალის თავსაბურავი; 31. ხორციანი კორკოტი; 32. ქალიშვილი; 33. ნახშირბადისა და წყალბადისაგან შემდგარი ერთგვარი ჯგუფი; 34. სიკეთე, კეთილი საქმე; 35. იგივეა, რაც ფელამუში; 36. ძალა, ღონე; 37. დამხმარე თეორემა; 38. ... პრესლი; 39. ვულკანი ინდონეზიაში; 40. მძარცველი, ყაჩაღი; 41. სახამებლით მდიდარი კულტურული მცენარე; 42. სამატომიანი ჟანგბადი; 43. ბუნებრივი საღებავი; 44. მათემატიკის ნაწილი; 45. სარწმუნოება, რჯული; 46. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ყურე ციცაბო, კლდოვანი ნაპირებით; 47. ბატონო პოლონურად; 48. ინტუიცია; 49. სოფელი გორის რაიონში; 50. წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად; 51. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 52. კატრინ ...; 53. საამური ცხოვრება; 54. ბოსტნეული მცენარე; 55. ძლიერი, დაბალი დარტყმა ჩოგბურთში; 56. მთიანეთი შუა აზიაში; 57. ჭამის სურვილი; 58. ჩანაფიქრი; 59. მოდავე მხარეთა თანასწორობის პრინციპი.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ილი; 2. პანთერა; 3. სელაპი; 4. მინტაი; 5. ალაო; 6. მიზანი; 7. ვაგზალი; 8. სკვერი; 9. ფარა; 10. ნანდუ; 11. დია; 12. პროპელერი; 13. აიაზმა; 14. ლიაკო; 15. ეფა; 16. ბელი; 17. ტერმინი; 18. ფითრი; 19. გოლიათი; 20. გვიანა; 21. ნირო; 22. თუ; 23. კაპონე; 24. თვე; 25. ოპალი; 26. ორინოკო; 27. დოკერი; 28. ურო; 29. ხორკლი; 30. კოლიბრი; 31. კოლიტი; 32. კლიო; 33. ამინ; 34. კოლტი; 35. რენიე; 36. კონკილა; 37. ლიბია; 38. ბიენალე; 39. მარადონა; 40. რიზ; 41. სკალარი; 42. ეტი; 43. ტუბა; 44. ონტოფო; 45. აზნაური; 46. ჩირი; 47. ანატოლია; 48. კაა; 49. პასტორი; 50. ბარონ; 51. პროფილი; 52. დილემა; 53. აწყური; 54. მა; 55. მარაო; 56. არწივი; 57. ზერო; 58. პირსი; 59. სამუმი; 60. ინა; 61. ტემპი; 62. იბერი. **სურათებზე:** მინი დრაივერი, დენის კუეიდი, ტიმ რობინსი, ლინდა ფიორენტინო.

**კოდი: ეილეხი**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი







1. ... პაჩინო
2. სარწყავი არხი
3. სქელი, მაგარი ქაღალდი
4. ამონი
5. რუსული ავტომარკა
6. ჰოლანდიე-ლი ფერმწერი
7. შაშის სახეობა
8. ტაძარი რაჭაში
9. ვახტანგ ... (მეფე ქართველ-თა)
10. თუთიყუ-ში
11. მაღალი წიწვოვანი ხე
12. თვალის გუგა
13. ლანგარი
14. ფეხიანი სასმისი
15. რითაც ბავშვს აშინებენ
16. გულშე-მატკივარი
17. ისტორიული ოლქი გერმანიაში
18. მხარე გერმანია-ში
19. დაბალი, მოგრძო მაგიდა
20. ჩუქჩების ქოხი
21. ნაბიჯი ბალეტში
22. ორიანი ნარდში
23. ყვავილი






## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

**პასუხები:** 1. პო; 2. ეი; 3. ეტა; 4. ორნითინი; 5. ოპერეტა; 6. მარკა; 7. ტატუ; 8. ატამი; 9. ასაკი; 10. არ; 11. ინრო; 12. პარსეკი; 13. რეა; 14. კარატე; 15. იალბუზი; 16. პრაიდი; 17. პასკალი; 18. პოპლინი; 19. აბი; 20. სოპრანო; 21. ბანერი; 22. ბუ; 23.ია.**სურათებზე:** კომპიუტერი; პრინტერი; სკანერი; მაუსი.



Cyan Magenta Yellow Black

# თუ ახალ წელს მარტო ხვდებით

არსებობს სტერეოტიპი, რომ ახალ წელს ოჯახთან ან მეგობრების კომპანიაში უნდა შეეგებოთ. თუ სხვადასხვა გარემოების გამო ისე მოხდა, რომ ახალ წელს მარტო მოგიწევთ შეხვედრა, ნუ დაღონდებით. დღესასწაულის ღამეს მარტო ყოფნას თავისი მომხიბლაობა აქვს. ჩვენი რჩევები დაგეხმარებათ, თავში გაერკვიოთ და ნამდვილად დასამახსოვრებელი ღამე გაატაროთ.



რა თქმა უნდა, ძალიან გვიყვარს ჩვენი ოჯახი და შესანიშნავი მეგობრები, მაგრამ პატიოსნად უპასუხეთ თავს: ნუთუ არასდროს გქონიათ სურვილი, თუნდაც ერთი საღამო მარტო გაგეტარებიათ? ქალების ძირითადი ნაწილი აღიარებს, რომ ამაზე ფიქრობდნენ. ხშირად ქალებს ასეთი სურვილის გამჟღავნების ერიდებათ. ფსიქოლოგები განმარტავენ, რომ სუსტ სქესს გაორებული გრძნობები ახასიათებს. ე.ი. შეგვიძლია გვიყვარდეს ადამიანი და ამავდროულად მასზე ვბრაზობდეთ. გვსურს, შვილები გვერდით გვყავდეს, მაგრამ ამასთან ერთად დასვენებასა და სიმშვიდეზე ვოცნებობთ. ამიტომ სრულიად ნორმალურია, გვიყვარდეს ახლობლები და ზოგჯერ მარტო ყოფნა ვისურვოთ.

ახალ წელს რომ მარტო უნდა შეხვდეთ, ამას უბედობას ნუ მიაწერთ — საღამოს გაიფუჭებთ. უმჯობესია, ყურადღების ფოკუსი შეცვალოთ. გააცნობიერეთ, რომ თეორიულად სრულიად შესაძლებელია ვინმე სტუმრად მოიწვიოთ ან თავად ეწვიოთ, მაგრამ იღბლიანად აწყობილი სიტუაციით სარგებლობთ, სურვილს ისრულებთ — წინ მშვენიერი ღონისძიება გელით.

### მარტო, მაგრამ არა მარტოხელა

თუ ახლობლები თქვენგან შორს არიან, ეს არ არის საბაბი, ახალი წელი ტელეფონით, სმს-ით, სკაიპით (ყველა საშუალება კარგია) არ მიულოცოთ. სხვათა შორის, დიასახლისი, რომელიც ახალ წელს დიდ ოჯახთან ერთად ხვდება, ხშირად ვერ ასწრებს, ყველას მიულოცოს ახალი წელი. ზოგჯერ ისე ხდება, რომ ზოგიერთ მეგობარს მხოლოდ დღესასწაულზე ვუკავშირდებით. ახლა, როდესაც დღესასწაულს მარტო აღნიშნავთ, სწორედ რომ დროა, ყურადღება დაუთმოთ ადამიანებს, რომლებიც დიდი ხანია არ გინახავთ და გენატრებათ.

არის კიდევ ერთი მომენტი. თუ ახალი წლის ღამეს მარტო დარჩით იმიტომ, რომ ვიღაცასთან ნაჩხუბარი ხართ, შანსი გეძლევათ, თქვენ შორის ხიდი აღადგინოთ. ყველაფერი ცუდი 2013 წელში დატოვეთ. შეურიგდით ან უბრალოდ თქვენთვის საყვარელ ადამიანთან შესახვედრად პირველი ნაბიჯი გადადგით.

### ნამდვილი სუფრა

თუ სახლში მარტო ხართ, ეს სადღესასწაულო სუფრაზე უარის თქმას არ ნიშნავს. მოამზადეთ სწორედ ის, რაც ძალიან გიყვართ. თუ ოჯახურ წრეში შეხვედრისას ყველას ინტერესის გათვალისწინება გიწევდათ, ახლა დღესასწაულის ყველა ატრიბუტი თქვენთვისაა.

აუცილებლად მოამზადეთ საყვარელი კერძები, საახალწლო გადაცემები ან ფილმი ჩართეთ, საყვარელი სასმელი დაისხით. ყველაზე მთავარი — ამ საღამოს ყოველი წამიდან სიამოვნება უნდა მიიღოთ. ეს ღამე საკუთარის თავის დღესასწაულად აქციეთ. გააკეთეთ ის, რაზეც ძალა და დრო არ გყოფნიდათ.

როგორც წესი, ახალი წლის ღამეს ქალაქს არ სძინავს. ზოგჯერ მხიარული დღესასწაულის მაჩვენებლად გარიჟრაჟამდე გარეთ სეირნობა ითვლება. ახლა შეგიძლიათ თავად გადაწყვიტოთ, ახალ წელთან შეხვედრა როდის დაიწყოთ და დაამთავროთ. შეიძლება დიდი ხანია გსურთ დასვენება და კარგად გამოძინება? თავს ამაზე უარს ნუ ეტყვით. ახალი წლის დაწყება თუნდაც პატარა სურვილის ასრულებით ძალიან კარგი ნიშანია.

რჩევა. ყველაფერი, რაც გაღელვებთ ან არ გაწყობთ, ქაღალდზე დაწერეთ ან თქვენი პრობლემები დახატეთ. ახლა განწყობილი ხართ სურვილების ასრულებაზე. ხოლო ძველი პრობლემა-სიძნელეების ღუზას, რომელიც ქვევით გეწეოდათ, უკვე თქვენზე ძალა აღარ აქვს.

# ახალ წელს დასრულებული საქმეებით შეხვდით

ყველას გვსურს, ახალ წელში დაუსრულებელი საქმეები და ვალები არ გადავიტანოთ, მაგრამ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მაინც დეკემბრის ბოლოსთვის ვიტოვებთ და ყველაფერს ერთბაშად ვაწყდებით. ახალ წელს კი უსიამოვნო შეგრძნებით ვხვდებით, რომ რაღაცის გაკეთება ვერ მოვასწარით, დასახული ამოცანები ვერ დავამთავრეთ.

მოდით, შევეცადოთ, 2014 წლის დასაწყისი მსგავსი განცდებით დამძიმებული არ იყოს. ამისთვის საჭიროა ერთბაშად ორი მიმართულებით მუშაობა: სწრაფვა იმის დასრულებისკენ, რაც შესაძლებელია და სწავლა, მშვიდად მივუდგეთ იმას, რომ ზოგიერთი საქმის მომავალ წელს გადატანა მოგვიწევს.

### კითხვა-პასუხი

თუ გრძნობთ, რომ რაღაც მნიშვნელოვანი საქმის დანიშნულ ვადაში დამთავრებას ვერ ასწრებთ, ეცადეთ, ასე მოკლე დროში მისი შესრულების აუცილებლობა კიდევ ერთხელ შეაფასოთ. თავს რამდენიმე კითხვა დაუსვით და ყოველ მათგანზე სამი პასუხი გაეცით. კითხვები დახლოებით ასეთია: „რატომ უნდა დავამთავრო ეს სწორედ ახალი წლის წინ?“, „რა მოხდება, ვადაში თუ ვერ დავასრულებ და მომავალ წელში გადავიტან?“, „ვინ ან რა დამეხმარება ამ ამოცანის შესრულებაში?“ ამ კითხვებზე პასუხის გაცემით თავად დაინახავთ, შემდეგ რა და როგორ გააკეთოთ.




### სიდიდის მიხედვით

ადამიანი მიდრეკილია, თავისი შესაძლებლობები გადაჭარბებით შეაფასოს და ყოველთვის ცდილობს, ამოცანის მაქსიმუმი შეასრულოს, მაგრამ ერთი უბედურება სჭირს — პრიორიტეტების სწორად განაწილება არ იცის.

ფურცელზე სვეტში ჩამოწერეთ ყველაფერი, რის შესრულებასაც მომავალ წელს გეგმავთ. დაწერეთ დაუფიქრებლად და იერარქიის დაუცველად. როდესაც სიას დაამთავრებთ, შემდეგ მისი დამუშავება დაიწყეთ. პირველად გადახაზეთ ყველაფერი, რაც ობიექტურად შეუსრულებადია ან ნამდვილად მნიშვნელოვანი არ არის. შემდეგ შემოხაზეთ ამოცანები, რომელთა შესრულება სასურველია, მაგრამ თუ რაიმე მოხდება, მათი დამთავრება მომავალ წელს შეიძლება. დარჩენილი საქმეები მნიშვნელობის სიდიდის მიხედვით დაალაგეთ. უკვე გაქვთ ზუსტი გეგმა, რომელიც უნდა დაიცვათ.

### საყოველთაო მობილიზაცია

თუ რაიმე დაგეგმილი ამოცანა ახალ წლამდე აუცილებლად უნდა შეასრულოთ, მაშასადამე, ის პირველ რიგში უნდა დაამთავროთ, ამისთვის ძალა და დრო არ დაიშუროთ.

გახსოვდეთ, თავის მიმართ შემწყნარებლობა არ გამოიჩინოთ და სხვა საქმეზე არ გადაერთოთ, თუ მოცემული ამოცანა თქვენთვის ნამდვილად პრიორიტეტულია. ყველა დანარჩენს მთავარი საქმის დასრულების შემდეგ შეუდგებით.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black



**— ჩემი საცოლე ძალიან ჰგავს დედამისს. დედამისი კი ძალიან ჰგავს თავის დედას...**

**— მატრიოშკებს ესიძები, შე ჩემა?**

## ქართული ანეკდოტები

ძუკუ ძმაკაცს უყვება:

— გუშინწინ კბილი ამტკივდა. ამოსაღებიაო, ექიმმა მითხრა. ეჯაჯგურა გაზით, ეჯაჯგურა, მარა ძვრაც ვერ უყო. ავდექი მერე და მატარებლის ბოლო ვაგონს გამოვაბი თოკით. არ გამევიდა არაფერი. გაქაჩა მატარებელმა, აბუქსავდა რელსებზე და ბოლოს გადაბრუნდა.

— აბა, კბილები რომ აღარ გაქვს, როგორ მოხერხდა?

— სადგურის უფროსმა მიმალეწა.

❖ ❖ ❖

— გავიგე, მეთოთხმეტე ბიჭი შეგძენია. გილოცავ, ჩემო ძამია. რა დაარქვი?

— ლუდოვიკო.

❖ ❖ ❖

— გუშინ ჩემი საცოლის მშობლები გავიცანი და ღვიძლი შვილივით მიმიღეს.

— მაინც როგორ?

— მამამისმა მაგინა და თავ-პირი დამიმტვრია.

❖ ❖ ❖

— ექიმო, პირდაპირ არ ვიცი, მადლობა რითი გადაგიხადოთ!

— ფულით, ჩემო კარგო, ფულით!

❖ ❖ ❖

ცოლმა ქმარი სხვა ქალთან შეისწრო:

— შე სასიკვდილე, ეგაა, სხვა ქალთან აღარ გავივლიო? მაინც ვინაა ეს ლილიპუტი!

— გაჩერდი, ქალო, ნელნელა ვამცირებ, აპა, ერთბაშად ადვილია?!

❖ ❖ ❖

— საიდან მოიტანე ეგ ოქროს ყელსაბამი?

— პლაჟზე ვიპოვე ურექში.

— ალბათ სილაში, ხომ?

— ხო, სილაში იყო ჩაფლული პატრონი. ძლივს მოვაგლიჯე ყელიდან.

❖ ❖ ❖

ქმარი სათევზაოდ მიდის. ჭიშკართან ცოლმა ხმა დააწია:

— ანკესი გრჩება, ანკესი!

— ანკესი რათ მინდა, ქალო, ფული მიმაქვს.

❖ ❖ ❖

— დედიკო, — ეუბნება ბიჭი დედას, — ლიკა თუ არ შევირთე, გავგიჟდები.

— ეგ პროცესი მერე უფრო დაჩქარდება, შვილო.

❖ ❖ ❖

— ალო, ფსიქიატრი ხართ? ექიმო, მე ვფიქრობ, რომ მალე გავგიჟდები.

— რა სულსწრაფობაა. მერე ვერ დარეკავ?!

❖ ❖ ❖

— კაკოია, წამო რა, რესტორანში.

— არ მინდა დღეს დალევა.

— ნუ დალევ, თუ ასე არ გინდა.

— აპა, რეიზა წამევიდე?

— ფული გედეიხადე შენ, მეტი არაფერი.

❖ ❖ ❖

— კოწიას ხომ იცნობ?

— მაი რომელია?

— ციხის პირდაპირ რომ კორპუსია, იქ ცხოვრობს.

— აა, მაგას რავა არ ვიცნობ, მარა ახლა კორპუსის პირდაპირ რომ ციხეა, იქ ცხოვრობს.

❖ ❖ ❖

ტელეფონის ზარია. კაცი ყურმილს იღებს:

— ხო, დედა... მე ვარ... მე რატომ ავიღე და ცოლს ვეჩხუბე... ცუდია, რომ არ დაგიჯერე. ხომ მეუბნებოდი, გიჟია ეგ ქალი, გაგამწარებსო... ეჰ, რაღა დროს... უტვინოა საერთოდ, არაფერი მაგას არ ესმის... ახლა სხვა კაცებსაც უთხლაშავს იმ ჩალურჯებულ თვალებს... ვინ ჩაულურჯა და მე... გინდა, გალაპარაკო? ახლავე... ქალო, აჰა, ელაპარაკე დედაშენს!

❖ ❖ ❖

ქუთაისელი უდაბნოში მოხვდა. მალე წყალი გაუთავდა და იბრიდება. უცებ ბედუინი გამოეცხადა და წყალი მიაწოდა. ქუთაისელმა ძლივს გამოახილა თვალი და ეკითხება:

— ცივია, სიმონ?!

❖ ❖ ❖

— წარმოგიდგენია? 60 წლის ვხდები და ახლა მომყავს ცოლი პირველად!

— აბა, კაცო?! ვინ რა იცის, სად გიმტყუნებს ფორტუნა!



**— თქვენი ნამუშევრით ოდესმე აღტაცებაში მოსულხართ? — ეკითხება ჟურნალისტი მხატვარს.**

**— კი, ერთხელ.**

**— კერძოდ როდის?**

**— როცა ერთმა დეგენერატმა გამოფენიდან ჩემი ნახატი მოიპარა.**



**— მორჩა, მეტი აღარ შემიძლია! — მუშტი დაარტყა მაგიდას ქმარმა, — აღარ შემიძლია ამდენი უთოობა, თეფშების რეცხვა, არა! მორჩა! გათავდა!**

**— რაო, რა გათავდაო? — წინ დაუდგა დოინჯშემოყრილი ცოლი.**

**— მმმასტიკა, ქალო, მასტიკა გათავდა.**



**გურული თბილისში ჩაესიძა. წლისთავზე სოფელში ჩავიდა. შემოეხვივნენ მეზობლები და კითხვები დააყარეს:**

**— რაფრა გრძნობ თავს ჩასიძებულის პირობაზე?**

**— მესამეკლასელი ბალანასავით.**

**— მაი რაფერ?**

**— სიგარეტს უბორნიაში ვეწევი ჩუმათ.**

**ექიმი: რა გაწუხებთ, ბებო?**

**ბებო: ეჰ, მაგის ჩამოთვლას მთელი დღე უნდა, შვილო. მოდი, იმას გეტყვი, რა არ მაწუხებს.**



✔ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები






Cyan Magenta Yellow Black

ჯეკ უები

# სასწაული პირიქით

შეიძლება ითქვას, რომ დავა ჩემსა და პოლ მელკორს შორის ფულის გამო წარმოიშვა. იმ სადაზღვევო ფირმიდან, სადაც ვმუშაობ, მას მილიონი დოლარის მეოთხედის მიღება სურდა, მე კი ამის წინააღმდეგი ვიყავი. საქმე იმაშია, რომ პოლ მელკორს თაღლითად ვთვლიდი, მაგრამ ამის დამტკიცება, სამწუხაროდ, არ შემეძლო.

ჯერ ერთი, მე, როგორც სადაზღვევო ფირმის ნებისმიერი თანამშრომელი, ადამიანებს თავიდანვე არ ვენდობოდი და ვთვლი, რომ სულ იმის ცდაში არიან, ფული როგორ დაგვცინცლონ. მეორეც, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ქერათმიანი ლამაზმანი თავის ცხოვრებას იმ მამაკაცს დაუკავშირებდა, ვეღარასოდეს რომ ვერ გაივლიდა.

ამ მაღალ, გრძელფეხება ლამაზმანს თოჯინასავით სახით მეი ფრანსი ერქვა. სასამართლო დარბაზში ის ერთხელაც არ გამოჩენილა. ცხადია, თავად პოლიც არ დასწრებია პროცესს, რომელიც მოწმეებისა და მედიცინის ექსპერტების მოსაწყენი ჯვარედინი დაკითხვების ფონზე მიმდინარეობდა. ის დარბაზში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა.

— ბატონებო და ქალბატონებო, — მიმართა პოლის ადვოკატმა ნაფიც მსაჯულებს, როცა საკაცე მის გვერდით დაუშვეს, — თქვენ წინაშე ტრაგედიის შედეგია. ოდესღაც პოლ მელკორი დადიოდა და ცხოვრებით ტკბებოდა. ახლა ის ვეღარასოდეს წამოდგება და ერთ ნაბიჯსაც კი ვეღარ გადადგამს ძველებურად. ჩნდება აზრი: ასეთ სიცოცხლეს იქნებ სიკვდილი სჯობდეს?

მელკორი შესანიშნავი მსახიობი იყო. ის საკაცეზე უშფოთველი სახით იწვა, გულში, უეჭველია, თავისი გენიალური გეგმით აღტაცებული. ნაფიცი მსაჯულების გაფაციცებული ინტერესი კი ადვოკატის მიმართ სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა.

არა, უბედური შემთხვევა ნამდვილად მოხდა. ჩემი ფირმის კლიენტი ის სატრანსპორტო კომპანია იყო, რომლის საკუთრებასაც ინციდენტის მონაწილე სატვირთო მანქანა წარმოადგენდა.

მოკლედ, პოლი ქუჩაზე არც გადასულა, ტროტუარზე იდგა. ასე რომ, გაუფრთხილებლობას მას ვერავინ დასწამებდა. ეს ფაქტი, ცხადია, მის სასარგებლოდ მოქმედებდა. საბარგოს, უბრალოდ, მუხრუჭებმა უმტყუნა, ტროტუარზე გადავიდა და მელკორი აგურის კედელზე მიაბჯინა.



უდავოა, პოლს მორალური ზიანისთვის ერთი-ორი ათასი ნამდვილად ეკუთვნოდა, მაგრამ მეტი არა. მას რომ სერიოზული დაზიანება მიეღო, საზღაური ალბათ გაცილებით მეტი იქნებოდა.

არადა, რეალური სიტუაცია სხვაგვარი იყო. პოლ მელკორი ირწმუნებოდა, რომ ავარიამ მისი პარალიზება ანუ დამბლა გამოიწვია. ექიმები ნერვების დაზიანებაზე რაღაცას კი ამბობდნენ, მაგრამ კითხვაზე, პარალიზებული იყო თუ არა მელკორი, ზუსტი პასუხი არ ჰქონდათ.

ჩვენ, ცხადია, გულხელდაკრეფილი არ ვიყავით, მასზე თვალთვალი გადავწყვიტეთ და ამ მიზნით მედდაც კი მოვისყიდეთ. პალატაში პატარა კამერაც დავაყენეთ, მაგრამ ეს წყეული მელკორი ერთხელაც არ განძრეულა, ერთხელაც არ შეტოკებია რომელიმე კუნთი ფეხებსა და კისერს შორის.

იმის გამოცნობას, თუ რით დასრულდებოდა სასამართლო, დიდი გამჭრიახობა არ სჭირდებოდა. ბოლო წლების პრაქტიკა აჩვენებდა, რომ მსგავს შემთხვევებში ნაფიცი მსაჯულები თითქმის ყოველთვის მოსარჩელის მხარეს იჭერდნენ და მისთვის მსხვილი კომპენსაციის გადახდას ადგენდნენ. მელკორი მილიონის მეოთხედს ითხოვდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ის ამ თანხას მიიღებდა.

❧

ამ ყველაფრის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნას შევუდექი. რაკი სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, პოლ მელკორის წარსულის ქექვა გადავწყვიტე და ასეც მოვიქეცი, რამაც სწორედ იმ ქერათმიან ლამაზმანზე გამიყვანა, ზემოთ რომ ვახსენე და მეი ფრანსი ერქვა.

მელკორი კვირაში ორასამდე დოლარს გამოიმუშავებდა, რაც მარტოხელა მამაკაცისთვისაც კი ბევრი არ იყო. მას უბრალოდ ეცვა, ბანკის ანგარიში კი საკმაოდ მოკრძალებული იყო.

რა რჩებოდა? სმა და ქალები, ამიტომ ქალის ძებნას შევუდექი და მეი ვიპოვე. „ოაზისში“, სადაც ის მუშაობდა, მითხრეს, რომ არავინ ჰყავდა. ცოტა ხანს მის სიმღერასაც ვუსმენდი და მივხვდი, რომ ხმა საერთოდ არ ჰქონდა. მოკლედ, ბარში იმიტომ მიიღეს, რომ საღამოს შემოტმასნილ კაბაში საკმაოდ მიმზიდველად და სექსუალურადაც კი გამოიყურებოდა. იქვე შედგა ჩვენი მოკლე დიალოგიც.

— პოლი აქ ალბათ ხშირად იყო, — ვივარაუდე მე.

— თითქმის ყოველ საღამოს, — დამიდასტურა მეიმ.

— მიუხედავად ამისა, თქვენ ის საავადმყოფოში ერთხელაც არ მოინახულეთ, — შევნიშნე ერთგვარი ნიშნის მოგებით.

— დრო სულ არ მაქვს, — აიჩეჩა მხრები მეიმ, — სამუშაოა ბევრი... ისე კი, შეგიძლიათ პოლს გადასცეთ, რომ მას არ ვეკუთვნი.

— კარგით, ვეტყვი, — მივუგე და ბარი ისე დავტოვე, ვაიმომღერალს არც დავმშვიდობებივარ...

❧

სასამართლო პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენ წავაგეთ და მელკორისთვის 180 000 დოლარის გადახდა დაგვეკისრა.

— კი მაგრამ, ეს ხომ დღისით-მზისით ჩადენილი ნამდვილი ძარცვაა! — შევჩივლე ბოსს გაბრაზებულმა.

— გეთანხმები, როგან, — მომიგო მან, — მაგრამ სხვა რა ძალა გვაქვს? იქნებ შენ დაგებადა რამე იდეა?

— მხოლოდ ერთი იდეა, — ნაღვლიანად ამოვიოხრე, — მელკორის თვალთვალი გავაგრძელოთ და გავარკვიოთ, როგორ დახარჯავს 180 000 დოლარს პარალიზებული ადამიანი.

ეს მართლა მაინტერესებდა, თუმცა, რაიმე კონკრეტული მოსაზრება ნამდვილად არ გამაჩნდა. ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ დრო თუ გასცემდა.

❧

სასამართლოს დასრულებიდან მალე უცნაური მოვლენები განვითარდა. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მეი ფრანსმა „ოაზისი“ დატოვა. ჩემი ვარაუდით, რაც მალე დადასტურდა კიდეც, მან ბოლოს და ბოლოს იპოვა მამაკაცი, მის ჩვეულ ცხოვრების დონეს რომ უზრუნველყოფდა. ცხადია, ვხვდებოდი, რომ ეს მამაკაცი პოლ მელკორი იყო, მაგრამ მაინც გამიკვირდა, ჩემი ეს ვარაუდიც რომ გამართლდა.

სასაცილოც იყო და დაუჯერებელიც, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ბარის ყოფილი მომღერალი, მიმზიდველი მეი ფრანსი უბრალო მომვლელად იქცა. კიდევ უფრო დაუჯერებელი კი ის იყო, რომ ის და მელკორი დაქორწინდნენ!

ცხადია, პოლი სულელი არ იყო. ის ხვდებოდა, დამარცხებას რომ არ შევურიგდებოდით და არც მისი არსებობა დაგვავიწყდებოდა. თუ თაღლითობის ფაქტის დამტკიცებას შევძლებდით, ჩვენს ფულს



Cyan Magenta Yellow Black

დავიბრუნებდით. რაც შეეხება მათ ქორწინებას, ამას აშკარა თაღლითობის სუნი ასდიოდა.

იმ დროისთვის უკვე ვხვდებოდი პოლ მელკორის აზრების მდინარებას. აშკარაა, რომ მეი ფრანსზე ის თავიდანვე ფიქრობდა. ეს ქალი თაღლითობის შედეგი კი არა, მისი წინაპირობა იყო. ახლა, როცა პოლს მედდის გადასახდელი ფული ჰქონდა, ისიც უნდა გაერისკა, რომ თავისი ქერათმიანი ცოლისთვის სხვა სიამოვნებებიც მიენიჭებინა...

საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მელკორი საცხოვრებლად სამოთახიან ბინაში გადავიდა, რომელიც საკმაოდ პრესტიჟულ რაიონში მდებარეობდა. ერთი საძინებელი „პალატა" იყო, სადაც ინვალიდი იწვა, მეორეში კი მეის ეძინა, მის ერთადერთ მომვლელსა და მეუღლეს. ამასთან დაკავშირებით მელკორმა აშკარად გადაამლაშა. ცნობისწადილით შეპყრობილს სიფრთხილე გადამავიწყდა და ბედნიერ ოჯახურ წყვილთან სტუმრობა გადავწყვიტე.

კარი, ცხადია, ქერათმიანმა ლამაზმანმა გამიღო. მას ცისფერი აბრეშუმის ბლუზონი და ვიწრო, ყვითელი შარვალი ეცვა. ისე გამოიყურებოდა, როგორც ბარის მომღერალს შეშვენის შინ ყოფნის დროს.

ურთიერთმისალმების შემდეგ მეი „პალატაში" შემიძღვა და გაუნძრევლად მწოლიარე მელკორს მიმართა:

— ეს არის ის ადამიანი, რომელმაც შენზე თქვა, მეგობრები ვართო.

ქალს, როგორც ჩანს, მოყოლილი ჰქონდა ჩვენი შეხვედრის შესახებ ბარ „ოაზისში".

— არავითარი მეგობრები, — თქვა მკაცრად მელკორმა, — რისთვის მოხვედი, როგან?

— მინდა, ვნახო, ჩვენს ფულს როგორ ხარჯავ, — მივუგე გულწრფელად.

— რა შენი საქმეა?

— რაღაც ეჭვები არსებობს, რომლის გარკვევაც მინდა.

— რა ეჭვები?

— მშვენიერი ქერათმიანი ლამაზმანები შენნაირ ინვალიდებზე არ თხოვდებიან.

— მეის უანგაროდ ვუყვარვარ, — თქვა პოლმა, — ფული აქ არაფერ შუაშია.

— პირველი შეხვედრისთანავე მივხვდი, ფლორენს ნაიტინჰეილს რომ ჰგავს.

— როგან, შენი უბედურება ისაა, რომ ყველაფერს დოლარებითა და ცენტებით საზღვრავ.

— გეთანხმები, — ავიჩეჩე მხრები, — ასეთი თვისება ნამდვილად მაქვს.

— ახლა რის გაკეთებას აპირებ? — დაინტერესდა პოლი.

— ჯერ არაფრის, მელკორ, ჯერჯერობით მაინც. თუმცა, რომ იცოდე, საზღვარი მოთმინებასაც აქვს.

ჩვენ რამდენიმე წამის განმავლობაში დაჟინებით შევაცქერდით ერთმანეთს. ამ დროს ის ერთხელაც არ შეტოკებულა, რაც მისი მსახიობური ნიჭის კიდევ ერთი დადასტურება იყო.

— როგან, თავს აღარ დამანებებ? — შემეკითხა ბოლოს.

— გამოიცანი. სიცოცხლის ბოლომდე თვალს არ მოგაშორებ.

ჩვენ შესანიშნავად გვესმოდა ერთმანეთის. მე მეზიზღებოდა პოლ მელკორი. ის ჩემთვის იდეა-ფიქსი გახდა. ახლაღა მივხვდი, ეს გრძნობა ორმხრივი რომ იყო. მელკორი ჩემში მოსისხლე მტერს ხედავდა, ერთადერთ ადამიანს, იდილიურ ცხოვრებას რომ დაურღვევდა, ფულებითა და ქერათმიანი ლამაზმანით ტკბობის სიამოვნებას ჩააშხამებდა.

— მელკორ, შენს თვალთმაქცობას თავიდანვე მივხვდი, ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, თაღლითი რომ ხარ.

— ჩემთვის მთავარი ისაა, ფული რომ უკვე მივიღე, — შემახსენა მან.

— ჰო, ოღონდ არც ის დაგავიწყდეს, მშვენიერი ქერათმიანები თავიანთ ცხოვრებას უმწეო ინვალიდებს რომ არ უკავშირებენ, — შევნიშნე ჩემი მხრივ.

— მაგ ბოდვის მოსმენას არც ერთი მოსამართლე არ დაიწყებს, — ჩაიცინა პოლმა.

— სასამართლოში ჩივილს არც ვაპირებ. გაცილებით ქმედითი ხერხი მოვიფიქრე.

— ასეთი რა ხერხია? — დაინტერესდა „ინვალიდი".

— თვალს არ მოგაცილებ. აქ შენთან სიმყუდროვეა. ბინაში თქვენ გარდა არავინ არის. არავინ იცის, გაუნძრევლად წევხარ თუ ყოჩაღად დადიხარ... მაგრამ, მელკორ, ასე ცხოვრებას უსასრულოდ ვერ გააგრძელებ. ახლა რამდენად მყუდროდაც უნდა იყო, მთელი ცხოვრება ამ ბინაში ვერ დაიმალებით. მაინტერესებს, სადამდე გეყოლება გამოკეტილი ამ გალიაში ისეთი ლამაზი ქალი, როგორიც შენი მეორე ნახევარია? ფანჯრებს მიღმა ჩირაღდნები კიაფობენ, სიცოცხლე დუღს, შენ კი გაქვს ფული, რომლითაც ყველაფერს იყიდი, რასაც მოისურვებ, მაგრამ ამისთვის ჯანმრთელი უნდა იყო და ამ ციხეში არ უნდა იჯდე. მელკორ, მითხარი, რამდენ ხანს გაძლებს მეი ამ საკანში?

მივხვდი, მტკივან ადგილს რომ მოვახვედრე. მელკორის თვალები წამით ბრაზით აენთო, მაგრამ თავს მალე მოერია და ჩაიქირქილა:

— როგან, რაკი აღარ მეშვები, გეტყვი იმას, რაც ჯერ არავისთვის მითქვამს. მე და მეი აქ დიდხანს არ დავრჩებით. წავალთ და იქ ვიცხოვრებთ, სადაც, როგორც შენ თქვი, სიცოცხლე დუღს.

— მართლა? საინტერესოა, დამბლადაცემული კაცი ამას როგორ მოახერხებ?

— ვინ იცის, — იდუმალი ღიმილით მომიგო მან, — ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება, გამოვჯანმრთელდე?..

როგორც ჩანს, მელკორი ჯეროვნად ვერ შევაფასე. ქორწინება თავისთავად საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო, მაგრამ მისმა ბოლო სვლამ ყველა წინანდელი დაჩრდილა. ამის შესახებ შემთხვევით გავიგე და მაშინვე მის ბინაში გავქანდი...

წყვილი გამგზავრების სამზადისში იყო. იატაკზე ორი სკივრი და ათამდე ჩემოდანი იდგა, ალბათ ქალის იმ ტანსაცმლით გატენილი, რომელიც მეი ფრანსმა ჩემი კომპანიის ფულით შეიძინა. კუთხეში საკაცე შევნიშნე ზედ გაშოტილი პოლით, მის სიახლოვეს კი ორი ჯანმაგარი ყმაწვილი, რომლებსაც, როგორც ჩანს, საკაცის ტარება ევალებოდათ.

— როგან, თვალებს არ ვუჯერებ, — ჩვეული მანერით ჩაიქირქილა პოლმა, — რას ვიფიქრებდი, ჩემს გასაცილებლად თუ მოხვიდოდი.

— ანუ, რაც ადრე თქვი, სიმართლეა?

— აბა, გეხუმრე?

— არა, მაგრამ... ასე მოულოდნელად...

— როგან, შენ, ცხადია, არ იცოდი, მე რომ ღრმადმორწმუნე ადამიანი ვარ, ოღონდ ეს ეკლესიაში სიარულს არ გულისხმობს.

— მაშ, რას?

— მე ჩემი სულის სიღრმეში მჯერა.

— სასწაულების?

— გამოიცანი. იმედი მაქვს, რომ კამაფეოში განვიკურნები.

— მართლა? — ყასიდად გავიკვირვე, — მაგ სოფელზე მეც მსმენია რაღაც-რაღაცეები და დავინტერესდი კიდეც. პოლ, მეც ხომ არ გამოგვყოლოდით, ჰა?

ახლა უკვე პოლმა შემომხედა გაკვირვებით:

— შენც რამეს უჩივი?

— არა, არა, სერიოზული არაფერია, თუმცა... ვინ იცის... — დავამატე მრავალმნიშვნელოვნად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი






Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

# ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-51

www.facebook.com/Tinatinbonney

## თავი 22

ბედნიერებისგან ვანათებ. ზომიერად გამოპრანჭული ვარ. ირაკლი ავტომობილში ზის და მელოდება. წვერი არ მოუპარსავს და ძალიან უხდება, აი, ძალიან! ვაღებ კარს და ავტომობილში ვჯდები. მიღიმის და ლოყაზე ვკოცნი.

— წავედით? — მეკითხება.

— წავედით, — ვპასუხობ გაბადრული.

ავტომობილი ადგილიდან იძვრის. ფანჯარას ვწევ, რომ ჰაერი მომხვდეს, გული მაქვს ამოვარდნაზე. ირაკლი მუსიკას რთავს. ხმას არ ვიღებთ, მაგრამ კარგად ვართ. ალმაშენებლის ხეივანში ვჩერდებით. მანქანიდან გადავდივართ და რესტორანში შევდივართ. მაგიდა დაჯავშნულია და ოფიციანტი დანიშნულების ადგილამდე გვაცილებს. ვსხდებით.

— ძალიან მშია, — ირაკლი მენიუს იღებს.

— უკვე მეც. თევზი მინდა.

— მე არ ვიცი, ჯერ რა მინდა.

— უცებ შევუკვეთოთ და ინდოეთზე მომიყევი.

ირაკლის ეღიმება.

— რა გაცინებს?

— რომ წამომყოლოდი, სულ სხვანაირი გამოცდილება იქნებოდა.

— ანუ, კარგი თუ ცუდი?

— სხვანაირი.

ოფიციანტი მოდის და შეკვეთას ვაძლევთ.

— შენ რას შვრებოდი აქ უჩემოდ? — ირაკლი თვალს მიკრავს.

— არც არაფერს ისეთს.

— ზურა სადღა მოჩხრიკე, გაფიცებ!

ვახველებ.

— გაცივდი?

— ხო, ცოტა, — ვფიქრობ, რა ვთქვა ზურაზე.

არ უნდა ვთქვა, რომ ირაკლის ტელეფონში ვიპოვე მისი ნომერი. ეს რომ ვთქვა, ირაკლი წავა. აბა, რა ვთქვა?

— უიმე, რა დროს ზურაა, ინდოეთზე მომიყევი! — ვცდილობ, ყურადღება გადავატანინო.

— ინდოეთი იყო საოცრება. გაგიჟდებოდი, ისე მოგეწონებოდა.

— მაინც რა?

— სილამაზე, სიმშვიდე, სხვა რიტმია, სხვა ფასეულობები.

— გინდა, ხო, უკან?

— მინდა, რა, პრინციპში, კი მინდა.

ოფიციანტს სასმელი მოაქვს. ღვინოს გვისხამს და გვტოვებს.

— ჩვენ გაგვიმარჯოს, — ირაკლი მიჭახუნებს.

— გაგვიმარჯოს, — ყლუპს ვაკეთებ.

— ძალიან ლამაზი ხარ, — თვალს არ მაცილებს ირაკლი.

— მადლობა, — ვუღიმი.

— იცი, ინდოეთში იმას მივხვდი, რომ დრო ფუჭად არ უნდა დაკარგო და ცხოვრებით უნდა დატკბე.

— ეს ინდოეთმა გასწავლა თუ ვინმემ კონკრეტულად? — არ ვიცი, რატომ ვეკითხები ამას.

— ნუ, ორივემ.

— დარწმუნებული ვარ, კარგი გოგოა.

— მართლაც კარგი გოგოა.

ოხ, როგორ მაღიზიანებს ამ თემაზე საუბარი!

— და სად არის აქ ჩემი ადგილი?

— აი, მაგის გასარკვევად ვართ ახლა აქ.

— ჩემი ადგილის?

— ჩვენი გრძნობების.

— კიდევ კარგი, „ჩვენი“ თქვი და არა „შენი“, — მეცინება.

— ანუ „შენი“ არსებობს? — თვალს მიკრავს.

— შეიძლება არსებობს.

ოფიციანტს საჭმელი მოაქვს და მაგიდაზე ალაგებს.

— ძლივს! — ამბობს ირაკლი და ჩანგალს იმარჯვებს.

ვუყურებ ირაკლის. მინდა, რომ აგვეწყოს. პირველად მინდა, რომ სხვა ადამიანს ვეკუთვნოდე.

— ძალიან გემრიელია, — ამბობს ირაკლი.

— აქ საერთოდ კარგი საჭმელია.



— ხო, აქებდნენ და მე კი არ ვიყავი ნამყოფი.

— მართლა?

— ხო. არ მომიწია.

— აქ ყველა არის ნამყოფი.

— ჩემ გარდა.

ჩვენ გვერდით მაგიდასთან ორი გოგონა ზის. აქამდე არ მიმიქცევია ყურადღება და ახლა ვამჩნევ, რომ ირაკლის თვალს არ აშორებენ.

— გახედე იმათ, თორე გასკდნენ, — ვეუბნები ირაკლის.

— რა? — მეკითხება ჭამაში გართული.

— გოგოებმა შეგჭამეს თვალებით.

— ვინ გოგოებმა?

— გვერდით მაგიდასთან რომ სხედან.

ირაკლი გოგოებისკენ იხედება, ისინი კისკისს იწყებენ. ირაკლის ეცინება.

— ხომ არ დაგტოვოთ? — ვამბობ სერიოზულად.

— ეჭვიანობ?

— ჩემდა გასაკვირად, კი!

— შენ ასეთი არ მახსოვხარ, — ეცინება.

— ბევრი რამე შეიცვალა შენი წასვლის მერე.

— მაინც?

— ჩემი ყოფილი ქმარი გარდაიცვალა.

— უი, ვიზიარებ.

— მადლობა.

— კი იყო ახვარი, მაგრამ სასიკვდილოდ ყველა ცოდოა.

— მანამდე კი ცოლი მოიყვანა და მე მის ქორწილში ვიყავი სხვა კაცთან ერთად.

— ვაუ!

— გავამწარე საფუძვლიანად.

— მოიცა და, ვინ კაცთან ერთად იყავი?

— მეგობართან.

— მეგობართან? — ირაკლი წარბს წევს.

— საქმე მაგაში არაა. საქმე იმაშია, რომ წამი არ გასულა, არ მენანა, რომ არ წამოგყევი.

გაოგნებული მიყურებს.

— ვიცი, რომ ამ სიტყვებს ჩემგან არ ელოდი.

— მართლაც არ ველოდი.

— იცი, ამდენი წელიწადია, უბედური ვარ და შენ მავსებ რაღაცნაირად.

— იცი, მენატრებოდი.

— მართლა?

— ნუ, პერიოდულად, — ეცინება.

— გასაგებია. მაშინ, როცა სხვასთან არ გქონდა სექსი.

— მასე რომ ამბობ, საშინლად ჟღერს.

— საშინელებაა და იმიტომ!

— იმ წუთას სულაც არ იყო საშინელება, — ეცინება.

— ირაკლი!

ჩემი მობილური წკარუნობს. ზურაა. არც კი ვხსნი, ისე ვშლი შეტყობინებას.

— ვინ იყო?

— მეგობარი.

— რამდენი მეგობრები გყავს მოკლედ.

— ახლა შენ ეჭვიანობ?

— სულაც არა.

— მიდი, რა.

— იცი, ერთი ისტორია გამახსენდა...

— ქალებზე?

— არა.

— მაშინ მოყევი.

— მოკლედ, რამდენიმე წლის წინ ოფისში ვსხედვართ და ჩვენი თანამშრომელი დიზაინერი ყვება, როგორ დახატა კაკალზე ერთხელ ფრესკა და განვიხილავთ, რომ კურთხევა უნდა და რაღაცა, რა.

— აჰა.

— და ერთი სტაჟიორი გვყავდა, მახო... თუ ვახო...

— ხო, ნუ, რაც იყო.

— ხოდა, უცებ იძახის, ვახ, რა მაგარია, ვინმეს მერე ხეზე სასწაული ეგონებოდაო. გადავგორდით სიცილით.

— ვერ მივხვდი...

— ტიპს ეგონა, რომ ფრესკა დახატა იმენა ხეზე, ქუჩაში.

— კარგიიი!

— გეფიცები.



Cyan Magenta Yellow Black

— ვაიმე, არაა!
— გეუბნები, ნუ.
ვიცინი. ირაკლისაც ეცინება.
— და დეიდაჩემს რა დაემართა...
— რა?
— ფინეთში იყვნენ ეგ და დედაჩემი ახალგაზრდობაში წასულები. ხოდა დეიდაჩემს მოეშარდა, ვეღარ მოითმინა და შევარდა მშენებლობაზე.
— უკვე მეცინება.
— ხოდა, მოკლედ, ერთ ამბავშია და დაადგა მშენებელი კაცი და უყვირის. ამან თავი გაიშტერა და ვითომ პატარა ბავშვია, ეუბნება ბავშვის ხმით: „პისი, პისი“.
— ვაიმე ცუდად ვააარ, — ვხოხავ.
— იკაიფე, უბრალოდ, რა იდეინი ქალია. დედაჩემის დეიდაშვილია, მაგრამ მკვიდრი დეიდასავით მიყვარს.
— აუ, ამდენი კაი ხანია, არ მიცინია.
— შენი მეგობრები არ გაცინებენ ხოლმე?
— მორჩი, რა!
— მე და შენ ხშირად უნდა ვისადილოთ ერთად.
ირაკლის მობილური რეკავს და პასუხობს.
— ხო, დედა.
მეღიმება. დარწმუნებული ვარ, რომ ირაკლის დედა ძალიან საყვარელია.
— ვინ? — ირაკლის ფერი მისდის. ეს უკვე არ მომწონს.
— კარგი, დამალაპარაკე, — ამბობს დაბნეული და მე მიყურებს.
ნეტა, რა ხდება.
— არ გელოდი. კი, მალე მოვალ. გამიხარდა, აბა, რა, — ახლა აღარ მიყურებს.
ოფიციანტს ანიშნებს, რომ ანგარიში მოგვიტანოს. ვიძაბები. ტელეფონს თიშავს და საფულეს იღებს.
— რა ხდება, ირაკლი?
— მეგობარი ჩამომივიდა ინდოეთიდან.
— „ის“ მეგობარი? — ძლივს გამოვთქვამ სიტყვებს.
— ხო, ის, — თვალს მარიდებს.
— გასაგებია, — ფეხზე ვდგები.
ირაკლიც დგება და მივდივართ. გზაშიც არ ვიღებთ ხმას. უხმოდ გადავდივარ მანქანიდან და შევდივარ სახლში.

ზურა ჰალსტუხს ისწორებს. ალექსანდრამ არ უპასუხა. მისთვისვე უარესი. თუ გაუძალიანდება, ზურას მოუწევს, სხვა გზებს მიმართოს. ირაკლი აფუჭებს ყველაფერს. ირაკლი მოსაშორებელია. ხოდა, მოიშორებს კიდეცაც. ზურა ყველაფერს სწორად თვლის. ამ საღამოს სერიოზულ ხალხთან აქვს შეხვედრა, დიდ ფულზეა საუბარი, თუმცა ფულზე უფრო ახლა ის უხარია, რომ ირაკლის კარგი საღამო არ უნდა ჰქონდეს. ან შეიძლება პირიქითაც, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ალექსანდრა დარჩეს ისევ მარტო.

ალეწილი შევდივარ საძინებელში. არ მინდა, ცუდზე ვიფიქრო. იმედი მაქვს, ის გოგო წავა და ირაკლი ისევ ჩემკენ მოტრიალდება, თუმცა მე ეს არ ვიცი. ვწევები საწოლზე და ჭერში ვიყურები. სამსახური მჭირდება. ცოტა ფული მაქვს და რამე პატარა რომ გავხსნა, თავს გავიტან. საოჯახო საცხობი ან რამე. როგორ მინდა, ირაკლის მივწერო მესიჯი და ვთხოვო, რომ შანსი მომცეს. შევცდი! სანამ გადავიდოდი მანქანიდან, უნდა მეკოცნა და მეთქვა, რომ მიყვარს. მე კი გავჩუმდი და გავიყინე. ყველაფერი ჩემი ბრალია, როგორც ყოველთვის. ვიღებ მობილურს და ვურეკავ ნინიას.
— ალო, — მპასუხობს მთქნარებით.
— გეძინა?
— კინოს ვუყურებდი და ჩამთვლიმა. შენ რას შვრები?
— მოვედი სახლში და დავეგდე.
— რა გჭირს?
— ირაკლი.
— მეტრეველი?
— ხო.
— რა ხდება?
— მიყვარს, — ჩემივე სიტყვების გაგონებაზე ვკრთები.
— რას მეუბნები?
— ვაიმე, ნინ, არ ვიცი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი...
— მომიყევი.
— ინდოეთში რომ მიდიოდა, მითხრა, წამოდიო და მე არ წავყევი.
— მერე.
— მერე ვინანე და ახლა დაბრუნდა და საერთოდ გავგიჟდი.
— ხო ევასები მაგას?
— ცოტა რთული სიტუაციაა. გუშინ, მოკლედ, სადილზე გავედით.
— აჰა.
— და ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ბოლოსკენ დაურეკეს, რომ ინდოეთიდან ჩამოაკითხა შეყვარებულმა.
— შეყვარებული ჰყავს?
— არ ვიცი, ვინ არის ის გოგო მისთვის...
მართლაც... ნეტა, ვინ არის...

ირაკლი სახლში შედის. დედამისი და თინკა სამზარეულოში სხედან და ჩაის სვამენ. ირაკლის დანახვაზე თინკა სკამიდან ხტება და კისერზე ეკიდება.
— როგორ მომენატრე, — ლოყაზე კოცნის.
— მეც მომენატრე, — ირაკლი ეხუტება.
— ასეთი გოგო თუ გყავდა იქ, მესმის, წამოსვლა რატომაც არ გინდოდა, — ამბობს დედამისი.
თინკას ეღიმება და იმორცხვებს.
— კარგი, მე დაგტოვებთ, — დედამისი დგება.
— იყავით, ნუ წახვალთ.
— არა, შვილო, დაღლილი ვარ. ძალიან გამიხარდა შენი გაცნობა და ოთახიც მომზადებულია.
— სტუმრის ოთახი? — ირაკლის ეღიმება.
— ხო, — დედამისი ოთახიდან გადის.
— შენთან არ დამაწვინეს, — იცინის თინკა.
— არავინ გიმოწმებს, სინამდვილეში სად დაიძინებ, — ირაკლი მაგიდასთან ჯდება.
— ნუ მე შენთან მირჩევნია, — თინკაც ჯდება.
— არ გელოდი. რა სასიამოვნო სიურპრიზია, — ამბობს ირაკლი, მაგრამ დარწმუნებული არ არის, რომ უხარია.
— კაი, რას მაიმუნობ, — იცინის თინკა.
— რას ვმაიმუნობ?
— ბილეთი შენ მიყიდე და მაინც სიურპრიზია? რა საყვარელი ხარ.
ირაკლი ჩუმდება. ვიღაცამ უყიდა თინკას ბილეთი. ვიღაცამ, ვისაც სჭირდებოდა, რომ ირაკლის ყურადღება თინკაზე გადასულიყო. ამის თინკასთვის თქმა არ შეიძლება, გული გაუსკდება, მაგრამ, რომ არ უთხრას, იფიქრებს, რომ ყველაფერი სერიოზულადაა.
— თანაც ერთი გზა რომ იყიდე, მივხვდი, აქ გჭირდები და მზად ვარ, ვიყო შენთან.
თინკა დგება და ირაკლის კალთაში უჯდება. ირაკლი დუნდება. თინკა ცხვირზე კოცნის. ირაკლის ეღიმება. იქნებ და ეს გოგოა მისი ბედი.
— დაღლილი იქნები. დავწვეთ? — ეკითხება ირაკლი.
— დავწვეთ, — თინკა თვალს უკრავს.
ირაკლი დგება და თინკას ჰკიდებს ხელს. შუქს აქრობს და საძინებელში გადიან.
— მე საერთოდ სხვა ოთახში მძინავს, თუმცა ეგეც სტუმრის ოთახია. მე აქ არ ვცხოვრობ.
— გინდა, შენთან წავიდეთ?
— არა, დავრჩეთ.
— როგორც იტყვი.
ირაკლი საწოლზე ჯდება. თინკა წინ უდგას. ირაკლი ზემოთ იხედება და თინკას თბილი ღიმილით ტკბება.
— იცი, შენ თუ სულ აქეთ გენდომება ყოფნა, მე დავრჩები, — თინკა შუბლზე კოცნის.
— არ ვიცი ჯერ.
— ეს არ ნიშნავს, რომ ცოლად უნდა მომიყვანო, — ეცინება.
— ნუთუ?
— იცი კარგად, რომ ეგ არ მჭირდება. მე უბრალოდ შენთან ვიქნები.
— მერე შენი ძმა?
— ჩემი ძმა ბედნიერია, რომ კარგად ვარ და მეც უბრალოდ მინდა, რომ კარგად იყოს.
— უშენოდ არ გაუჭირდება? →68






Cyan Magenta Yellow Black

— გაუჭირდება და დაბრუნდება უკან.

თინკა მაისურს იხდის, რაც მის ულამაზეს მკერდს აშიშვლებს. ირაკლი წამიერად თვალებს ხუჭავს, რათა გახელისას უფრო მეტად დატკბეს ამ ლამაზი სხეულით.

რა გავაკეთო? რითი დავკავდე? მთელი ღამე ძილში ვბორგავდი. არც მეძინა თითქმის. ვწუხვარ. ძალიან ვწუხვარ. ვდგები, ვიცვამ და მივდივარ.

ვრეკავ ზარს. კარს ახალგაზრდა ქალი მიღებს, რომელიც თავის ასაკზე უფროსად გამოიყურება.

— დიახ, — მეუბნება.

— მე ვარ ზურას მეგობარი.

— უი, მობრძანდით.

შევდივარ სახლში. უჭირთ. აშკარად ხელმომჭირნედ ცხოვრობენ.

— სამწუხაროა, რომ აქამდე არ შევხვედრილვართ.

— ნამდვილად. წლებია, არ მინახავს ზურა.

— ძალიან მენატრება, — რაღაცნაირი მწუხარეა.

— მესმის თქვენი.

— დაბრძანდით. ჩაის დაგალევინებთ.

— მადლობა.

ვჯდები. თვითონ ჩაის ამზადებს.

— ახლოს იყავით? — მეკითხება.

— ბავშვობაში.

— სურათები შემიძლია დაგათვალიერებინოთ.

— სიამოვნებით.

მოაქვს ფოტოებით სავსე ყუთი. ვათვალიერებთ, ვიცინით, ვტირით. კიდევ კარგი, ბავშვი ბებიასთანაა. ზურა სულ სხვანაირი ყოფილა. მიყვება მის ცხოვრებაზე. ახლა თვითონ არჩენს ოჯახს. მარკეტში მუშაობს 300 ლარად. წასვლისას ათას დოლარს ვტოვებ მაგიდაზე. რომ ნახავს, ალბათ გაგიჟდება.

თინკას სძინავს. ირაკლი წვერს იპარსავს. ალექსანდრამ უნდა იცოდეს, რა ხდება. თუმცა თინკას ახლა ვერაფერს უზამს. თანაც კარგად არის მასთან. იქნებ ალექსანდრასთან სულაც არაფერი გამოდის. თუმცა ალექსანდრა იმსახურებს, რომ სიმართლე იცოდეს.

მივბოდიალობ ქუჩაში. მიხარია, რომ ოდნავ მაინც დავეხმარე ზურას ოჯახს. მობილური რეკავს. ირაკლი. ვპასუხობ.

— როგორ ხარ?

— როგორ უნდა ვიყო?

— გცალია ახლა?

— კი.

— მინდა, დაგელაპარაკო.

— პავლოვზე ვარ, დასაწყისში.

— კაი, ათი წუთი მინდა და მანდ ვარ.

არ ვიცი, მიხაროდეს თუ არა. დავდივარ წრეზე. ირაკლი მართლაც მალე მოდის. ვჯდები მანქანაში.

— სალაპარაკო გვაქვს.

— რა ხდება?

— ნუ, თინკა ჩამოვიდა.

— გილოცავ. მიხარია.

— გიხარია? — უკვირს.

— რატომ არ უნდა მიხაროდეს?

— ანუ გკიდია?

ახლა ეგო მეუბნება, რომ თავი დავიფასო. გული მეუბნება, რომ ვუთხრა, როგორ მიყვარს.

— იცი, რომ არ მკიდია!

— მაშინ რატომ იქცევი მასე?

— ირაკლი, კარგი, ჩამოვიდა თინკა. ახლა?

— ახლა ჩემთან ცხოვრობს და პირდაპირ გეუბნები, მე მის მიმართ მაქვს გრძნობა.

გული მიკვდება.

— ჩემგან რაღა გინდა მაშინ?

— შენს მიმართ მაქვს უფრო დიდი გრძნობა, შენ ეს იცოდი.

— მაშინ რატომ ცხოვრობ მასთან ერთად?

— მას ჰგონია, რომ მე ჩამოვიყვანე აქ.

— ეგ როგორ?

— ვიღაცამ ბილეთი უყიდა.

— ვინ? — გაოცებული ვარ.

— ვისაც უნდოდა, რომ სხვა ქალით ვყოფილიყავი დაკავებული. გეგულება ვინმე?

ზურა! ვაიმე, ნუთუ ეგ იკადრა.

— ანუ გეგულება, — ეცინება ირაკლის.

ან ახლა, ან არასოდეს!

— ირაკლი, მოკლედ, ერთი სისულელე ჩავიდინე, რომელმაც მეორე სისულელემდე მიმიყვანა და ასე შემდეგ.

— რა ქენი? — წარბს კრავს.

— გახსოვს, შენთან რომ ამოვედი სახლში და მერე გავიქეცი?

— აჰა.

— სანამ შენ გასული იყავი, შენს ტელეფონს ვათვალიერებდი და ვნახე ზურას ტელეფონი.

— მერე?

— ჩემი ბავშვობის სიყვარული მეგონა და მივწერე.

ხმას არ იღებს.

— ხოდა, მერე გამოირკვა, რომ სხვა იყო და თანაც შენი სიძე. ამის შემდეგ კი დამიმეგობრდა, როგორც შენი ძმაკაცი...

— რა ჩემი ძმაკაცი?

— ნუ, ახლა ვხვდები და მაშინ არ ვიცოდი.

— რამე სცადა შენთან?

— არა, შორიდან მეტრფის. მეტი არაფერი.

— ანუ, შენ გგონია, ზურა იზამდა ამას?

— კი.

— ასე ძალიან მოსწონხარ, დავიჯერო?

— არ შეიძლება, ასე ძალიან მოვეწონდე? — ვუღრენ.

— რა ვიცი. მით უმეტეს, თუ შენ დაუწყე მესიჯობა, ფიქრობს, რომ შანსი აქვს. ანუ მე გამოვედი სირი.

— არ არის მასე!

— აბა, როგორ არის? — ხმას უწევს.

— ნუ მიყვირი!

— და მაგის გამო არ წამომყევი ინდოეთში?

— ვაიმე, არა!

— მაშინ რის გამო?



სანდრომ ამირია ტვინი, მაგრამ ამას ხო არ ვეტყვი!

— არ ვიყავი დარწმუნებული.

— ალექსანდრა, როგორი საცემი ხარ.

უეცრად მიჭერს და ტუჩებში მკოცნის. ვდნები. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ვდნები მის მკლავებში.

— და ახლა რა? — ვეკითხები გულის ფანცქალით.

— ახლა მე ყველაფერს დავალაგებ, — მეუბნება მკაცრად და საზურგეს ეყუდება.

ჩემი ხელი უჭირავს და ჩაფიქრებული უყურებს ქუჩას. როგორ მიყვარს!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ეს იცოდით?

❖ ახალგაზრდობაში მწერალი უილიამ ფოლკნერი ფოსტალიონად მუშაობდა და სამსახურიდან იმის გამო გააძევეს, რომ ზოგჯერ ადრესატის მისამართის ძებნა ეზარებოდა და წერილებს ნაგვის ურნაში ყრიდა.

❖ შერლოკ ჰოლმსზე შექმნილი დეტექტივების ავტორი არტურ კონან დოილი სპირიტიზმით იყო გატაცებული. სეანსებს მეუღლესთან და ილუზიონისტ ჰარი გუდინისთან ერთად ესწრებოდა.

❖ მწერალი უილიამ შექსპირი 1564 წლის 23 აპრილს დაიბადა და 52 წლის შემდეგ საკუთარ დაბადების დღეზე გარდაიცვალა.

❖ მწერალი ერნესტ ჰემინგუეი პეირაფობიით (სახალხოდ გამოსვლის შიში) იტანჯებოდა. მან 5 ომი, 4 ავტოკატასტროფა, 2 ავიაკატასტროფა გადაიტანა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

❖ რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი მთელი ცხოვრება საფოსტო მარკებს აგროვებდა. როდესაც ნაწარმოების დასაწერად ჯდებოდა, ყოველთვის გამოსასვლელი ტანსაცმელი ეცვა.



Cyan Magenta Yellow Black

## შალზე უკეთესი მხოლოდ შალია

შალის ნაწარმი თბილი, ლამაზი, მოსახერხებელი და ამავდროულად მკურნალია.

შალი თერმომარეგულირებელ თვისებებს ფლობს. ტენს კარგად იწოვს, ჰაერში სწრაფად გამოყოფს და ამ დროს თვითონ მშრალი რჩება. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ბოტებში ქეჩას ვაფენთ და ფეხები არ გვეყინება.

შალის ბეწვები ერთმანეთთან ურთიერთქმედებისას ქმნიან ელექტროსტატიკურ ველს, რომელიც ადამიანზე სასიკეთოდ მოქმედებს. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ადამიანის ორგანიზმი ჭარბ დადებით იონებს იღებს, რაც ჯანმრთელობისთვის დამანგრეველია, შალი კი ორგანიზმისთვის ამ მავნე მუხტს ანეიტრალებს.



შალის ნაწარმს შეგვიძლია ბუნებრივი მასაჟისტი ვუწოდოთ. ადამიანის სხეულთან შეხებისას მისი ბოჭკოები ნერვულ დაბოლოებებზე ზემოქმედებს და მიკრომასაჟის ეფექტს ქმნის.

შალის ბოჭკოები შეიცავს ცხოველურ ცვილს — ლანოლინს, რომელსაც ანტიმიკრობული თვისებები გააჩნია. ადამიანის სხეულით გამთბარი ლანოლინი ორგანიზმში კანიდან ადვილად შედის — მას აჯანმრთელებს და აახალგაზრდავებს.

ბიოენერგეტიკის თვალსაზრისით, შალი სუფთა მასალაა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ცოცხალი და ჯანმრთელი ცხოველისგან არის მიღებული.

### რას ვმკურნალობთ?

შალი ბევრ დაავადებას კურნავს — ბანალური გაციებიდან დაწყებული, პნევმონიით და ართროზით დამთავრებული. ყველაზე ძლიერი სამკურნალო ეფექტი გაკრეჭილ და შეუღებავ შალს გააჩნია.

პნევმონიის დროს კარგად ეხმარება შიშველ ტანზე ცხვრის შალის ჟილეტის ტარება. რბილი მუდმივი სითბო მდოგვის საფენებზე უკეთესად ათბობს.

ცხვრის ან ძაღლის შალის მშრალ კომპრესებს ლიმფური კვანძების გადიდების, ოტიტის, ჰაიმორტის დროს მტკივნეულ ადგილებზე იდებენ. ხშირად ასეთი გათბობა ადრეულ სტადიაზე ანთებით პროცესს აჩერებს და დაავადებების ჩირქოვანი მიმდინარეობისგან იცავს.

შალი შესანიშნავად ეხმარება ტრავმის შედეგებისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებების — ართრიტის, ართროზის, ოსტეოქონდროზის, რადიკულიტის დროს.

ქრონიკული დაღლის სინდრომის თავიდან ასაცილებლად და იმუნიტეტის ასამაღლებლად სასარგებლოა შალის ხალიჩაზე ფეხშიშველა სიარული. ეს სასიამოვნო პროცედურა ადამიანის ელექტრულ პოტენციალს აწონასწორებს და ამგვარად ჯანმრთელობაზე სასიკეთოდ აისახება.

## ბედნიერების ასაკი

გერმანელმა მეცნიერებმა დაასახელეს ასაკი, რომელშიც ადამიანი თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობს: 23 წელი და 69 წელი. მკვლევართა აზრით, ახალგაზრდა ცხოვრობს იმედითა და ოცნებებით, რომლებიც მას ბედნიერს ხდის. მოხუცი ბედნიერია თავისი სიბრძნითა და ცხოვრების მშვიდად აღქმით.



ყველაზე უბედურები აღმოჩნდნენ 50 წელზე ცოტა უფროსი ადამიანები. მათ წარსულ ახალგაზრდობასთან და ახალი სტატუსის მიღებასთან შეგუება უჭირთ.

## სტაფილო სიცოცხლეს ახანგრძლივებს



სტაფილო სასარგებლოა მხედველობისთვის, გარდა ამისა, ბეტა-კაროტინი ძლიერ ანტიმჟანგავად ითვლება. საკვებში სტაფილოს გამოყენება ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის, პარკინსონის დაავადებების რისკს ამცირებს. სტაფილო ჩვენს ორგანიზმს დაბერებისგან იცავს და სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

სხვათა შორის, მოხარშული სტაფილო არანაკლებ სასარგებლოა, ვიდრე ქორფა. სტაფილოში მოხარშვის შემდეგ ანტიმჟანგავების შემცველობა იზრდება. ეს ბოსტნეული ორგანიზმმა კარგად რომ შეითვისოს, ცოტა მცენარეული ზეთი ან არაჟანი დაუმატეთ. რეკომენდებული არ არის სტაფილოს გამოყენება წვრილი ნაწლავის ანთების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს.

სტაფილო შეგიძლიათ დაუმატოთ მწვანე სალათებში, წვნიანებში მოხარშოთ და მოშუშოთ. ხოლო ახალგამოწურული სტაფილოს წვენი 1 ჩაის კოვზ ზეითუნის ზეთთან ერთად დღის შესანიშნავი დასაწყისია.

## სასიკვდილო ჩვევა



მოწევა რომ მავნებელია,ყველამ იცის, მაგრამ, როგორც გაირკვა, ყველაზე მეტ რისკზე მიდიან ადამიანები, რომლებიც პირველ სიგარეტს გაღვიძებიდან ნახევარ საათში ეწევიან. ასეთი ჩვევა შეიძლება სასიკვდილო აღმოჩნდეს. ეს ადამიანები 79%-ით უფრო ხშირად ავადდებიან ფილტვების კიბოთი იმათთან შედარებით, ვინც მოწევას გაღვიძებიდან ერთი საათის შემდეგ იწყებს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

## გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 4 დეკემბერი, 17 საათი.

2017

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 24 წლის. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს. 514121212. ლუკა

2. გავიცნობ 22-35 წლამდე ქალს. ვარ 27 წლის, დასაქმებული, მყავს ცოლი. გამომეხმაუროს გათხოვილი ან განათხოვარი. 555163585

3. გავიცნობ 32 წლამდე გოგოს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 26 წლის ბიჭი. 557503057

4. ვარ სიმპათიური, თბილისელი ბიჭი, მყავს მანქანა, მაქვს ბინა და სამსახური. გავიცნობ 40 წლამდე მიმზიდველ ქალს ფარული შეხვედრებისთვის. 557509711. დათო

5. სამეგობროდ გავიცნობ ქალს. ვარ 30 წლის, მაღალი, შავგვრემანი. 551705089. ზურა

6. ვარ 38 წლის მამაკაცი, ახალი ჩამოსული საქართველოში, მყავს მანქანა. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ ქალს. 557504417. ერიკ

7. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ ქალს. 598002424. ბექა

8. ვარ 25 წლის, სპორტსმენი ბიჭი, ვცხოვრობ და ვმუშაობ თბილისში. სერიოზული ერთიერთობისთვის გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგოს. 551402315. დათო

9. გავიცნობ 30 წლამდე თბილისელ გოგოს ფარული შეხვედრებისთვის. ვარ თბილისელი ბიჭი. 598951103

10. გავიცნობ უზრუნველყოფილ ქალს. ვარ 37 წლის, თბილისელი მამაკაცი. 555588380

11. შეხვედრებისთვის გავიცნობ ფიზიკური ნაკლის, კომპლექსის მქონე თბილისელ გოგოს. 551509254

12. გავიცნობ ზრდილობიან, შეძლებულ, ლამაზ 22-30 წლამდე გოგოს. 598859274

13. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ ცოლიანი, მაგრამ სულ პრობლემა მაქვს. თუ გსურთ ჩემთან შეხვედრა, დამიკავშირდით. 555472496

14. გავიცნობ 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, ცოტა შეძლებულს. ვარ 28 წლის, მყავს მანქანა. 599331692

15. გავიცნობ შეძლებულ, ზრდილობიან, ლამაზ, 30 წლამდე ქალს. 598859274

16. გავიცნობ 40 წლამდე ქალს. ვარ 35 წლის. 598800406. რომა

17. ვარ ახალი ჩამოსული მოლდოვეთიდან, მაქვს ბინა და სამსახური. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, თუნდაც მსუქან გოგოს. 557985427. ლუკა

18. გავიცნობ 25-დან 35 წლამდე ქალს, სერიოზული ურთიერთობისთვის. არ ვარ მდიდარი. 557950038. ლევანი

19. ვარ 47 წლის მამაკაცი ქუთაისიდან, დასაქმებული, მანქანით. გავიცნობ 45 წლის სასიამოვნო გარეგნობის ქალს შეხვედრებისთვის. 555106950

20. გავიცნობ 30 წლამდე, თბილ, ყურადღებიან, ლამაზ ქალს შეხვედრებისთვის. 598859274

21. ვარ 25 წლის, დასაქმებული ბიჭი, ვცხოვრობ თბილისში. გავიცნობ 30 წლამდე თბილისელ ქალს. 557521264. გიორგი

22. ვარ 35 წლის, სიმპათიური ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 45 წლამდე მომხიბვლელ ქალს, ვისაც შეხვედრის ადგილი აქვს. 599568381

23. ვარ ბათუმელი, სანდო, სიმპათიური, 32 წლის მამაკაცი. გავიცნობ აჭარაში მცხოვრებ 30-50 წლამდე ქალს. 557760791

24. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 25-დან 37 წლამდე ქალს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 38 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 599002721. ლევანი

25. სამეგობროდ გავიცნობ 38 წლამდე თბილისელ ქალს. ვარ 30 წლის. 598100537. გიორგი

26. ვარ სიმპათიური, თბილისელი, მყავს მანქანა. შეხვედრებისთვის გავიცნობ სიმპათიურ გოგოს. 593135572. ნიკა. სკაიპი: nika-gvencadze

27. გავიცნობ 27 წლამდე გოგოს. ვარ 29 წლის თბილისელი ბიჭი. 598342885. აკო

28. გავიცნობ თბილისში მყოფ ქალს. ვარ 38 წლის. 595600284. გიორგი

29. გავიცნობ პუტკუნა ქალს, 25-45 წლამდე, ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 33 წლის მამაკაცი. 557987973. გიორგი

30. სამეგობროდ გავიცნობ 45-55 წლამდე ქალს. ვარ თბილისელი მამაკაცი, ბინით, მანქანით და სამსახურით უზრუნველყოფილი. 571780178

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შავგვრემან, პატიოსან, ზრდილობიან, წესიერ გოგოს, თუნდაც განათხოვარს. შვილიანები ნუ გამომეხმაურებით. ვარ 27 წლის უცოლო ბიჭი. 555349774

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე მეოჯახე გოგოს, ქალიშვილს, არამწეველს, თბილისელს ან აღმოსავლეთ საქართველოდან. ვარ 35 წლის. 557754064

3. ვარ 185/82/38, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ სამტრედიაში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33 წლამდე ქალიშვილ გოგოს, საშუალოზე მაღალს. 555639894. დათო

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, ერთგულ, პატიოსან ქალს. ვარ 44 წლის თბილისელი მამაკაცი. 558664319

5. ვარ 29/187/70, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, ერთგულ და მოსიყვარულე გოგოს. ვარ ცოლს გაშორებული. 555020903

6. ვარ 37 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის 35 წლამდე ქალს. 557952383. გია

7. ვარ 42 წლის, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ, განათლებულ ქალს. 591271704

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 47 წლის, შეძლებული, გარეგნულად სიმპათიური ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლის, თბილისელ, დასაქმებულ, ლამაზ მამაკაცს. 591900889. მარია

2. გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, წესიერ, არამსმელ მამაკაცს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 56 წლის, წესიერი, კარგი დიასახლისი ქალი. 551516210

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, ინტელიგენტ, უმაღლესი განათლების მქონე 38-50 წლამდე მამაკაცს. ვარ მაღალი, პროფესიით ექიმი. 557701130

### გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ სერიოზულ, შეძლებულ მამაკაცს, ვინც გვერდით დამიდგება, პატივს მცემს. ვარ მიმზიდველი ქალი. 555613568

2. სამეგობროდ გავიცნობ წესიერ მამაკაცს. 514499559

## სხვადასხვა

1. გავიცნობ მხიარულ, მეგობარ ადამიანს სამეგობროდ, 41 წლიდან. 599511914

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რამე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 4 დეკემბრის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი ადრესატისადმი მიწერილ ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

←10

**მარინა ბერიძესთან. მაშინ ბერიძემ გვითხრა, ჩარკვიანი თავისთავად კარგი მუსიკოსია, მაგრამ — სპეციფიკური, ამიტომ კონკრეტული კონცერტის დროს მისი გამოყვანა შეუძლებელიაო. მართლაც ხომ არ შეიძლება ყველა კონცერტზე ყველამ იმღეროს?**

— გასაგებია, რასაც მეკითხებით, მაგრამ ამჟამად საახალწლო კონცერტზე კეთდება უცხოური სიმღერების, ანუ ქავერების „გადმოკატავება“. ქართველი მომღერლები მღერიან და კეთდება ტრიოები, დუეტები, კვარტეტები... რომელი და რა ფორმატის სიმღერა არსებობს, რომელსაც შეიძლება მე ვერ მოვერგო და, მით უმეტეს, უცხოურს?!

**— საქართველოში უამრავი მომღერალია. ვიღაც აუცილებლად დარჩება უკმაყოფილო იმით, რომ კონცერტზე არ გამოიყვანეს.**

— გასაგებია, მაგრამ 10 წელია არც ერთი გალა თუ საახალწლო კონცერტი არ მღირსებია. თუ მსგავს ღონისძიებებში 10 წელიწადში ერთხელ მაინც არ მიიღე მონაწილეობა, ვერ მიიღებ რეიტინგს.


■ კახა კუხიანიძე

ზუსტად ვიცით, რომ მარინა ბერიძე აკეთებს საახალწლო კონცერტებს, ჩვენ ამის დამადასტურებელი ფაქტები გვაქვს, თუმცა თვითონ ამბობს, მე არაფერში ვერევი და ეს ყველაფერი აბსურდიაო.

■

„სამოქალაქო სოლიდარობის“ წარმომადგენელი ნანა თხელიძე საკმაოდ შემტევად არის მომართული. ის აპირებს, ოფიციალურად მოითხოვოს გამოძიება, როგორ ანაწილებდა კონცერტებისა თუ ღონისძიებებისათვის გამოყოფილ სახელმწიფო ხარჯებს მარინა ბერიძე და სად მიდიოდა ფული.

**ნანა თხელიძე:** ყველა მომღერალი ელოდება ახალი წლის ღამეს, რომ კონცერტში მონაწილეობა მიიღოს. აღმოჩნდა, რომ ირმა სოხაძე, „სეიშენი“, აჩიკო ნიჟარაძე, ეკა

**ნანა თხელიძე: „ყველა მომღერალი უნდა მონაწილეობდეს და ბევრ ადგილას უნდა ტარდებოდეს საახალწლო კონცერტი, თუნდაც სხვადასხვა ქალაქებში და, თუ სწორად დაგეგმავ, გამოვა".**

კვალიაშვილი, „რონდო“, თამთა ჭელიძე, თიკა ჯამბურია და ბევრი სხვა ნიჭიერი მომღერალი ამ კონცერტში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

**— საქართველოში უამრავი მომღერალია. ხომ არ შეიძლება ყველამ მიიღოს მონაწილეობა?**

— ეკა კვალიაშვილი ყველაა?! მარიკა თხელიძე ყველაა?! მას საქართველოს სახელი ათასჯერ აქვს საზღვარგარეთ გატანილი, მაგრამ ამაზე არ არის საუბარი. დიახ, ყველა მომღერალი უნდა მონაწილეობდეს და ბევრ ადგილას უნდა ტარდებოდეს საახალწლო კონცერტი, თუნდაც სხვადასხვა ქალაქებში და, თუ სწორად დაგეგმავ, გამოვა. დავინტერესდი, რატომ არ მღეროდნენ ეს მომღერლები და აღმოჩნდა, რომ ამ სიას ადგენს მარინა ბერიძე. მართალია, ის უარყოფს, რომ ამ სიებთან კავშირშია, მაგრამ როგორ შეიძლება არაფერ შუაში იყოს კულტურის სამინისტროს ღონისძიებების დეპარტამენტის უფროსი?! ეს უშუალოდ მისი კომპეტენციაა. თან ამ კონცერტს კულტურის სამინისტრო აფინანსებს. მაშინ ფულს ვის უხდიან, არ იციან?! ეს ხომ სახელმწიფო თანხაა და არა — ინვესტორის?

მერიამ განაცხადა, სია კულტურის სამინისტროში შედგაო და ასეც უნდა ყოფილიყო. მერიის წარმომადგენელმა ნეკა სებისკვერაძემ თქვა, რომ მერია იხდის თანხებს მხოლოდ განათებაში, სცენასა და საორგანიზაციო საკითხებში. ჩავეძიე და გავარკვიე, რომ სიმღერების შერჩევას და ჩაწერას აწარმოებენ აჩიკო გულედანი და ვახო ბაბუნაშვილი. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ერთ დღეში აფუძნებენ ფირმას და მეორე დღეს მილიონობით თანხას იღებენ.

მინდა, გამოიძიონ, მარინა ბერიძე როგორ ანაწილებდა კონცერტებისა თუ ღონისძიებებისათვის გამოყოფილ სახელმწიფო ხარჯებს და წლების განმავლობაში სად მიდიოდა ფული. მაშინაც კულტურის სამინისტროში მუშაობდა და დღესაც ასეა. მომღერლებს შეურაცხყოფა მიაყენა! სატელევიზიო თუ ბეჭდურ მედიაში პირდაპირ ამბობს, ნიჭიერ მომღერალს კონცერტში ჩასმა არ სჭირდებაო. ვკითხულობ, მარიკა თხელიძე უნიჭოა? ეკა კვალიაშვილი უნიჭოა? „სეიშენი“ უნიჭოა? ირმა სოხაძე უნიჭოა? აჩიკო ნიჟარაძე უნიჭოა, რომელმაც უცხოეთიდან სამჯერ ჩამოიტანა გრან პრი?

**— მართლა დაემუქრეთ მარინა ბერიძეს, გავლახავ და თმით ვითრევო?**

— კი, ვთქვი, ისე გავლახავ, რომ ხელები დაემტვრეს და ახალგაზრდა მომღერლებს თავი დაანებოს და თავისი ხელები აღარ შეახოს-მეთქი. ჯერ კულტურის მინისტრს მივმართავ, რადგან გურამ ოდიშარიას დიდ პატივს ვცემ. უამრავი ადამიანი გვირეკავს და გვეუბნება, მარინა ბერიძე მათზე როგორ ზემოქმედებას ახდენდა და როგორ უშლიდა ნერვებს. შევაგროვებთ ხელმოწერებს, რომ გაათავისუფლონ. მარინა ბერიძე აცხადებს, ჩემი ჩარეცხვა უნდათო. სიტყვა „ჩარეცხილები“ მიშა სააკაშვილმა საზოგადოების ყველაზე კარგი წარმომადგენლების მისამართით იხმარა. მარინა ბერიძეს ვეუბნები, ჩვენ მისი ჩარეცხვა არ


■ ნანა თხელიძე

**ნანა თხელიძე: „სატელევიზიო თუ ბეჭდურ მედიაში პირდაპირ ამბობს, ნიჭიერ მომღერალს კონცერტში ჩასმა არ სჭირდებაო. ვკითხულობ, მარიკა თხელიძე უნიჭოა? ეკა კვალიაშვილი უნიჭოა? „სეიშენი" უნიჭოა? ირმა სოხაძე უნიჭოა? აჩიკო ნიჟარაძე უნიჭოა, რომელმაც უცხოეთიდან სამჯერ ჩამოიტანა გრან პრი?".**

გვინდა, მან უნდა იტივტივოს. ჩარეცხილობა მაგისთვის ძალიან დიდი პატივია. დატოვოს კულტურის სამინისტრო და იტივტივოს! მარინა ბერიძის სქემამ არსებობა უნდა შეწყვიტოს!

■

„სარკე“ მარინა ბერიძეს დაუკავშირდა. მან კომენტარის გაკეთება არ ისურვა, პრესასთან ამ თემაზე საუბარს აღარ ვაპირებო და კულტურის სამინისტროში გადაგვამისამართა. კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი, ირმა ცქიტიშვილი შეგვპირდა, რომ ამ თემაზე კომენტარს მინისტრის მოადგილე, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი გააკეთებდა, მაგრამ ამაოდ გვალოდინა.

✓ რუსუდან ადვაძე






Cyan Magenta Yellow Black



# მოღვაწეობით მოიპოვება მადლი ღვთისა, ღვთის მადლი კი ყველა სიკეთის საწინდარია

## ხსენება ღირსისა დედისა ჩვენისა ევპრაქსია ქალწულისა

ახალი სტილით 25 ივლისი ბევრი რამით არის გამორჩეული საეკლესიო კალენდარში და ერთ-ერთი მათ შორის არის ის, რომ ამ დღეს აღესრულება ხსენება ღირსისა ევპრაქსია ქალწულისა, წმინდანის, რომლის გამბედაობა, მოშურნეობა, მონდომება და თავდადება ბევრი ვაჟკაცისთვისაც შესაძლოა სანატრელი იყოს. სახელი ბერძნული წარმომავლობის არის და ნიშნავს საქმიანობას, მოქმედებას.

წმინდა ქალწული ევპრაქსია წარმოშობით კონსტანტინეპოლიდან უნდა ყოფილიყო. მშობლები შეძლებულები ყოფილან, სამეფო კარის მოსამსახურეები. მაშინ იმპერიას თეოდოსი დიდი მართავდა, რომელიც ცნობილია სიბრძნით და გონიერებით და მის დროს სამეფოც გონიერებით იმართებოდა. ქალწულის მამას, სახელად ანტიგონს ძალიან ენდობოდა და უზომო პატივსაც სცემდა იმპერატორი თეოდოსი.

ეს პატივისცემა გამოწვეული იყო არა იმით, რომ ანტიგონი იყო მისი, როგორც მეფის ოჯახის ნათესავი, არამედ იმ ღირსებების გამო, რომლებითაც შემკობილი იყო წმინდა ევპრაქსიას მამა. მემატიანე აღნიშნავს, რომ იყო საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსიც და ბუნებით უკეთილშობილესი ადამიანი. დღე ისე არ დაღამდებოდა, თუნდაც მცირედი კეთილი საქმე არ გაეკეთებინა, გაჭირვებულებს, ქვრივ-ობლებს არ დახმარებოდა. ვერასდროს ნახავდით, საკუთარი სიმდიდრით ხორციელ ტკბობას მისცემოდა სხვათა მსგავსად. კეთილი საქმის მთესავი იყო, ამიტომაც დააჯილდოვა უფალმა და კეთილშობილებით შემკული მეუღლე შეირთო ცოლად, სახელად ევპრაქსია.

ახლა მარტო აღარ იყო ანტიგონი, არამედ ცოლთან, ევპრაქსიასთან ერთად სთესდა ულევ სიკეთეს. უფალმა უმშვენიერესი გოგონა აჩუქა ღვთისმოსავ წყვილს და მამის სურვილი იყო, ბავშვისთვის დედის სახელი ევპრაქსია დაერქმიათ. პატარა ევპრაქსია ღვთის სადიდებლად იზრდებოდა. ანტიგონი კი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისთვის ემზადებოდა, ბოლოს და ბოლოს გაბედა და უთხრა ცოლს: „მიზანი ჩვენი შეუღლების შესრულდა ღვთის მადლით, ეს გამოიხატა ჩვენს შვილიერებაში. ახლა შეგვიძლია ხორციელი ურთიერთობა შევწყვიტოთ და თუ შენც თანახმა იქნები, სულიერად გავაგრძელოთ ჩვენი მოღვაწეობა“.

ამის გამგონე ევპრაქსიამ მიუგო მეუღლეს: „მე ჯერ კიდევ ჩვენს შეუღლებამდე მქონდა ეგ აზრი გონებაში, თუმცა შესაფერის დროს ვეძებდი, რომ შენთვის გამემხილა ჩემი სურვილი. ახლა კი, რადგან უფალმა გაგვინათა გონება, ორივემ შეგვიძლია ვიცხოვროთ მეგობრებივით, რათა ვესავდეთ უფალს ხორცითაც და სულითაც“. ამ სიტყვების გამგონე ანტიგონი სიხარულით ცას ეწია, რადგან ცოლისგანაც ის მოისმინა, რაზეც თვითონ ფიქრობდა. ანტიგონის ამ ამბიდან დიდხანს აღარ უცოცხლია და მიაბარა სული თვისი უფალს, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კეთილი საქმე არასდროს შეუწყვეტია, ზეცათა საუნჯეს აგროვებდა.

როცა მეფემ და მისმა გარემოცვამ შეიტყვეს ანტიგონის სიკვდილი, ყველას შეებრალა, რადგან ყველას ახსოვდა მისი კეთილშობილება, მეფიდან დაწყებული არავინ იტყოდა უარს, ანტიგონის ცოლშვილი ენუგეშებინა და ასეც მოხდა. მეფის ოჯახმა აიღო მზრუნველობა ანტიგონის ოჯახზე, მეფის კარზე იზრდებოდა პატარა ევპრაქსია, რადგან, როგორც ვახსენეთ, თეოდოსი დიდს ძალიან უყვარდა კეთილშობილი და ბრძენი ანტიგონი, ამიტომაც არც კი დაფიქრებულა, მისი ოჯახისთვის ეზრუნა და ასეც მოიქცა.

მეფის კარზე ცხოვრობდნენ დედა-შვილი. იზრდებოდა და მშვენდებოდა წმინდა ევპრაქსია. სამეფო კარის დახმარებით ბრწყინვალე განათლებაც მიუღია. მამის მსგავსად, დედის დახმარებით ქალწული ევპრაქსიაც კეთილშობილების განსახიერება იყო. ბევრი ახალგაზრდა ცდილობდა მასთან დაახლოებას, ბევრი დიდებულის შვილიც სთხოვდა ცოლობას, მაგრამ ქალწულს სხვა მისწრაფება ჰქონდა, ამიტომაც ყველა მათგანს უარს ეუბნებოდა ღვთის რჩეული ჭურჭელი.

კეთილის მოძულე დემონიც სწორედ ამ დროს ეძალება ღვთისნიერ ადამიანს, რათა სულიერი და ხორციელი მყუდროება დაარღვიოს მისი. ასე მოხდა ქალწულ ევპრაქსიას შემთხვევაშიც, როცა ერთ-ერთმა მაღალჩინოსნის შვილმა განიზრახა მასზე დაქორწინება და თუ ნებით იქნებოდა შეუძლებელი, ძალით ან მოტყუებით მაინც მოახერხებდა ამას. როცა ვერაფერს გახდა, საშინელ მეთოდს მიმართა: დედოფალთან დაახლოებულმა ახალგაზრდამ სწორედ დედოფლის გამოყენება გადაწყვიტა ამ ძალადობრივ საქმეში, უწყოდა რა ევპრაქსიას პატივისცემა და რიდი დედოფლის მიმართ. დედოფალმაც მოინდომა, ამ არასასიამოვნო გარიგების შუაში ჩამდგარიყო და, ნებსით თუ უნებლიეთ, მომრიგებლის როლი ეთამაშა.

ამ ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგი იყო ქალწული ევპრაქსია, ამგვარი რამის მოსმენაც კი მიუღებელი იყო მისთვის. ეს ყოველივე შეიტყო თვით იმპერატორმა, რომელიც საშინელი გაბრაზებული ჩანდა იმის გამო, თუ როგორ გაბედა დედოფალმა და მოინდომა ძალით ამ არასასიამოვნო ისტორიაში მონაწილეობა. დაიბარა ქალწული ევპრაქსია და დედოფლის ნაცვლად მოუხადა ბოდიში, რომ ძალადობდნენ მასზე და მისი ნების საწინააღმდეგოდ იქცეოდნენ. ევპრაქსიამ მადლობა გადაუხადა მეფეს მზრუნველობისთვის და გაანდო მისი კონსტანტინეპოლიდან წასვლის შესახებ, რომ ეგვიპტეში წასვლა უნდოდა, თითქოს მონახულება სურდა იმ მამულების, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული მამისგან. ეს ყოველივე, მართალია, სიცრუე იყო, მაგრამ ძალიან კარგი საშუალება, რათა გასცლოდა კონსტანტინეპოლს და თავიდან აერიდებინა ამგვარი მოულოდნელი უსიამოვნებანი.

მართლაც, დედა შვილთან ერთად გაემგზავრა ეგვიპტეში და გაჭირვების მიუხედავად იქ ცხოვრობდნენ კეთილი ადამიანების დახმარებით. იქვე ეგვიპტეში შეიტყვეს, რომ თიბაიდაში არსებობდა ერთი სამოღვაწეო, სადაც შეეძლოთ, ორივეს ეცხოვრათ. მართლაც საოცარი სანახაობა დახვდათ ადგილზე მისულებს, იმდენად კარგი, რომ სიამოვნებასაც კი ანიჭებდათ იქ ცხოვრება. უმკაცრეს პირობებში ცხოვრობდნენ დედა-შვილი და ამით იყვნენ კიდეც ბედნიერები.

ამ ბედნიერებამ დიდხანს როდი გასტანა დედისთვის. ევპრაქსიასთვის შეუძლებელი იყო სიკვდილამდე ასეთი ყოფით ცხოვრება და როგორც მშობელს, სურდა, უკეთესი მომავალი მოეწყო შვილისთვის. შესთავაზა კიდეც, იქნებ ქალაქში წაჰყოლოდა, სადაც ისწავლიდა. მოღვაწეობას იქაც შეძლებდა, ქალწულებასაც შეინახავდა და ღვთის მოწყალება იქაც დაიფარავდა. პასუხად მიიღო სასტიკი უარი. წმინდა ევპრაქსიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, უდაბნოში დარჩენილიყო სამოღვაწეოდ, მონაზვნის სქემით შემოსილიყო და თავი უფლისთვის მიეძღვნა დანარჩენი მონაზვნების მსგავსად.

მართლაც, მიუხედავად ღირსი ევპრაქსიას ასაკის სიმცირისა, მონასტრის იღუმენმა, რომელსაც ძალიან უყვარდა პატარა ევპრაქსია და დიდ მომავალსაც ხედავდა მასში, ისევ ღირსი ევპრაქსიას დაჟინებული თხოვნით მონაზვნის სქემით შემოსა. ღვთივ სათნოებებით შემოსილმა ევპრაქსიამ ახლა უფრო მკაცრი მოღვაწეობა იტვირთა, სნეულ მონაზვნებს არავის ტოვებდა უყურადღებოდ. რამდენიმე ხნის შემდეგ მოაკითხა შვილს ევპრაქსიამ, როცა იღუმენმა აუწყა მას აღსასრული, თან შესთავაზა, კიდევ უფრო მეტი სინანულით შემოსილიყო თავისი მეუღლის ანტიგონის მსგავსად, რათა მასაც დაემკვიდრებინა ღვთის სასუფეველი.

ამის გამგონე ევპრაქსიამ შეატყობინა თავის პირმშოს და მოუწოდა: „როგორც შენმა მასწავლებელმა მომიწოდა, ალბათ მალე დავტოვებ წუთისოფელს, ჩემი და მამაშენის ქონების მემკვიდრე კი ხარ შენ. ერთ რამეს გთხოვ, განკარგე ეს დანატოვარი, როგორც გსურს, მაგრამ უმჯობესი იქნება, ღვთის ნების თანახმად განკარგო, რათა მეც და მამაშენმაც მივიღოთ აქედან სულიერი სარგებელი. წმინდა იღუმენი რჩება შენს მშობლად, მას მოუსმინე, მისი მორჩილება აღასრულე, შენს სულიერ დებს პატივი ეცი, ნურასდროს იამაყებ შენი კეთილშობილებით, ან რაიმე სულიერი მიღწევებით ან იმით, რომ ხარ სამეფო ოჯახის შთამომავალი, რადგან ყოველი ადამიანის ბატონ-პატრონი და შემოქმედი არის ღმერთი. ნურასდროს დაგავიწყდება ნურც მამაშენი და ნურც მე. მოგვიხსენე, ვიდრე ცოცხალი ხარ, რათა აცხოვნოს სულნი ჩვენი შემოქმედმა ღმერთმა“.

მონასტრის იღუმენის დახმარებით მიაბარეს მიწას ევპრაქსია, რომელიც დაიკრძალა მონასტრის ძვალთსაცავის გვერდით, რათა ნეტარ ევპრაქსიას ჰქონოდა

დედის საფლავთან ახლოს ყოფნის შესაძლებლობა. ამის შემდეგ ნეტარი ქალწული ილუმენის ლოცვა-კურთხევით დაბრუნდა კონსტანტინეპოლში და როგორც კანონიერმა მემკვიდრემ მშობლების დანატოვარი ქონებისა, ქვრივ-ობლებს და გაჭირვებულებს გაუნაწილა საკუთარი სიმდიდრე. სწორედ ამის შემდეგ დაბრუნდა უკან, მონასტერში სრულიად თავისუფალი და კიდევ უფრო მეტი შემართებით განაგრძო მოღვაწეობა, რომელზეც მოგახსენებდით ზემოთ.

იმპერატორმაც და დედოფალმაც ანტიგონის მეუღლის გარდაცვალების ამბავი მოგვიანებით შეიტყვეს და დიდად განიცადეს კიდეც, ამავე დროს, დაინტერესდნენ ევპრაქსიას მდგომარეობითაც, რომელიც კონსტანტინეპოლიდან ისევ ეგვიპტეში დაბრუნებულიყო. დედოფლის თხოვნით მეფემ შეატყობინა ევპრაქსიას, დაბრუნებულიყო კონსტანტინეპოლში და იქნება ურთიერთობა აღედგინა ღირსეულ სასიძოზე, რომელიც წლების წინ დატოვა კონსტანტინეპოლში. ამ ყველაფერზე ევპრაქსიას პასუხი იყო შემდეგნაირი: „მე უკვე ვიქორწინე, იესო ქრისტეზე ვარ დაწინდული, სიძედ ქრისტე ავირჩიე, ამიტომაც არ ძალმიძს მიტოვებად მისდა, არანაირი სიმდიდრე აღარ მიღირს იმად, რომ ჩემი მეფე ვინმეში გავცვალო, დიდო ხელმწიფევ".

ეს წერილი დაწერა ევპრაქსიამ და გაგზავნა იმპერატორთან. როცა მეფემ წერილი წაიკითხა, მიხვდა, რომ ევპრაქსიას უკვე თავი მიეძღვნა ქრისტესთვის და შეუძლებელი იყო მისი გადარწმუნება. უფრო მეტიც, ესიამოვნა და მოუწონა კიდეც გადაწყვეტილება.

ნეტარი ქალწული იმ დღიდან მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებას ლოცვაში, მარხვაში, მღვიძარებაში და კეთილ საქმეში ატარებდა. თავისი თავმდაბლობით, მორჩილებით და მოთმინებით მოიპოვა საღვთო მადლი. ასაკის მატებასთან ერთად მატულობდა ხორციელი ვნებანიც, ხშირად ხილულად და ხშირად მოჩვენებით, თუმცა ეს ხომ მონასტრული ცხოვრების პროგრამის ნაწილია და გასაკვირი ის იქნებოდა, ეს რომ არ ყოფილიყო.

ლოგინის ნაცვლად ქვაზე ეძინა ნეტარ ევპრაქსიას, რათა დაემარცხებინა ხორციელი ვნებანი. ეს შეიტყო ილუმენმა და იხმო თავისთან, რათა დახმარებოდა, ასეთი მდგომარეობიდან რომ გამოსულიყო: „რატომ არ მითხარი შენი მდგომარეობის შესახებ, ევპრაქსია?" ჩაუვარდა ილუმენს ფეხებში და უთხრა: „ის-ის იყო, უნდა მომეხსენებინა თქვენთვის, დედაო, ჩემი ხორციელი ვნებანის შესახებ". უთხრა ილუმენმა დიდი სიყვარულით: „ნუ შეგრცხვება, ჩემო შვილო. ეგ მდგომარეობა, რომელიც შენ გაქვს, ყველა მოკვდავს გვაქვს და ეს ბუნებრივიცაა. თუ ჩვენ არ მივცემთ საბაბს, რომ ხორცი აგვიმხედრდეს, მაშინ ჩვენი ბრალეულობა ნულის ტოლია, ხოლო ამგვარი მდგომარეობიდან ჩვენი სარგებელი არის ის, რომ დავამდაბლოთ ჩვენი ხორცი, რათა სულმა მიიღოს სარგებელი. ასე რომ, ნუ შეშინდები ხორციელი ხანძრის გამო, რომელსაც აგრილებს მოსაგრეობა. უფალმა თუ ჩვენში ჩადო ვნება, ამის შესაბამისად გამოსავალიც გვასწავლა, ამით შევირაცხებით ღირსეულად და მოვიპოვებთ კიდეც ჯილდოს, როგორც გამარჯვებულები. ასე რომ, ფხიზლად იყავი, არასადა გვსმენია, რომ ვინმე მძინარემ იმარჯვა, გამარჯვებისთვის სიფხიზლე და მონდომებაა საჭირო".

გამოემშვიდობა ნეტარი ევპრაქსია ილუმენს და კიდევ უფრო მეტი შემართებით შეუდგა მოღვაწეობას, თუმცა მოჩვენება ისევ განმეორდა. შერცხვა ნეტარ ევპრაქსიას ისევ მოყოლა ილუმენთან და სულიერ დას გაანდო თავისი განსაცდელი. დის სახელი იყო იულია, რომელმაც გაამხნევა ნეტარი ევპრაქსია: „ნუ გეშინია, შვილო, არ შეუშინდე და ილვაწე, რადგან ეს არის ეშმაკისგან. თუ ამას შეხვდები მედგრად და არ შეუშინდები, მოსწყინდება შენთან ბრძოლა ეშმაკს, ზურგს შეგაქცევს და წავა". დედაომ ჰკითხა, რამდენ დღეში ერთხელ ჭამო. მიუგო ნეტარმა ევპრაქსიამ, ოთხ დღეში ერთხელო. „აბა, წადი ილუმენთან და რასაც გეტყვის, ისე მოიქეცი". ილუმენმა ხუთ დღეში ერთხელ ჭამით აკურთხა და გამოემშვიდობა.

შეუდგა ნეტარი ევპრაქსია დავალების შესრულებას, მაგრამ ვნება არც ახლა აძლევდა მოსვენებას. კიდევ უფრო მკაცრი მოღვაწეობის რეჟიმი დაუწესა ილუმენმა, კვირაში მხოლოდ ერთხელ ჭამდა. უწინდებურად შრომა აღარ შეეძლო, რადგან სხეული დაუძლურდა, მაგრამ ბოროტ ვნებებთან გამკლავება სხვაგვარად შეუძლებელი იყო.

ყველას უყვარდა ახალგაზრდა ევპრაქსია ასეთი მონდომების გამო და ყველა ცდილობდა, შეემსუბუქებინა მისთვის ეს დროებითი განსაცდელი, თუმცა ერთი უკულმართი ყველგან არსებობს და ამ მხრივ გამონაკლისი არც მათი მონასტერი აღმოჩნდა. ერთი მონაზონი, სახელად გერმანა, შეპყრობილი ჰყავდა ეშმაკს. მიუახლოვდა ევპრაქსიას და უთხრა: „შენ, ევპრაქსია, ერთხელ რომ ჭამ კვირაში, შეგიძლია შეასრულო ილუმენის კურთხევა. ჩვენც რომ გვაკურთხოს ასეთივე მორჩილება, რა გვეშველება, გიფიქრია ამ ყველაფერზე?" ამაზე ნეტარმა ევპრაქსიამ მიუგო გერმანას: „ასე ნუ ფიქრობ, დედაო, ვინაიდან ილუმენი ყველას აკურთხებს იმას, ვისაც რა შეუძლია".

მონაზონი გერმანა არ ცხრებოდა, რადგან ის შური, რაც მასში იყო აღძრული, განპირობებული გახლდათ დემონის შთაგონებით, ამიტომაც მასთან რამის მტკიცებას უბრალოდ აზრი არ ჰქონდა. ნეტარი ევპრაქსიაც, მიუხედავად იმისა, რომ კვირაში ერთხელ იკვებებოდა, რათა ვნებას არ შეეწუხებინა და დასუსტებული იყო, შეეჩვია არსებულ მდგომარეობას, ვნებებმაც მიანება თავი. ისევ ისეთი გულმოდგინებით აღასრულებდა ყველა იმ მორჩილებას, რომლებიც ჰქონდა წლების განმავლობაში. მიუხედავად ხორციელი სისუსტისა, არასდროს ამბობდა უარს მძიმე სამუშაოზე, არც მსახურებას აკლდებოდა, ზიარებისთვის დროს ყოველთვის პოულობდა, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მოუცლელი იყო.

როცა ვამბობთ, რომ გათავისუფლდა ვნებათაგან, არ ვგულისხმობთ, რომ გათავისუფლდა სამუდამოდ. დროდადრო თავს მაინც ახსენებდა მოჩვენებით ვნებანი მძინარეს. ერთხელაც მორიგი შემოტევისგან დაღლილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკუთარი თავი კიდევ უფრო მკაცრად დაესაჯა, რათა აღარ შეეწუხებინა ვნებას. ძილში გამოცხადებულმა სიძვის ეშმაკმა იმ ზომამდე მიიყვანა ნეტარი, რომ ფეხზე მდგომი ისე, რომ არ დაწოლილიყო, აგრძელებდა ერთ ადგილას დგომას და ასე ლოცვას. ორმოცი დღის შემდგომ დაეცა გულწასული უგონოდ.

ეს რომ შეიტყო ილუმენმა, მივიდა თითქმის გარდაცვლილ ევპრაქსიასთან და შესძახა: „შვილო, ევპრაქსია, შემომხედე და ხმა გამეცი". ნეტარი ამ სიტყვების მიუხედავად მაინც არ გამოხმაურებია, ამის შემდეგ ილუმენმა მოატანინა საკვები და ისევ მიმართა ევპრაქსიას: „სახელითა უფლისა იესო ქრისტესითა შეჭამე". ჩაუდო პირში პური და წყალიც დაალევინა. რამდენიმე დღის შემდგომ ისევ აღიდგინა ნეტარმა ძალა და ისევ ისე განაგრძო მოღვაწეობა უწინდებურად.

მონასტერში ცხოვრობდა ეშმაკეული ქალი, რომელიც წლების განმავლობაში ჰყავდა შეპყრობილი ეშმაკს. მასთან ურთიერთობა აკრძალული ჰქონდა ყველას, რადგან საშიშიც იყო ყველაფერთან ერთად. ადამიანის დანახვაზეც კი უკონტროლო ხდებოდა, რაც კიდევ უფრო საშიშს ხდიდა მასთან მიახლოებას. ილუმენმა მასთან ურთიერთობა დაავალა ევპრაქსიას: „შვილო, ევპრაქსია, მხოლოდ შენ თუ შეძლებ მასთან ურთიერთობას, მის დაპურებას. გულწრფელად მითხარი, თუ არ შეგიძლია, ძალდატანებით არ გაკურთხებ".

ნეტარი ევპრაქსია ღმერთს მინდობილი დათანხმდა ილუმენს და შეუდგა კიდეც მორჩილებას. როცა ეშმაკეულთან მივიდა და საკვები მიუტანა, ეშმაკეულს ხელში ჯოხი ეჭირა და უნდოდა, ნეტარისთვის დაერტყა გამეტებით. ამ დროს წმინდანმა ხელი დაუკავა, რომ ჯოხი არ ჩაერტყა მისთვის და უთხრა: „შეჩერდი და ასე ნუ იქცევი, რადგან სხვაგვარი განსაცდელი შემიძლია მოგივლინო ილუმენის კვერთხის მეშვეობით". ეშმაკეული უმალ დამშვიდდა. მაშინ მიუგო ნეტარმა ევპრაქსიამ: „დაჯექი, ჩემო დაო, და მიირთვი საჭმელი, რომელიც მოგიტანე".

იმ დღიდან ევპრაქსია ზრუნავდა ეშმაკეულის კვებაზე, მოვლა-პატრონობაზე. ახლა დემონები გაგულისდნენ, რომ საერთო მოძებნა ნეტარმა ევპრაქსიამ ეშმაკეულთან და შეუჩნდნენ ეშმაკეულს, ევპრაქსიას ამხედრებოდა. აშინებდნენ, ახლა მოვა ევპრაქსია და საშინლად გაგისწორდება, გცემს, თუ არ დაუჯერებო. ცდილობდნენ, შეეძულებინათ. ისიც წყვეტდა ხმაურს და მშვიდდებოდა შიშით. ბოლოს ეს შიში სიყვარულში გადაეზარდა ეშმაკეულს.

ამის გამო ყველას უფრო მეტად შეუყვარდა ნეტარი ევპრაქსია. ერთი, ვინც ვერაფრით მოახერხა მთელ მონასტერში ევპრაქსიას შეყვარება და ხელსაყრელ მომენტს ეძებდა, უსასტიკესად გასწორებოდა წმინდანს, იყო ზემოთ ნახსენები მონაზონი გერმანა. „ეს რას ნიშნავს, — გაიძახოდა, — თუ ევპრაქსია მიუტანს საკვებს იმ დემონით შეპყრობილს, სხვას რატომ არ შეუძლია, რომ მიუტანოს. მეც შემიძლია მოვემსახურო იმ ქალს ევპრაქსიას მსგავსად". მართლაც, აიღო საკვები ერთ დღეს და მივიდა ეშმაკეულთან: „ჩემო დაო, მიირთვი საჭმელი, რომელიც მოგიტანე".

დემონით შეპყრობილი ქალი ეცა გერმანას, შემოახია, რაც კი რამ ემოსა და დაუწყო მიწაზე დაგდებულს უმოწყალოდ ცემა. ვერავინ ბედავდა გერმანას მიხმარებას, ვინც კი ამ საშინელ სურათს უყურებდა. ყვიროდნენ, მშველელს უხმობდნენ, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გაახსენდათ, ევპრაქსიასთვის დაეძახათ. მართლაც, სულზე მიუსწრო ევპრაქსიამ, ცოცხალ-მკვდარი გამოგლიჯა გერმანა ეშმაკეულს და მიმართა მკაცრად: „ამ ფორმით უნდა შეხვდე შენს დას, რომელიც ცდილობს, რომ დაგაპუროს? უფალი მეფობს და თუ კიდევ გავიგე, რომ ვინმეს ასე მოექეცი, ავიღებ ილუმენის კვერთხს და საშინლად გცემ". ამ სიტყვების შემდეგ ეშმაკეული დაწყნარდა, შეწყვიტა ყვირილი და მშვიდად უსმენდა ნეტარ ევპრაქსიას.

**ქრისტესმიერი სიყვარულით**
**პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



Cyan Magenta Yellow Black

კითხვები მოძღვარს

# „ადამიანის წინააღმდეგ ბოროტის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი სასოწარკვეთაში ჩაგდებაა“



■ მამა გიორგი

ადამიანს დაბადებიდან ორი ძალა დაჰყვება — კეთილი და ბოროტი. მართლმადიდებლური სწავლებით, ბოროტ ძალას ადამიანის აზრების გამოცნობა არ შეუძლია, მაგრამ მის გონებაზე ზემოქმედების უნარი აქვს. ადამიანს კი აქვს თავისუფალი ნება და თავად უნდა გააკეთოს არჩევანი ბოროტების თუ სიკეთის სასარგებლოდ. ამ თემაზე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

— **მამაო, რასთან არის დაკავშირებული ადამიანთა აზრების მდინარება?**

— ჩვენი გონება არენას მოგვაგონებს, სადაც სხვადასხვა ძალთა ზემოქმედებას აქვს ადგილი. სამწუხაროდ, ხშირად სათანადოდ ვერ აცნობიერებენ, რომ ცნობიერებაში გაჩენილი აზრები, ფიქრები, მსჯელობისას გაკეთებული დასკვნები, შესაძლოა არაამქვეყნიური ძალების ზემოქმედების შედეგიც იყოს. წმინდა მამები, მათ შორის პეტრე დამასკელი, სამი სახის აზრს გამოყოფს: ღვთიურს, ბოროტისეულს და ადამიანურს. ამ უკანასკნელის განმაპირობებელია ის მრავალმხრივი სიტუაციები, რომლებშიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გვიხდება ყოფნა. გვხვდება აზრები, რომლებიც სულ სხვა ბუნებისაა და მათი წარმოშობა, გაჩენა ცნობიერებაში უკვე უკავშირდება არაამქვეყნიურ ძალთა ზემოქმედებას.

— **არის მოსაზრება, რომ ბოროტ ძალას არ შეუძლია ადამიანის გონებაზე იმოქმედოს. ასე არაა?**

— მართლმადიდებლური გაგებით, ბოროტ ძალას მას შემდეგ, რაც ის სამოთხიდან იქნა გამოდევნილი, შეუძლია იმოქმედოს ადამიანის გონებაზე და დაბადოს მასში სხვადასხვა აზრები, იდეები, წარმოდგენები. მართლმადიდებლური მოძღვრებით, ბოროტ ძალას ადამიანის აზრების წაკითხვის შესაძლებლობა არ აქვს, მან არ იცის ჩვენი ფიქრები, მათი გამოკლებით, რომლებიც მათივე ზემოქმედების შედეგად ჩნდება ცნობიერებაში, მაგრამ დემონები ბევრს ხვდებიან ჩვენს ქცევაზე, სახის გამომეტყველებაზე დაკვირვების შედეგად.

წმინდა ისიდორე პელუსიელი ამბობს: „ბოროტმა არ იცის, რას ვფიქრობთ, რადგან ეს მხოლოდ ღვთაებრივი ძალისათვის არის ცნობილი, მაგრამ სხეულებრივი მოძრაობებით იგი იჭერს ჩვენს ფიქრებს. შეამჩნევს, მაგალითად, რომ უმზერენ სხვის სილამაზეს და მაშინვე სარგებლობს ამით და აღაგზნებს ასეთ ადამიანს მრუშობის ვნებით. დაინახავს ხარბს, აქეზებს ძარცვა-გლეჯისაკენ, უკანონო მომხვეჭელობისკენ. ნაყროვანებით ძლეულს წარმოადგენინებს ამ ვნების განცდებს და აიძულებს, იმოქმედოს“.

დემონური ძალა ჩუმად გითვალთვალებს, შენ კი მას ვერ ხედავ. ეს ძალა კი კარგად გიცნობს, საზღვრავს, სად როგორ მოიქცევი და თანაც ათასწლეულების განმავლობაში კაცობრიობაზე დაკვირვების შედეგად უზარმაზარი ფსიქოლოგიური ცოდნა, გამოცდილება აქვს დაგროვილი, მშვენივრად იცნობს ადამიანის ბუნებას.

ადამიანები ხშირად ვერც კი გრძნობენ, დემონური ზემოქმედების ქვეშ თუ იმყოფებიან, არადა არცთუ იშვიათად სწორედ ეს ძალა საზღვრავს ჩვენს შინაგან მდგომარეობას, განცდებს, ფიქრთა მსვლელობას. როცა მრისხანებაში ვვარდებით, ვუბრაზდებით, ვეჩხუბებით სხვას, უიმედოდ ვართ, გვეძალება სასოწარკვეთილი აზრები, ვთვლით, რომ ყველაფერი უაზრობაა, არავინ არის ჩვენი პატრონი, დამხმარე, განვიცდით შურს, გვწყინს სხვისი ბედნიერება, ვიძირებით პატივმოყვარულ ოცნებებში, დიდ ვინმედ წარმოვიდგენთ თავს, ამგვარ და კიდევ მრავალ სხვა განცდათა გაჩენა ბოროტისეული ძალის ზემოქმედებას უკავშირდება. ხატოვნად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ, ჩვენს ყურთან, ისე, რომ ვერ ვხედავთ, დემონია გაჩერებული და ჩაგვჩურჩულებს სხვადასხვა ბილწ, მკრეხელურ აზრებს, იწვევს უარყოფით ემოციებს, გრძნობებს, გვახელებს ამა თუ იმ ვნებით.

— **რა არის ბოროტი ძალის მთავარი იარაღი ადამიანის გონებაზე ზემოქმედებისთვის?**

— ადამიანის წინააღმდეგ ბოროტის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება სასოწარკვეთაში ჩაგდებაა, უიმედობის, მწუხარების განცდების გაჩენა. ასეთ დროს ხშირად ფიქრობენ, რომ ცხოვრებას აზრი არ აქვს, არავისთვის საჭირონი არ არიან, საერთოდ რისთვის მოევლინენ ამქვეყანას, ხომ არ აჯობებდა, თავად დაესვათ წერტილი ამ მძიმე, უაზრო ყოფისათვის და თვითონვე მოესწრაფათ სიცოცხლე. შემოდის ღმერთის სისასტიკეზე ფიქრებიც, რომ უფლისაგან მიტოვებული არიან და ის დიდად არ დაგიდევთ სხვის გაჭირვებას, ნაკლებად გვიმართავს ხელს. უიმედობის, სასოწარკვეთის გრძნობების გაჩენას მრავალი ცხოვრებისეული მიზეზი, პრობლემაც უწყობს ხელს: მატერიალური გაჭირვება, ავადმყოფობა, ახლობლების უყურადღებობა, დამცირება, უმუშევრობა, სხვისი ცუდი საქციელი... რამდენი რამ არის ცხოვრებაში საწყენი, სასოწარკვეთილებით აღბეჭდილი განცდების გამჩენი.

**„ხატოვნად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ, ჩვენს ყურთან, ისე, რომ ვერ ვხედავთ, დემონია გაჩერებული და ჩაგვჩურჩულებს სხვადასხვა ბილწ, მკრეხელურ აზრებს, იწვევს უარყოფით ემოციებს, გრძნობებს, გვახელებს ამა თუ იმ ვნებით“.**

წიგნში „სიბრძნე ზირაქისა“ ვკითხულობთ: „ნუ მიეცემი მწუხარებას და თავს ნუ გაიწამებ ნებაყოფლობით. გულის სიხარული ადამიანის სიცოცხლეა და კაცის მხიარულება — დღეგრძელობა მისი. დაიამე სული და გულით გამხნევდი და დარდი განიშორე, რადგან დარდს მრავალი დაუღუპავს და უსარგებლოა იგი“ (30,21-23).

— **რა სახით მოქმედებს ბოროტი ძალა ადამიანის გონებაზე?**

— ბოროტი კაცს სხვადასხვა ცოდვის ჩადენისაკენ უბიძგებს, იქნება ეს მრუშობა, ქურდობა, ტყუილი თუ სხვა რამ. წმინდა მამები ცოდვილი ჩანაფიქრის განვითარების რამდენიმე საფეხურს გამოყოფენ: პირველი — ეს მკრეხელური, ბილწი აზრის ან წარმოდგენის ჩვენს აზროვნებაში გაჩენის ეტაპია. ჩვენი გონება ამ მხრივ დაუცველია. მაგალითად, ლოცულობ, დგახარ ხატის წინ და უცებ ისეთი უმსგავსო, მკრეხელური, ღვთის თუ რომელიმე წმინდანის შეურაცხმყოფელი აზრი შეიძლება დაგებადოს, რომ არ შეიძლება არ შეშფოთდე, უხერხულად არ იგრძნო თავი. ან ნაცნობზე ისეთ რაღაცას გაიფიქრებ, თვითონ გაოცდები, როგორ ვკადრულობ ასეთ რამესო. წმინდა მამათა მიხედვით, პირველ ეტაპზე ცოდვილი ჩანაფიქრის გაჩენა გონებაში ადამიანს დანაშაულად არ ეთვლება. ჩვენ უძლურნი ვართ, ხელი შევუშალოთ ცნობიერებაში მათ შემოსვლას, ეს ყველასთან ასეა და მას ვერავინ ასცდება, მაგრამ ის, რომ არ აჰყვე მათ, არ მისცე გაქანების საშუალება და განაგდო გონებიდან, ამის გაკეთება შეგვიძლია.

მამა ბარსანოფი ოპტინელი ამბობს: „თუ ზამთარში ქარი კარს გააღებს და თოვლს შემოყრის, სახლის პატრონი ამაში დამნაშავე არ არის“. ჩვენც ასევე უდანაშაულონი ვართ უკადრისი აზრების გაჩენისას. მაგრამ როგორც სახლის მეპატრონემ უნდა დაკეტოს კარი და დაალაგოს ოთახი, ასევე — ჩვენც დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ ლოცვა, რომ უფალმა ბოროტი ძალისგან დაგვიცვას, რომელიც ამგვარ ფიქრებს გვიჩენს გონებაში“. მამა ბარსანოფი ამ დროს იესოს ლოცვის დაწყებას ურჩევდა ხალხს.

ბოროტი ძალა ათასწლეულების განმავლობაში უყურებს ადამიანებს, მრავალმა თაობამ გაიარა მის ხელში და მან ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ცოდნა, გამოცდილება დააგროვა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ, მართლმადიდებლური გაგებით, თითოეულს დაბადებისთანავე დემონი მიემაგრება, რომელიც აფიქსირებს მის ცოდვებს, მანკიერ მხარეებს, სწავლობს სისუსტეებს. მუდმივად აწარმოებენ დაკვირვებას ბოროტი ძალის სხვა მსახურებიც. მთელი ცხოვრების განმავლობაში გიყურებენ გამომცდელად და აქედან უნდა დავასკვნათ, რა საშიშ, ვერაგ ძალასთან გვაქვს საქმე.

— **როგორ შეიძლება დააღწიოს თავი მორწმუნემ ბოროტი ძალის ზემოქმედებას?**

— ანტონი დიდმა ეშმაკის მიერ მიწაზე ადამიანთა დასაჭერად გაბმული ბადე იხილა და იმდენად მჭიდროდ ნაქსოვი იყო იგი, რომ შეძრწუნებულმა უფალს შეჰღაღადა: ვინ გადარჩებაო ამ განსაცდელს. მხოლოდ მორჩილი არ გაებმებაო მასში — მიიღო პასუხად. ეს დიდი სათნოება კი გულისხმობს იმას, რომ, მიუხედავად მრავალი ცხოვრებისეული გაჭირვებისა, არ აჰყვე მძიმე განცდებს, არ ჩავარდე სასოწარკვეთილებაში და მორჩილად, იმის შეგნებით, რომ ყველაფერი ღვთის დაშვებით, ჩვენდა სასიკეთოდ ხდება, შეინარჩუნო სულის სიმხნევე, იმედი ღვთისა.

— **მფარველი ანგელოზი როდის იცავს და როდის განეშორება ადამიანს?**

— მართლმადიდებლური გაგებით, მფარველ ანგელოზს ერთი თვისება ახასიათებს. იგი განეშორება იმ ადამიანებს, რომლებიც ღვთისათვის არასათანადოდ ცხოვრობენ, ბევრს სცოდავენ, აძლევენ საკუთარ ვნებებს გაქანების საშუალებას. როგორც გაიხდიან დასვრილ ტანსაცმელს და არ სიამოვნებთ მასთან შეხება, ასევე უფლის ზეციური მსახურნიც ერიდებიან მათ, ვინც არასწორად ცხოვრობს და თავისი ყოფით ბევრ სულიერ ჭუჭყს იკრებს. წმინდა სებასტიან ყარაგანდელი ამბობდა: „თითოეულს ნათლობის შემდეგ მფარველი ანგელოზი მიემაგრება. როგორ უნდა მოვუფრთხილდეთ კავშირს მასთან? იგი თავის მოქმედებას სინდისის, გულის მეშვეობით ახორციელებს. როცა ადამიანი სულის ხსნისათვის იღვწის, უსმენს საკუთარი სინდისის ხმას, ერიდება ყველა ცოდვას, მაშინ ის გრძნობს თავისი მფარველი ანგელოზის არსებობას, მაშინ ზეციური დამცველი არიგებს ყველაფერ კარგის გასაკეთებლად, შთააგონებს კეთილ აზრს, აფრთხილებს ბოროტების შესახებ. მას ჩვენ სიკვდილის დროს ვნახავთ“.

უმთავრესი პირობა ჩვენს ცნობიერებაში ღვთაებრივი სამყაროდან მომდინარე აზრების, იდეების, წარმოდგენების მოსაცემად არის ის, რომ შევეცადოთ, რაც შეიძლება მოვერიდოთ ცოდვას, ვიცხოვროთ ღვთისთვის სათნოდ. აზროვნებას მეტად წმენდს ლოცვა. ამ დროს ხშირად ჩნდება გონებაში ჩვენთვის საჭირო აზრები, მითითება ხდება დაშვებულ შეცდომებზე, ნაკლოვანებებზე, რომლებსაც გამოსწორება სჭირდება.

✓ **მანანა ნოდია**



Cyan Magenta Yellow Black

## სულიერების სამსახურში

# მოძღვარი საკურთხეველში ტერენტი გრანელზე ლოცულობს

### მამა პეტრე: „მაკრიტიკებენ იმის გამო, რომ ცოტა გამორჩეული გარეგნობა მაქვს“



დეკანოზ პეტრე კვარაცხელიას ცხოვრება პოეზიის სიყვარულით არის სავსე. სტრიქონებში თავის ტკივილს თუ სიხარულს ატევს, მერე კი მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს. პოეტ მოძღვარს კრიტიკა არ აკლია, ზოგი რითმას უწუნებს, ზოგი — წერის მანერას, მაგრამ ის ამ ყველაფერს ყურადღებას არ აქცევს, თავის სათქმელს ამბობს. მამა პეტრეს „სარკის“ მკითხველი კარგად იცნობს. მასთან საუბარი ყოველთვის ძალიან საინტერესოდ ჩაივლის ხოლმე. ახალგაზრდა მოძღვარი საახალწლოდ თავის მკითხველს ლექსების კიდევ ერთი კრებულით გაახარებს, რომელსაც „თიხის ბარათები“ დაარქვა. ინტერვიუ ამ თემაზე საუბრით დავიწყეთ.

**პეტრე კვარაცხელია:**

— ეს არის ჩემი ახალი წიგნი, რომელიც სულ მალე გამოვა. მინდა, ახალი წლისთვის ჩემს ერთგულ მკითხველს ასეთი საჩუქარი გავუკეთო. „თიხის ბარათები“ იმიტომ დავარქვი, რომ კრებულის ერთ-ერთ ლექსს სწორედ ეს სათაური აქვს. „თიხის ბარათებს ღამეები გწერდი და გწერდი“ — ეს არის სტრაქონი ლექსიდან. ლექსი ადამისა და ევას შეხვედრას ეხება. მათ შორის დიალოგი იმართება სამოთხის დაკარგვის შემდეგ. იმედია, ჩემს მკითხველს მოეწონება. ალბათ კრიტიკასაც დავიმსახურებ, როგორც ხდება ხოლმე, მაგრამ მე ამას ჯანსაღ კრიტიკას ვერ დავარქმევდი.

ჩვენდა საუბედუროდ, დღეს თუ რამე იქმნება, იშვიათად, რომ ობიექტურად შეაფასონ. ამ მხრივ ორი უკიდურესობა არსებობს: ზეშეფასება და მიწამდე დაცემა. ამ ორ უკიდურესობას შორის ძალიან ძნელია ზღვარი გაავლო და გულწრფელი შემფასებელი გახდე. დღეს ჯანსაღი კრიტიკა არ არსებობს. უფრო მეტად ჩანს ბოღმა, რაც პირადად მე არ მაღელვებს. ასეთი ადამიანები ყოველთვის არსებობდნენ და იარსებებენ. მათ არც ყურადღება უნდა მიაქციო და არც უნდა შეეხო. ვფიქრობ, რომ ისინი იმდენად შეგეხებიან, რამდენადაც შენ შეეხები. იმედია, ჩემი ევას მონოლოგი მათაც დააინტერესებთ.

**— თქვენ როგორ ხვდებით თქვენი პოეზიის კრიტიკას?**

— პირველ რიგში, საკუთარი თავის მთავარი კრიტიკოსი მე გახლავართ. იშვიათად, რომ ჩემი ნაწერებიდან რამე მომეწონოს. დღეს პოეზიის ნაკლებობას არ განვიცდით, უამრავი ლექსი იწერება. არის ერთი მომენტიც, რომ შეიძლება წერდე, მაგრამ იმ ნაწერში პოეზია საერთოდ არ იგრძნობოდეს. ასევე შეიძლება ადამიანი საერთოდ არ ჩანდეს, მაგრამ დიდი პოეტი იყოს.

საბედნიეროდ, დღეს საქართველოში პოეზიას არ უჭირს, ბევრი ნიჭიერი პოეტი გვყავს. საზოგადოება უნდა ეცადოს, რომ ასეთი ადამიანები აღმოაჩინოს და მკითხველს წარუდგინოს. ნიჭიერ ადამიანს გზაზე დაყენება სჭირდება, უნიჭოს კი როგორც უნდა შეუწყო ხელი, შედეგს ვერ მიიღებ. პირიქით, ეს თავისი უნიჭობა თავში აუვარდება და ეგონება, რომ ამ პოპულარობას იმსახურებს. აქედან იწყება პიროვნების ტრაგედია.

**— ლექსის შექმნა იოლი არ არის. სულიერი მოძღვრის ჯვარის მტვირთველს შემოქმედებისთვის დრო და სულიერი ძალები გყოფნით?**

— ნამდვილ პოეტს ლექსის წერა არ ღლის. გულწრფელად გეტყვით, რომ ვისთვისაც პოეზია შრომაა, მან ჯობია, ლექსი საერთოდ არ წეროს. პირიქით, ლექსის წერა განტვირთვაა. მე მაშინ ვისვენებ, როდესაც ვწერ და რითმებით ვთამაშობ. ამაში მხოლოდ ტალახისა და ბალახის გარითმვას არ ვგულისხმობ. რითმა მხოლოდ ამას არ ნიშნავს, ის სულიერად უნდა იგრძნობოდეს და არა — გარეგნულად. მაგალითად, ერთ-ერთ იაპონურ ლექსში ასეთი სიტყვებია: „ერთხელ ხუმრობით დედაჩემი მხარზე შევისვი, ის იმდენად მსუბუქი იყო, რომ უცბად ცრემლი მომერია და ველარ ვზიდე“. აი, აქ გარეგნული რითმა არ არის, მაგრამ ხომ იგრძნობა. ეს უკვე ზეპოეზიაა. ვინც საწერ მაგიდასთან ზის და იმაზე ფიქრობს, ზარი და ქარი როგორ გარითმოს, ის პოეტი არაა და ჯობია, საერთოდ არ წეროს.

> **„ერთი პერიოდი კრიტიკას ისე განვიცდიდი, საკუთარ თავში ჩავიკეტე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს მარცხი იყო. ჩემს თავს შემოვუძახე, რომ არაფრის და არავის გამო არ უნდა დავეცე. მთელი დედამიწა შენ წინააღმდეგაც რომ იყოს განწყობილი და არსებობდეს ერთი ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასი ხარ, მის წინაშე არ გაქვს უფლება, რომ ჩაიკეტო".**

ვიცი, რომ ლექსის წერას თავისი სტილი და ტექნიკა აქვს, თუმცა, როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობს, ჭეშმარიტი პოეზია პოეზიის საზღვრების მიღმა იწყება. მე სულაც არ მიმაჩნია პოეზიად სახარების გარითმვა. პირიქით, ჩემთვის ეს წმინდა წერილის დამახინჯებაა. სახარება ისე კარგადაა ჩამოყალიბებული და პოეტური ნიმუშიც არის, რომ მისი გარითმვა ზედმეტია. რელიგიური დეტალები და სიუჟეტები ჩემს პოეზიაშიც მრავლად არის, მაგრამ ამას სწორი მიდგომა სჭირდება.

**— თქვენი პოეზია თითქოს დიდ ტკივილს ატარებს.**

— სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. ლექსის წაკითხვისას გრძნობ მისი ავტორის შინაგან მდგომარეობას. ხელოვნებაც ხომ სწორედ ეს არის — ადამიანის ტკივილის შედეგად გამოწვეული ქმედება. რაც უფრო დიდია ტკივილი, მით უფრო დიდია მისი შემოქმედებაც. ტკივილს არ უნდა დავნებდეთ, პირიქით, ამის სათავე უნდა მოვიძიოთ და როცა საკუთარ თავს ჩავუღრმავდებით, ვიგრძნობთ, რომ ეს მხოლოდ ჩვენ კი არ გვეხება, არამედ მარადიულია. და თუ ამ ტკივილით დაწერილია თუნდაც ერთი უმნიშვნელო ფრაზა, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ვიღაცას გულზე მოხვდება. ასეთ დროს შემოქმედება შემდგარია. თუ შენი პოეზიით ვინმეს დააპურებ, ტკივილზე მალამოს დაადებ, აი, მაშინ ხარ ნამდვილი პოეტი. ხშირად, როცა პროზას ვკითხულობ, ეს ყველაფერი არ იგრძნობა.

> **„ხელოვნება ადამიანის ტკივილის შედეგად გამოწვეული ქმედებაა. რაც უფრო დიდია ტკივილი, მით უფრო დიდია მისი შემოქმედებაც... თუ შენი პოეზიით ვინმეს დააპურებ, ტკივილზე მალამოს დაადებ, აი, მაშინ ხარ ნამდვილი პოეტი".**

სამწუხაროდ, დღეს ლექსების დიდი ნაწილი მასებზე არის ხოლმე გათვლილი. არადა, რაც გულიდან მოდის, ის უნდა დაიწეროს. ვინმესთვის თავის მოსაწონებლად კი არ უნდა წერო, არამედ იმიტომ, რომ ტკივილი გამოხატო. მაგალითად, პოეზიით თრობა შემიძლია კარგ ღვინოს შევადარო. თუ ყურძნის მოსავალი კარგია, მისგან დაყენებული ღვინოც კარგი იქნება. ის დაგვათრობს, მაგრამ ტკივილს არ მოგვაყენებს. ასევეა, როცა ადამიანის შინაგანი ნაყოფიდან ანუ სულიდან იწურება ლექსის მტევანი და პოეზიის ჭურჭელში ჩაედინება. იქიდან მიღებულ პოეტურ სასმელს ვინც დაეწაფება და ერთხელ მაინც გემოს გაუგებს, ამას ვერასდროს

→76

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

დაივიწყებს. მაშინაც კი მიიღებს მისგან საზრდოს, როცა ჭურჭელი ცარიელი იქნება.

ჩვენდა საუბედუროდ, შეიძლება ბევრად ნიჭიერი ადამიანი დადიოდეს დედამიწაზე და ვერ ვხედავდეთ. ვამჩნევდეთ მხოლოდ იმას, ვინც ყვირის და უფრო მეტად ვხედავდეთ იმას, ვინც ყველაზე მეტს ყვირის. მის უნიჭობას ხელს ვუწყობთ, ვაფეტიშებთ, ფრთებს ვასხამთ. როცა ადამიანს ფრთები აქვს, ბუნებრივია, ის იფრენს კიდეც. ჩემთვის ყვავიც დაფრინავს და მტრედიც. ამაში განსხვავება ძალიან დიდია.

**— ამას წინათ ბოლნისში ტერენტი გრანელის საღამო ჩაატარეთ. როგორც ვიცი, ის თქვენი უსაყვარლესი პოეტია.**



■ დეკანოზი პეტრე კვარაცხელია

— პოეზიის საღამო „ფარული ვედრება" წარმატებით ჩატარდა. მაყურებელი საკმაოზე ბევრიც კი გვყავდა. იქაური მოსახლეობა, მრევლი, მუნიციპალიტეტი და პანტომიმის თეატრის მსახიობი ირაკლი ბიბილური ძალიან დამეხმარნენ. არამხოლოდ პოეზიის საღამო ჩატარდა, ტერენტის სულისთვის ლოცვაც კიდევ ერთხელ აღვავლინეთ.

ალბათ ვიღაც იფიქრებს, რომ ტერენტი გრანელი ფანატიკურად მიყვარს. ნაწილობრივ ამაში დავეთანხმები. ყველას გვყავს რჩეული მწერალი თუ პოეტი. როცა ადამიანი რაღაცას პირველად იგემებს, ის გემო ბოლომდე გაჰყვება. მე პირველად ტერენტის ლექსები წავიკითხე და პოეზია მან შემაყვარა. მას მერე უამრავი პოეტის შემოქმედებას გავეცანი, მაგრამ ის პირველი ემოცია სულ სხვაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე გრანელის პოეზიაში ჩავრჩი.

**„ლოცვა არის საუკეთესო საშუალება, რომ სულიერი სიახლოვე იგრძნო იმ ადამიანებთან, ვინც შენთვის ძალიან ძვირფასია".**

გულწრფელად გეტყვით, რომ 3 ათას ლექსზე მეტი ვიცი ზეპირად და აქედან ტერენტის ლექსზე სულაც არ ვაჭარბებ. ეს უდიდესი პოეტი წარმოშობით წალენჯიხიდან, ჩემი კუთხიდანაა. არამხოლოდ ბოლნისში, თბილისშიც ხშირად ვატარებ ტერენტის ხსოვნის თუ მისი პოეზიის საღამოებს. საკურთხეველში, ლოცვის დროს, ვიხსენიებ ტერენტის და კიდევ ბევრი ადამიანის სულს, ვინც ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ეს ჩამონათვალი ძალიან შორს მიდის ხოლმე. ბევრ ჩემთვის საყვარელ მწერლის სულს ვერ ვიხსენიებ მათი რელიგიური განსხვავების გამო. ტერენტის გარდა, ვლოცულობ ტიციანზე, გალაკტიონზე, მირზაზე, პაოლოზე, ლადოზე, გოდერძიზე და ა.შ. ლოცვა არის საუკეთესო საშუალება, რომ სულიერი სიახლოვე იგრძნო იმ ადამიანებთან, ვინც შენთვის ძალიან ძვირფასია.

**— როცა თავადაც წერთ ლექსს, არ გიჭირთ საყვარელი პოეტების გავლენისგან გათავისუფლება?**

— როცა ერთსა და იმავე პოეტს კითხულობ, ბუნებრივია, გავლენაც არის. შეიძლება სულ გსაყვედურობდნენ, რომ ვიღაცის პოეზიის გავლენით წერ, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ნებისმიერ დიდ შემოქმედს თავისზე უფრო დიდი შემოქმედის გავლენა ჰქონდა. მაგალითად, მწერალი კონსტანტინე გამსახურდია მთელი ცხოვრება ცდილობდა, თომას მანისთვის მიებაძა. ეს ძალიანაც კარგია. გააჩნია, ვის ბაძავ და ვინ არის შენთვის ღირებული.

მართალია, დღეს მსოფლიო ლიტერატურის ბაზარზე სულიერი კრიზისია, მაგრამ მაინც უამრავი წიგნი იყიდება. მკითხველი კი ძალიან გამოუცდელი გვყავს. ჯემალ ქარჩხაძე ამბობდა: „ვისთვისაც შემოქმედება კომერცია არ არის, მისთვის მთავარი ნაწარმოები ჯერ კიდევ წინაა". თუ დღეს მე რომელიმე პოეტის გავლენას განვიცდი, გავა დრო და ეს დაილექება. მკითხველს თუნდაც ერთი ლექსითაც რომ შემორჩე, ეს უკვე ნიშნავს, რომ შეძელი, ღრმა და უნაპირო პოეზიაში ნაკადულის თუნდაც ერთი წვეთი ყოფილიყავი.

ვიღაცის გავლენა რომ გაქვს, ცუდი სულაც არ არის, მაგრამ ყველაფერში მიბაძვა არ შეიძლება. მაგალითად, ვაჟა-ფშაველა არამარტო ქართული, მსოფლიო ლიტერატურისთვისაც ძვირფასი და ღირებული შემოქმედია. ჩემთვის ის ქართული სიტყვის ღმერთია, მაგრამ არ მინდა, დღეს მის ენაზე ვინმე წერდეს. ახლა რაც უფრო მარტივად იწერება, მით უფრო ღირებულია. უბრალოებაშია გენიალურობა, სისადავეშია მარადიულობა. ჩემი ერთ-ერთი ლექსის სტრიქონი ასეთია: „შენ ციხე ხარ ჩაკეტილი, მე ერთგული მეციხოვნე". პოეზია არ არის ერთი მთლიანობა, ეს არის წინადადებასა და წინადადებას შორის არსებული უფსკრული. რაც უფრო ღრმაა, მით უფრო საინტერესოა. იმ უფსკრულში მხოლოდ ის ადამიანი იხედება, ვისაც შეუძლია ბურუსშიც კი ხედავდეს.

**— სოციალურ ქსელში გამუდმებით აქვეყნებთ ახალ-ახალ ლექსებს. ფაქტობრივად, თქვენი პოეზიის პირველი მკითხველები და შემფასებლები თქვენივე მეგობრები (სოციალურ ქსელში) არიან.**

— არ მაქვს იმის ფუფუნება, რომ სადმე კუთხეში დავჯდე და ლექსი დავწერო. მით უმეტეს, ხშირად ისეთ დროს მაფიქრდება ახალი ლექსი, როდესაც წერის საშუალება არ მაქვს. ამისთვის ვიყენებ სოციალურ ქსელს და იქ ვტვირთავ ხოლმე, რომ ეს ნაწერი არ დამეკარგოს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი მკითხველები ჩემზე მეტად უფრთხილდებიან ჩემს ლექსებს და ინახავენ. მე თუ რამე დამავიწყდა, ისინი მახსენებენ ხოლმე.

**— იმავე სოციალურ ქსელში საკმაოდ არიან თქვენ მიმართ უარყოფითად განწყობილი ადამიანები. მათი სიტყვები თქვენთვის გულსატკენი არ არის?**

— ჩემი აზრით, ჩემი მთავარი სისუსტე ის არის, რომ ძალიან მგრძნობიარე ვარ. კიდევ კარგი, სიძლიერეც გამაჩნია. ჩემი სიძლიერე კი სწორედ ჩემს სისუსტეშია. ადრე განვიცდიდი ყველა ადამიანის მიერ ნათქვამ ერთ უარყოფით სიტყვასაც კი. განა იმიტომ განვიცდიდი, რომ კრიტიკის მოსმენა მიჭირს, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო ბოროტებითა და სიძულვილით ნათქვამი და მეტი არაფერი. მესმის, რომ ბევრი არის ჩასაფრებული, მით უმეტეს, თუ სასულიერო პირი ხარ. ამას ხშირად ვახსენებ საკუთარ თავს. ერთი პერიოდი მსგავსი ამბები ძალიან განვიცადე, საკუთარ თავში ჩავიკეტე კიდეც, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს მარცხი იყო. იმ დროს ჩემს თავს შემოვუძახე, რომ არაფრის და არავის გამო არ უნდა დავეცე. მთელი დედამიწა შენ წინააღმდეგაც რომ იყოს განწყობილი და არსებობდეს ერთი ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასი ხარ, მის წინაშე არ გაქვს უფლება, რომ ჩაიკეტო. ამ ყველაფერს უკვე ისე მივეჩვიე, რომ როცა ჩემ გარშემო კრიტიკა არ არის, ვფიქრობ, ხომ არ გარდავიცვალე-მეთქი.

**— თუმცა მხოლოდ თქვენს პოეზიას კი არა, სოციალურ ქსელში ზოგიერთები თქვენს ატვირთულ ფოტოებსაც უარყოფითად ხვდებიან.**

— კი, მაკრიტიკებენ იმის გამო, რომ ცოტა გამორჩეული გარეგნობა მაქვს. რა ვქნა, მე სახეს ვერ დავიმახინჯებ, ვერც ცხოვრებას დავიმახინჯებ. რაც ვარ, ეს ვარ. არ მიყვარს ფარისევლობა, თამაში. ბნელ და ბრმა საზოგადოებასთან არასდროს ვითამაშებ. მერე რა, რომ ბევრ ფოტოს ვტვირთავ სოციალურ

**„შეიძლება ბევრად ნიჭიერი ადამიანი დადიოდეს დედამიწაზე და ვერ ვხედავდეთ. ვამჩნევდეთ მხოლოდ იმას, ვინც ყვირის და უფრო მეტად ვხედავდეთ იმას, ვინც ყველაზე მეტს ყვირის. მის უნიჭობას ხელს ვუწყობთ, ვაფეტიშებთ, ფრთებს ვასხამთ".**

ქსელში და მერე რა, რომ ჩემი გარეგნობა ვიღაცას თვალს სჭრის. ჩემი აზრით, ხალხმა ისეთი უნდა მნახოს, როგორიც ვარ, რადგან არაფერს ვმალავ. ადამიანთა გარკვეულ ნაწილს ჩემს ფოტოებზე მეტად ის უფრო აშფოთებს, რომ თავისუფალი პიროვნება ვარ. უფალი კი ჩვენგან სწორედ იმას ითხოვს, რომ ვიყოთ ის, რაც ვართ და არ ვითამაშოთ.

განმიკითხონ იმის გამო, რომ სოციალურ ქსელში ჩემს ფოტოებს ვდებ. მე ეს ფაქტი არ მაღელვებს. გავა დრო და ალბათ ფოტოებსაც აღარ დავდებ. ამას იმიტომ არ გავაკეთებ, რომ ვიღაცას კოჭი გავუგორო და ვიფარისევლო. ასე მხოლოდ მაშინ მოვიქცევი, როდესაც მე მომინდება. კონსტანტინე გამსახურდია ამბობს, სიმართლისა და რწმენისათვის ადი კოცონზე, იარე შენი გზით, დაე, ხალხმა ილაპარაკოსო.

**— დაბოლოს, თქვით, რომ სხვა სასულიერო პირებს არ ჰგავხართ და განსხვავებული ხართ, თუნდაც ამ თქვენი თავისუფლებით?**

— ეს ძალიან დამაფიქრებელია. აქაც გულწრფელი ვიქნები და გეტყვით, რომ განსხვავებული ვარ, თუმცა ამაში მხოლოდ კარგი თვისებები თუ ქცევები არ იგულისხმება. ზოგადად შემოქმედი ადამიანი არაორდინარულია და საზოგადოებისგან ბევრი რამით განსხვავდება. ის სულ სხვანაირია, საზოგადოება კი — სხვანაირი. ამიტომ მისი გამორჩეულობა უფრო მკვეთრად ჩანს. ამას ვერ გავექცევით, რადგან ეს ჩვენი ნებით კი არა, უფლის ნებით ხდება. ვიღაცისგან რომ განსხვავდები, კარგი კი არ არის, ამან შეიძლება ცხოვრებაში ბევრი ტკივილიც მოგიტანოს. თუმცა ეს ტკივილიც შენიანი ხდება და მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგიდგენია. ოსკარ უაილდი ამბობდა: „ჩემი ცხოვრება ერთი მშვენიერი ტრაგედიაა".

ამ ყველაფერს იმიტომ არ ვამბობ, რომ ხალხმა უფრო მეტად შემამჩნიოს. ადამიანები მაინც ისაუბრებენ შენზე მაშინ, როცა რაღაცას ქმნი. მე მინდა, რომ მთელი ცხოვრება ვქმნიდე, ლექსში, სიტყვებში და იმ ადამიანებში ვიცოცხლო, ვისთვისაც ძვირფასი ვარ.

✓ **თეონა კენჭიაშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

## საახალწლო გლინტვეინი



**მასალა:**

ფორთოხალი — 2 ცალი
წითელი ღვინო — 750 მლ
თეთრი ღვინო — 750 მლ
კოჭა (ჯანჯაფილი) — 1 ცალი
დარიჩინი — 3 ჩხირი
დაფქული მიხაკი — 1/2 ჩ.კ.
ყავისფერი შაქარი — 1/3 ჭიქა

**მომზადება:** ფორთოხალს ფრთხილად მოაცილეთ კანი (ზოლებად). ღრმა ქვაბში ჩაწურეთ რბილობი, ჩაასხით წითელი და თეთრი ღვინო, ჩაუმატეთ ფორთოხლის კანი, გათლილი და თხლად დაჭრილი კოჭა, დარიჩინის ჩხირები, მიხაკი და ყავისფერი შაქარი. მოურიეთ შაქრის გასალღობად. ქვაბს თავზე დააფარეთ და საშუალო ალზე ადუღებამდე მიიყვანეთ (არ აადუღოთ!). დაუწიეთ ალს და ქვაბი 1 საათი ქურაზე გააჩერეთ, რომ არომატები კარგად შეზავდეს. შემდეგ გადაწურეთ და ჭიქებში გადაანაწილეთ. მიირთვით ცხელი.

## საახალწლო ორცხობილა



**მასალა:**

ფქვილი — 3-3/4 ჭიქა
გამაფხვიერებელი — 1 ჩ.კ.
მარილი — 1/2 ჩ.კ.
მარგარინი ან კარაქი (დარბილებული) — 1 სუფრის კოვზი
შაქარი — 1-1/2 ჭიქა
კვერცხი — 2 ცალი
ვანილი — 2 ჩ.კ.

**მომზადება:** აურიეთ ფქვილი, გამაფხვიერებელი და მარილი. ღრმა ჯამში მიქსერით ათქვიფეთ შაქარი და მარგარინი. სათითაოდ ჩაუმატეთ კვერცხები და ბოლოს ვანილი. შემდეგ ნელ-ნელა შეაზილეთ ფქვილის ნარევი და ურიეთ კარგად ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. ცომი შეფუთეთ და დადგით გრილ ადგილას 2 საათით.

ღუმელი 200 გრადუსამდე გააცხელეთ. გამოსაცხობ ფირფიტას ცოტა ცხიმი წაუსვით და ფქვილი მოაყარეთ. ცომი 6 მმ სისქეზე გააბრტყელეთ და სასურველი ფორმები ამოჭერით. დაალაგეთ ორცხობილები ფირფიტაზე და 6-8 წუთი აცხვეთ, სანამ ყავისფერ შეფერილობას არ მიიღებს. მზა ორცხობილები გასაციებლად ცხაურზე გადაიტანეთ.

გასაფორმებლად შეგიძლიათ ორცხობილებს ფერადი შაქარი მოაყაროთ ან, მაგალითად, აურიეთ 2 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 სუფრის კოვზი ბეზეს ფხვნილი, 3 სუფრის კოვზი წყალი და ორცხობილებს მოასხით.

## ფოკაჩა

**მასალა:**

საფუარი — 2 ჩ.კ.
შაქარი — 1 ჩ.კ.
თბილი წყალი — ჭიქანახევარი
ზეითუნის ზეთი — 1 ს.კ.
ფქვილი — 470 გ
მარილი — 1 ჩ.კ.
კამა (დაფქული) — 2 ჩ.კ.
ნიახური (დაფქული) — 1/2 ჩ.კ.
ზემოდან წასასმელად:
ზეითუნის ზეთი — 1 ს.კ.
პომიდორი — 1 ცალი
ხახვი (წითელი) — 1 თავი
ნიორი — 1 კბილი
კვლიავი — 1 ჩ.კ.

**მომზადება:** ფოკაჩა საფუარიანი პურია, რომელსაც იტალიაში აცხობენ. საფუარს შაქარი შეურიეთ და თბილი წყალი დაასხით. დაუმატეთ ზეითუნის ზეთი და ცოტა ხანს დააყოვნეთ, სანამ საფუარი მთლიანად არ გაიხსნება.



ფქვილს შეურიეთ კამა, ნიახური, ჩაუმატეთ მარილი და აურიეთ. ფქვილის ცენტრში ჩაღრმავება გააკეთეთ და ჩაასხით საფუარი. მოზილეთ ცომი და 2 საათი ასაფუებლად დადგით.

აფუებული ცომი გაყავით 2 ნაწილად. თითო ცომის ბურთულა ოდნავ გააბრტყელეთ, ზემოდან დააყარეთ თხლად დაჭრილი წითელი ხახვი, კანგაცლილი პომიდორი, ნიორი, კვლიავი და მოუსვით ზეითუნის ზეთი. 15 წუთით თბილ ადგილზე დადგით. შემდეგ გადაიტანეთ ფორმებში და ღუმელში 220 გრადუსზე გამოაცხვეთ. როცა მზად იქნება, გააგრილეთ, დაჭერით და სუფრასთან მიიტანეთ.

## ქათამი გოგრითა და ქამა სოკოთი



**მასალა:**

ქათმის ფილე — 1 კგ
გოგრა — 350 გ
ქამა სოკო — 300 გ
ხახვი — 1 თავი
ლიმონის წვენი — 1 ს.კ.
ნაღები — 200 მლ
მარილი — გემოვნებით

**მომზადება:** სოკო გაასუფთავეთ და ოთხად გაჭერით. გოგრა კუბიკებად დაჭერით, ხახვი აკეპეთ, ქათმის ფილე კი საშუალო ნაჭრებად დაჭერით. ქათამი 3-5 წუთის განმავლობაში მაღალ ცეცხლზე ზეთში შებრაწეთ და ცალკე გადადეთ.

იმავე ტაფაში ხახვი მოშუშეთ, ჩაუმატეთ ქამა სოკო, გოგრა და შუშეთ 10 წუთი. შემდეგ დაუმატეთ შემწვარი ქათმის ფილე, ლიმონის წვენი და ნაღები, შეაზავეთ მარილით, მიიყვანეთ ადუღებამდე, ალს დაუწიეთ და ცეცხლზე კიდევ 10-15 წუთი გააჩერეთ. სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში.






Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# ტბორი ქოთანში

ასეთი ლამაზი ნივთის გაკეთება რთული არ არის. ამისათვის დაგჭირდებათ: ქოთანი, ლითონის ან დრეკადი პოლიეთილენის ნაჭერი, სილიკონი, მიწა, წყალი და ყვავილები (მაგალითად, გვიმრა, წყლის შროშანი, ბალახი).

თუ ქოთანს ძირში ნახვრეტი აქვს, ის სილიკონით ამოავსეთ, რათა წყალი არ გაუვიდეს. შემდეგ ქოთნის ძირში (მესამედზე) ცოტა მიწა ჩაყარეთ. მიწაში ზიგზაგისებურად (როგორც ფოტოზეა ნაჩვენები) ლითონის ნაჭერი ჩაამაგრეთ. ქოთნის ერთ მხარეს მიწა დაუმატეთ (იხ. ფოტო). მეორე მხარე წყლით გაავსეთ. წყლიან ნაწილში წყლის შროშანები ჩარგეთ, მიწიანში კი — გვიმრა, მწვანე ბალახი... ტბორი ქოთანში მზადაა. ასეთი დეკორატიული ქოთანი სახლისთვის ნაკლებად გამოსადეგია, უფრო ეზოს გასაფორმებლად გამოდგება.

**გისურვებთ წარმატებას!**





## წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 8 | 2 | 3 | 6 | 4 | 7 | 9 | 1 |
| 6 | 3 | 1 | 7 | 5 | 9 | 2 | 4 | 8 |
| 7 | 4 | 9 | 8 | 2 | 1 | 3 | 5 | 6 |
| 1 | 9 | 3 | 2 | 4 | 6 | 8 | 7 | 5 |
| 4 | 6 | 8 | 1 | 7 | 5 | 9 | 2 | 3 |
| 2 | 5 | 7 | 9 | 8 | 3 | 1 | 6 | 4 |
| 8 | 2 | 6 | 4 | 3 | 7 | 5 | 1 | 9 |
| 3 | 1 | 4 | 5 | 9 | 2 | 6 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 5 | 6 | 1 | 8 | 4 | 3 | 2 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 6 | 8 | 7 | 2 | 5 | 1 | 4 |
| 1 | 4 | 8 | 9 | 6 | 5 | 7 | 3 | 2 |
| 5 | 2 | 7 | 3 | 4 | 1 | 9 | 6 | 8 |
| 9 | 5 | 4 | 7 | 1 | 8 | 6 | 2 | 3 |
| 8 | 3 | 2 | 6 | 5 | 4 | 1 | 9 | 7 |
| 7 | 6 | 1 | 2 | 9 | 3 | 4 | 8 | 5 |
| 2 | 1 | 9 | 5 | 3 | 7 | 8 | 4 | 6 |
| 6 | 8 | 5 | 4 | 2 | 9 | 3 | 7 | 1 |
| 4 | 7 | 3 | 1 | 8 | 6 | 2 | 5 | 9 |

## ეს იცოდით?

❖ გამოკვლევის თანახმად, რომელიც ვაშინგტონის უნივერსიტეტში ჩატარდა, ადამიანების მსგავსად, ძაღლები და კატებიც არიან ცაციები.

❖ პოლარული დათვი ერთადერთი ძუძუმწოვარია, რომელსაც ადამიანის არ ეშინია. მას შეუძლია, მონადირეების ჯგუფს კილომეტრობით სდიოს, თუნდაც მძიმედ იყოს დაჭრილი.

❖ დინოზავრების უმეტესობის სიცოცხლის ხანგრძლივობა 100 წელზე მეტი იყო.

❖ დედამიწის ვულკანების უმრავლესობა წყალქვეშაა, 500-მდე ვულკანი კი ხილვადია.

❖ ყველაზე დიდი კრატერი სუმატრაზე მდებარე ვულკან ტობას აქვს. მისი ფართობი 1775 კვ.კმ-ია.

❖ იაპონურ ენაში უწმაწური სიტყვები არ არსებობს. ყველაზე უზრდელურ სიტყვებად მიჩნეულია „იდიოტი“ და „სულელი“.

❖ ჩინეთში ინგლისურად უფრო მეტი ადამიანი ლაპარაკობს, ვიდრე აშშ-ში.

❖ 1977 წელს ამერიკელ ფიზიკოსთა შორის ქალები მხოლოდ 8%-ს შეადგენდნენ.

❖ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული სახელი არის ანა და 100 მილიონზე მეტ ქალს ჰქვია.

❖ ყველაზე მეტი ასაკოვანი ადამიანი შვეიცარიაში ცხოვრობს (24%), ხოლო ყველაზე ცოტა — კუვეიტში (2%).

❖ შვეიცარიაში 300 000 ადამიანზე მეტის გვარი კარლსონია.

❖ ამერიკაში დაახლოებით 2 383 000 ადამიანის გვარია სმიტი.

❖ იტალიაში ყველაზე გავრცელებული სახელი და გვარია მარიო როსი.

❖ მოსკოვში 100 000-ზე მეტი ოჯახია გვარად ივანოვი.

❖ საფეხბურთო სტადიონი უემბლი განკუთვნილია მხოლოდ თამაშებისთვის. იქ ვარჯიში აკრძალულია.

❖ ბრაზილია ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ფეხბურთის ყველა მსოფლიო ჩემპიონატში აქვს მონაწილეობა მიღებული.

❖ 1987 წელს ერთ-ერთმა იტალიურმა გაზეთმა დიეგო მარადონას „მსოფლიო ფეხბურთის მიქელანჯელო“ უწოდა.

❖ ამერიკელები გოლფის ბურთების შესაძენად ყოველწლიურად 360 მილიონ დოლარს ხარჯავენ.



Cyan Magenta Yellow Black

# ავერსი გილოცავთ შობა-ახალ წელს

და გთავაზობთ
20 იანვრის ჩათვლით
20%-დან 40%-მდე
ფასდაკლებით ენვიტას,
დოქტორ ფიშერის, დოლივას,
აჰავას, ლაკალუტის,
საუგელას, ალგასანისა და
ტონუს ელასტის სამკურნალო
პროდუქციას




გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

+995 32 296 72 27
www.aversi.ge

ავერსი
AVERSI

სილქნეტი
SILKNET

დაიმატეთ თემატური პაკეტი "სპორტ +"

# მხოლოდ 5 ლარად

Silk SPORT HD

SETANTA SPORTS

ყველაზე საინტერესო, სანახაობრივი და ექსკლუზიური
სპორტული ღონისძიებები ერთ პაკეტში



Silk TV

Find us on: facebook.

2 100 100

www.silknet.com

ინტერაქტიული ტელევიზია